



**მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა. მასალები**  
**ÖSTERREICHISCHE LYRIK DES 20. JAHRHUNDERTS. MATERIALIEN**

 ტომი III  
BAND III 

**თბილისი**  
**2007**

# რანერ მარია რილკე

## კრებულიდან შამნი

ანგელოზების საკრებულო შუქში დაგეძებს:  
ცას ეხლებიან, შესაცნობად როცა გიტევენ  
და თვითეულ სხივს ჩაჟინებით ჩაჰკირკიტებენ.  
მე კი – თუ შენთან სამეტყველოდ ლექსი მაქეზებს,  
ასე მგონია – საგალობლებს ბნელში ჰკიდებენ  
და შორდებიან შენეული კაბის ნაკეცებს.

შენ მხოლოდ ოქროს სტუმარს ჰგავდი: როცა დრო-ჟამი  
სალიტანიოდ მოგიხმობდა ფრთების სავსავით, –  
სავარსკვლავეთოს აღუვლენდი სხივებს აღსავლით  
და მარმარილოს გალობათა კრიალოსანი  
შუბლზე გეფინა სფეროების ნათებასავით.

და შენ გარდახველ. გალობათა ჟამი გაბრუნდა.

აბანოზის ხეს დაემსგავსა შენი ხელები  
და ბაგეები ღამესავით გაუდაბურდა...

**რას** იზამ, ღმერთო, მე როდესაც გარდავიცვლები?  
ჭურჭელი შენი (დამსხვრეული მთლად დავიცვლები?)  
სასმელი შენი (აეშმორდები და დავიშლები?)  
ეს მე ვარ შენი სამოსელი, შენი ხელობა,  
მე დამკარგავ და აზრს დაკარგავს შენი ქველობა.

მივინავლები მაშინ შენი კერა და კვამლი,  
თბილ სიტყვად ველარ დაგიხვდები ზღურბლთან მოხრილი,  
და რომ როგორმე დაგიამო ფეხი მოლლილი,  
მე გაგეხდები ჩუმად, როგორც ხავერდის ხამლი.

ჩამოგეხსნები, მაგრამ აღარ მოგესვენება,  
რადგან შენს მზერას სასთუმალი თუკი ენება,  
ბუმბულად ველარ დაგეგები ლბილად და ამოდ,  
მზის დასავალზე არ იქნება ჩემი ხსენება,  
დამიწყებს ძებნას შენი მზერა, მაგრამ ამაოდ,  
ვერ მიპოვის და უცხო ქვებში ჩაესვენება.

მაშინ კი, ღმერთო, მეშინია, რა გეშველება?!

**უპირველესი** სიტყვა შენი: იყავნ ნათელი:  
და იშვა ჟამი. ღიღხანს ღუმდი. მეორედ ითქვა:  
ადამიანი. მოჰყვა შიში და ჟრუანტელი  
(ანლაც გვაბრუებს მისი ჟღერის კორიანტელი)  
და ამის შემდეგ შენი შუბლი კვლავ ფიქრობს ღიღხანს.

მე აღარ მინდა უკვე შენი მესამე სიტყვა.

შემოგლადებ ღამღამობით: დარჩი მღუმარი,  
დაე, ზრდა შენი უხმაუროდ გვეალმაცეროს.  
იყავ სულისთვის ღამეული სიზმრის სტუმარი,  
რომ, ვით შედეგი უმძიმესი და უჩუმარი,  
მან მღუმარებით შუბლებსა და მთებში ჩაწეროს.

თავშესაფარი რისხვისაგან სადმე თუ არის,  
შენ იყავ იგი. გამოუთქმელს უთხარ უარი.  
ღამემ მოიცვა სანახები სამოთხისანი:  
მწყემსი იყავ და სამწყსოს ბუკით შემოუარე,  
რომ ეს თქვან მხოლოდ: ჩაბერაო, მოგვცა ნიშანი.

**ვიცი:** შენა ხარ იდუმალი, ერთმა საათმა შეგქმნა ჩემში და შესაქმისას ცეცხლად იელვე; შენს დაბადებას ჩემეული მადლი დაადნა ჟამთა მიერ და მომეკითხა ჟამთა მიერვე ჩემი ხელების სიკადნიერე.

ჩანახატებით ავაჭრელე წყება რვეულთა, ნაკლოვანებაც შევიწყნარე თითქოს პატივით, მაგრამ სნეული წარმოსახვა გაჭირვეულდა და ერთმანეთში აიბურდა ეკალბარდივით ყველა ოფორტი, მონახაზი, ყველა ფანქარი, მერე ჩემს წიაღს უჩვეულო ხმები მოესმა და შეხებისას უცაბედად იწყო ქანქარი იმ ფორმათაგან სუყველაზე უსათნოესმა...

არ შემიძლია მოვიხილო ჩემი ნალვაწი, თუმც, სრულყოფილი, წამდაუწუმ ჩემს წინ ისახვის, მაგრამ მაინც ვცდი, მოგიხელთო წარმოსახვაში და შევემზადო ხელახალი შესაქმისათვის...

**კვლავ** შინ ვბრუნდები – მიქცეული საგანთა მიღმა:  
მე გამაბნია უაზრო ტოკვამ და მემბრანული რხევების რიგმა;  
მე ლოცვა ვიყავ – ყურებში დღემდე  
შრიალებს ღმერთი – გალობის რითმა...  
კვლავ დამეუფლა სისადავე მოკვდავთაგანთა,  
ჩაცხრა ჩემი ხმა – დღენიადავ მასზე მხმობელი,  
და ჩემი სახეც ქვეშეთისკენ მძიმედ დაქანდა,  
რათა კვლავ წარეთქვა საკადრისი საგალობელი.

რა ვარ, რა ვიყავ: ქარი ვიყავ... ვგრძნობდი წინადვე, –  
სხვის შესანჯღრევად უქარობა გამიძნელდება;  
მე ანგელოზთა სიმორეში დავიბინადრე,  
სად არარაში იკარგება უფლის სინათლე,  
ხოლო უფალი ღამეებში მძიმედ ბნელდება.

ანგელოზები – ზეალსვლაა უკანასკნელი, –  
ღვთის არშიებში შესალწევად მიეჩქარებათ;  
გარდამოვლენ და გარდამოაქვთ მცდარი დასკვნები  
და გარდამოსვლა მიაჩნიათ ნეტარ ზმანებად.  
მათი კრებული სინათლეებს უფრო იფერებს  
და რომ ნათებით შავძალოვან ღვთისთვის ეჯობნათ, –  
ყმაღნაფიცობა შესთავაზეს ლიუციფერებს  
და ბელზებელი შეიწყნარეს ძმად და მეზობლად.

მას უწოდებენ ნათლიერის მამაზეციერს:  
როცა დაღლილ შუბლს დაქანებულ სივრცეს მიაღებს,  
არარაობის ნათებაში ღამეს ეძიებს,  
მჭკნარ პირისახეს წყვდიადისკენ მიაცრიატებს  
და შემწეობას ევედრება შავბნელ წიაღებს.  
და იგი არის დროის ღმერთი, ღმერთი ნათელთა,  
დრო მისეული გაღვიძებას იწყებს გოდებით...  
და რადგან იგი ტკივილებზე სიცილს ბადებდა  
და სატკივარზე გაჰყვიროდა თავგამოდებით, –  
დროს მოეჩვენა – ნეტარებას იორმაგებდა

და მის სიმძლავრეს ჩაეჭიდა სუსტი ტოტებით...

დრო ხეა ფოთლებგანძარცული და დამსხვრეული,  
რა უაზროა მისი ფრთონვა, მისი ფოფინი, –  
დრო: სამოსელი უფლისეული –  
თვით უფლისაგან უარყოფილი,  
როდესაც იგი განერიდა ჟამს და წლეულებს –  
მიწყვიტ ფრენით და სივრცეებით გადანაქანცი,  
ვინც სიღრმეების სავსეობას განასხეულებს  
და ფესვებიდან ამონაყარ თმებს და ხვეულებს  
სიცოცხლესავით აკანონებს ყველა საგანში...



**საქმით** შეგიცნობს მარტოოდენ ჩვენი გუჰანი,  
ხოლო ხელებით შეიძლება შენი ნათება;  
ყოველი აზრი სტუმარია, მხოლოდ სტუმარი  
და ენატრება სამყაროდან განავარდება.

ყოველი აზრი ქრობადია, ქრება კიდევაც, –  
ის გვიცნაურებს კიდეების განატიფებას,  
როს სიჩუმეში დაირთვება ფიქრის გორგალად.  
შენ, რა თქმა უნდა, ეურჩები აზრის დინებას,  
მოხვალ და ლტოლვილს დააცხრები შესაბორკავად.

ნუ გამიცხადებ – სიდან მოხველ, საით იარე,  
რაკი ყოვლად ხარ, ყოველთაგან შემეხმინე,  
რომ ყურადღება მიიქციო ევანგელისტის:  
მე აღმინუსხავს ყველა მადლი, ყველა სიავე,  
მაგრამ ვერ შევძელ მომესმინა შენი ბგერისთვის.

გადმოდექ, ვინც ხარ, გამიცხადე შენი ღმერთობა,  
მოგდევე, მოგძახი, როგორც მამას, როგორც მეურვეს:  
რად გვჭირდებოდა ამისთანა ურთიერთობა,  
თუ ვერასოდეს გავუგებდით ერთიმეორეს!..

**მრავალ** ღვთისმეტყველს ბედად ერგო შენი სახელის  
ხნიერ ღამეში ჩაძირვა და სრული გაქრობა.  
თვალებს იფშვნებდნენ ქალწულები შენში გახელილთ,  
ვერცხლში ჩამსხდარი ჭაბუკები, შენი მნახველნი,  
შენში ელავდნენ, შენ იყავი მათი ლაშქრობა.

შენს ვრცელ, თაღოვან დერეფნებში სიარულისას  
ხვდებოდნენ ერთურთს ის მგოსნები, რომლებიც იხმე  
და მიანიჭე მეუფება, ვით ხსნა სულისა,  
სიტყვათა ფლობის ოსტატობა, სიღბო და სიღრმე.

შენა ხარ დიდი მწუხრის ჟამი, მშვიდი და ნელი,  
ქვეყნად არსებულ ყველა პოეტს რომ აქცევს მსგავსად.  
პირის წიაღის წყვდიადი ხარ, ჩუმი და ბნელი,  
და რადგან შენი მოპოვება გაუხდათ ძნელი,  
ბაგეებს უნდათ შემოგეჭლონ ელვარე გარსად.

ათიათასი ქნარის სიმებს რხევით და რწევით  
მღუმარებიდან ამოჰყავხარ თანდათან ზევით.  
შენმა მხცოვანმა გრიგალებმა მომართეს ბუკი  
და ამა ქვეყნად ყოველ საგანს თუ სურვილს ძლევიტ  
მოჰფინეს შენი აღზევების ნათელი შუქი.

**შენ** პოეტებმა მიმოგფანტეს, მიგანამცეცეს,  
მათმა ლულულუღმა გააბრუა მთელი სამყარო,  
მე კი მსურს ისევ მოგიყარო თავი, დაგეძებ,  
რომ ერთ ჭურჭელში მოგაგროვო და გაგახარო.

მე შენ ათასჯერ წაგწყდომივარ, როს დაღალული  
ვხეტილობდი გრივებში. აი, კრძალული  
ხელებით მომაქვს, რაც ვიპოვე ხარბი წადილით:  
უსინათლოსთვის შენ იყავი თასად განცდილი,  
მოახლეოვან იყავ სადღაც გადამალული,  
ყველა მათხოვარს წინ ეჭირე ხელით გაწვილი  
და ზოგჯერ ბავშვში გამოკრთოდა შენი ფარული  
არსის და აზრის დიდი ნაწილი.

ხელავ? დაგეძებ. რაოდენი განველე მანძილი.

მე ვარ ის ვიღაც, თავის ხელებს რომ მოუძღვოდა,  
უჩინარი და მწყემსივით მთმენი.

(ო, ამარიდე გამთვალავი მზერა უცხოთა,  
რათა გზა-კვალი არ ამებნეს მე შენს კარამდის).  
მე ვარ ის ვიღაც, ვისაც სრულქმნა სწადია შენი,  
რომ ამით სრულქმნას საკუთარი თავი მარადის.

**ვით** ღამის დარაჯს, ვენახში რომ უდგას უბრალო ქოხი, რომელშიც ფხიზლობს ღამით წამის-წამისად, ასე, შენს ხელში, მეც ქოხი ვარ, ჩემო უფალო, და ღამეც მე ვარ, მეუფეო, შენი ღამისა.

ვენახი, ძველი ვაშლოვანი, ველი თუ ყანა, ერთ გაზაფხულსაც რომ არ ცდება და მუდამ ლაღობს, მარმარილოსებრ მკვრივ მიწაზეც ჯიუტად დგანან ლელვის ხეები და სძალავენ ასობით ნაყოფს.

შენს მრგვალ რტოთაგან მოიფრქვევა სურნელი შენი და არც კითხულობ, მართლა ვფხიზლობ, თუ ეს ძილია. შენი სიღრმენი ლღვებიან და ისე, ვით წვენი, მშვიდად, უშიშრად ამოდიან და გვერდს მივლიან.

**და** მაინც: ზოგჯერ მეჩვენება, რომ არნახული ყველა სიმღერა, რომლებითაც ოდესღაც მიხმობ, ღრმად მაქვს ჩემში ისევ მისთვის გადანახული.

აი, ღუმს იგი აზვირთებულ თმა-წვერის მიღმა. ის, საკუთარი ჰანგებიდან ცდილობს მოღლილი, კვლავ გაიხსენოს თავი თვისი, და რადგან მიყმო, ვარ მის წინაშე დაცემული და მუხლმოყრილი.

და აი, მისი სიმღერები უმალ, მაშინვე წკრიალ-წკრიალით იღვრებიან ისევ მასშივე.

და ჩემი სული არის ქალი, შენი მხლებელი,  
ისე, ვით რუთი, ნოემინის რძალი კრძალული,  
როგორც მხევალი, ყოველივეს აღმსრულებელი,  
დღისით შენს ძნებში მოფუსფუსე და მიმალული.  
მაგრამ საღამოს, როცა უკვე არის მოცლილი,  
განიბანება და შენ როცა ხელს არვინ გიშლის,  
ის მოდის შენთან ლამაზად და სუფთად მოსილი,  
ის მოდის შენთან და შენს ფერხით სარეცელს იშლის.

თუ შუალამით შეეკითხე, მალული ფშვებით  
მოგიგებს ჩუმად, მე რუთი ვარ, მხევალი შენი,  
შენს ძლიერ ფრთებქვეშ შეივრდომე მხევალი შენი,  
შენ ხარ შემკვიდრე...

და ჩემს სულს სძინავს, განთიადი ინათებს ვიდრე,  
შენს ფერხით, გამთბარს შენი სისხლის მჩქეფარე რუთი.  
და განრთხმულია შენს წინაშე ისე, ვით რუთი.

**ვინც** კი შენს ძებნაში თავის თავს გამოსცდა,  
მას სურდა გამოცდა შენი,  
ვინც კი შენს პოვნას თუ მიგნებას ეცადა,  
ტყვეობა ეწადა შენი  
ხატად თუ ძრაობად.

მე კი მსურს შევიცნო თვით შენი რაობა,  
როგორც დედამიწას ქმნა ძალუმს ამისი;  
როცა ღვას ჩემი სიმწიფის რთველი,  
მაშინ მწიფს მთელი  
შენი საბრძანისი.

თავს ნუ წარმოიჩენ შენ ყოველ წამს,  
მე ისეც ვარ შენი მრწმენი და მსახველი.

ვიცი, რომ ჟამს,  
შენგან განსხვავებით,  
ჰქვია სხვა სახელი.

შენ ჩემთვის სასწაულს ნუ მოიმოქმედებ,  
შენი კანონების ქმედებაც კმარა,  
რომლებიც სულ უფრო, მოდგმიდან მოდგმამდე  
ხილულნი ხდებიან მარად.

**როცა** სარკმლიდან მივარდება რამე საგანი, თუნდაც ისეთი მცირე, კარგად რომ არ ჩანს თვალით, როგორ აწვება მას სიმძიმის კანონი ძალი, რათა ზღვათაგან მოვარდნილი ქარიშხლის ძალით დაუშვას ქვემოთ, ბურთია თუ კენკრათაგანი, და იქ, სამყაროს შუაგულში მისცეს საკანი.

მაგრამ ყველაფერს უთვალთვალებს ფრენის სიკეთე, მუდამ მზადმყოფი, აიძვებს ყველაფერს ამით, ყოველ ქვასა თუ რტოს, რომელიც ყვავილს იკეთებს, თუ ბავშვს, სიზმართა საუფლოში გადასულს ღამით. მხოლოდ ჩვენ გებოჭავს სიამაყე დაუძლეველი, და ღალ სივრცეში გადაგვყრიან ხეთქებ-ხეთქებით რაღაც ურთიერთკავშირები გაურკვეველი, ნაცვლად იმისა, რომ მივენდოთ გონიერ ძალებს და ხელ მოვიდეთ უნებლიედ და აფეთქებით. იმის ნაცვლად, რომ სიმჭიდროვეს ბოლო მოეღოს და ნებიერად მიგვდენიდეს მდინარე ფართო, ერთმანეთს ებოჭავთ და გვეკონია, რომ ერთად ვართო, და ვიღაც ერთი წრეს უეცრად თუ გამოეყო, იგი დარჩება უსახელო, სრულიად მარტო. უნდა დაიწყოს მან საგნების შესწავლა მძიმედ, ზუსტად ისევე, ვით ბავშვები ანბანს სწავლობენ, რადგან საგნები, ღმერთს რომ გულზე ეკიდა მძივად, ჯერ არ მომწყდარან და ისევე კონწიალობენ. ერთი რამ მაინც უნდა შესძლოს ისევ და ისევ: ვარდნა, და იყოს გარინდული უზომო თმენით იმ სიმძიმეში, რომელიც გრძნობს თავს ღალად ისე, რომ სურს აჯობოს ყველა ფრინველს თავისი ფრენით.

(რადგანაც უკვე ანგელოსნიც აღარ ფრინავენ. მძიმე ფრინველებს დაემსგავსნენ სერაფიმები, მის გარშემო რომ ჩამომსხდარან ფიქრში წასულნი; ისინი ჰგვანან პინგვინის მსგავს ფრინველთ ნაფლეთებს, რომელთაც უკვე დაუწყიათ გადაშენება...).



**სოფლის** ბოლოში მარტოდმარტო სახლი დგას ერთი,  
თითქოს სამყარო თავდებოდეს სწორედ აქავე,

ქუჩა, რომელსაც ეს სოფელი ვეღარ აკავებს,  
ნელა განაგრძობს თავის სავალს და ღამეს ერთვის.

ორ სივრცეს შორის გახიდილა ციციქნა სოფელი,  
შემინებული და რაღაცის წინათმგრძნობელი.  
ბილიკის ნაცვლად გზა ევლება ვრცელი და გრძელი...

სოფლიდან აყრილთ მიიღენის წუთისოფელი  
და ბევრს იმათგან, ალბათ, გზაში სიკვდილი ელის.

**ზოგჯერ** ვიღაცა ვახშობობისას სასმისს არ დაცლის, გადის გარეთ და მიდის, მიდის, არ უზვევს გზიდან, აღმოსავლეთით, სადაც ელის საყდარი წმიდა. და მას შვილები იხსენებენ, როგორც გარდაცვლილს.

სხვა შინ კვდება და მაინც თითქოს ნაშიმშილევი კვლავ ისე უზის თავის სუფრას, როგორც დაიწყო. მაგრამ გამოვლენ სამყაროში მისი შვილები იმ საყრდრისაკენ, რომელიც მან იგულმაფიწყა.

**შენ** ხარ მერმისი, ცისკარი და დიდი აისი  
მარადისობის; და შენ მამლის ხმობად გაისმე  
ღროის ღამეში და მქრქალდება ის ფერმიხდილი.  
შენ ხარ ქალწული, ცვარი, ლოცვა უზენაესი,  
უცხო ვილაც ხარ. დედა ხარ და შენ ხარ სიკვდილი.

სახე ხარ, მარად შენივ სახის გარდამსახველი  
და მარტოდმარტოს არად გიჩანს ბედის ცვალება.  
ველური ტყე ხარ, არვინ იცის შენი სახელი,  
არც ზარ-ზეიმი გღირსებია, არც შებრალება.

ყველა საგანთა ღრმა აზრი ხარ, შენსას კი მალავ,  
არავის ანდობ ბოლო სიტყვას, არვის მომართავ.  
ყველას სხვაგვარად ეჩვენები, სხვადასხვა ძალად,  
ხომალდს ნაპირად ეგულები და ხმელეთს ხომალდად.

**ღმერთო,** მე მინდა ვიყო ერთად მრავალი მწირი,  
შენს სამლოცველოდ გრძელ ქარავნად გეახლო ბევრი,  
დიდი ნაწილი ვიყო შენი და არა მცირე:  
ბაღო, ხეივანად დაბურულო ცოცხალი ტევრით.  
ასე რომ დავალ განდეგილი, მარტო, ეული,  
ვერავენ მხედავს, ვრჩები მუდამ ვერშემჩნეული,  
ეს ვის აღაგზნებს? ვინ გავხადო შენი წვეული?  
ვინ მოგიქცის?

აქ არაფერს არა აქვს ფასი.  
კვლავ იცინიან. და მეც ვხარობ: გაიხარენით!  
ისე დავდივარ, როგორიც ვარ, რადგანაც ასე  
ველარ მხედავენ მხიარულად მოხარხარენი.

**დღისით** შენ ოდნავ ისმინები, თუმცა შენი ლტოლვა  
მაინც იგრძნობა, ყველას ირგვლივ ჩუმად საუბრობ;  
შენ ხარ საათის რეკვის შემდეგ დუმილის თრთოლვა,  
თანდათანობით რომ იხშობა უფრო და უფრო.

და რამდენადაც უფრო მეტად დაეუფლება  
დღეს დაღლილობა და ღამეში მიწვება რწევით,  
ღმერთო, მით უფრო გაიზრდება შენი სუფევა  
და სახლებიდან, როგორც კვამლი, ამოვა ზევით.

აწ უკვე მწიფან მეწამული კოწახურები,  
კვლებში ხანდაზმულ ასტრებს სუნთქვა თითქმის ელევათ,  
ვინც ნაზაფხულევს ვერ მოიმკო საზრდო ულევი,  
აწ იმას უკვე არაფერი არ ეშველება.

აწ ვისაც უკვე აღარ ძალუძს მოხუჭვა თვალის,  
არადა მასში არსებული ლანდები მფრთხალი  
ღამის დადგომას მოელიან, რომ მთელი ძალით  
მისი არსების უკუნეთში წამოდგნენ დასად,  
განწირულია სასიკვდილოდ, მოხუცის მსგავსად.

მას არაფერი ეშველება და ღლე ყოველი  
ცილისწამებად გადექცევა, დაკარგავს იმედს,  
შენც, ღმერთო ჩემო, ემსგავსები იმ ლოდს, რომელიც  
მას ღლენიადაგ სიღრმისაკენ ეწევა მძიმედ.

**ეგებ** უმძიმეს მთების გულში მკვრივპარღვეულად  
მივედინები, ვით მადანი, ღრმად და ეულად.  
ჩემთვის შორეთი დანთქმული და დაქცეულია,  
ირგვლივ ყოველი სიახლოვედ გადაქცეულა  
და ეს ყოველი სიახლოვე ქვადქცეულია.

მე ჯერ არ ვიცი მწუხარების არსება ბნელი,  
მიტომ მაკნინებს ესეოდენ დიდი უკუნი;  
თუ ეს შენა ხარ: ჩამოზვავდი, დამემხე, გელი:  
ჩამომაწვდინო ეგებ შენი მთლიანი ხელი  
და მეც ამოგწვდე მთელი ჩემი გრგვინვა-გუგუნით.

**ამ** ბაღნარებში მეფეთ-მეფენი ყურს მიუგდებდნენ ქალთა გალობას და წამიერად ერთობოდნენ ალბათ ისინი, და მოშრიალე ყვაილებს ნაირგვარობას უერთდებოდა უზრუნველი მათი სიცილი.

ნამძინარევი ხეივანი თვალებს ასეღდა,  
და მიდამოებს ნიავევით აცანცახებდა  
მათი კრთომა და სამოსელთა იალკიალი,  
და შადრევანთა ოცნებებში დანთქმულ ბაღებთან  
გზებს აჩქამებდა აბრეშუმის ნელი შრიალი.

ახლა გარშემო ფოთოლცვენის სევდა გამეფდა,  
და რომ ბაღებმა შემოდგომის მადლი ისხურონ, –  
შენივთებულან გაზაფხულის ნათელ გამებთან  
და სიმშვიდეში ზავდებიან უგულისყუროდ.  
კვდომის ჟანგი კი – შეუვალი და უტიფარი –  
აღმოკიდებულ ღეროებზე დიდხანს იცოცებს  
და მიდამოებს დაეჭდევა, როგორც ტვიფარი,  
და მწუხარებას შეამერწავს ჯვრებს და გისოსებს.

ხოლო სასახლე ბაღნარებში ისე ბინადრობს,  
ვით ზეცა სხივებგადამქრალი და უსინათლო:  
უუფლებო და უდრტვინველი, როგორც სტუმარი,  
ბნელ დარბაზებში აყურადებს მიმქრალ სურათებს  
და ზმანებებში ჩაძირული და უჩუმარი  
ყოველგვარ ზეიმს ჩუმად ყვედრის და ამუნათებს...



**და** სილატაკე არის დიდი შუქი სულისა.

**შენ** ხარ ლატაკი, უპოვარი, უბრალო ქვა ხარ,  
რომელსაც არსად გაგაჩნია ადგილი შენი,  
ეჟვანშებულები კეთროვანის ჟღარუნით დახვალ,  
ვისთვისაც მარად დახშულია ქალაქის ბჭენი.

შენ ხარ ქარივით შიშველი და არაფრისმქონე,  
და თვით სახელსაც ველარ ირგებ შენუნებურად, –  
საყოველღეო ციცქნა კაბა ობოლ გოგონებს  
უფრო საკუთრად აცვიათ და უფრო მეფურად.

ხარ ლატაკი და უქონელი ისე, ვით ძალა  
ჩანასახისა, ქალიშვილის შიგანს რომ თუთქავს,  
რომელსაც იგი წელშეკრული კუმშავს და ძალავს,  
რათა მოგუდოს ორსულობის პირველი სუნთქვა.

შენ გაზაფხულის წვიმასავით ხარ უპოვარი,  
სახურავებზე რომ ეშვება ლალი წკარუნით,  
საკანში მყოფთა სურვილი ხარ მსასოვარი,  
რასაც მარადის განიცდიან უსამყარონი.

შენ ხარ სნეულის გვერდის შეცვლა, შვება ოღნავი,  
ვით ყვაილები ნაურმალში, ნავალ-ნადავი,  
ქვითინი ხელებსჩატირული, გულდამკოდავი,  
იმ ხელებივით არასქმონე, ღარიბ-ლატაკი.

შენს უმწეობას არაფერი უკვე აღარ ჰგავს,  
რა არის ჩიტი გაყინული, მშიერი ძაღლი,  
ან დამწყვდეული ცხოველები, მზირალნი ნაღვლით,  
აღარავინ რომ არ იხსენებს ტყვეობით დაღლილთ.  
ანდა რა არის საკუთარი თავის დაკარგვა?

ვერ შეედრება შენს სისაპყრეს, დილაადრიან  
მათხოვრები რომ აითრევენ ცარიელ აბგას,  
წისქვილნი არა, სულ პატარა ქვები არიან,

მაგრამ ისინი მაინც ფქვავენ ერთ მუჭა საფქვავეს.

შენ კი უღრმესად უსახსრო ხარ და უპოვარი,  
სახეფარულად მოგლახავე, მარად მთხოვარი;  
ვარდად გაშლილი სილატაკე,  
მარად მლმობელი  
და ოქროების მზის სხივებად გადამდნობელი.

ხარ უსამშობლოდ დარჩენილი ისე, ვით ქარი.  
გახველ გარეთ და გაიხურე სამყაროს კარი:  
ესოდენ მძიმე ყველასათვის, დამქცევ-დამნგრევი.  
გრიგალში გრგვინავ. შენ ხარ თითქოს გრძნეული ქნარი.  
რომლის სიმეხსაც შემოემსხვრა ყველა დამკვრელი.

## კრებულიდან სურათების წიგნი

### შესავალი

ვინც გინდა იყავ, მოდი სალამოს,  
დათმე ოთახი ამ სალამოთი,  
სჭვრეტს შენი სახლი ცას უსამანოს,  
გარეთ გამოდი.

უკიდურესად დაღლილი მზერით  
გაცვეთილ ღირეს ძლივს რომ დაშორდი,  
შავ ხეს აღმართავ თანდათან ზევით,  
ცისკენ აღმავალს და ტანაშოლტილს.  
შექმნი სამყაროს, ის ემგვანება  
სიტყვას, ღუმელში რომ მწიფს წვალეებით,  
ოდეს შეიცნობ – დაუნანებლად  
დათმობენ სივრცეს შენი თვალები...

## გოგონეზი

### I

თუ სხვებს გრძელი გზის გავლა სჭირდებათ,  
რომ მიაღწიონ ბნელ პოეტებთან,  
თან კითხულობენ,  
იცით ვინმე, სიმღერით რომ ისევ ინთება,  
სიმებს ცეცხლივით რომ მოედება.  
არ სურთ გოგონებს არც შეკითხვა, არც მაგალითი,  
ლექსის ხატებთან რა გზით მივლენ მათი დასები,  
ნაზი ღიმილი, გამჭვირვალე, ვით მარგალიტი,  
თვითვე უპყრიათ ვერცხლის თასებით.

მათი ცხოვრების ყოველი კარი  
სამყაროსია,  
პოეტის არის.

### II

თქვენგან სწავლობენ პოეტები და სურთ *ამოთქმა*  
თქვენი განცდების, მარტოობის ჩუმი *დათმენის*,  
სწავლობენ სწრაფვას, შორეულთან ყოფნას ღრობითს;  
მარადისობას გრძნობენ, როგორც საღამოები,  
ღიდრონ ვარსკვლავთა ამონათებით.

ნუ დანებდებით პოეტს, თუნდაც იყოს აღსავსე  
მისი თვალები მძაფრი წყურვილით,  
უძანკობად წარმოვიდგენთ და გალამაზებთ,  
ო, თქვენს თვალებში ჩაიშლება მძაფრი სურვილი,  
ო, ფარჩასავით ჩაიშლება, ჩაილმასებს.

წადით, დატოვეთ თავის ბაღში, სად უკვდავებად,  
არამქვეყნიურ არსებებად თითქოს ერვენეთ,  
გაჰყვეს ბილიკებს, ის ჩრდილებში უნდა გაებას,  
დატოვეთ მარტო, გრძელ მერხებთან უნდა შეჩერდეს,

ეწვიოს ოთახს, სადაც მუდამ უცლის ბარბითი.

წადით! ღამდება. არ დაემებს იგი არავის,  
არც თქვენს სახეებს, აღარც ხმებს თქვენსას,  
სწყურია. გზები უდაბური, გაუკვალავი,  
ჩაბნელებული სანახისკენ მიიწევს დღესაც,  
მყუდრო ოთახი ენატრება და სხვა არავინ.  
.....უმორესიდან ერთვის თქვენი ზმა წარმატალი,  
თქვენ დარჩით ხალხში, ვისაც იგი გაურბის მარად,  
გაახსენდება: შემოგცქერით თვალი მრავალი  
და მოულოდნელ ტკივილს ვერ ფარავს.

## სიბიჟი

დღენიადაგ ფიქრობს ქალი: მე ვარ, მე ვარ, მე ვარო...  
მაინც ვინ ხარ, ნეტავ ვინ ხარ, მარიამო, ნეტარო?  
დელოფალი, დელოფალი, განა ეს სიზმარია,  
ჩემს წინაშე ყმანი ჩემნი მუხლმოყრილნი არიან.

მერე ტირის: მე ვიყავი... მე ვიყავი, ძალიან...  
იქნებ გვითხრა, ვინ იყავი, ვინ იყავი, მარიამ?!  
არასმქონე და ღატაკი, როგორც სხვები არიან,  
არც კი ვიცი როგორ მოხდა, მე ვარ თუ სიზმარია...

ობოლი და ტანშიშველი, როგორ გაქალბატონდი,  
შენს წინაშე მუხლი როდის მოიყარეს, მარიამ?!  
როგორ? როგორ და საგნები, გლახაკნი რომ ვნატრობდით,  
თურმე სინამდვილეში სხვანაირნი არიან.

მაშ, საგნებმა აგამაღლეს, სივრცე მოგცეს საფრენი,  
მაგრამ როდის შეიცვალე, ან ხომ არ შეგაშინეს?!  
ერთ ღამეში, ერთ ღამეში, უცებ გადავსხვაფერდი  
და საგნები გასაგებად ამეტყველდნენ მაშინვე.  
ქუჩა ჰგავდა ვიოლინოს, ამღერებულს სიმებად  
და ჰაერი ციმციმებდა უცნაური ნათებით,  
მარიამმა მელოდიად გარდასახვა ინება...  
მარიამი ცეკვა-ცეკვით სადღაც მიფარფატებდი.  
მაგრამ ხალხი დაზაფრული დასამალავს ეკვეთა,  
სუროსავით მიცოცავდნენ დაბნეული ღანდები,  
დელოფალი თუ ჩაივლის ქუჩაბანდში ცეკვითა —  
და ჰა: ვცეკვავ დელოფალი ჩემი ქუჩაბანდების.

## მუსიკა

რას უკრავ, ნეტავ? ბრძანებები, ჩურჩულით თქმული,  
ვით ნაბიჯები უხილავთა, ბაღს ჩაუვლიან,  
რას უკრავ, ნეტავ? სალამურში ახლა სრულიად  
ჩამწყვდეულია, ბიჭო, შენი უმანკო სული.

რად უხმობ, ნეტავ? დილეგია თითქოს ქვიტკირის  
მუსიკის ჰანგი, სადაც სული კვლავ აიძვრება,  
შენს სიცოცხლეზე ძლიერია შენი სიმღერა, –  
ჩახუტებია მონატრებას წრფელი ქვითინით.

მიეც დუმილი, ძველებურად იყოს მდუმარი,  
რომ დაუბრუნდეს მდუმარებას, წამით გაწყვეტილს,  
ვიდრე საბრალოს სალამურში გამომწყვდევდი,  
ის იზრდებოდა, ბრძენდებოდა თავისუფალი.

ვიდრემდი შენი სულის ფრთები არ დაუძლურდა,  
ო, მეოცნებევ, ნუ გათელავ სწრაფვას გაფრენის,  
ფრთა გაელევა, არ შეგრჩება აღარაფერი,  
ჩემს გალავანზე ვერასოდეს გადმოფრინდება,  
დღესასწაულზე რომ მიიწევს ხმა აღმაფრენის.



## მზარეული ანგელოზი

შენ ფრინველი ხარ, რომ მოქროდი ღამით ფრთამალი, მე ვიღვიძებდი და ვყვიროდი შენი მნახველი. მხოლოდ მკლავებით მოგძახოდი, რადგან მრავალი უღრმესი ღამის უფსკრულია შენი სახელი. ეფინებოდი ჩემს ძილს ჩრდილად. ჩემს წიად ჩარჩა შენი თესლი და მექცა სიზმრად თანამზრახველი, – შენ უნათლესი სურათი ხარ, მე კი ვარ ჩარჩო, შენი ბრწყინვალე გარემოცვის შემომსაზღვრელი.

მე რა დავარქვა? ბაგეები ერთმანეთს ჭამენ. შენ ხარ საწყისთა ამოფრქვევა შეუპოვარი. მე ვარ სულ ოდნავ გასაგონი, შემკრთალი: ამენ, შენი მშვენების შემოვლების მსასოვარი.

შენ მე მრავალჯერ გამიტაცე ფართხალ-ფართხალით, როდესაც ძილი შავ სამარედ ამომიღამდა და გულზე მაწვა უმძიმეს და დამღუპველ დაღად, შენ ჩემი გულის წყვდიადიდან ამომიყვანდი ზემოთ, მეწამულ დროშასავით რომ მეფრიალა კომპეების თავზე, ლაჟვარდებში უნაღვლოდ, ლაღად.

შენ, ვინც ყოველგვარ საოცრებას აღიქვამ ისე, როგორც საცნაურს, რაც მრავალგზის გაგიგონია, ადამიანთა არსებობა ჰანგი გგონია და ვარდწილობა შენს მზერაში სრულდება ისევ, უნეტარესო, ჩვენ ოდესმე გავხდებით ღირსი, რომ თუნდაც ერთხელ გაგვაგონო სახელი მისი, რომლის მეშვიდე და ბოლო დღის ნათება თითქოს მაგ შენი ფრთების მოქნივისგან მოფრქვევას ითხოვს... მიბრძანებ, გკითხო?

## ადამიანები ღამით

არ შეუქმნიათ თურმე ბრბოსთვის ღამე დიადი.  
მეზობელს, ვისაც მოგწყვეტს წყვდიადი,  
ნუ ეძებ, იყოს, სხვებიც თან ახლავს,  
თუ გსურს ანათო სახლში სინათლე,  
თუკი მავანთა ნახვა ინატრე,  
დაფიქრდი, თუ ღირს მათი დანახვა.

ადამიანებს აუსახურებს  
შუქი, სახეებს რომ ელვენთება  
და როცა ღამით ბრბო შეერთდება,  
ატორტმანებულს სჭვრეტ სამყაროებს, –  
ანორხლილები თითქოს ხარობენ,  
ფიქრს უკანასკნელს სწრაფად განდევნის  
შუქი, შუბლებზე ჩამონადენი.  
თვალეებში ღვინო რომ ააღდება –  
ხელეებში მძიმედ გაიბლანდება,  
ჩაეკიდება ბრმა მოძრაობა,  
მერე იშლება ყველა სხვაობა,  
"მე, მე" ყვირილი უყვართ მზვობართ  
და გულისხმობენ სულ სხვას ყოველთვის.

## მეზობელი

ნუთუ შენ, უცხო ვიოლინოვ, თან მღევ ნიადავ?  
რამდენ ქალაქში, არც კი მახსოვს, არ მიმატოვე,  
შენი ღამეა, ჩემს ღამეში რომ ახმიანდა,  
სთქვი, ვინ გამღერებს: მრავალი თუ ერთი მარტოღენ?

დიდ ქალაქებში შეუმჩნევლად ნუთუ ქრებიან  
და ნუთუ ისევ მრავლად არიან,  
მდინარეებში ვინც უშენოდ იკარგებიან?  
მე რად მენება ყველაფერი, საოცარია.

რად აღმოვჩნდები იმის შემწე და მეზობელი,  
ვინც შენ გამღერებს შიშნარევად და ნაღვლიანად  
და გათქმევენებს, რომ მძიმეა წუთისოფელი,  
ვიდრე საგანთა წონა მთლიანად.

## მარტოსული

შორეულ ზღვიდან, თითქოს, მოეხვდი უცხო ნაპირთან,  
უცხო ვარ თქვენთვის, თქვენ არ იცნობთ ჩემს ძვირფას შორეთს,  
თქვენს მაგიდებთან გადის მსუყე ცხოვრება მღორედ,  
მე კი შორეთი სხვა სიმბოლოს, სხვა ცას დამპირდა.

ჰგავს უკაცრიელ და უდაბურ ღამეულ მნათობს  
სამყარო, ჩემში რომ შემოდის მარად კითხვებად,  
თქვენ არცერთ გრძნობას არ ტოვებთ მარტოდ,  
მყისვე გარდაქმნით გრძნობებს სიტყვებად.

ჩემი საგნები მომყვებიან იმ სამყაროდან,  
გარეთ გახედვა იშვიათად თუ მოუნდებათ,  
დიდ სამშობლოში, ვით ნადირნი, ისე ხარობდნენ,  
სირცხვილისაგან ახლა სული რომ ეხუთებათ.

## **შემოდგომის დღე**

უფალო: კმარა. ეყო ზაფხულს ხანი ამდენი.  
აწ შენი ჩრდილი დააფინე საათებს მზისას  
და ქართა ჯოგი ველ-მინდვრებზე ისევ გადენე.

ბრძანე, აღივსოს ნაბოლარა ხილი ნადაგი,  
მიეც ორი დღით სამხრეთული ჰავის აღერსი,  
სრულქმენ ყოველი, მძიმე ღვინო უმხურვალესი  
უკანასკნელი სიტკბოებით დააბადაგე.

უბინაოს კი კვლავაც ელის ბედი ტიალი  
და მარტოდშეთენილს – მარტოობა კვლავ წინანდელი,  
უგრძეს წერილთა წერა, შფოთვა ფიქრთგამფანტველი,  
სიფხიზლე ღამით ხეივნებში და – ხეტიალი,  
სადაც ბობოქრობს ფოთოლცვენის კორიანტელი.

## მოზონება

იმ საიდუმლო წუთს ელოდები,  
შენს ცხოვრებას რომ ზრდის და ამრავლებს,  
მარად მძინარე ქვებსაც აფითრებს,  
გიწვდის შენივე სულის გასაღებს  
და შენს სიღრმეში შენივე ჩაგითრევს:

წიგნის თაროებს ბინდი ედება,  
ყდათა ფერადებს ეფინება საღამოს კალთა,  
შორი ქვეყნები გაგახსენდება  
და მოშრიალე კაბები ქალთა, –  
შენ რომ დაკარგე შორეულ გზებზე  
და ახლა ისევ თავიდან კარგავ,

რადგანაც ხედავ: რომ გგონია უკვე ჩავლილი,  
უეცრად თვალწინ აგესვეტება,  
ერთი წარსული, წელიწადის დრო ჩანავლული,  
შიში და ტანჯვა, ლოცვა-ვედრება.

## შემოღობა

ფოთლები ცვივა, თითქოს შორით მომწყდარან იმედს.  
თითქოს ჭკნებიან შორეული ზეცის ბალები.  
ცვივიან ცივად, უგუნებოდ და ხელალებით.

და ვარსკვლავთაგან ღამეული ზეცის თალებით  
სიმარტოვეში დედამიწაც ეშვება მძიმედ.

ყველანი ვცვივით. ხელიც, როგორც ფოთოლი ხმელი,  
ვარდება. ხედავ? – საერთოა ცვენა და ბარდნა.

მაგრამ არსებობს ერთადერთი, ვინც ყოველ ვარდნას  
უკიდურესად ნაზად იჭერს თავისი ხელით.

## სერიოზული ფუთი

ვინც ახლა სადმე ტირის ამქვეყნად,  
ვინც უმიზეზოდ ტირის ამქვეყნად –  
ჩემს გამო ტირის.

ვინც ახლა სადმე იცინის ღამით,  
ვინც უმიზეზოდ იცინის ღამით, –  
ჩემზე იცინის.

ვინც ახლა სადმე მიღის ამქვეყნად,  
ვინც უმიზეზოდ მიღის ამქვეყნად,  
ის ჩემთან მოდის.

ვინც ახლა სადმე კვდება ამქვეყნად,  
ვინც უმიზეზოდ კვდება ამქვეყნად,  
მე მიმზერს იგი.



## ხარმბა

### ანგელოზის სიტყვები

შენ ჩვენზე ახლოს უფალთან არ ხარ,  
იგი შორს არის, უფლის ნებას ვერვინ წავუვალთ,  
მაგრამ შენს ხელის მტევნებს რომ ვნახავ –  
კურთხეული ხარ, ვგრძნობ, სასწაულად.

მწიფე სხივებით და სინარნარით  
ნათელს მოაფენ, ისე გაივლი,  
მე დღე ვარ ვრცელი, მე ვარ ცვარნამი,  
ხოლო შენ ხე ხარ – გითრთის ყვავილი.

გადავიღალე, შენს სახლამდე გზა შორეული  
გამოვიარე, დამავიწყდა, ველარ გაჩუქე,  
მისი ნათქვამი "ცის" ოქროში ვინც შერეულა,  
ვინც მზეშია და მზესვე აშუქებს.

რაც დამაბარეს, დამავიწყდა, ვერას გავბედავ,  
ოთახის სივრცემ დამაბნია, გონი წამართვა,  
ო, ფიქრიანო, აქ უცხო ვარ და ახალბედა,  
შენ ხარ შრიალი და სურნელი იასამანთა.

ფრთები გავშალე, რადგან შენკენ უნდა მეფრინა,  
გავცდი სივრცეებს, მოველ შენს კართან  
და შენს სახლაკში მიმოეფინა  
ჩემი დიადი სამოსის კალთა.

როგორც არასდროს, შენ ხარ მარტოკა,  
მეც ძლივს შემნიშნე, ჩემს ქროლვას რომ თვალი შეავლე  
მე ის ქროლვა ვარ, ჭალაკები რომ შეატოკა,  
ხოლო შენ ხე ხარ ტანმოშრიალე.

ცად აღელვებულ ანგელოზთა დასი მოფრინავს,  
ყველა ცალ-ცალკე თავის სივრცეს დაუბრუნდება,  
ო, მონატრება ასე მძაფრი როდის ყოფილა?!  
ვგრძნობ მონატრებას უდიადესს, მაგრამ ბუნდოვანს.

რალაც მოხდება, უჩვეულოს თითქოს მოველით,  
ის, რაც მოხდება, შენ იხილე უკვე ზმანებად,  
სალამი შენდა, ნათელია ჩემთვის ყოველი,  
თავად მწიფდები, მე ვასრულებ შენს განმზადებას.

შენ ხარ ჭიშკარი, სისპეტაკით სული აგევსო,  
შენ განიხსნები, უხილავის ნებას მიჰყვები,  
ჩემი გალობის მოყურადევ, უსაყვარლესო,  
ახლა ვიგრძენი, – ჩემი სიტყვები  
იკარგებიან შენში, როგორც ტყეთა წიაღში.

ათასმეერთე ეს სიზმარი ასე მორჩება,  
მე დაგანახე, თუკი რამე გულში გავივლე,  
ბრწყინავდა ღმერთი ჩემს პირდაპირ თვალისმომჭრელად...

ხოლო შენ ხე ხარ რტომოყვავილე.

## **ხმები**

*ცხრა ფურცელი ერთი სატიტულო სათაურით*

### **თაფურცელი**

რა ენაღვლებათ, არ სჭირდებათ მდიდრებს წვალება,  
ყოფიერება ბედნიერთა არის საჩინო,  
მაგრამ მათ რა ჰქნან, უსაშველოდ დამაშვრალეებმა,  
რომ თავი თვისი წარმოაჩინონ.

უნდა იყვირონ: "ბრმა ვარ, ეული",  
"მინდა დავბრმავდე, მტანჯავს სოფელი",  
ანდა: "შვილი მყავს, ხალხნო, სნეული!"  
უიღბლო, ამგვარ დღეში მყოფელი,  
მოიმედება მხოლოდ განგების,  
ხალხი კი მათი უარყოფელი  
უმზერს, თითქოს და იყვნენ საგნები.

ალბათ, ამიტომ უნდა ამღერდნენ.

რათა ნამდვილი სიმღერები ისევ გაისმას,  
ჭრელია ხალხი, გემოვნება მათი იმღვრევა,  
ეკლესიებში საჭურისებს მეტი ხალისით  
უსმენენ, ვიდრე ნამდვილ სიმღერას.

მაგრამ უფალი დამაშვრალთა სიმღერას ისმენს  
და განწირულთა თვალებიდან შეგვყურებს ისევ.

### **მათხოვრის სიმღერა**

დავალ კარდაკარ, დავიარები,  
მზით გარუჯული, გალახული სველი ქარებით,

ზოგჯერ ხელისგულს  
ვიფარებ ყურზე,  
მეუცხოება ჩემივე ხმა,  
თითქოს სხვას ვუსმენ.

და მეეჭვება: მე ვყვირი თუ  
ყვირის მავანი,  
კუჭი მაყვირებს,  
პოეტებს კი – დარდი მრავალი.

ბოლოს ჩემს სახეს  
დავახურავ ორთავ ქუთუთოს,  
ჩუმად ჩავაწვენ ჩემსავ პეშეში სევდით დადრეკილს,  
რათა არა სთქვან გამგლეღებმა:  
ხედავთ, საბრალოს,  
არ გააჩნია თავმისადრეკი.

## **ბრმის სიმღერა**

ჩემი სიბნელის გარეთ მყოფნო, სიბნელე ჩემი,  
უსინათლობა არის წყევლა და ძალადობა,  
მე შემიძლია ქალის მკლავზე ხელით დანლობა,  
მის ნაცრისფერ ხელს მიჰყავს ჩემი სინაცრისფერე,  
სიცარიელის ხეივნებში მიიბლანდება.

თქვენ მიმოდინხართ, მიფუსფუსებთ, მიმოირხევით  
და ხმებს გამოსცემთ, როგორც ქვები ქვებზე მიხლილი,  
სინამდვილეში მე ვარსებობ ჩემი სიმხნევით,  
მე ვიტანჯები, მე ვხშიანებ დადლილ სისხლივით.  
ჩემში ყვირილი უსასრულო ცხოვრობს ნიადაგ,  
არ ვიცი - წელან, უცაბედად ვინ ახშიანდა,  
გული აყვირდა თუ წიაღი ჩემი სიბნელის?!

ჩემი სიმღერის გარეთ მყოფნო, გეცნოთ სიმღერა?!  
თქვენ ხომ ყოველდღე სულ სხვადასხვა ხმით ღიღინებდით,  
თქვენს ოთახებში დილის შუქი შემოიდგვრება,  
ყოველდღიურად აგვესებათ შუქით ბინები.

მხოლოდ ზედაპირს, სახეს გრძნობენ თქვენი თვალები,  
მზერა გაცდუნებთ, მომზირალნო, და გებრალებით.

## **ლოთის სიმღერა**

არ არსებობდა იგი ჩემში, მხოლოდ ჟამიჟამ შემოდოდა, გადიოდა,  
მე კი იმედად მსურდა, რომ ჩემში ყოფილიყო, რომ არ გამეშვა...  
ამ გრძნობას ჩემში მხოლოდ ღვინო ახანგრძლივებდა.  
აღარც კი ვიცო, რა ვუწოდო ტკბილ მოღუნებას,  
ღვინო სიამეს მთავაზობდა, ბოლო ეს არი,  
უკვე მივენდე ღვინის ცდუნებას  
მე უმეცარი.

თავის ჭკუაზე მათამაშებს ღვინო და მფანტავს,  
ფულივით მაგებს პირუტყვ სიკვდილთან,  
აბუჩად მიგდებს, მანიავებს და ძალას მატანს  
ის, ვინც ცდუნება ჩემი იტვრითა.  
ვით დასვრილ ბანქოს, მფანტავს ღვინო, სასომიხდილი  
განვემზადები მალე კვდომისთვის,  
მუწუკებიან თავს მოიფხანს ჩემით სიკვდილი  
და სანაგვეში ცივად მომისვრის.

## **თვითმკვლელის სიმღერა**

სულ ერთი წუთი. არ სჭირდება ბევრი მისნობა.  
თუ არ ვიჩქარე,  
გადაჭრიან ყულფს და გათავდა.

ამას წინათ ხომ მზად ვიყავი,  
მარადისობა  
უკვე მივსებდა წიაღს თანდათან.

რისთვის მთავაზობთ ერთ კოვზ  
სიცოცხლეს,  
არ მინდა, ვწირავ ჩემს სიმართლევს,  
უნდა ჩავბარდე ჩემს თავს, მადროვეთ!

ვიცი, სიცოცხლე საამო და მშვენიერია  
და ეს სამყაროც ალუქსია ბედნიერებას,  
მე არ შემერგო, როგორც შხამი სისხლს შეერია  
და სიცოცხლისგან გული მერევა.

სხვებს ასაზრდოებს, მე დღითიდღე მავადმყოფებს,  
ვერ შევითვისე საზრდო, თქვენთვის ასე ჩვეული,  
ხელს ნუ შემიშლით, დიეტაზე ერთ ხანს მამყოფეთ.  
სულ ცოტა ერთი ათასწლეული.

## **ქვრივის სიმღერა**

სიმხნევე, სითბო მაშინდელი მემახსოვრება,  
როცა ვიხსენებ, სული ნათლით ისევ მევსება,  
მე რა ვიცოდი, თურმე ცხოვრება  
თავიდან ყველას ერთნაირად ეალერსება.  
მე რა ვიცოდი არსი ცხოვრების,  
ის იქცა წლების ჯაჭვად, წლების მონაცვლეობად,  
დავრჩი შემყურე სიაკვარგის და გაორების,  
აწმყოს ცრემლები შევატოვე, წარსულს – მხნეობა.

ღმერთო, მაღალო, ჩვენ ვერავინ გადაგვაბრალებს,  
თუ რამ გვებადა – მხოლოდ დათმენა,  
მაგრამ სიკვდილი არას ითმენს, წუხილს ამრავლებს,

მოვიდა ავი, უსახური და გადამთელა.  
მიჰყავდა ჩემგან შორებელი და ახლობელი,  
თურმე ვიყავი არას მფლობელი.

რა გამაჩნია, რას დავარქმევ ჩემს საკუთრებას,  
ეს სიღუხჭირეც ბედისწერის ყოფილა ვალი,  
ის უკან ითხოვს განა მარტო ბედნიერებას,  
მიაქვს ცრემლებიც, მწუნარებაც, კარგიც და ავიც.  
კარზე მომადგა ბედისწერა და სულ იაფად –  
როგორც ძველმანებს შეეფერება.

სურს შეისყიდოს ჩემი სახე, თვალთა კიაფი,  
ჩემი მიმოხვრა და მჭკნობარე მშვენიერება.  
ყოველდღიურად მიაქვს, ყიდულობს,  
ამ ვაჭრობაში უნდა დამნაცროს,  
რომ მიიტაცოს სუყველაფერი  
და არაფერი მომცეს სანაცვლოდ.

## **იდიოტის სიმღერა**

ხელს არ მიშლიან, სეირნობას არ მიკრძალავენ,  
მეუბნებიან: წადი, ზიფათს ნულარ მოელი.

ო, რა კარგია!

ალარაფერი შემემთხვევა. თურმე ყოველი  
მოდის და ბრუნავს სულიწმიდის ირგვლივ ნიადავ,  
(შენ უკეთ იცი) – რაღაც სული ადამიანთა,

ო, რა კარგია!

ალარ ვიფიქრებ აღარასოდეს -

გარეთ ზიფათი თუ არსებობს, საფრთხე თუ ძელის,  
საფრთხე სისხლშია, უნდა მახსოვდეს,  
მძიმეა სისხლი, ყველაფერზე მძიმე და ძნელი,  
ზოგჯერ მგონია, მეტს ველარ შევძლებ.

(ო, რა კარგია.)

კარგი ბურთია, მშვენიერი, როგორ მიგორავს  
ბურთი წითელი, მრგვალი, სავსე, ვით ირგვლივითი,  
ო, რა კარგია, რომ ეს ბურთი გამოიგონეს,  
რომ დაეუძახო, მოვა ჩემთან, თუკი მასთან მე არ მივედი?

რაც ერთმანეთში შეედინება, ვინ გაარკვია -  
მერე ერთმანეთს რად ტოვებენ, მეგობრობა თუკი უნდოდათ,  
უცნაურია, ყოველივე მოჩანს ბუნდოვნად,  
ო, რა კარგია.

## **ობლის სიმღერა**

მე ვარ არავინ, მომავალშიც არვინ ვიქნები,  
ახლა ყოფნისთვის პატარა ვარ და უსუსური,  
ასე ღავრჩები, არასოდეს გარდავიქმნები.

უცხო დედებო და მამებო,  
თქვენ შემეწყალებო.  
თუმცა რა აზრი აქვს, ნუ მომხედავთ, ნუ გაჩერდებით,  
მალე მოვკვდები, თვალში შუქი ნელა მიქრება,  
ჯერ პატარა ვარ, ჯერ აღრეა, არვის ვჭირდები.  
მერეც არავის დავჭირდები, გვიან იქნება.

რა გამაჩნია?! ერთადერთი კაბა საცოდავს,  
გახუნებული, გაცრეცილი, სად არ ნაგდება,  
არ უწერია ჩემს ერთადერთ კაბას გაცვეთა,  
ვიცი, უფალთან ამ გაცრეცილ კაბით წარვვდები.

რა გამაჩნია?! მარტოოდენ ერთი ბლუჯა თმა,  
(თითქოს უცვლელი და შესაფერი),  
ვისაც ჩემი თმა ყველაფერზე მეტად უყვარდა,

იმ ადამიანს აღარ უყვარს აღარაფერი.



## ჯუჯის სიმღერა

ვინ იცის, იქნებ ჩემი სული მშვენიერია,  
მაგრამ ჩემს სხეულს, რომ მოხრილა და მოშვებულა,  
უმძაფრეს ტკივილს, დაკრუნჩხულ ტანს რომ შეერია,  
არ შეუძლია, რომ ატაროს სული შვეულად.  
სულო, ნატანჯო, შენთვის ბალი არ დარწეულა,  
სულო, უბალო, უსავანო, რა გაგახარებს,  
აღესილ ჩონჩხზე სტიხარ ეულად,  
შეძრწუნებული ფრთებს აფართხალებ.  
დაღონებულნი ძირს დამორევენ მძიმე ხელები,  
ამ უმომავლო ხელებს როგორ განვემორები,  
სტიან ხელები გაოფლილნი, განახელები,  
ვით წვიმის შემდეგ გომბეშოები.  
ყოველი ნაკვთი, ყველა კუნთი ანდა კიდური  
გაცვეთილი მაქვს, მონგრეული და უნიათო,  
რას უცდი, ღმერთო, ჩემი ფიჭული ნაგავში როდის უნდა მიაგლო?

ვინ იცის, იქნებ მიბრაზდები, ღმერთო, ძლიერო,  
რადგან გონჯი ვარ, მოქუფრული და უსახური,  
მრავალჯერ ვცადე, მე მზად ვიყავ, მაგრამ იერი  
ვერ შევიცვალე, ვერ გავნათდი სახედაზრული.  
ვინ მოდიოდნენ ჩემთან ახლოს, ტკივილით ვამხელ:  
ქუჩის ძაღლები,  
მაგრამ ძაღლებს არა აქვთ სახე.

## კეთროვნის სიმღერა

ყველაფრისაგან მიტოვებულს მომხედე, ღმერთო,  
არა იციან ჩემს შესახებ ქალაქში ახლა,  
კეთრმა შემიპყრო, თანდათან დამხრა,  
მივაჟღერიალებ სევდიან ეჟვანს.  
ვინც უცაბედად ჩამივლის გვერდით,

მათ ყურადღებას მივიპყრობ მკვეთრი  
ჩხარუნ-ჟღერიალით.

და ყველა გარბის, უყურადღებოდ  
ტოვებს ჩემს განცდებს, თავის გზას ერთვის.

ჩემი სახლია სივრცე, სავსე ეჟენის ჟღერიალით,

ვერვინ შემოვა, სადაც მე ვსახლობ,

მაგრამ, უფალო, ეგებ ეს ხმა გააძლიერო:

რომ, ვინც შემთხვევით მოვიდნენ ახლოს

და გამირბიან სნეულს და დაღლილს, –

ჩემს სიშორესაც არ გაეკარონ,

გაზარდე ჩემი ეჟენის ხმის სახლი.

რომ გზად ვიარო ძალიან დიდხანს,

არავის შევხვდე, განილტვოდეს ჩემგან ყოველი,

უცხნა ყველა: ქალიც, ბავშვიც, კაციც, გოგონაც –

მაგრამ... დამტანჯავს, რომ შევაკრთო მშვიდი ცხოველიც.

## შადრევეანთა გაამო

მე გამიცხადდა შადრევენების არსი ფარული, ბროლის ხეების საოცრება უცებ მიცვნიდა, ეს ხომ თვით ჩემი ცრემლებია ჩამოღვარული, დიდ ოცნებებში როცა დავრჩი ხელმოცარული, ოდესღაც მაშინ დამბნევიდა და დამვიწყნია. ნუთუ მე მართლა დამავიწყდა, რომ ზეცის ხელი ეხება საგნებს, მიმობნეულთ თუ შეყრილთ გუნდად? ნუთუ არ ვგრძნობდი სიდიადის ზეობას, ძველი ბალების თალებს რომ შევცქერდი, როდესაც ნელი საღამოების ღბილი შუქი იღვებინდა ბინდ-ბუნდად, – და როცა უცხო გოგონების თითქოსდა უნდოდ წამოწყებული სიმღერები ჰანგს აგრძნეულებს და ამ სიმღერებს, სინამდვილედ გადაქცეულებს, თითქოს გახელილ გუბებში არეკვლა უნდათ?

მე მხოლოდ უნდა მოვიგონო, რაც მახსოვს მკრთალად, მე და შადრევენებს რაც დაგვმართა დინებამ წელთა, რომ უცებ ვიგრძნო ქვედაშეების სიმძიმის ძალა და წყლის ჭავლებთან ხელახალი შეხვედრის ელდა: და უკვე ვიცი ამ ტოტების ქვემოთკენ წვდომა, ხმების ციმციმი სულ ოდნავი და მათი კრთომა, გაუბედავი გუბების უაზრო ნდომა, რომ იმეორონ ნაპირების არშეის რკალი, მიმწუხრის ცათა უცხო მზერა, ქუფრი და მქრქალი, დანაკვერჩხლებულ, ნადისალ ტყეების ზევით, მოლუშულნი რომ კრავენ თალებს უცნაურ ქცევით, თითქოს აქ მოსვლა არ ჰქონიათ აზრადაც იმათ...

რამ დამავიწყა, რომ ვარსკვლავი ვარსკვლავის მიმართ დახშულია და გამიჯნული? და რომ ეულნი ეს სამყარონი, სივრცეებით ცრემლმორეულნი, ძლივს ცნობენ ერთურთს? ანდა ზემოთ ჩვენა ვართ იქნებ

სხვათა ზეცაზე და ისინი თავიანთ ფიქრებს  
ჩვენსკენ გზავნიან ღამღამობით ჩუმი ოცნებით?  
იქნება ქებას ჩვენ გვიძღვნიან მათი მგოსნები?  
ჩვენა ვართ მათი სალოცავი ან საწყევარი,  
თუმც შორზე შორი და მარადის მოუღწევარი?  
იქნებ იმათთვის ჩვენ იქა ვართ, სად მიღმიერი  
ეგულვით იმათ თავიანთი ღმერთი ძლიერი,  
რომელიც სადღაც აქ დაკარგეს და ვერ მიაგნეს,  
და რომლის ხატი, სასწაულად იელვებს თუკი,  
ისე, ვით მათი მამებარი სანთლების შუქი,  
ჩვენს გაოგნებულ სახეებზე გაიციაგებს.

## მჭკრეპელი

ხეებში ხშირად ქარიშხლების ვხედავ ხარებას,  
რომელთაც ცივად მონახერი დღეები სველი  
ჩემს დამფრთხალ სარკმლებს ახეთქებენ და მესმის ძველი  
ნაშორეთალი საგნების ხმა, თუმც ალარ ველი,  
მათი გაძლება უმეგობროდ იქნება ძნელი  
და მე ისინი, დის გარეშე, ვერ მეყვარება.

მოქრის გრივალი, გარდამქმნელი, არა ძაბუნი,  
წილგამჭოლი, მან არ უწყის გზები წრიული,  
უასაკოა ყოველივე, არ სურს სალბუნი,  
ბუნება არის განწმენდილი, როგორც ფსალმუნი,  
დინჯი და მშვიდი, ძლიერი და მარადიული.

რასაც ჩვენ ვიბრძვით, რა მცირეა, და რარივ დიდი  
ის, რაც ჩვენ გვებრძვის უნებლიედ, სახელდახელოდ.  
საგანთა მსგავსად რომ გვქონოდა ბუნება მშვიდი,  
დავნებობდით გრივალს ასე და თუკი ვცდიდით,  
ჩვენც გაგხდებოდით უფრო ვრცელი და უსახელო.

რასაც ვამარცხებთ, პატარაა, მცირეოდენი,  
თვით გამარჯვებაც ჩვენ გვაკნინებს ყოველთვის, ყველგან,  
მარადიულს და უჩვეულოს, ჩვენთან მოდენილს,  
არა და არ სურს, დათრგუნული რომ იყოს ჩვენგან.  
ეს არის იგივე ანგელოსი, აელვარებით  
რომ მოევლინა ძველი აღთქმის მებრძოლთ ანაზად:  
მის მეტოქეთა დამაგრული მშვილდის ლარები,  
რომელთაც ბრძოლამ თვით ლითონის სიმტკიცე მისცა,  
იმ ანგელოსის თითებს შორის ისე განაზდა,  
რომ უღრმეს ჰანგთა გამოცემელ სიმებად იქცა.

ეს ანგელოსი ვისაც დასძლევს ძალისძალობით,  
თუმც მას არ უყვარს შებრძოლება და ერიდება,  
იგი აღდგება, ვით უბიწო, და მას დიდება  
მიენიჭება იმ მძლეთამძლე ხელის წყალობით,  
რომელიც ჰქონდა ყალიბივით შემოჭდული.  
გამარჯვებები იმას უკვე არ ენატრება.  
და მას ეს გაზრდის: შინაგანად იყო ძლეული  
იმ ძალის მიერ, მას რომ მარად აღემატება.

# კრებულიდან ახალი ლექსები

## ყრმა აკოლონი

ვით გაზაფხულის კვირადღეზე – შესაფოთლავად  
აფუთფუთებულ ღეროებში დილა ისახვის  
და დაბადების საიდუმლოს ამხელს ოდნავად  
და ემზადება გულუბრყვილო სიცოცხლისათვის, –

ასე გვასხივებს საგალობლებს მისი ხატება,  
თუმცა ეს შუბლი ყვავილწნულებს ჯერ არ არგია, –  
და ვარდობისთვის სამერმისოდ შეემზადება  
მისი წარბების უძრაობა და ლეთარგია.

და ჩამოჰყვება ვარდფურცლობის თეთრი ფანტელი  
ტუჩებს, რომელთაც ნელი თრთოლვა და ჟრუანტელი  
უკვე არხევს და, ბაგეები – ნათლის მოფენით –

სურვილს იწოვს და, ღიმჩამდგარი, ისე ოცნებობს, –  
თითქოს მწყურვალს და მოლოდინით გასხივოსნებულს  
ზედ ეღვრებოდეს მომავალი საგალობელი...

## სიყვარულის სიმღერა

ვით დავიოკო სული ისე, რომ იგი შენსას  
აღარ შეეხოს არასოდეს? ვით აგარიდო?  
სხვა საგნებისკენ ვით წარვმართო იმისი ჟრჟოლა?  
ო, როგორ მინდა გადავმლო და სადმე შევსვა,  
ქვეშ ამოვუდო რამე საგანს და გავარინდო,  
რომ არ შეეხოს მას შენეულ სიღრმეთა თრთოლვა.  
მაგრამ ვაი, რომ არ არსებობს შენი და ჩემი  
და არც ორივეს შეგვეხება ისე, ვით ხემი,  
რომელსაც ერთი ხმა ამოჰყავს, ორ სიმს რომ გაკრავს,  
მე და შენც ასე შეგვეაერთებს სიმღერის გეში  
და ვიქნებით მისგან ძლეული,  
გადაჭიმულნი ასე ერთად რანაირ საკრავს?  
ანდა რომელი მესაკრავის საოცარ ხელში?  
ჰანგი გრძნეული.

## დავითის ბალობა საულისადმი

### I

გეხმის, მეფეო, როგორ მღერის ჩემი სანთური,  
სივრცეს აბობს და სფეროებში როგორ აღდება  
და ვარსკვლავეთის სიშორეში მიმოფანტული –  
ჩვენი სულები წვიმასავით მოიწვართება  
და ნაწვიმარზე ყველაფერი როგორ მწვანდება?..

როკვენ ქალნი და მაცდუნებენ, იმ უზრუნველი  
ქალიშვილების ყვავილობა შენს ჟინს დანება;  
შენ გახელებდა უნაზესი მათი სურნელი,  
ყმაწვილკაცებს კი ნდომისაგან აკანკალებდათ  
და ნერვიულად გდარაჯობდნენ დახშულ კარებთან.

როგორ მინდოდა ყოველივე შენთვის გამეთქვა,  
მაგრამ სიშმაგე საგალობლებს მიუდღეურებს,  
ო, ღამეებიც, ღამეებიც როგორ გამეფდა,  
როს სიყვარულის ვნებათღელვა აკამკამებდა  
შენს უნაპირო სურვილებში ჩანთქმულ სხეულებს.

ეს სიმღერები მოგონებებს გამიცოცხლებდა, –  
მაგრამ როგორღა მოვიხელთო ჩანგის სიმებზე  
მათი ოხვრა და ვნებიანი ღამის ოცნება?..

### II

შენ კი, მეფეო, შენი სახლი დავლით ადავსე,  
და ცხოვრებაში გარდახდილი დიდი ომებით  
ძალმომრეობდი ჩემისთანა მოკვდავთაგანზე;  
მაშ, ჩამოდი და დამიმსხვრიე ჩანგი, რომელიც  
გამიტანჯე და სიმღერებით ასე დაქანცე...

ის უკვე ხეა გაკრეფილი, რომლის რტოებით, –  
შენ რომ ჰანგები მოგიწიეს წმინდა ნაყოფად, –



დღეს უჩვეულო მომავალი მზის შუქს მოელტვის  
თვალშეუდგამი სიღრმეების უკვდავსაყოფად.

ო, ჩემს სიმებთან ძილში მაინც ნუ დამამოყვრებ:  
ხელი, რომელიც საგალობლებს გაიუკვდავებს, –  
ნუთუ იმდენად უძლურია, რომ ვერ წამოჰკრეფს  
ქალის სხეულში ჩაღვრილ ოქტავეებს?

### III

მეფევე, ვერ გიხსნის ღამეებში კიდევანობა,  
მაინც მოგაქცევ, უაზროა შენი ბარბაცი;  
ჯერ არ შემწყდარა უძლეველი ჩემი გალობა,  
თუმც გაგვიცივდა სივრცეების ცინე-ღარბაზი.

შენს გულს სიმშაგე ასულდგმულებს, ჩემსას – ობლობა,  
რისხვის ღრუბლებში დაკიდულან, და ბორგნეულად  
ჩაუბლუჯიათ სისხლიანი თანამყოფლობა  
და გულისგულში ორივენი ერთად ქცეულან.

შენ – ბერი, მე კი – ახალბედა, მალე სავსებით  
შევიქცევით და სულად ვაქცევთ ხორცის სიმძიმეს,  
და თუ ერთმანეთს დავენდობით მთელი არსებით, –  
ჩვენ ვარსკვლავეთის საკრებულოს დავემსგავსებით  
და უსასრულო სივრცეებში შევიციმციმებთ...

## ქალთა ბაღობა კომუნიზმში

ხედავ? – ყველანი ყვავილებად გადავიშალეთ, –  
ამ ნეტარებას შევადრიდი, ალბათ, არაფერს...  
მხეცის სისხლი და ღამეული მისი სიშავე  
სულად გვექცა და გაშმაგებით გვალაპარაკებს.

და ვყვირით, ვყვირით, მოგქვითინებთ, დღემდე მოგტირით,  
შენი სახე კი ვნებისაგან ასე ჯვარცმულეხს  
უძრაობაში განფენილი ნატურმორტივით  
მშვიდად გვიმზერს და უნებლიეთ გადაგვარწმუნებს

ამ არჩევანის სისწორეში. მაგრამ, გვითხარი,  
შენ ის არა ხარ, – ანთებული ჩვენი სულებით  
ვისაც ვერწყმით და ოდინდელი შესაკითხავი

თანვე მიგვაქვს და მარადისთან მივეშურებით?  
შენ კი დარჩი და იქადაგე, რათა შენებრი  
ხიბლით გაგვოქვა და გვანმიანო შეუსვენებლივ...

## L'ANGE DU MÉRIDIDIEN

### შარტრი

იმ ქარიშხალთა მკრეხელური დადადისიდან, –  
ტაძარს რომ რისხავს ღვთისმგობელი განდევილივით, –  
უეცრად ვიგრძნობთ, საალერსოდ როგორ გვიზიდავ  
ასე სათნო და სახიერი შენი ღიმილით.

სახემღიმარო ანგელოზო! – ათასბაგიან  
ბაგეს რომ ხსნი და სიჩუმიდან გვებუტბუტები, –  
ნუთუ ვერ ამჩნევ – წყვილადისკენ როგორ გარბიან  
მზის საათიდან ასხლეტილი შენი წუთები, –

სადაც ჟამი და წამისყოფა ისე ასწონეს,  
რომ ციფერბლატზე უშეცდომოდ დაახარისხებ  
ამ მოწიფული საათების სიწონასწორეს...

თუმცა, ვინ იცის – წარმავლობის ამ სისწრაფეში  
უფრო ნეტარი მოლოდინით მიგაქვს ღამისკენ  
მზის ბრწყინვალეობით ხელდასხმული შენი ტრაპეზი...

## კაპიტელი

როგორც მზე სტოვებს უთენია ბნელს და სიზმარეთს  
და, კოშმარიდან ამოზრდილი, დილას ითენებს, –  
ასე გაურბის თალსარტყელი ყოველცისმარე  
მოჩუქურთმებულ კოლონალებს და კაპიტელებს, –

რომ შეატოვოს ქმნილებათა ეს უმეცრება,  
სად ყველა არსი – სიცოცხლეზე მუდმივ ზრუნვაში –  
იჭვით, კრძალვით თუ ალტკინებით ერთურთს ეწნება  
და ერთმანეთში იხლართება, ვით უსურვაში, –

რომ მოიღვრება წვეთწვეთობით, და რისხვასავით  
იფეთქებს მყის და აიჭრება ფრთების სავსავით  
და, თავდახსნილი, ყოველივეს აღმა მიდენის,

რომ ქარიშხლებთან წილნაყარი – სხივთა კრებულად  
გადმოსკდეს ძირს და სიბნელიდან კვლავინდებურად  
მალლა და მალლა ალავლინოს ძეგლი დიდების...

## მორბი

და წვანან უხმოდ – რაღაც ნათლით და სისპეტაკით,  
თითქოს საცაა მორგებენ გრიმს და პარიკებს  
და თამაშგარე ნაჩვენები ღამის სპექტაკლი  
მათ ერთმანეთთან დაამოყვრებს და შეარიგებს;

ანუ, სხვაგვარად, – აღსასრული ჯერ არ დამდგარა...  
სახელს ვინ ეძებს ჯიბეებში, ვინ რად ირჯება?  
და მომვლელებმა ბაგეებზე ყველას წყნარ-წყნარად  
ჩამოარეცხეს სინანული და მოყირჳება.

და სევდა უფრო თეთრი გახდა და ნამკრთალევი.  
და გაწაფული გემოვნებით და გაჩვეულად  
მოუწესრიგეს ვარცხნილობა. მაგრამ თვალები –

გარიდებულნი ყოველდღიურ ელდას და წიაქს –  
ამოღამებულ ფოსოებში უკუქცეულან  
და ჩაჟინებით ჩაჰყურებენ საკუთარ წიაღს...

## პანტერა

მესერთა ცქერამ დაუსერა პანტერას მზერა,  
ქანცი გაუწყდა, ირგვლივ უკვე ვერაფერს ხედავს,  
ათას გისოსად დაზოლილა ქვეყანა – სჯერა,  
და ამ ულეველ მესერს მიღმა რაღაა ნეტავ?

რბილი, მოქნილად ღონიერი ნაბიჯით კეცავს  
წრეში მომწყვდეულ ამოწურულ გზასავალს ვიწროს,  
ასრულებს თითქოს ძალისხმევის მოხდენილ ცეკვას,  
გარს უვლის მიწყვიტ გაოგნებულ ვეება ნებას.

მხოლოდ ხანდახან აეხდება მის გუგებს უხმოდ  
კრეტსაბმელი და გაეხსნება სურათი სრული,  
დაუვლის ნაკვთებს დაძაბული სიჩუმის მუხტი  
და დაასრულებს არსებობას გულთან მისული.

## რომაული სარკოზაგები

განა აქ ყოფნა მარტოოდენ ტანჯვით იწყება,  
ან განა იმის დაჯერება შეეხება გვანიჭებს,  
რომ მხოლოდ უგზო ფორიაქი და შეზიზღება  
პოულობს ჩვენში ნავსაყუდარს და საბრძანისებს? –

როგორც ოდესღაც სარკოფაგში – ღვთის თუ მნათობის  
კერპთან თუ ნიშთან, ჭურჭლეულთან თუ თილისმებთან –  
იწვა ვიღაც და, სიჩუმეში, ნელი ხრწნადობის  
და წარმავლობის განუწყვეტელ ჩურჩულს ისმენდა,

ვიდრე ჩანთქავდნენ ბაგეები დაშლილ ხერხემლებს  
(ეჰ, რომელიმე ტვინთაგანი მოახერხებდეს  
ამეტყველოს დაბინდული მათი შეგნება!..).

ხოლო წყალი კი, – უკვდავებას კარს რომ უღებდა, –  
ისევ გადმოსჩქეფს მარადიულ აკვედუკებთან,  
რწყავს იმ ბაგეებს, მათში ბრწყინავს და ირეკლება...

## დაბრმავებული ქალი

სხვებივით უჯდა იგი მაგიდას,  
ჩაის ფინჯანი ეჭირა ოდნავ  
განსხვავებულად. ღიმილი ჰქონდა  
იმდაგვარი, რომ გული ამტკიცდა.

წამოიშალა როდესაც ყველა  
სიცილ-კისკისით და მასლაათით,  
ღია ოთახებს გაჰყვნენ ტაატით,  
მხიარულ სტუმრებს მისდევდა ნელა.

როგორც სიმღერის წინ მომღერალი,  
ღელავდა. ნეტავ რა ახარებდა?!  
შუქი თვალებზე სცემდა გარედან,  
ვით გუბებზე სხივთა ჩქერალი.

თვალწინ კი – ზღუდე. იგი კრთებოდა,  
რომ რაღაც იყო გადასალახნი  
და რასაც ვგრძნობდი ბედის კარნახით –  
იფრენდა, ზღუდეს თუ გასცდებოდა.



## ზაფხულის ზვიგა

ბალის სიმწვანეს, სიჩუმეში, თითქოს ანაზღად რაღაც მოსწყდა და სითეთრეში უხმოდ გაჯვრდა: იგი მოვიდა ფეხაკრეფით ჩვენს ფანჯარასთან, მხრები აზიდა, გაირინდა და მოგვაჩერდა.

მოლალურის ხმა, ჭალა-ჭალა ჭავლის რონინი, – უსტვენს ღალღა და უთქმელობა ისე ატირებს, თითქოს წვიმისკენ აღავლენდეს იერონიმი მარტოსულობის შეჭირვებას და სიმარტვილეს.

პირი იბრუნეს სურათებმა, ძველმა კედლებმა და სიჩუმეში გაიკრიფნენ, რათა დარბაზებს უგულისყუროდ შეატოვონ ჩვენი ვედრება.

ხალიჩებზე კი მკრთალი შუქი თრთის და ბარბაცებს: შემოღამების მკრთალი შუქი, – ფანჯრის მინებთან რომ მიგვკლავდა ბავშვობაში და გვაშინებდა...

## უკანასკნელი საღამო

და ღამე, და გზა შორეული: როცა შებინდდა,  
ჯარმა ალაფი ჩაატარა უცნობ ბალებთან...  
...თავი აილო მამაკაცმა კლავიშებიდან,  
ისევ აკრიფა აკორდები და ქალს გახედა.

მისი ნაკეთების მოთვალთვალე და დამნახველი  
სარკეში ცნობდა თავის თავს და, ყოველ ბგერაზე  
იხვეწებოდა კლავესინთან ქალის ნაღველი,  
როგორც ფარული თვალთმაქცობა და სივერაგე.

მაგრამ განქარდა მოჩვენება, გაქრა ხილვები,  
შეკრთა ქალი და უჩვეულო ძრწოლვას მინებდა,  
მიწყდა ბგერები, წამოწვიმა, და საკვირველი

სანახაობა აირეკლა ფანჯრის მინებთან:  
სარკის წინ იღო მკვდარი თავით შავი კივერი  
და ყოველივეს მდუმარება აგვირგვინებდა...

## მეფე

ის – თექვსმეტი წლის უფლისწული – უკვე გამეფდა და ახლა, თითქოს ბუნაგიდან, თვალებს უკვესებს სეფე-დარბაზის შუაგულში მიჯრილ სკამებთან მოკეცილ მრჩეველებს, საბჭოს წევრებს და უხუცესებს.

მტანჯველ ფიქრებში მოწრიალეს და მორუდუნეს გულზე აწვება მოყირჭება გაუსაძლისი და ჯინჯილების ჩხარაჩხურით ძარღვებს უღუნებს ყბათშესაყართან დაკიდული ოქროს საწმისი!

სიკვდილის აქტი – რომელიღაც კაცთაგანისთვის – ხელმოსაწერად მაგიდაზე უღევს აქამდე და კეზირებმა: როგორ სწუხსო, როგორ განიცდის!..

ამაო იყო შემფოთება დარბაისელთა:  
მეფე ითვლიდა თხუთმეტიდან ოცდაათამდე და, თავჩარგული, ხელისგულებს ჩუმად იხეღდა...

## აღდგომა

გრაფს ზმა მოესმის, მიაყურებს უცხო ნაბიჯებს,  
თითქოს ენიშნა ნაპრალებში სხივთა თამაში  
და, ძილგამკრთალი, თავის ცამეტ ვაჟკაცს აღვიძებს  
საგვარეულო საძვალეში თუ აკლდამაში.

ცოლებს გასძახებს, – მოდებინ ძრწოლვით, სიცივით,  
და საუკუნო ნეტარების დასაუფლებლად  
ხმებს ალაგლენენ უნაზესი პარაკლისივით, –  
მთელი სახლი და საკრებულო აღდგა უკლებლად!

ახლა ელიან ერიხსა და დოროთეასლა,  
რომლებსაც ერთ დროს ფლანდრიაში განგების კალთამ,  
როგორც იტყვიან, ანგელოზის ფრთები შეასხა

და ნაადრევად მიიყვანა სამარის კართან, –  
რომ სააღდგომოდ – ბუკის ხმაზე და წინწილაზე –  
კვლავ უზრუნველად მომდგარიყვნენ მრევლის წინაშე...

## **როგორ გაემცა უკანასკნელი ბრავი წონ ბრედეროღე თუჩქთა ტყვეობას**

ის გამორბოდა, მოჰყოდნენ, და სამიზნოდან –  
თითოეული მადევარი, თითქოს უკლებლად –  
მის ნაკვალევზე თითო-თითო სიკვდილს ისროდა  
მისი მოდგმის და გვარეულის გასაუქმებლად.

ასე გაურბის მონადირეს, ალბათ, ნადირი...  
და გამოსავლის ძიებისას – უკაცრიელმა  
გზამ დაუგემა უჩვეულო ცნობისწადილი  
და საიდანლაც უცაბედად წყალმა იელვა.

და მის ძარღვებში დიდგვაროვან ამპარტავანთა  
სისხლი აღდგა და, შორიახლო – უცხო არილით  
გაბრწყინებული ქალწულები როცა დალანდა, –

ლაჰკრა მერანს და მდინარისკენ ისე გაიჭრა, –  
თითქოს ბრძოლიდან ოტებული ამირბარივით  
შემოაგელვა სასახლეში შავმა ტაიჭმა...

## მარმარილოს გადაზიდვა

### პარიზი

შვიდჯერ განწილეს, – საზიდარი შვიდ ცხენს მიანდეს  
და მარმარილო – სააღლუმო ფერისცვალებით, –  
რომ ასხივებდა ხელშეუვალ სიგულზვიადეს  
და ყოველივეს უყურებდა კუმტი თვალებით, –

დღეს საკრებულოს წარუდგება ღირსი პატივით,  
ბრბოს გაენდობა უზრუნველად სახემჩინარი,  
რომ ინტრიგებში გახლართული პერსონაჟივით  
გაკვიცნაუროს უჩვეულო დრამის ფინალი.

და მოდის, მოდის მარმარილო, – ხალხის ვნებიან  
ხმებს მორადვევს და ტუსალები წელში წყდებიან  
და ძოწეულის ბრწყინვალება მოაფერადებს

დედაქალაქის მისადგომებს, სადაც ბატონი –  
მეფეთ-მეფე და მედიდური ტრიუმფატორი –  
ახლოვდება და სიდიადით აშთობს ყველაფერს...

## ბუნდა

ლღვება სხეული, მოიღვრება ოქრო უღვევად,  
ჭვრეტს პილიგრიმი – ფერგამკრთალი და დაქანცული, –  
თითქოს, ლოცვის ჟამს, მონანიე დიდებულებმა  
აქ დაახვავეს მთელი ღავლა და საგანძური.

ახლოს მომდგარს კი მისი ხილვა თავგზას აურევს,  
რაკი გოროზად ზეაზიდულ წარბებს შენიშნავს  
და არა მდიდრულ აზარფეშებს ან სამკაულებს  
სიფე-ქალების მოსართავად და სამშვენისად.

უნდა შეედნოთ რაოდენი უცხო საგანი,  
რომ ეს უტყვი და უჩვეულო ბატონთაგანი  
ამოზრდილიყო ყვავილიდან, როგორც ზმანება:

ოქროზე ნაკლებ თავმომწონე, ნაკლებ ხმიერი,  
ასე ჩანთქმული თავისთავში და მიღმიერი, –  
შუქში რომ დნება, სივრცეს ერწყმის და ეზავება...

## რომანული შადრეშნები

### ბორჯეზე

პეშვებს რომ იწვდის მოლიცლიცე აზარფეშებად, –  
ჭავლი, რომელიც კასკადებზე დახეტილობს,  
ზემომდგომელი ფიალიდან ჩუმად ეშვება  
და ქვემოურთან მორიდებით იწყებს დიალოგს.

მაგრამ ზედა წყლის მოკრძალებულ ძილისპირულზე  
ქვედა ყურბს და ახალმოსულს ხვდება პირაღმა,  
რომ ფოთლებიდან გამომკრთალი ზეცის სილურჯე  
სიურპრიზივით შეაგებოს მისმა პინაკმა.

თანაც ლაღობს და აღარც უნდა რამე არკვიოს  
და ფიალაში დალივლივებს უნოსტალგიოდ;  
მხოლოდ ჟამი-ჟამ ჩაიჩოქებს ნელი შრიალით,

რომ მოხასხასე ხავერდებში ჩაიკამკამოს  
და ფიალაში ჩასარკული იალკიალით  
უკანასკნელად ამოსცინოს ცას და სამყაროს...



## ორფეუსი. მერიდიკე. ჰერმესი

ეს იყო სულთა საოცარი მალარობები.  
ვერცხლის საბადოს ძარღვებივით გასდევდნენ წყვდიადს.  
ფესვებს შორის ჟონავდა სისხლი  
აქეთ, ხალხისკენ მომდინარე და იმ წყვდიადში  
ის პორფირივით მძიმე ჩანდა.  
სხვა არრა იყო იქ წითელი.

იყო კლდეები.  
იყო ტევრები უსიერი. იყო ხიდეები  
სიცარიელეს გაღებულნი და ერთი დიდი  
მღვრიეღნაბინდი რუხი ტბორი, გადმომხობილი  
თავის შორეულ ფსკერს, ვით მიწას ზეცა საავდრო.  
მღელობს შორის ჩანდა მშვიდი, თმენით აღსავსე  
გზის მკრთალი ზოლი, გაწოლილი უფერულ სხივად.

და ამ ერთადერთ გზას დაადგნენ ისინი უხმოდ.

წინ ბრვე ვაჟკაცი მოდიოდა ლურჯი მანტიით,  
მღუმარე, მაგრამ მოუთმენლად წინ მოთვალთვალე.  
დაუღეჭავად ნთქავდა მისი ხარბი ნაბიჯი  
გზის დიდ-დიდ ნაჭრებს; მოსასხამის ნაოჭებიდან  
მძიმედ და მკვრივად ეშვებოდა მისი მკლავები,  
რომელთაც უკვე დაევიწყათ მსუბუქი ქნარი,  
მარცხენა მკლავთან თანშეზრდილი ისევე მჭიდროდ,  
ვით ზეთისხილის რტოს შეზრდილი პწკალი ვარდისა.  
მას შეგრძნებები ჰქონდა თითქმის გაორებული:  
იმისი მზერა მწვეარივით წინ ისწრაფოდა,  
მაგრამ უკანვე ბრუნდებოდა, რათა ხელახლა  
გავარდნილიყო ისევე შორს და კვლავ მოეცადა  
იქ, უახლოეს მოსახვევში ღოდინად ქცეულს, –  
მისი სმენა კი, როგორც სუნი, უკან რჩებოდა.  
ზოგჯერ ეგონა, რომ საცააა მისწვდება კიდევ  
თავისი სმენით დანარჩენი ორის სიარულს,  
რომელნიც უნდა მოჰყოლოდნენ მთელ ამ აღმასვლას.

ისევ მისივე ნაბიჯების გამოძახილი  
და კვლავ მისივე მოსასხამის ქარის ფრიალი.  
ზოგჯერ თავის თავს არწმუნებდა: „ისევ მოდიან!“  
და ინახავდა ხმამაღლა თქმულს მიყურებამდე.  
ისინი კვლავაც მოდიოდნენ, ისევ ის ორნი,  
თუმცა შემზარავად უხმაუროდ. რომ შეძლებოდა  
მას თუნდაც ერთხელ მიბრუნება (თუკი თავისი  
უკუმიხედვით მთელ ამ საქმეს არ დაანგრევდა,  
თითქმისდა უკვე აღსრულებულს) დაინახავდა  
ორივეს, მღუმართ, ფეხაკრეფით უკან მომავალთ:

ღმერთს ხეტიალთა და შორეულ ამბავთ გამგებელს,  
სამეზავრო ჩაფხუტჩამოფხატულს ნათელ თვალებზე,  
წინმოქნეული წვრილი კვერთხით რომ მოდის ლაღად  
კოჭისთავებზე ფრთებისცემით და მოჰყავს: იგი.  
იგი, ისეთი საყვარელი, რომ ქნარმა მოთქმით  
გადააჭარბა მოტირალ ქალო, ქვეყნად არსებულთ,  
შექმნა სამყარო გოდებისა, რომელშიც იყო  
კვლავ ერთხელ კიდევ ტყე და ხევი, გზა და სადგომი,  
მდინარეები, ცხოველები და მინდორ-ველი;  
და ამ გოდების სამყაროში, რომელიც ჰგავდა  
სულ სხვა ქვეყანას, იყო მზე და  
ვარსკვლავნაყარი მღუმარე ზეცა,  
გოდების ცა, მოალმაცეროდ  
გამრუდებული ვარსკვლავებით - :  
იგი, ისეთი საყვარელი.

ის მოდიოდა ღმერთის მხარდამხარ.  
გრძელი სუდარა უბორკავდა ოდნავ ნაბიჯებს,  
ვიდოდა მშვიდად, უხალისოდ, გაუბედავად.  
ის, ვით ფეხმძიმე, თავის არსში იყო ჩაფლული  
და არ ფიქრობდა არც იმაზე, ვინც წინ უძლოდა  
და არც ამ ზემოთ, სიცოცხლისკენ მიმავალ გზაზე.  
ის თავისსავე არსში იყო. თავის სიკვდილით  
დასრულებული და აღსაესე.  
როგორც ნაყოფი, სიტკბოთი და სიბნელით მწიფე,

იგი აღივსო თავისივე დიდი სიკვდილით,  
რომელიც იყო ახალი და შეუცნობელი.

იგი აღმოჩნდა რაღაც ახალ სიქალწულეში  
ხელშეუხები; მისი სქესი ისე შეიკრა,  
როგორც კოკორი სალამოჟამს. მისი ხელები  
სხვის სიახლოვეს იმ ზომამდე გადაეჩვია,  
რომ თვითონ ღმერთის უაღრესად ნაზი შეხებაც  
მას უხეშად და მტკივნეულად ეჩვენებოდა.

ის აღარ იყო უწინდელი ქერა ასული,  
ადრე პოეტის სიმღერებში ხშირად ნაქები,  
აღარც კუნძული სურნელისა ფართო საწოლში  
და აღარც იმ კაცს ეკუთვნოდა ამიერიდან.

ის იყო უკვე ჩამოშლილი გრძელი ნაწნავი,  
და შეწოვილი ისე, როგორც წვიმის სინესტე,  
და დაყოფილი, ვით მარაგი, ათას ნაწილად.

ის ახლა უკვე ფესვი იყო.

და როცა ღმერთმა

იგი უეცრად შეაჩერა და გულნატკენმა

მას ესლა უთხრა: შემობრუნდო - ,

ის ვერც მიუხვდა და ჩუმი ხმით იკითხა: ვინა?

შორს, სადაც ჩანდა წყვდიადიდან გამოსასვლელის  
ნათელი ზოლი, ვიღაც იდგა და უცქეროდა,  
თუ რარიგ სახედაღვრემილი დაადგა ბილიკს  
ღმერთი-მეგზური, რათა იგი უკანა გზაზეც  
ისევე მღუმარედ გაჰყოლოდა იმავ არსებას,  
რომელიც უკან ბრუნდებოდა იმავ ბილიკით,  
გრძელი სუდარა უბორკავდა ოდნავ ნაბიჯებს,  
ვიდოდა მშვიდად, უხალისოდ, გაუბედავად.

## **კრებულიდან ახალი ლექსები. მეორე ნაწილი**

### **აკოლონის არქაული ტორსი**

ჩვენ არ გვინახავს მისი თავი და პირვანდელი  
მზერა, რომელიც უხილაგად დღემდე ციაგებს  
და კიდურებში განფენილი, – როგორც სანთელი,  
თვითვე ჩასცქერს და ჩასციმციმებს თავის წიაღებს.

თორემ ამ მკერდქვეშ ჩაქანებულ გზას თუ ჩასახვევს  
ვერ ჩაჰყვებოდა ეს ღიმილი, რათა თემოთა  
ულელტეხილის გასაყართან წმინდა ჩასახვის  
და დაბადების მისტერიას ჩუმაღ შერწყმოდა.

ვერ იბზინებდა მარმარილო ვეფხვის ბეწვივით –  
ასე გულდაგულ ჩასხეპილი და ჩახვეწილი,  
ვერც წიბურები ჩაგიფენდნენ სხივთა კრებულებს

მაგ ჩაღამებულ გულისგულში, სადაც სინათლედ  
ეს მოღარაჯვე შარავანდი დაიბინადრებს  
და სხვანაირი ცხოვრებისთვის გავალდებულებს...

## **შეფარებული სიკვდილი**

მანაც იცოდა სატკივარი სხვების და სხვების, –  
რომ ბნელში გვითრევს სიკვდილი და გვაქცევს მუნჯებად,  
მაგრამ მიჯნური – არა ვინმეს ჟინით თუ ნებით –  
რომ არც უცდია ბნელთან დავა და გაურჩება, –

ისე გაერთა და წალივლივდა უცხო ლანდებთან  
და, როცა მკვდრებმა სამუდამოდ დააბინადრეს,  
იგრნო ჭაბუკმა – ქალიშვილი ღიმილს ანთებდა  
და მთვარესავით არიგებდა სხივს და სინათლეს.

და ასე – მკვდრებთან დამოყვრება ერგუნა წილად  
სატრფოსგან ვაჟს და გადაწყვიტა – ჩვეული ხერხით  
აღარ ემსჯელა აღსასრულზე, რომელიც წინათ

ზარავდა მას და აძრწუნებდა მბრძანებლის კვერთხით:  
ის უკვე წყვილადს მიიჩნევდა მშობლიურ ბინად  
და სიკვდილს ნაზად ეხებოდა მიჯნურის ფერხთით...

## **განკითხვის დღე**

თითქოს ელდით და ჟრუანტელით განაბეზრები  
ბრბო საშინელი სამსჯავროსთვის დაამწყალობეს:  
ხმელ კიდურებზე მოუგდიათ შავი ზეწრები  
და დაბჯენიან ჩაჟანგებულ ზვრებს და ყანობებს.

და ცხელ ტაფებზე, სამარხებმა მტვრით რომ შებურეს,  
ანგელოზები ტკივილების გასაყურებელ  
ზეთს უსხურებენ შემცივნებულ მიცვალებულებს  
და შეშუპებულ ილლიებში სითბოდ უდებენ, –

რომ უცოდველ სულს დაეკვებოს თავის არჩივად,  
რაც ამქვეყნიურ ფორიაქში გადაარჩინა  
და შეაყოლა ჩამიწებულ ძვლებს და სამოსლებს:

რომ არ გაცვიდეს უცაბედად უფლის თითები,  
როს სამსჯავროში შემოდგება გულდამშვიდებით  
და ილლიების სიმხურვალეს ფრთხილად ამოწმებს...

## **ქალი სარკმსთან**

მსუბუქი სევდით დაღდასმული და მონაქანცი  
დგას და სარკის წინ, ძილგამკრთალი, ფიქრებს აოკებს,  
და თითქოს ძილის წამალივით აჯერებს წყალში  
უსიტყვო ტკივილს, დალლილ რხევებს და მოძრაობებს.

ზედ თავის ღიმილს დააღვენთებს, დაჰყურებს ხარბად  
და, ვიდრე სარკე აქაფდება, ერთხანს მოიცდის,  
მერე თმას ჩაღვრის სარკეში და შეიხსნის კაბას  
და მხარს ნატიფად ამოზიდავს და ამოიწვდის.

და მწყურვალევით ეწაფება საკუთარ პროფილს:  
სვამს გამომცდელად – ეჭვიანი მიჯნურის დარად –  
ფარული შიშით, ჩუმი ლოცვით და ხელაპყრობით.

ბოლოს კი მხევალს გამოიხმობს და სანთლებს ანთებს, –  
როცა უეცრად წააწყდება ღამეულ წკვარამს  
და სარკის ფსკერზე მიმოზნეულ ფოთლებს და ვარდებს...

## რეკვიემი

*მიძვნილი ვოლფ გრაფ ფონ კალკროითისადმი*

დაწერილია 1908 წლის 4, 5 ნოემბერს პარიზში

ნუთუ არასდროს მინახინარ? რად მიძიმს გული  
ასე მე შენგან, ვით უძიმესი დასაწყისისგან,  
რასაც ნიადაგ თავს არიდებენ. აწ აღვიძვრები  
ჩამოგქნა სიტყვით, გარდასულო შენივ სურვილით,  
შენ, ნეტარებით და ალტკინებით განსვენებულო.  
სიკვდილმა ურვა მართლაც ისე თუ დავაიმა,  
როგორც ელოდი, თუ კვლავ შორსაა აღარსულდგმა  
მკვდრადყოფნისაგან? შენს გულისხმაში: უძვობესია  
იქ დაიუნჯო, სადაც საუნჯე არ ფასობს მეტად.  
გჯეროდა, მიღმა იმავე წიაღს ევანებოდი,  
ხატებასავით თვალწინ რომ გედგა აქ დღენიადავ,  
და იმ სიღრმიდან შეაღწევი ნანატრ სატრფოში,  
ყველაფრის გავლით, იდუმალი რხევით, ძლიერად.  
ო, ნეტავ შენი ეგ ცდომილება ზედმეტად დიდხანს  
არ გაადევნო შენს ყმაწვილურ მცდარ თვალთახედვას.  
დაე, მედინი კაემანით წარტაცებული,  
ლამის ნახევრად ცნობიერი, ვარსკვლავთა ირგვლივ  
წრებრუნვისას, მიაგნებდე იმავე სიხარულს,  
აქედან რაიც შორს განირიდე და იმქვეყნიურ,  
ოდენ შენეულ ზმანებათა მკვდრადყოფნას ანდე.  
რა ახლოს იყავ აქ ძვირფასო იმ სიხარულთან  
და აქ თავადაც რა მყუდროდ იყო, ის რაც მიგაჩნდა  
შენივე მკაცრი მონატრების სერიოზულ ზესიხარულად.

შენი წილხვედრი ბედნიერებით და უბედობით  
სრულიად იმედგაცრუებული, თავს ჩაუღრმავდი  
და მიგნებული თვალთახედვით თავდაღწეული,  
ბნელ მიკვლეულის სიმძიმის ქვეშ ქედღადრეკილი



დაატარებდი იმ სიხარულს, რაც ვერ შეიცან.  
ღიას, სიხარულს დაატარებდი, შენი პატარა  
მხსნელის ტვირთი დაეჭონდა სისხლით და დაასწარი.

დასანანია, მაინც რატომ არ დაელოდე,  
რათა სიმძიმე გამხდარიყო გაუსაძლისი:  
ის ხომ სახეცვლას განიცდის მაშინ, იძენს სიმძიმეს,  
ვინაიდან არის ნამდვილი. ასეთი იყო  
ალბათ წამი უახლოესი შენსკენ მომსრბოლი,  
უკვე კარს უკან მომდგარიყო გვირგვინმოსილი,  
როცა ხმაურით გაიხურე სიცოცხლის კარი...

ჰოი, ეს დარტყმა რარივ მსჭვალავს ქვეყნიერებას,  
როცა კი სადმე მოუთმენლობის შეუბრალები  
გამჭოლი ქარი უმაღვე ხისტად ჩარაზავს ღიას.  
ვის შეუძლია თავი დასდოს, რომ მიწის წიაღს  
მყის არ განწონის სალი თესლი მედინი მუხტით;  
ვინ დაადგინა, რომ დაურვებულ ცხოველთა შორის  
მკვლელობის ჟინი შმაგი ნდომით არ აღინთება,  
როცა ეს ბიძგი გაიკვესებს მათ ტვინში ელვად.  
ცნობს კია ვინმე იმ ზეგავლენას, ძეხორციელთა ძაღლისნმევით  
რომ გადასხლტება უახლოეს მწვერვალზე მყისვე,  
ან ვინ გაუწევს მას მეგზურობას იმ საუფლოში,  
იქ, სადაც ყველა და ყველაფერი არის გამტარი?

რაც ჩაიდინე, თაობებმა განსაჯონ უნდა,  
სამარადისო დამლად გრჩება უკუნისამდე.  
და თუკი გმირი ნილაბივით ჩამოგლეჯს თუნდაც  
ჩვენგან საგანთა ნამდვილ სახედ მიჩნეულ არსს და  
მყის გააშიშვლებს სახეებს, ვისი თვალებიც უკვე  
კარგა ხანია სახეცვლილ ზერელთა მეოხებით  
გვიმზერენ უტყვად, დაჟინებით, გვაკვირდებიან:  
და ჭვრეტენ სახეს, არასდროს რომ გარდაიქმნება:  
სახე, შენგანვე იავარქმნილი. ქვაკუთხედები  
ელაგა აქ და უკვე მათ ირგვლივ ჰაერს შენების  
დაუშრეტელი მსჭვალავდა რიტმი, როცა შენც იქვე  
მიმოდინდი და იმათ წესრიგს ვერ კი ამჩნევდი,

რადგან სავსებით ფარავდა ერთი მეორეს შენგან; გეჩვენებოდა – ღრმად ფესვგადგმული იყო ყოველი, ცდილობდი მაინც, თუმც უიმედოდ, გამკლავებოდი, სასომიხდილმა იტვირთე კიდევ სულ ერთიანად, რათა კვლავ უკან ჩაგეხერგა ქვათა სამტეხლოს ღია წიაღში, რომელმაც ვეღარ დაიტია ამატებული ლოდები, შენი გულით ნაჯერი. ქალის მსუბუქი ხელის შეხება რომ ღირსებოდა ამ მრისხანების ჯერაც ჩვილ საწყისს, ან ნეტავ ვინმე, ვინც შინაგანად და უღრმესი სულიერებით იღვწოდა, წყნარად გზად წაგწყდომოდა, როცა გასწიე ბედისწერის აღსასრულებლად -; ანდა გზასავალს მხოლოდ შენეულს, იმ სამჭედლოსთან ჩაეკლო, სადაც თვალფხიზელი მამაკაცები გრდემლს უროს სცემენ, სადაც დღე სრულად და უბრალოდ ხორციელდება; შენს სავსე მხერას რომ ჰქონოდა მხოლოდ იმხელა სივრცე, რომელიც დაიტევდა მუშაკი ხოჭოს გამრჯე ანარეკლს, მაშინ გახსნილი თვალსაწიერით წაიკითხავდი და ამოხსნიდი იდუმალ წერილს, ბავშვობიდანვე რომ იმარხავდი სულში ხანდაზმით, დრო და დრო ცდიდი, წინადადება აიკინძოსო ეგების თავად: თუმც აზრი მაინც არ გეხსნებოდა. მე ვიცი; ვიცი: შენ მუხლმოყრილი სცვეთდი ნაჭდევებს, როგორც საფლავზე ამოკვეთილ ეპიტაფიას გრძნობენ თითებით. თუკი რაიმე მანათობელი ანთებული გეგულებოდა, კელაპტარივით ხელთ გეპყრა მტკიცედ ამ სტრიქონის წინ; თუმცაღა ალი უმაღვე ჩაქრა, ვიდრე აზრს ჩასწვდი, ალბათ, შენივე სუნთქვამ, ანდა, ხელების თრთოლამ თუ ჩააქრო, ან სულაც ისე, თვით ჩაინავლა, როგორც ხანდახან იცის ალმა გამოსალმება. შენ ვერასოდეს ამოიკითხე, რასაც ეძებდი, ჩვენ კი, სიშორით გულნატკენნი - უკვე ვერ ვბედავთ.

მხოლოდღა ლექსებს თუ მოვიძიებთ, რომლებიც ჯერაც შენი შეგრძნების თავდაღმართზე მიაქანებენ სიტყვებს, შენგან ამორჩეულებს, თუმც ყველა როდი აგირჩევია: ხშირად საწყისი მზად გექმეოდა, ვით მთლიანობა და შენც გამგონედ იმეორებდი, გასასრულებლად მოგანდეს თითქოს. და მწუნარებად მიიჩნევი ამ დავალებას. ო, ნეტავ სულაც არ მოგესმინა ის - ამოთქმული შენგან ლექსებად. ახლა კი შენი ანგელოსი ხშიანებს ისევ, ის სულ სხვანაირ ჟღერადობას ანიჭებს სიტყვებს და აღტკინება მეუფლება, მხიბლავს მისი ამეტყველება, მიიღე შენად ეს აღტკინება: შენია რადგან: რომ რაც გაგაჩნდა უძვირფასესი, დაჰკარგე ისევ, რომ შენ მხილველად გარდასახვისას, უარყოფა და - სიკვდილში კი წინსვლა შეიცან. ო, შენი იყო, ხელოვანო, ეს სამი ღია, უსაზმნო ფორმა. აი, იხილე ლითონსხმული სახე პირველის: სივრცე შენი გრძნობების ირგვლივ, იმ მეორიდან, გაგენდობი, იხსნება ჭვრეტა, დიდ შემოქმედთა ჭვრეტაა იგი, არასმწყურვალი; მესამეში კი, შენ თავად რომ უდროოდ მოსრე, ვიდრე პირველი სინჯი მასში ჩაიღვრებოდა გულის ვარვარა კუნთიდან მფეთქავ მწველი საზრდოსი —, იყო სიკვდილი, უშეღავათო გარჯის შედეგად ღრმად ჩატვიფრული, ის საკუთარი სიკვდილი, ასე უთუოდ რომ ვჭირდებით, რადგან ვაცოცხლებთ ჩვენით, და არსად სხვაგან ასე ახლოს არა ვართ მასთან, როგორც აქ, მხოლოდ სააქაოს, ამ საუფლოში.

ეს ყველაფერი შენი იყო, სიმდიდრე შენი; და ეს გუმანით გიგრძნვია ხშირად; მაგრამ შეძრწუნდი, როცა იმ ფორმებს, უკიდევანოს, უფრო ღრმად ჩასწვდი, თუმც მოიხვეჭე მარტოოდენ სიცარიელე და საკუთარ თავზე მოსთქვამდი. — ო, პოეტების

ოდინდელი ჩვევა წყეული, საცა თქმა სჯობდა,  
არჩევენ სულთქმას, საკუთარ გრძნობის განსჯას მისდევენ,  
ნაცვლად იმისა, აღზარდონ იგი და სჯერათ ისევ,  
იციან თითქოს, რა გააჩნიათ სასიხარულო,  
თუ საწუნხარი. თითქოსდა ლექსად სინანულისა,  
ან ხოტბის თქმისა ჰქონდეთ უფლება. სნეულებივით  
ურვა-ვაებით აღვიწერენ წვრილად სატკივარს,  
იმის მაგივრად - მეტყველ სიტყვებად გარდაისახონ,  
იმ ქვისძთლეღივით, ტაძრის აგებას შეჭიდებული,  
ქვის გულგრილობას თავდავიწყებით რომ შეერწყმება.

ეს კი ხსნა იყო. თუნდ ერთხელ მაინც რომ დაგენახა  
როგორ შეაღწევს ბედისწერა ლექსის სხეულში,  
უკან კი უკვე აღარ ბრუნდება, როგორ შეიძენს  
ლექსის წიად სურათის სახეს, შენი წინაპრის  
მოვარაყებულ, სურათად ქცეულ ხატებასავით,  
რომელსაც თუკი ახედავდი, გეჩვენებოდა,  
რომ გგავდა კიდეც და არც კი გგავდა —  
შენ დაითმენდი.

თუმცა გვაკნინებს იმაზე ფიქრი,  
რაც არ ყოფილა. თან საყვედურის ელფერი დაჰკრავს  
შედარებასაც, შენ რომ არასგზით გესადაგება.  
რაც კი რამ ხდება, ჩვენს გულისხმამდე მოსაღწევად  
იმ დროჟამს ითვლის, რომ ჩვენ არა თუ დავეწევით,  
ვერც კი გავიგებთ, სინამდვილეში რა სახით მოხდა.

არ მოგერიდოს, როცა მკვდრები შეგეხებიან,  
სხვა, უცხო მკვდრები, ბოლომდე რომ გაუძღეს სვებელს.  
(ეთქმის კი ბოლო?) გაუზიარეთ ერთმანეთს მზერა,  
აუჩქარებლივ, უდრტვინველად, როგორც წესია,  
და არ შეშინდე, რომ ჩვენი გლოვა გამორჩეულად,  
იმათთვის უცხო, თვალში საცემ სიმძიმეს შეგძენს.  
ოდინდელ დროთა დიდი სიტყვები, ჯერაც ხილვადი  
ხდომილება რომ არსებობდა, არ თქმულა ჩვენთვის.  
გამარჯვებას ვინღა ახსენებს? დათმენა უკვე ყველაფერია.

## კრებულიდან მარიამის ცხოვრება

### მწყემსთა ხარება

ზეამომხედეთ, კაცნო, ცეცხლს რომ მიეფიცხენით, მწყემსნო, თქვენ უწყით ეს უსაზღვრო ზეცის თავანი, ზეამომხედეთ, ახალ ვარსკვლავს, ვარსკვლავთმრიცხველნო, მე ვარ ვარსკვლავი მოკაშკაშე, ამომავალი. მთელი არსებით ვბრწყინავ, ისე დაუსაბამო შუქით ვივსები, აღარ მყოფნის ცა უსამანო, გთხოვთ, თქვენს ყოფნაში ჩაღვენთოთ ჩემი ნათელი, რადგან ივსებით ღამის მზერით, ღამის თვალებით, ხართ ღამეული ბედისწერით განაწვალები. მწყემსნო, თქვენთანაც მე ვარ ეული, თუმც უცაბედად მებოძა სივრცე, – ცა ვარსკვლავებით გადარწეული. ნუ გაგაკვირვებთ, პურის ხემ რომ ჩრდილი დაჭვინა, იგი ხომ ჩემგან აღმოცენდა, ჩემგან გაფრინდა. შეუდრეკელნო, უშიშარნო, ჩანს, მომავალი თქვენს ამომზირალ სახეებზე როგორ ანათებს, ჩემს მძლავრ ნათელში შეიცვლება მალე მრავალი, მართლმორწმუნენო, თქვენ გენდობით, არ მიღალატებთ. ო, მღუმარენო, საიდუმლოს თქვენ გიწყალობებთ, თქვენ გესიტყვებათ წვიმა, გვალვა, მწვანე კორომი, თქვენ გესიტყვებათ ქარი, მღელღო, ჩიტთა გალობა, თქვენა ხართ მცველნი მიწიერი წონასწორობის. თქვენ არ ესწრაფით გარდასახოთ ამპარტავენებად ის, რაც თქვენშია. არ აწვალებთ საგნებს თავნება რალაც წადილით, მკერდში, როგორც ვიწრო დილეგში. ანგელოზია სიხარულის წმინდა სათავე, თქვენ კი - სათავე მიწიერის, მისი ღინება,

და თუ მაყვლოვანს უფლის შუქი აათავთავებს,  
იხმობს ქერუბიმს უფალი და თუკი ინება,  
რომ ჩაუაროს თქვენს ფარას და შეყოვნდეს იქვე,  
არ გაოცდებით, და იმათაც აღიქვამთ მიწად,  
აღავლენთ ლოცვას, დაემხობით მიწაზე პირქვე.

ეს უკვე იყო, ამჟამად კი მოვა ახალი,  
დედამიწის წრეს ვინც განავრცობს მეტი ჭიდილით,  
რა არის ჩვენთვის ეკალბარდი, ღმერთი მაღალი  
ქალწულის წმინდა საშოთი რომ განიმსჭვალება!  
მე ვარ წიაღის უწმინდესის აელვარება,  
რომ წაგიდღვებთ, მწყემსო, მარადის.

# დუინური ელევები

თავადის ქალის მარია ფონ თურნ უნდ  
თაქსის-ჰონენლოეს სამფლობელოდან.

## პირველი ელევია

თუნდაც მეყვირა, ვინ მისმენდა ანგელოსთ შორის?  
ან მათგან ერთ-ერთს კიდევაც რომ ჩავეკარ გულში,  
მისი ძლიერი არსებობა სულს ამომხდიდა.  
რადგანაც არის მშვენიერი მხოლოდ საწყისი  
შემზარავისა, რომელსაც ჩვენ ჯერ კიდევ მაინც  
როგორღაც ვუძლებთ და შევხართ, რადგანაც იგი  
უგულბელგვყოფს გულგრილად და არ გვანადგურებს.  
თითოეული ანგელოსი შემზარავია.

თავს ვიოკებ და ყრუ ქვითინის ხმას მაცდუნებელს  
ჩემშივე ვახშობ. ო, ჩვენ მაინც ვინ შეიძლება  
გამოგვდგომოდა? არც კაცი და არც ანგელოსი.  
და გონიერი ცხოველებიც ხვდებიან უკვე,  
რომ ჩვენ ამ ახსნილ სამყაროში თავს შინ ვერა ვგრძნობთ.  
ჩვენ გვრჩება, ალბათ, ფერდობზე მდგარ ხესთან შესვედრა  
ყოველდღიური; გუშინდელი ქუჩაღა გვრჩება  
და ნებიერი ერთგულება ჩვეულებისა,  
რომელსაც ჩვენთან ემყუდროვა და არ გაგვშორდა.

ო, ღამეც, ღამეც, როცა ქარი, სამყაროული  
სივრცით აღსავსე, ჩვენ გვიფიჭავს სახეს თანდათან,  
ვისაც არ უნდა დარჩეს იგი, მაინც ასეთი  
სასურველია, ასე ნაზად სასოწარმკვეთი  
და მარტოდშენილ გულისათვის მძიმედ საძლისი.  
შეყვარებულებს განა უფრო ეიოლებათ?  
ო, ისინი ზომ თავიანთ ხვედრს ერთი მეორით იფარვენ მხოლოდ.

შენ ეს ჯერაც არ იცი განა?  
მაგ მკლავებიდან კვლავ გადუგდე სიცარიელე

იმავე სივრცეებს, ჩვენ რომ ვსუნთქავთ; ფრინველნი, ალბათ, განვრცობილ ჰაერს შიდა ფრენის წყალობით გრძნობენ.

ღიას, შენ სურდი გაზაფხულებს, ბევრი ვარსკვლავი იმედოვნებდა, რომ მათ გრძნობდი, აზვირთდებოდა წარსულში ტალღა, ანდა ღია სარკმელთან ჩავლილს შენ გულს გიხსნიდა ვიოლინო, ეს ყოველივე გეკისრებოდა დავალებად, მაგრამ ოდესმე დაძლიე იგი? დაბნეული არ მდგარხარ ჯერაც ლოდინით, თითქოს შენთვის სატრფო ეუწყებინოს ამ ყოველივეს? (სად დამალავ მას, როცა სხვათა დიდი აზრები მიდიან და გიბრუნდებიან და ხშირად ღამის გასათევად რჩებიან შენთან).

როდესაც სევდა მოგეძაღვის, მაშინ უმღერე შეყვარებულებს, სახელგანთქმულ გრძნობას იმათსას ჯერ ხომ საკმაო უკვდავება არ ღირსებია.

მიტოვებულებს თითქოს შურით უმზერ, რადგანაც მათ მეტი ჰქონდათ სიყვარული, ვიდრე ჟინმოკლულთ.

მუდამ თავიდან წამოიწყე მიუწვდომელი ქება; იცოდე, თავს ინახავს ყოველთვის გმირი, სიკვდილიც მისთვის იყო მხოლოდ საბაბი მისი არსებობისა; დაბადება უკანასკნელი.

შეყვარებულთ კი ქანცმინდელი ბუნება ისევე უკან იბრუნებს, თითქოს ძალი აღარ შესწევდეს მათი კვლავ ქმნისა. საკადრისად თუ დაგაფიქრა გასპარა სტამპამ, მიტოვებულ ქალიშვილს ვინმეს ამ მიჯნურების ამაღლებულ მაგალითზე რომ გულში გაეკლო: იქნებ გავხდე მეც მათი მსგავსი? ნუთუ, ეს ძველი ვაებანი, ბოლოს და ბოლოს, არ უნდა იქცნენ ჩვენთვის უფრო ნაყოფიერად? არ დადგა ჟამი, რომ გვიყვარდეს და, ამავე ღროს, გავთავისუფლდეთ მიჯნურისგან, თრთოლვით გავუძლოთ ამ განშორებას, ვით შშვილდის ლარს უძლებს ისარი, რათა ნახტომად მომაგრული თავს აღემატოს. რადგან დარჩენა არსად არის შესაძლებელი.

ო, ხმები, ხმები, გულო ჩემო, ისმინე ისე,



როგორც ისმენდნენ წმინდანები. მათ ხმა ძლიერი  
ყოველთვის აღმა ეწეოდა, მაგრამ ისინი,  
უსაშველონი, მაინც ისევ მუხლმოყრით იდგნენ  
და ირგვლივ უკვე ველარაფერს ამჩნევდნენ. ასე  
შეეძლოთ სმენა. არა, ღვთის ხმას შენ ვერ გაუძლებ.  
მაგრამ უსმინე ამ მონაბერ ამბავს, რომელიც  
მომდინარეობს განუწყვეტლივ მღუმარებიდან.  
აწ ნორჩ მკვდართაგან მოშრიალებს იგი შენამდე.  
სადაც არ უნდა შესულიყავ, ნეაპოლის თუ  
რომის ტაძრებში, განა შენთან მათ ბედისწერას  
გულდამშვიდებით არასოდეს უსაუბრია?  
ან შენს წინაშე დიდებულად წამომართულა  
წარწერა ისე, როგორც დაფა ცოტა ხნის წინათ  
სანტა მარია ფორმოზაში ამოზიდული.  
რა უნდათ ჩემგან? ჩუმად უნდა ჩამოვაცილო  
უსამართლობა გარეგანი, რაიც დროდადრო  
მათ სულთა წმინდა მოძრაობას ოდნავ აბრკოლებს.

უცნაურია, მართლაც, უკვე აღარ მკვიდრობდე  
დედამიწაზე. ძლივძლივობით შეთვისებული  
ჩვეულებები არ ასრულო აღარასოდეს,  
ვარდებს და საგნებს, უცნაურად მაიმედებელთ,  
აწ აღარ მისცე მნიშვნელობა კაცთა მომავლის;  
ის აღარ იყო, რაც იყავი უკიდურესად  
მფრთხალ ხელთა შორის, აღარ იყო ამიერიდან  
აღარასოდეს, და მიაგდო სახელი შენი,  
ვით სათამაშო გატეხილი. საოცარია,  
აღარ ისურვო სურვილები, საოცარია,  
რომ ყველაფერი, რაც ურთიერთკავშირში იყო,  
უცებ იხილო მოლივლივედ ლაღად სივრცეში.  
სიკვდილში ყოფნა სამძიმოა და ამოგებით  
არის აღსავსე იმდენად, რომ თანდათანობით  
მარადისობას იგრძნობ მცირედს. მაგრამ ცოცხალნი  
ცდებიან, როცა ასხვაგვებენ ესოდენ ძლიერ.  
ანგელოსთ ხშირად (ამბობენ, რომ) არც კი სცოდნიათ,  
მიცვალებულთა შორის იყვნენ თუ ცოცხალთ შორის.

მარადიული მდინარება ორსავე სფეროში  
თან მიიღენის და ყრუდ აზშობს ყოველგვარ ასაკს.

დაბოლოს, უკვე არც ვჭირდებით აღრე გარდაცვლილთ.  
მიწიერებამ გადაჩვევა იცის ნაზადვე,  
ვით დედის ძუძუმ. მაგრამ ჩვენ კი, რომლებსაც ასე  
გვჭირდება სწორედ დიდებული საიდუმლონი,  
რომლებისთვისაც ძალზე ხშირად მწუხარებიდან  
წარმოიშვება ნეტარი წინსვლა;  
ჩვენ განა ძაღვების უიმათოდ გაძლება ქვეყნად?  
განა ფუჭია ის თქმულება, რომელიც გვამცნობს,  
ლინოსზე მოთქმამ ვით განმსჭვალა უპირველესად  
გაბედულ ჰანგით გაოგნება, და რომ მარტოდენ  
შემკრთალ სივრცეში, საიდანაც სამარადისოდ  
გავიდა თითქმის ღვთაებრივი ჭაბუკი უცებ,  
სიცარიელე იმ რხევაში გადაიზარდა,  
რომელიც ახლაც გვანუგეშებს, გვიტაცებს, გვშველის.

## მეორე ელემენტი

თითოეული ანგელოსი შემზარავია,  
და ვაი ჩემს თავს, თქვენი მცოდნე მაინც გიგალობთ,  
თქვენ – თითქმის მომაკვდინებელი სულის ფრინველნი.  
საით წავიდნენ ტობიას დღენი,  
უგაცისკროვნებულესთავან ოდეს ერთ-ერთი  
იღვა უბრალო სახლის კართან, ოდნავ სამგზავროდ  
გადაცმული და უკვე აღარც შემზარები.  
(ჭაბუკი ჭაბუკს რანაირი ცნობისწადილით  
გამოჰყურებდა), ამჟამად კი ვარსკვლავთ ჩამოდმა  
მთავარანგელოსს, საზარს, თუნდაც ერთი ნაბიჯიც  
რომ ჩამოედგა ქვემოთ, აქეთ: ჩვენივე გულების  
მზარავი ფეთქვა გვიმსხვერპლებდა, მაინც ვინა ხართ?

დასაბამითვე იღბლიანო, შემოქმედების  
ნებიერებო, მათა მწკრივნი, ყოვლისქმნადობის  
რიჟრაჟით ოდნავ შეფერილო ქედთა ზოლებო, –  
აყვავებული ღმერთის მტკერნი, სხივთა სახსრებო,  
სინათლის ძარღვნი, კიბეებო, სამეფო ტახტნი,  
არსის სივრცენი, ნეტარების საფარველებო,  
გრძნობათ დელვანი, და უეცრად, პირისპირ მდგარო  
სარკენო: თქვენსავ გამონაშუქ მშვენიერებას  
კვლავ რომ საკუთარ სახეებში იბრუნებთ ხოლმე.

ჩვენ კი, როდესაც გვეუფლება განცდა, ვქროლდებით.  
ოჰ, ჩვენ სუნთქვისას სული გვხდება, აალებისას  
ნაღვერდალივით ინავლება ჩვენი სურნელი.  
აქ, შეიძლება ვინმემ გვითხრას: ო, შენ ჩემს სისხლში  
შემოდიხარ და ეს ოთახი, ეს გაზაფხული  
მარტოდენ შენით ივსებაო... მაგრამ ჩვენ იგი  
ვერას გვიშველის, ვერ შეგვაყოვნებს.  
ჩვენ თვით მასშივე და მის ირგვლივ ვქრებით თანდათან.  
ან მშვენიერთა შეყოვნებას რომელი შესძლებს?  
მათ სახეებზე განუწყვეტლივ ჩნდება იერი  
და ისევ ქრება. ვით ცვარ-ნამი ნორჩ ბალახთაგან,  
ისე ორთქლდება ჩვენგან ჩვენი, ისე გვცილდება,

ვით ოსშივარი ცხელი კერძით გავსებულ ლანგარს.  
ლიმილო, საით? ჰოი, მზერავ ზეაპყრობილო:  
ახალო, თბილო, მიმსხლტომელო ტალღავ გულისსა;  
და ვაი ჩემს თავს, მაინც ესა ვართ.  
სამყაროს სივრცეს, რომელშიაც ჩვენ განვზავდებით,  
ნუთუ არ დაჰკრავს ჩვენი გემო სულ ოდნავ მაინც?  
ანგელოსები, მართლაც, მხოლოდ იმას იჭერენ,  
რაც იმათგანვე მოიფრქვევა, თუ იქ ხანდახან  
თითქოს შემთხვევით გაერევა ჩვენი არსების  
რალაც ნასახიც? იმათ ნაკეთებს ჩვენ თუ ვაჩნდებით  
იმდენად მაინც, ვით ფეხშიმე ქალების იერს  
ბუნდოვანება? მაგრამ ამას ისინი მაინც  
ველარ ამჩნევენ თავის წიად უკუმიქცევის  
ორომტრიალში (ამას როგორ მოახერხებენ).

შეყვარებულნი, რომ შეძლებოდათ,  
საოცრად ამეტყველებოდნენ ღამის ჰაერში.  
ჩვენ თითქოს გჩქმაღავს ყველაფერი. აი, შეხედე,  
დგანან ხეები, ის სახლებიც, რომლებშიც ვცხოვრობთ,  
კვლავ არსებობენ, მარტოოდენ ჩვენ მივისწრაფვით,  
როგორც ჰაერის მიმოქცევა, ყველაფრის მიღმა.  
და ყოველივე ერთსულოვნად მდუმარებს ჩვენზე.  
ნახევრად, ალბათ, მორიდების და ნახევრად კი  
გამოუთქმელი იმედის გამო.

მიჯნურნო, ერთურთკმარებულნო, ჩვენზე მსურს გკითხვით.  
ერთმანეთს ასე რომ ეხებით, რა გაქვთ საბუთად?  
ჩემი ხელები, ხედავთ, ზოგჯერ ერთი მეორეს  
უახლოვდება, მათში ვმაღავ გაცრეცილ სახეს  
და ეს მანიჭებს მცირეოდენ რალაც შეგრძნებას.  
მაგრამ, მითხარით, მარტოოდენ ამისთვის ყოფნა  
ვის გაუბედავს? თქვენ კი სხვისი აღფრთოვანებით  
იზრდებით მანამ, ვიდრე იგი, უკვე ძლეული,  
არ შემოგვედრებთ: კმარა, მეტი აღარ ძალმიძსო.  
თქვენ, ერთმანეთის ხელების ქვეშ უხვმოსავლიან  
წლებად ქცეულნო, თქვენ თუ ჰქრებით ზოგჯერ, ეს ხდება  
მხოლოდ მეორის აღმატებით. თქვენ მინდა გკითხვით

მე ჩვენს შესახებ. ვიცი, ხელებს ერთი მეორეს ასეთი დიდი ნეტარებით მიტომ აკარებთ, რადგანაც ალერსს შესწევს ძალი შეყოვნებისა, რადგან ადგილი, ასე ნაზად რომელსაც ფარავთ, თითქოს არ ჰქრება, რადგან იმის ქვეშ გრძნობთ ხოლმე წმინდა სიხანგრძლივეს, ერთ მოხვეწებაში ასე ჰპირდებით თქვენს თავს თითქმის მარადისობას. და მაინც, როცა გადალახავთ პირველ თვალთმოკერის ურთიერთედებას და სარკმელთან ნაღვლიანობას და ბაღში ერთად პირველ ერთხელ გასეირნებას, შეეყვარებულნო, იგინივე იქნებით განა? როცა ერთმანეთს თავს გაუწვდით და პირს მიედგებით: სასმელი სასმელს: ო, მაშინ კი მსმელი უეცრად რა უცნაურად აარიდებს თავს მოქმედებას.

არ გაოცებდით თქვენ ატიკურ სტელებზე ნაკვეთ ადამიანთა მოძრაობის დიდი სიფრთხილზე? სიყვარული და დამშვიდობება განა მათ მხრებზე არ ესვენათ ისე მსუბუქად, თითქოს ჰქონოდეთ სულ სხვაგვარი მასალისანი, ვიდრე ჩვენა გვაქვს? გაიხსენეთ თუნდაც ხელები, ვით ასვენია, რარიგ ძალადაუტანებლად, თუმცა ტორსებში ძლიერება არის ჩამდგარი. იმ თავდაჭერილთ ეს იცოდნენ: ჩვენ ვართ აქამდე, და ეს ჩვენია, ეს ამგვარი შეხება ჩვენი; უფრო მეტად კი ჩვენ ღმერთები აღგვამაღლებენ. ეს კი საქმეა თავად ღმერთების.

ჩვენც რომ გვეპოვნა იღუმალი, წმიდა, ნათელი და ვიწროადამიანური, ჩვენი კუთვნილი პატარა ზოლი ნოყიერი ნიადაგისა მდინარესა და ლოდებს შორის. რამეთუ ჯერაც აღგვემატება ხოლმე გული ისე, ვით იმათ. და აღარ ძალგვიძს უკვე მისთვის თვალგადევნება არც სურათებში, რომლებიც მას ჰმატებენ სიღბოს, და არც ღვთაებრივ სხეულებში, სადაც ის უფრო ახერხებს ხოლმე თავდაოკებას.

## მესამე ელვია

ერთია, სატრფოს უმღეროდე, ვაი, რომ სხვაა,  
სისხლის მდინარის ღმერთს უმღერო, მაღულ ბრალეულს  
თვითონ იმ ვაჟმა, რომელსაც სცნობს სატრფო შორითვე,  
რა იცის ვნების მბრძანებელზე, რომელსაც ხშირად  
მარტოდმყოფისგან, სანამ ქალი დაარწყულებდა,  
უმეტესად კი თითქოს ქალი არც ყოფილიყოს,  
ჰოი, როგორი შეუცნობი სისველით მჟონავს  
ზეალუმართავს ღვთაებრივი თავი და ღამე  
მარადიული ამბოხისთვის გამოუხმია.  
სისხლის ნებტუნი, შემაზრზენი თავის სამკაპით,  
ო, დახვეული ნიჟარიდან ამონახეთქი  
იმისი მკერდის ბნელი ქარი. ყური მიუგდე,  
როგორ ივრცობა ღამე, როგორ ღრმავდება იგი.  
ო, ვარსკვლავებო, თქვენგან ხომ არ იღებს დასაბამს  
მიჯნურის ჟინი თავის სატრფოს იერისადმი?  
მას შინაგანი ალლოთი ხომ არ შეუცენია  
ეს წმიდა სახე წმიდა თანავარსკვლავედისგან?

ვაი, რომ არც შენ, არც დედამისს არ დაგიჭიმავთ  
ამგვარად მისი მომლოდინე წარბების მშვილდი.  
ო, შენგან არა, შენგან არა, იმის მგრძნობელო  
ნაზო გოგონავ, იმას შენგან არ მოგრეხია  
ნაყოფიერად მეტყველი ტუჩი.  
ნუთუ გგონია, რომ ეგ შენი უმსუბუქესი  
გამოცხადება მას ამგვარად ააღელვებდა? —  
ო, შენ ხომ დილის სიოსავით ნაზად აბიჯებ.  
შენ თუმც შეუკრთე გული, მაგრამ მიკარებისას  
მასში შეცვივნენ უფრო ძველი შიშის განცდანი.  
მოიხმე... მაგრამ ვერასოდეს ვერ გამოიხმობ  
იმ სიბნელიდან. მართალია, მას უნდა ხოლმე,  
თავისუფლება კიდევ ზოგჯერ, შვებით ერვევა  
შენს ფარულ გულს და თითქოს იღებს თავის სათავეს.  
მაგრამ სათავე აუღია თვითონ ოდესმე?

დედავ, პატარად შენ აქციე, შენ იყავ იგი,  
ვინც მას მიეცი დასაბამი, შენთვის ის იყო

სიახლე რაღაც უჩვეულო, მის ნორჩ თვალებთან  
ხრილი სამყაროს ალერსიანს, სხვას არიდებდი.  
ჰოი, ის წლები სად წავიდნენ, გადაფოფრილი  
მას ბობოქარი ქაოსისგან რომ იფარავდი?  
შენ ასე მისგან ბევრი რამის დაფარვა შესძელ.  
საეჭვოდ ბნელი ღამეული ოთახი მისთვის  
უენებელჰყავი და მთლიანად საფრადქცეული  
შენი გულიდან მის ვრცელ ღამეს ჰმატებდი სივრცეს  
აღამიანურს. უკუნეთში კი არ უდგამდი  
ღამეულ სანთელს, ო, არამედ შენს უახლოეს  
არსებობაში, და ის ენთო თითქოს კეთილად.  
არა ყოფილა სულ პატარა რაღაც ფაჩუნიც,  
შენ რომ ღიმილით არ აგეხსნა, თითქოსდა მართლაც  
დიდი ხნით აღრეც გცოდნოდა, როდის  
მიუყრდებოდა იატაკის ფიცრის ჭრიალი...  
ის ვისმენდა და წყნარდებოდა. ასე ბევრი რამ  
შეეძლო შენს ნაზ წამოდგომას; იმისი ბედი  
წამოსასხამში გახვეული, კარადის უკან  
იმალებოდა, ოღნავ შემკრთალ ფანჯრის ნაოჭებს  
ეფარებოდა შფოთიანი მისი მერმისი.

და ის კი თვითონ იწვა მშვიდად, რულმოკიდებულ  
ქუთუთოებქვეშ შენი სათნო იერის სიტკბოს  
საამოდ გრძნობდა უკვე ნაგემ თვლელაში ჩამდნარს –  
დაცული ჩანდა... მაგრამ შეგნით: წინ ვინ აღუდგა  
თვით მის წიაღში მოზღვავებულ წარმომავლობას?  
აქ კი მძინარი დაუცველი იყო სრულიად.  
მძინარი, მაგრამ სიზმრიანი, მაგრამ მთლიანად  
ციებ-ცხელებით შეპყრობილი: ის მასში რარიგ  
იძირებოდა. ნორჩსა და მფრთხალს რარიგ ეხვია  
შიდაქმედების მხვიარები შორსწანაზარდი,  
ქცეული თარგად, მახრჩობელა აღმოცენებად  
და ცხოველურად მღეკარ ფორმებად.  
ო, იგი როგორ ეძლეოდა – როგორ უყვარდა.  
უყვარდა თავის სიწიაღე, თავის უღრმესი  
უღრანი ტევრი, შინაგანი უსიერობა,  
რომლის მღუმარე ნამუსრევზე მისი მომწვანო  
გული ზეობდა. მას უყვარდა, უღრმავდებოდა

საკუთარ ფესვებს უძლიერეს პირველსაწყისში, სადაც თვით მისი დაბადებაც მოჩანდა მცირედ და დაძლეულად. სიყვარულით იძირებოდა უფრო ძველ სისხლში, ხეობებში, სადაც ელოდა საშინელება მამათაგან ჭარბად ნაჯერი. და მას ყოველი შემზარავი იცნობდა, თვალსაც უკრავდა ისე, როგორც შეთქმულს. დიახს, მას თვითონ მაძრწუნებელი უღიმოდა... შენ იშვიათად გაგიღიმიო მისთვის ასე ნაზად, დედაო. როგორ არ უნდა ჰყვარებოდა, როდესაც იგი მას ამნაირად უღიმოდა, შენს უწინარეს უყვარდა იგი, ვინაიდან მაშინვე, ვიდრე მას ატარებდი, უკვე იყო გაზავებული იმ სისველეში, რაც ჩანასახს ატივტივებდა.

ხედავ, არ ძალგვიძს სიყვარული მხოლოდ ერთწლიან ყვავილთა მსგავსად; ჩვენს მკლავებში სიყვარულისას აღმოისწრაფვის ხოლმე წვენი პირველყოფილი. ჰოი, გოგონავ, ეს, რაც გვიყვარს, ჩვენში არ არის აწმოსახდენი, რაღაც ერთი, არამედ რაიც დულს უამრავად; ერთადერთი ბავშვი კი არა, მამები, როგორც კლდის ნაშალი ჩვენს უფსკრულებში, ყოფილ დედათა კალაპოტი ამომამრული; მთელი მდუმარე არემარე მოღრუბლულსა თუ მოწმენდილ ბედქვეშ. ეს, გოგონავ, შენამდე იყო.

და, შენ, ისე, რომ არც იცოდი, შეყვარებულში ის ღრმა წარსული ამოიხმე. ეს რა გრძნობები ამოზეზევდნენ აწგარდაცვლილ არსებათაგან. აქ შენ რომელმა დიაცებმა აგითვალწუნეს. ეს რომელიღა ამღვრეული მამაკაცები აამღელვარე ამ ჭაბუკის მფეთქავ ძარღვებში. მკვდარი ბავშვები მოგელტვოდნენ... ო, ნაზად, ნაზად, მიუალერსე, საიმედოდ უქციე საქმე ყოველდღიური, – მიიყვანე ბაღთან ახლოს და მიეც ღამეთა სისავსენი... დააშოშმინე...



## მეოთხე ელემბია

ჰოი, ხეებო სიცოცხლისა, როდის იზამთრებთ?  
ჩვენ არ ვართ ერთნი, გადამფრენი ფრინველებივით  
შეთანხმებულნი, ვაგვიანებთ, უცებ ავყვებით  
ქარებს და ვცვივით რომელიღაც გულგრილ გუბეში.  
ჩვენ ყვაყილობას და ჭკნობასაც ვგრძნობთ ერთდროულად.  
სადღაც ლომები კვლავ დადიან და ვიდრე შესწევთ  
ძალმოსილება, სიძაბუნის არრა იციან.

ჩვენ კი როდესაც ერთს ვგულისხმობთ, მთლიანად, უკვე  
ვგრძნობთ, რომ სხვა რაღაც იხარჯება. მტრობაა ჩვენთვის  
უახლოესი. განა თვითონ შეყვარებულნიც  
არ აწყდებიან ერთმანეთში საზღვრებს, თუმცაღა  
თავს ჰპირდებოდნენ სივრცეს, დევნას და სათვისტომოს.

და აქ მზადდება წამიერი წარმოსახვისთვის  
საპირისპირო რაღაც ფონი, ძალისძალობით,  
რომ ჩვენთვის გახდეს აშკარა და შევძლოთ დანახვა.  
ჩვენთვის სრულიად უცნობია გრძნობის კონტური:  
მხოლოდ ის ვიცით, რაც გარედან აძლევს მას ფორმას.

შეძრწუნებული ვინ არ მჯდარა თავისი გულის  
ფარდის წინაშე? იხსნებოდა იგი თანდათან.  
დეკორაციად იყო მხოლოდ დამშვიდობება.  
ამის გაგება იოლია. ნაცნობი ბალი  
და მისი ნელი მიმორხევა! მხოლოდ შემდეგღა  
გამოჩნდებოდა მოცეკვავე, ოღონდ ის არა.  
საკმარისია! ვინაიდან მან თუნდ ლაღადაც  
რომ მოგვაჩვენოს თავი, ის ხომ გადაცმულია,  
გადაიქცევა კვლავ ბეურგერად და, ჩვეულებრივ,  
სამზარეულოს გავლით შევა თავის ბინაში.

მე ამ ნახევრად სავსე ნიღბებს თოჯინა მიჯობს.  
იგი სავსეა. მე ამ ფიჭულს მინდა გაუძლო,  
თვით ძაფებს მისას და მის სახეს, ქმნილს მარტოოდენ  
გარეგნობისგან. მე აქა ვარ, ამის წინაშე.  
თუნდ ყველა ჭადი ჩააქრონ და მითხრან, რომ უკვე  
აღარ იქნება არაფერი, თუნდაც სცენიდან

რუხ გამჭოლ ქარად დამიბეროს სიცარიელემ,  
არავინ მეჯდეს გვერდით მღუმარ წინაპართაგან,  
არც ერთი ქალი, თვით ელაში წაბლისფერთვალა  
ბიჭიც კი არა: მაინც აქვე დავრჩები, რადგან  
ყოველთვის არის სანახაობა.

არ ვარ მართალი? შენ, რომელსაც ჩემს გარეშემო  
ასეთი სიმწრით გიგემნია შენი ცხოვრება  
და იქვე ჩემიც გაგისინჯავს, მამავ, ჩემივე  
ვალდებულების სულ პირველი მღვრიე ნაყენი,  
და მე როდესაც ვიზრდებოდი, შენ გამუდმებით  
იღებდი ჭაშნიკს და სრულიად უცხო მომავლის  
გემოს სინჯვაში გართული სცდიდი  
შენ ჩემს საზრიან ზეამოხედვას, –

შენ – მამავ ჩემო, შენ, რომელიც სიკვდილის დღიდან  
შიშით ძრწი ჩემში, ჩემს იმედში და გულგრილობას,  
მიცვალებულთა გულგრილობის მთელ სამეფოებს  
თმობ ჩემი ბედის ნამცეცისათვის,

არ ვარ მართალი? თქვენ მოემართავთ, არ ვარ მართალი?

ო, თქვენ, რომელთაც ასე გიყვარდით  
ჩემი თქვენდამი სიყვარულის რაღაც ოდნავი  
საწყისისათვის, რასაც მუდამ თავს ვარიდებდი,  
რადგანაც სივრცე თქვენს სახეში, მე რომ მიყვარდა,  
გადადიოდა სამყაროულ სივრცეში, სადაც  
თქვენ უკვე აღარ არსებობდით... როდესაც ასე  
ვარ განწყობილი, თოჯინების სცენის წინაშე  
ვიცადო, არა, ჭვრეტად ვიქცე მთელი არსებით,  
ვიდრე ამ ჩემი ჭვრეტის გამაწონასწორებლად  
იქ მსახიობად ანგელოსი გამოჩნდებოდა,  
ამ ფიტულების ამომწვევი ანგელოსი და  
თოჯინა, – აი, საბოლოო სანახაობა.

მხოლოდ მაშინღა მოხერხდება იმისი შერწყმა,  
რასაც ჩვენ მუდამ ვაცალკევებთ არსებობისას,  
და მხოლოდ მაშინ დასრულდება ჩვენს წლის დროთაგან  
წრებრუნვა მთელი ფერისცვალების.  
მაშინ ჩვენს ზემოთ ანგელოსი ათამაშდება.

აბა, მომაკვდავთ დააკვირდი, ხომ არ მიმხვდარან უკვე, რამდენი საბაბია ამ ყველაფერში, რასაც ჩვენ აქ ვქმნით, თვითმყოფადი არაფერია. ო, საათებო ბავშვობისა, ფიგურებს უკან როცა მეტი რამ იყო, ვიდრე მხოლოდ წარსული და წინ არ გვედგა მომავალი, ჩვენ ვიზრდებოდით და, მართალია, ზოგჯერ გაზრდას ვჩქარობდით კიდევ მის საამებლად, ნაწილობრივ, ვისაც ამ ქვეყნად სიმწიფის გარდა არრა გააჩნდა. და მარტობის სინანგრძლივით კმაყოფილები ვიყავით მაინც და ვიდექით ასე სამყაროს და სათამაშოს შუალედში, იმავ ადგილას, რომელიც იყო თავიდანვე დაფუძნებული წმიდა წინსვლისთვის.

ვის შეუძლია დამანახოს, როგორ დგას ბავშვი? ვინ შეძლებს თანავარსკვლავედში მის ჩაყენებას, ვინ მისცემს ხელში მანძილის საზომს? ვინ გამოძერწავს ბავშვის სიკვდილს უკვე გამხმარი შავი პურისგან და მრგვალ პირში ვინ ჩაუტოვებს ვაშლის გულივით? არცთუ ისე ძნელი რამ არის მკვლელთა გაგება. მაგრამ ეს კი: სიკვდილს, მთელ სიკვდილს თვით სიცოცხლემდე ბევრად ადრე ასე სათუთად რომ შეიცავდე და არ იყო მაინც ბოროტი, ეს არის, მართლაც, ალუწერელი.

## მეს უთე ელვგია

ელვგნება ქ-ნ ჰერტა ქიონივს

მითხარ, ისინი ვინ არიან, მომთაბარენი,  
თვით ჩვენზე ოდნავ წარმავალნი, რომელთაც ვისთვის,  
ვის საამებლად წურავს ასე თავგამეტებით  
ჟინდაუმცხრალი ნებისყოფა დასაბამითვე?  
წურავს, გრესს, იქნევს აქეთ-იქით, აგდებს და იჭერს;  
თითქოს ისინი დაზეთილი, გლუვი სივრციდან  
ცვივიან უცებ ამ გაცვეთილ, მათი ამდენი  
ზტომებისაგან მთლად გაცრეცილ, თხელ ხალიჩაზე,  
ქვეყნად მიგდებულ ხალიჩაზე, რომელიც ისე  
ფრთხილად ავია, ვით სალბუნი, თითქოს მიწისთვის  
გარეუბნის ცას ამ ადგილას ეტკინოს რამე.  
აქ წამიერი წელში გაშლა და დგომის დიდი  
ასომთავრულის გამოსახვა და კვლავ თავიდან  
მარადის განმეორებადი ივივ ილეთი  
თვით უძლიერეს კაცებსაც კი კეცავს ხელახლა,  
თითქოს სუმრობით, ისე, როგორც ავგუსტ ძლიერი  
მიმოჭმუჭნიდა კალის თეფშებს სუფრასთან მჯდარი.

და ამ შუაგულს გარეშემო  
ვარდი მზერისა:

იფურჩქნება და იფურცლება, ამ ბეჭდის, ბუტკოს  
ირგვლივ, რომელიც იპებლება თვისივე მტვერით.  
და უკმარობის მოჩვენებით, ფუყე ნაყოფად  
იქცევა ხოლმე, ვერასოდეს თავის ვერშემცნობ  
უკმარობისა, რაც მსუბუქად და ნაყალბევად  
იღიმის თხელი ზედაპირის ნაზი ბრჭყვიალით.  
აი: დამჭკნარი, ძალოსანი, მთლად დაღარული,  
მოხუცი, მხოლოდ მედოლედა შემორჩენილი,  
რომელიც თავის უზარმაზარ ტყავქვეშ როგორღაც  
ისე საოცრად მოკუნტულა, თითქოს ეს ტყავი  
ადრე იტევედა თავისუფლად ორ ადამიანს,  
რომელთა შორის ერთი უკვე წევს სამარეში  
და ეს კი დარჩა დაქვრივებულ ტყავში მარტოკა,

ყრუ და ხანდახან თითქოს ოდნავ დაბნეულიც კი.

ხოლო ის კაცი, ახალგაზრდა, თითქოს ვაჟია მძლავრი კისრის და მონაზვნისა: მტკიცედ და მჭიდროდ ამოტენილი კუნთებით და გულუბრყვილობით.

ო, თქვენ,  
ვინც ტანჯვამ, როცა იგი პატარა იყო,  
ერთხელ მიგიღოთ სათამაშოდ, თავის ერთ-ერთი  
ყველაზე უფრო ნელი გამოჯანსაღებისას. . . . .

შენ, ვინც ხისაგან ჩამოცკენილ ნაყოფთა მსგავსად,  
ჯერ უძწიფარი, დღეში თითქმის ასჯერ ეცემა  
მიჯრით ნაგები მოძრაობის ხის კენწეროდან  
(რომელიც წყალზე უსწრაფესად ორიოდ წუთში  
გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას განიცდის ხოლმე) –  
შენ ეცემა და ენარცხები უცებ სამარეს:  
ზოგჯერ, ნახევარ პაუზისას, ნაზი იერი  
შენგან გაკართომას დააპირებს შენს იშვიათად  
აღერსიანი დედისაკენ, მაგრამ ინთქმება  
შენსავ სხეულში, რომელიც მას სიბრტყობრივ ფლანგავს,  
სახეს, მოსინჯულს მფრთხალად, ოდნავ... და მამაკაცის  
ტაში კვლავ გიხმობს ნახტომისკენ და უფრო ადრე,  
ვიდრე ოდესმე, გაცხადდება შენთვის ტკივილი  
მარადმბოლელი გულის ახლოს, ისევ ტერფების  
წვა უსწრებს იმას, თავის საწყისს, და თვალებს შენსას  
სხეულებრივი ცრემლით ავსებს უცებ.  
და მაინც, ბრმად,  
ღიმილი . . . . .

მოდი, დაკრიფე, ანგელოსო, ეს სამკუჟრნალო  
წვრილ-წვრილ ყვავილა ბალახები, ჩადე ლარნაკში  
და ჩადგი ჩვენთვის ჯერ გაუშლელ ღხენათა შორის,  
ლამაზ ურნაში უკვდავკვაკვი დიდი წარწერით: “Subrisio Saltat”.

შენ კი, ძვირფასო,  
შენ, მომხიბვლელ სიამეთაგან

მივიწყებულ, იქნებ შენი კაბის ფორები  
თვით შენს მაგივრად განიცდიან ბედნიერებას,  
ან მკვრივ, აფეთქილ ბუბუბებზე მწვანე ლითონად  
ელვარე ფარჩა თავს გრძნობს  
უკვე უკიდურესად  
ნებიერად და აღარ უნდა აღარაფერი.  
შენ,  
გულგრილობის ბაზრის ნაყოფო,  
წონასწორობის ათრთოლებულ სასწორებზე რომ  
გდებენ ყოველთვის ახლებურად,  
საჯაროდ, წელზე.

სად, ო, სად არის ის ადგილი – ის ჩემს გულშია,  
სადაც მათ დიდხანს არ შეეძლოთ, სადაც ისინი  
ისევ ცვიოდნენ ერთურთისგან, ვით დანერბვისას  
არასაწყვილო ცხოველები; სადაც ჯერ კიდევ  
თავის სიმძიმე აქვთ საწონებს; და სადაც მათი  
ფუჭად მბრუნავი ჯოხებიდან თეფშები  
ცვივა. . . . .

და უცებ, უცებ ამ მომქანცველ არსალობაში  
გამოუთქმელი ადგილი, სადაც  
წმიდა სიმცირე შეუცნობლად გარდაიქმნება,  
გადასკუბდება იმ ცარიელ ზესიჭარბეში;  
სადაც იხსნება მრავალნიშნა ამოცანები  
რიცხვთა გარეშე.

ო, მოედნები, მოედანი პარიზის გულში,  
ეს უსასრულო არენა, სადაც  
მოდისტი ქალი, *Madam Lamort*, გრეხს, წნავს, და არჩევს  
ამაქვეყნიურ შფოთიან გზებს, გაუთავებელ  
ჭრელ-ჭრელ ზონარებს, და იგონებს მათგან სულ ახალ  
ფორებს, ყვავილებს, კოკარდებს და ხელოვნურ ნაყოფთ,  
ყველაფერს ყალბი ფერით ნაფერს, გამიზნულთ ბედის  
საზამთრო, იაფფასიანი ქუდებისათვის.  
. . . . .  
რომ ყოფილიყო, ანგელოსო, სადმე ადგილი,

ისეთი, ჩვენ რომ ჯერ არ ვიცით, სადაც საოცარ  
და აუწერელ ხალიჩაზე შეყვარებულებს,  
აქ რომ ვერასდროს ახერხებენ დაოსტატებას,  
ეჩვენებიანთ გულისთრთოლვით თავგანწირული,  
ამაღლებული ფიგურები, ვნებათაღელვის  
ციხე-კოშკები, თავიანთი ერთურთს მიღებული  
და მოცანცაზე კიბეები უნიადაგო,  
და შეძლებოდათ, გარსშემორტყმულთ მაცურებლებით –  
ალურიცხველი მღუმარე მკვდრებით:

ისინი ხომ არ გადმოყრიდნენ მაშინ თავიანთ  
სულ უკანასკნელ, საიდუმლო, ჩვენთვის ჯერ უცნობ,  
სამარადისოდ შემონახულ და მარად მოქმედ  
მონეტებს ბედნიერებისა ბოლოს და ბოლოს  
უკვე ნამდვილად მომღიმარე წყვილის წინაშე  
ღაშოშმინებულ ხალიჩაზე?

## მეექვსე ელვია

ხოლო ლელვისა, მე ჯერ კიდევ როდის შევნიშნე,  
თუ ყვავილობის თითქმის სრული უგულველყოფით  
და უტრაბახოდ რარივ ჩუმად მიდენი შენსავ  
წმიდათაწმიდა საიდუმლოს ადრე მოწვეულ  
ნაყოფის წიაღ. ვით მიღები შადრევნებისა,  
შენი ტოტები წვენს აღმა და დაღმა დენიან:  
და იგი, თითქმის გაუღვიძრად, მძინარებიდან  
ჩქეფს თავის სრულქმნის უნეტარეს სიტკობაში.  
შეხედუ: როგორც ღმერთი – გელში. . . . ჩვენ კი ცყოვნდებით,  
გვეამაყება ყვავილობა და ამიტომაც  
ჩვენი სიმწიფის ნაგვიანევ და საბოლოო  
ნაყოფის წიაღს ვაღწევთ უკვე ნაღალატეენი.  
ბევრმა ქმედებამ მოზღვაება არ იცის ხოლმე  
ისე ძლიერ, რომ საწყისშივე ენთოს გულსავსედ,  
როცა მის სიყრმის პირისახეს, ვით ღამის სიო,  
ელამუნება ყვავილობის ცღუნების ხიბლი.  
ეს, ალბათ, გმირებს მოხდით ხოლმე და ნაადრევად  
იქ განწესებულთ, ვისაც მებაღე –  
სიკვდილი ძარღვებს სხვანაირად აუჭიგოებს.  
ჩაიქროლებენ: წინ უსწრებენ საკუთარ ღიმილს,  
როგორც კარნაკის ამოღარულ, ლბილ სურათებზე  
გამარჯვებული ხელმწიფის ეტლს ბელაურები.

მაინც მკვდარ ყრმებთან გასაოცრად ახლოა გმირი.  
დრო მას არ ერჩის. მისი ყოფნა არის ზეალსვლა.  
ის საკუთარ თავს შეაგელვებს თავის მუღმივი  
ფათურაკების სახეშეცვლილ ზოღიაქოში.  
იქ მას ცოტანი მიაგნებდნენ, მაგრამ ჩვენს მიმართ  
მრუმედ მღუმარი ბედისწერა თავის მშფოთვარე  
საგრიგალეთში მას უმღერის აღფრთოვანებით.  
როგორც მას, ისე ვერვის ვუსმენ. უცებ ჰაერის  
დინებასავით მსსჭვალავს მისი ხმა მიბინდული.  
შემდეგ, როგორი სიხალისით ავირიდებდი  
ჟინიან სურვილს, – ცყოფილიყავ, ო, ცყოფილიყავ



კვლავაც ყმაწვილი, შემძლებოდა ისევ ყრმად ქცევა,  
მომავალ იდაყვთ დაყრდნობილი ვიჯდებოდი და  
წავიკითხავდი ისევ სამსონზე,  
თუ როგორ მოხდა, რომ დედამ მისმა  
ჯერ არაფერი, ხოლო შემდგომ შვა ყოველივე.

ო, დედავ, განა ის შენშივე არ იყო გმირი?  
განა მან მანდვე, შენს საშოში არ წამოიწყო  
თავის მეფური არჩევანი? მანდ, შენს საშოში,  
მირიადები ირეოდნენ და მათგან ყოველს  
სურდა, რომ თვითონ გამხდარიყო ის: მაგრამ ნახე:  
ის თვითონ სწავდა და განირიდა – ჰქმნა არჩევანი  
და შეძლო კიდეც, და როდესაც სვეტებს არყევდა,  
ამის მიზეზი ის იყო, რომ დასაბამითვე  
შენი სხეულის სამყაროდან მოვიდა იგი  
ამ უფრო ვიწრო სამყაროში, სადაც ის შემდეგ  
კვლავაც არჩევნის შემძლე იყო. გმირთა დედანო,  
აბობოქრებულ ნიაღვართა სათავეებო,  
თქვენ ხართ უფსკრულნი, რომელშიაც გულის კიდიდან  
მოთქმით ჩაცვივდნენ ქალწულები, ძის სამსხვერპლონი.

რადგან გმირს, მქროლავს სიყვარულის სადგომთა გავლით,  
გულის ყოველი ფეთქვა მისი გულისმხმებელი,  
ალიტაცებდა უფრო ზემოთ და ზურგნაქცევი  
ლიმილთა ბოლოს იგი უკვე იღვა, – სხვაგვარად.

## მეზვიდე ელეგია

მოხმობა უკვე აღარ არის საჭირო, არა,  
დე, ზეჭარბი ხმა იყოს შენი ყვირილის არსი.  
შენ თუმცა ხმობდი ისე წმიდად, როგორც ფრინველი,  
როდესაც იმას წელიწადის დრო აღმამფრენი  
ადიტაციებს და თითქმის სულმთლად გადაავიწყებს,  
რომ უსუსური არსებაა და არა მხოლოდ  
ეული გული, გატყორცნილი შინაგან ცათა  
ლალ სივრცეებში.

შენც მასავით და არანაკლებ  
შეეცდებოდი, რომ მიგეხმო, რათა ჯერ კიდევ  
უხილავს უკვე მიგეწვდინა ხმა გაყუჩებულ  
სატრფოს სმენამდე, რომელშიაც პასუხი გვიან  
იღვიძებს ხოლმე და სმენისგან თანდათან თბება,  
შენი თამამი გრძნობისათვის გაღვივებული  
შენი მდედარი თანამგრძნობელი.

ო, გაზაფხულიც გაიგებდა, აქ არსად არის  
მახარობელი ხმის გარეშე ერთი კუნჭულიც.  
ჯერ სულ ოდნავი შეკითხვის ხმა, რომელსაც ირგლივ  
წმიდა დღე მზარდი მდუმარებით შემოევლება  
თანხმობის ნიშნად. ამის შემდეგ საფეხურებით  
ზემთო, მომავლის ზმანებული ტაძრის ბჭისაკენ,  
შემდეგ გალობა, შადრევანი, რომელიც მრავლის  
არმთქმელ თამაშში ატყორცნილ სხივს უკვე წინასწარ  
ქვედაცემასაც მიანიშნებს. . . . წინ ზაფხულია.

და არა მხოლოდ, მართლაც, ყველა ზაფხულის დილა,  
და არა მხოლოდ დღედქცევის წინ მათი ნათება.  
და არა მხოლოდ ის დღეები, ქვემთო ყვავილებს  
ასე ნაზად რომ ეპყრობიან, ხოლო ზემოთ კი  
ზრდადასრულებულ ზეებთან რომ მძლეთამძლეობენ.  
და არა მხოლოდ ამ გაშლილი ძალების დაცვა,  
და არა მხოლოდ ეს გზები და მწუხრის ველები,  
და არა მხოლოდ ნაგვიანევ ელ-ჭექის შემდეგ  
სინათლის სუნთქვა, არა მხოლოდ შემოლამების

წინათგრძნობა და ძილის ფრთხილი მოახლოება...  
თვით ღამეებიც? თვით ზაფხულის ამაღლებული  
ღამეები და ვარსკვლავები – ამ მიწისანი.  
ო, ერთხელ მაინც, თუნდაც ერთხელ, სიკვდილის შემდეგ  
შეგაცნობინა უსასრულოდ მათგან ყოველი.  
რადგანაც როგორ, როგორ შეძლებ მათ დავიწყებას!

აი, შეხედე, მე ჩემს სატრფოს მოვუხმე, მაგრამ  
განა მარტო ის მოვიდოდა? იმასთან ერთად  
წამოვიდოდნენ სიფრიფანა საფლაკებიდან  
სხვა გოგონებიც და მას ირგვლივ შემოერთყმოდნენ.  
რადგან არ ვიცი, როგორ შევძლო, ხმა მონძობისას  
როგორ მოვფარგლო? დამხრჩვალნი ხომ კვლავ დეღამიწას  
ეძებენ მაინც. – და ბავშვებო, თქვენს მიერ ერთხელ  
ხელნატაცები აქაური რაღაც საგანი  
ბევრი რამისთვის იქნებოდა გამოსადეგი.  
არ დაიჯეროთ, რომ ბავშვობის შენივთულობას  
რითმე სჭარბობდეს ბედისწერა, რამდენჯერ სუნთქვა-აჩქროლებულნი  
თქვენ თქვენს სატრფოს უსწრებდით ხოლმე  
ნეტარ სრბოლაში არაფრისკენ, მხოლოდ სივრცეში.

აქყოფნა არის დიდებული. თქვენ ეს იცოდით,  
თქვენც, გოგონებო, გარეგნულად ვითომ რომ ძლებდით  
უამისოდაც, ჩაძირულნი, ქალაქის გარყვნილ  
ქუჩაბანდებში, წყლულოვანნი, სიმღერისათვის  
მარად ღიანო, მაგრამ მაინც ხომ იყო ხოლმე  
ერთი საათი, ან, თუ გნებავთ, უფრო ნაკლებიც,  
დროის საზომით, შესაძლოა, განუზომელი  
რაღაცა ხანი ორ წამს შუა, როდესაც გედგათ  
ჟამი ყოფნისა. ყველაფერი. ძარღვები გქონდათ  
ყოფნით აღსავსე. მაგრამ ჩვენ ხომ ძალზე იოლად  
ვივიწყებთ იმას, რაც მომღიმარ მეზობელს ჩვენსას  
არ აღუნიშნავს არც დასტურით, არც თუნდაც შურით.  
ჩვენ თვალსაჩინოდ წარმოდგენა გვსურს ხოლმე მისი.  
მაგრამ ყველაზე თვალსაჩინოდ ბედნიერება  
შეიმეცნება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი

გვაქვს შინაგანად გარდასახული.

არსად, ძვირფასო, არსად არის სხვაგან სამყარო, შინაგანს გარდა. ჩვენი ყოფნა მიედინება გარდასახვის გზით. გარეგანი სულ უფრო ქრება. სადაც ხანგამძლე სახლი იდგა ოდესღაც, ახლა იქ აღიმართვის გადამკვეთი რაღაც სახება გამოგონილი ერთიანად – თითქოსდა იგი ჯერ კიდევ ტვინში იდგეს მთლიანად. სული დროისა იქმნის ძალთა ფართო საცაგებს ძაბვის ბიძგივით უსახელოდ, რომელსაც იძენს ყველაფრისაგან. აღარ იცის იმან ტაძარი. გულს უკვე ისე აღარ ვფლანგავთ, ვზოგავთ მალულად. თუ მოახერხებს გადარჩენას რამე საგანი, ჩვენგან ნალოცვარ-ნამსახური, თაყვანცემული, იგი ასეთად უხილავში გადაინაცვლებს. ბევრი ვერც ამჩნევს და არც ესმის უმჯობესობა, რომ შინაგანად აგებული რამდენად უფრო დიდებულია სვეტებით და ქანდაკებებით.

სამყაროს ყოველ ყრუ მოქცევას ჰყავს ამისთანა მემკვიდრეობადაკარგულნი, რომლებსთვისაც აღარ არსებობს ადრინდელი, უახლოესი მომავალი კი ჯერ არ უდგათ, რადგანაც ქვეყნად უახლოესი ჯერ შორს არის კაცთა მოდგმისთვის. არ შეგვაშფოთოს, დაე, ამან და უფრო მეტად შეგვანახინოს შეცნობილი ხატის სიცხადე: აი, ეს იდგა ადამიანთ გარემოცვაში, მსახვრალი ბედის შუაგულში, ამ გაოგნებულ საითკენწასვლის არცოდნაში, ვით ყოფიერი, და იზიდავდა საიმედოდ დაცულ ცათაგან უამრავ ვარსკვლავს თავისაკენ. შენ, ანგელოსო, გაჩვენებ ამას. აი, ნახე! დე, შენს მზერაში გადარჩეს იგი საბოლოოდ ზეალმართულად. სფინქსი. სვეტები. პილონები ზემიბჯენილნი, უცხო ტაძართა და ქალაქთა უცხო ნაშთები.

ეს ყოველივე სასწაული არ არის განა?  
ო, გაიოცე, ანგელოსო, ეს ხომ ჩვენა ვართ,  
ჩვენ, დიდებულო, და თქვი სადმე, რა შეგვძლებია,  
მე ამ ყველაფრის სადიდებლად სუნთქვა არ მყოფნის.  
ეს სივრცეები ჩვენ ხომ მაინც არ გაგვიშვია  
ხელიდან, ჩვენი სივრცეები, ასე გულუხვნი,  
(რა ვრცელნი უნდა ყოფილიყვნენ, საზარლად ვრცელნი,  
რომ ვერ აღევსოთ ჩვენს განცდათა ათასწლეულებს).  
კოშკი კი იყო დიდებული, ხომ იყო მართლაც?  
ო, ანგელოსო, დიდი იყო შენს გვერდითაც კი.  
შარტრის ტაძარიც დიდი იყო, და თვით მუსიკაც  
ამაღლებული ჩვენს უმაღლეს. და მაინც ერთი  
შეყვარებული, მარტომდგარი ღამის სარკმელთან...  
ნუთუ, შენ იგი არ გწვდებოდა თუნდაც მუხლამდე?  
შენ არ გეგონოს, ანგელოსო, თითქოს გიხმობდე.  
მე რომ მოგიხმო, შენ არ მოხვალ მაინც, რადგანაც  
ჩემი ძახილი წარმავლობით არის აღსავსე,  
შენ ვერ წამოხვალ ამნაირი დინების აღმა.  
შენსკენ ძახილი მე ხელივით მაქვს ამოწვდილი  
და ხელისგული სატაცებლად გამლილი ფართოდ  
ღიაღვე რჩება შენს წინაშე, თითქოს გაფრთხილებს  
და გიგერიებს,  
მიუწვდომელო.

## მერვე ელვია

*ელვება რულოფ კასნერს*

ყველა არსება განხმულისკენ ქცეულა მზერად.  
მხოლოდ ჩვენა გვაქვს შექცეული ჩვენი თვალები  
თითქოს პირუკუ და მათ ირგვლივ ისე გვივია,  
ვით ხაფანგები თავისუფალ გამოსასვლელთან.  
რაც გარეთ არის, ჩვენ ის ვიცით მხოლოდ ცხოველის  
იერისაგან; ვინაიდან ჯერ კიდევ ჩვილ ბავშვს  
უკვე პირუკუ ვატრიალებთ და ვაიძულებთ,  
რომ შებრუნებით დაინახოს სამყაროს ხატი,  
არა განხმული, რაც ცხოველის იერს ესოდენ  
ღრმად აღბეჭდვია, სიკვდილისგან თავისუფალი.  
ჩვენ კი მხოლოდ მას, სიკვდილს ვხედავთ.

ლალ ცხოველისთვის

სიკვდილი მუდამ უკან არის, წინ კი ღმერთია,  
და როცა მიდის, ის შეერთვის მარადისობას  
ისევე, როგორც წყაროები ედინებიან.

ჩვენ კი არასდროს, ერთი დღითაც არა გვქონია  
ის წმიდა სივრცე, ყვავილნი რომ დაუსრულებლად  
იფურჩქნებიან. სამყაროა ყველგან, ყოველთვის  
და არასოდეს არსადობა არას გარეშე:  
წმიდათაწმიდა, არანაჩხრეკ-ნათვალთვალები,  
რომელსაც ვსუნთქავთ, უსასრულოდ ვიცით და არ გვსურს.  
ბავშვობის ხანად ზოგი მასში გარინდებული  
თავდავიწყებას მიეცემა, მაგრამ ანჯღრევენ  
და აფხიზლებენ. სხვა კვდება და იქცევა ამაღ.  
რადგან სიკვდილთან ახლოს მდგომი სიკვდილს ვერ ხედავ  
და იმის მიღმა იყურები, ალბათ, ცხოველის  
ვეება მზერით. შეყვარებულნი,  
ერთიმეორეს ხილვადობას რომ არ უშლიდნენ,  
ახლოს არიან განხმულთან და თვითონვე უკვირთ,  
თითქოს შემთხვევით გადაშლია ეს იმათ მზერას  
მეორის მიღმა . . . . მაგრამ ამის გადამლახველი  
ვერვინ იქნება, წინ დახვდება ისევ სამყარო.

პირველქმნილისკენ გამუდმებით შებრუნებულნი,  
ჩვენ მხოლოდ მასზე ვხედავთ ხოლმე თავისუფლების  
რალაც ანარეკლს, ჩვენს მიერვე გაბუნდოვნებულს.  
ანდა პირუტყვი თავის მშვიდი მზერით განგვმსჭვალავს,  
და ამას ჰქვია ბელისწერა: პირისპირ ყოფნას  
და სხვას არაფერს, ამის გარდა, მუდამ პირისპირ.

ჩვენი შეგნება რომ ჰქონოდა უშფოთველ ცხოველს,  
ჩვენსკენ მომავალს სულ სხვა მხრიდან, იგი მაშინვე  
შეგვაბრუნებდა თავისივე ცხოვრების წესით.  
მაგრამ იმისთვის თავისივე ყოფიერება  
უსასრულოა, უჩარჩო და საკუთარი  
მდგომარეობის ვერმხედველი, წმიდა, ვით მზერა  
განხმულისაკენ, და იქ, სადაც ჩვენ ვჭვრეტთ მომავალს,  
იგი თვალნათლივ ხედავს ყოველს და ამ ყოველში  
თვით თავის თავსაც, განკურნებულს სამარადისოდ.

და მანც ფხიზლად თბილ ცხოველში არის სიმძიმე  
და ფორიაქი რალაც დიდი მწუხარებისა.  
რადგან იმასაც მუდამ ეკვრის ის, რაც ჩვენ ხშირად  
გადაგვიძლევს ხოლმე – მოგონება, თითქოსდა იგი,  
რასაც ვესწრაფვით, უფრო ახლო იყო ოდესღაც,  
უფრო ერთგული, მას ვერწყმოდით უფრო სათუთად.  
აქ ყველაფერი მანძილია. იქ იყო სუნთქვა.  
პირველსამშობლოს შემდეგ მისთვის მეორე უკვე  
ქარიანია და მღედრ-მამრული.

ო, ნეტარება სულდგმულისა, პაწაწინასი,  
მუდამ იმავე საშოში რომ რჩება, რომელმაც  
იგი ატარა; ჰოი, კოლოს ბედნიერება,  
რომელიც ჯერაც შიგნით დახტის, თვით მაშინაც კი,  
როცა ქორწინობს: რადგან საშო ყველაფერია.  
და ნახე, ჩიტის ეს ნახევარგულდაჯერება,  
თითქმის ორივე საიდუმლო რომ იცის თავის  
წარმოშობისა, თითქოს იყოს განსვენებული  
ეტრუსკის სული, უკვე სივრცემ რომ მიიბარა.  
თუმც ასვენია ზედ სხეული, როგორც სარქველი.

და ზოგიერთი როგორ არის გაოგნებული,  
ფრენა რომ მართებს, თუმც საშოდან არის შობილი.  
იგი, თითქოსდა საკუთარი თავით დამფრთხალი,  
ჟრუანტლით აპობს ჰაერს ისე, ვით ბზარი ფინჯანს.  
ღამურის კვალი ასე კაწრავს მწუხრის ფაიფურს.

ჩვენ კი: მზირალნი, გამუდმებით, ყველგან ყველაფერს  
მიქცეულნი და გარეთ მაინც ვერგაღწეულნი!  
ზეადვივსებით, ვაწესრიგებთ. გადმოიშლება.  
კვლავ ვაწესრიგებთ და თვითონვე ვიშლებით შემდეგ.

ვინ შეგვაბრუნა იმგვარად, რომ რაც უნდ ვაკეთოთ,  
ისე გვიჭირავს თავი, როგორც გზაზე მიმავალს?  
ვით ის, შემდგარი ბოლო ბორცვზე, რომელსაც თვალწინ  
გადაეშლება ერთხელ კიდევ თავისი ველი.  
შემობრუნდება, შედგება და ოღნავ ყოვნდება.  
ჩვენ ასე ვცხოვრობთ და ყოველთვის ვემშვიდობებით.



## მეცხრე ელჟბია

რატომ, თუ ასეც შეიძლება, რომ ყოფნის ჟამი გავლით ისე, როგორც დაფნამ, ყველა დანარჩენ მცენარეულზე ოდნავ მუქმა, ყოველი ფოთლის კიდეზე წვრილი ტალღები რომ ავლია ქობად (როგორც ნიავის გაღიმება) – მაშ, რატომღა ვართ ადამიანურ ყოფნისათვის ვალდებულები, – ბედს რომ ვირიდებთ, ბედისაკენ რაღად ვისწრაფვით? . . .  
ო, განა მიტომ, რომ არსებობს ბედნიერება, ეს ნაადრევი და მცირე უპირატესობა დაკარგვისწინა. ცნობისწადილის გამოც არა, და არც გულის მცდელობისათვის: *ყოფილიყო* იგიც დაფნაში...

არამედ მიტომ, რომ აქყოფნა უკვე ბევრია, და იმიტომ, რომ ყოველივეს, ქვეყნად არსებულს, თითქოს ვჭირდებით, ამ წარმავალთ, ჩვენთან საოცრად დაკავშირებულთ, ჩვენ – ყველაზე სწრაფწარმავალნი. *ერთხელ* ყოველი, მხოლოდ *ერთხელ*, *ერთხელ* და უკვე აღარასოდეს. და ჩვენც *ერთხელ* და აღარ, მაგრამ ეს *ერთხელ* ყოფნა, თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ *ერთხელ* მიწიერყოფნა თითქოს არის უცილობელი.

და აი, ასე მივიბრძვით და მის აღსრულებას მიველტვით, გვინდა ჩვენ ამისი შენარჩუნება სადა ხელებში, უტყვე გულსა და სავსე მზერაში. გვსურს ამაღ ვიქცეთ, – სხვას ვის გადავცემთ? უძჯობესია, ყოველივე შევინარჩუნოთ სამარადისოდ... ო, სულ სხვაგვარ მიმართებებში, იმ ქვეყანაში რას წაიღებ? ვერც ჭვრეტის უნარს აქ ძლივს შესწავლილს, ვერც ვერაფერს, რაც აქ მომხდარა. მაშასადამე, მხოლოდ ტკივილებს. მაშასადამე, ღრმა სიმძიმის, უპირატესად. მაშასადამე, სიყვარულის ძალზე ხანიერ გამოცდილებას. – ესე იგი, ყველაფერს უთქმელს.

მაგრამ შემდეგ კი, ვარსკვლავთ შორის, რაღა იქნება:  
იქ მათი გამოუთქმელობა უკეთესია.  
მოგზაურს მთიდან ზომ არასდროს ჩამოაქვს ბარად  
მიწის თუნდ პეშვი, ყველასათვის გამოუთქმელი,  
არამედ მხოლოდ ბოძებული სიტყვა, უზადო,  
როგორც ყვაილი ლურჯ-ყვითელი მთის ნალველასი.  
ეგებ აქ მისთვის ვიმყოფებით, რომ გვეთქვა: სახლი,  
ხიდი, ჭიშკარი, წყარო, დოქი, ხე მსხმოიარე,  
სარკმელი, – ანდა უმეტესი: სვეტი ან კოშკი...  
მაგრამ თქმა შესძელ ისე, როგორც თვითონ ამ საგნებს  
ამგვარი ყოფნა არასოდეს უგულისხმიათ.  
ეს შეფარული ცბიერება არ არის განა  
მდუმარ მიწისა, შეყვარებულთ რომ აიძულებს,  
აღაფრთოვანონ თავიანთი განცდა ყოველი?  
ზღურბლი: რას ნიშნავს განა ორი მიჯნურისათვის  
ის, რომ ისინი ცოტათი ცვეთენ  
თავიანთ კარის უძველეს ზღურბლს, ისინიც მრავალ  
წინამავალთა კვალობაზე და მომავალთა  
მოსვლამდე... ოდნავ.

გამოსათქმელის დრო აქ არის, აქ არის მხოლოდ  
მისი სამშობლო, შენც გამოთქვი და აღიარე.  
საგნებს განცდისას უფრო სწრაფად, ვიდრე ოდესმე  
უწევთ დაქცევა, რადგან იმათ რაც გამოდევნის  
და ენაცვლება, ქმედებაა უსურათ-ხატო.  
ეს ქმედებაა თვინიერად მხლევრად ქერქთქეშე,  
როცა ის მათი წიაღიდან ამოიზრდება  
და უკვე სხვამხრივ ისაზღვრება. უროებს შორის  
საძლისობს ყოფნას ჩვენი გული ისე, ვით ენა,  
კბილებს შუა რომ მაინც ისევ რჩება მენოტბედ.

შენც აღავლინე ანგელოსის წინაშე ხოტბა  
ამა ქვეყნისა, ოღონდ არა გამოუთქმელის.  
შენ მის წინაშე ვერასოდეს დაიტრიაბახებ  
დიადად განცდილს; სამყაროში, სადაც ის შენზე  
გრძნობიერად გრძნობს ყოველივეს, ხარ ახალბედა.

in - o unendlich - in uns! Wer wir am Ende auch seien.

Erde, ist es nicht dies, was du willst: *unsichtbar*  
in uns erstehn? - Ist es dein Traum nicht,  
einmal unsichtbar zu sein? - Erde! unsichtbar!  
Was, wenn Verwandlung nicht, ist dein drängender Auftrag?  
Erde, du liebe, ich will. Oh glaub, es bedürfte  
nicht deiner Frühlinge mehr, mich dir zu gewinnen -, *einer*,  
ach, ein einziger ist schon dem Blute zu viel.  
Namenlos bin ich zu dir entschlossen, von weit her.  
Immer warst du im Recht, und dein heiliger Einfall  
ist der vertrauliche Tod.

Siehe, ich lebe. Woraus? Weder Kindheit noch Zukunft  
werden weniger . . . . Überzähliges Dasein  
entspringt mir im Herzen.

ამიტომ სჯობს, რომ მას აჩვენო რაიმე სადა:  
რაც თაობიდან თაობამდე ყალიბდებოდა,  
ის, რაც ჩვენს შორის ცოცხლობს ახლა, ვით ჩვენეული,  
აქვე, ჩვენს ხელქვეშ, ჩვენს მზერაში. საგნები უთხარ.  
იგი იღვება უფრო მეტად გაოგნებული,  
ვიდრე შენ იდექ რომელი თოკისმგრეხავის  
თუ ნილოსელი მექოთნის წინ მზერად ქცეული.  
უჩვენე, როგორ შეუძლია საგანს, რომ იყოს  
ასე უმანკო, ბედნიერი, და ასე ჩვენი.  
თვით მომჩივანი მწუხარებაც რარივ თვალნათლივ  
სახიერდება, საგანივით გვემსახურება,  
ანდა საგანში კვდება და მიღმა  
ვილინოდან ნეტარებით მიედინება.  
აი, ამ საგნებს, თავიანთი კვდომითვე მცხოვრებთ,  
კარგად ესმით, რომ შენ მათ აქებ; და გადასარჩენს,  
თვით წარმავალნი, ჩვენ გვანდობენ, უწარმავალესთ.  
სურთ, რომ ისინი ჩვენს უხილავ გულში გარდავქმნათ.  
შიგ – უსასრულოდ – ჩვენად! ბოლოს ვინც უნდა ვიყოთ.

მიწაო, განა ეს არ გინდა, რომ უხილავი  
აღდგე ჩვენს გულში? ეს არა გაქვს განა ოცნებად,  
ოდესმე იქცე უხილავად? მიწავ! უჩინრად!  
სხვას რას გვაგალებ დაჟინებით, თუ არ სახეცვლას?  
ო, დედამიწავ, საყვარელო, მე შენ მინდინარ.  
ო, მენდე, შენ ჩემს მოსახიბლად აღარ გჭირდება  
გაზაფხულები, რადგან ერთი, ო, ერთადერთი  
გაზაფხულიც კი სისხლისათვის უკვე ბევრია.  
მე უსახელოდ იმთავითვე ღია ვარ შენთვის.  
მართალი იყავ შენ ყოველთვის და ღვთაებრივი  
მიგნება შენი – სიკვდილია შინაურული.

მიყურე, ვცოცხლობ, მაგრამ რისგან? არა მცირდება  
არც ბავშვობა და არც მერმისი... რაღაც ზეჭარბი  
ყოფიერება ამოხეთქავს ჩემი გულიდან.

## მეათე ელვია

მე რომ ოდესმე, უმკაცრესი წვდომის მიწურულს,  
ხოტბა შემესხა ყურადღებულ ანგელოსთათვის,  
ამ გულის მკვეთრად მოკაკუნე ჩაქუჩებისგან  
ჩემთვის არც ერთს რომ არ ემტყუნა ლბილ, დაეჭვებულ,  
მწყდომარ სიმებთან შეხებისას. ჩემს მდინარ იერს  
უფრო მეტად რომ გავებრწყინე; ამყვავებოდა  
ნამღვილი ცრემლი. ო, მაშინ კი რა ახლობელნი  
გამიხდებოდით, დამეებო, დამწუხრებულნი,  
რატომ არ ვმდგარვარ თქვენს წინაშე მე მუხლმოყრილი,  
მორჩილი, ჩემო უნუგემო დებო, და რატომ  
უფრო მეტად არ გავიშალე თქვენს გაშლილ თმაში.  
ჩვენ ვართ მფლანგველნი სატკივართა. როგორ გვსურს ხოლმე,  
წინ გავიჭვრიტოთ, მათ სევდიან ხანგრძლივობაში:  
იქნებ დასრულდნენ? ისინი კი არიან ჩვენი  
ზამთრის ფოთლები, მუქი სურო, იდუმალი წლის  
ჟამი ერთ-ერთი, არა მხოლოდ ჟამი, არამედ  
თვით ნიადაგი, სამყოფელი და საცხოვრისი.

მართლაც და, ვაგლახ, რა უცხოა ქუჩაბანდები  
მწუხარებათა ქალაქისა, სადაც ერთურთის  
ჩამხშობ ხმათაგან შედედებულ ყალბ სიჩუმეში  
თავმომწონეობს ღრიანცელი – სიცარიელის  
ფუყე ყალიბში ჩამოსხმული – მსკლომარე ძეგლი.  
რარიგ უკვალოდ აღუგვიდა მათ ანგელოსი  
ნუგემის ბაზარს, ეკლესია რომ ესაზღვრება  
მზად შეძენილი: მოქათქათე, უქმი, იმედის  
გამცრუებელი ისე, როგორც ფოსტა კვირა დღეს.  
გარეთ კი მაინც ლივლივებენ ბაზრის კიდენი.  
თავისუფლების საქანელა! მუყაითობის  
მყვინთავ-ჯამბაზნი! მოკაზმული ბედ-იღბლის ტირი,  
სადაც თუნუქის მოყანყალე სამიხნეები  
ჟღრიალს იწყებენ, უცებ ვინმე ბედის ნებიერს  
თუ გაუმართლებს და განაგრძობს ის სვლას ბარბაცით  
ტამისცემიდან შემთხვევისკენ, რადგან უხმობენ  
ცნობისწადილის ბალაგნები, ყოველნაირნი,

ღრიანცელით და დაფდაფების აურზაურით.  
იქვეა ერთი საგანგებო სანახაობა  
მოზრდილებისთვის: უცებ როგორ მრავლდება ფული.  
არა მარტოდენ გასართობად, ანატომიურ  
სიაშკარავით, ცხადად: ფულის სასქესო ასო,  
მთლიანად, შემდეგ ყველაფერი, მთელი პროცესი.  
ეს ჭკუისთვისაც სარგოა და ნაყოფიერიც...

. . . . . ო, მის იქით კი, იქვე, ბოლო ღობის გადაღმა,  
რომელსაც აკრავს ზედ პლაკატი "უკვდავი", რაიც  
იმ მწლაკე ლუდის რეკლამაა, მსმელთ რომ უტკებბათ,  
თუ ახალ-ახალ გასართობებს მიაღეჭავენ...  
იქვე, იმ ბოლო ღობის იქით, ხდება ნამდვილი.  
იქ თამაშობენ პატარები და მწირ ბალახზე  
შეყვარებულებს შეუპყრიათ ერთიმეორე,  
სერიოზულებს, და ძაღლებიც ბუნებრივობენ.  
ჭაბუკს მიუწევს გული იქით: იქნებ მას უყვარს  
ნორჩი ჩივილი... იმიტომაც მიჰყვება ველზე.  
ჩივილი ეტყვის: ჩვენ იქ ვცხოვრობთ, შორს, იმას იქით...  
სად? და ჭაბუკი მისდევს ისევ. მას მოსწონს კიდევ  
ნორჩი ჩივილის აღნაგობა, მხრები, ყელ-ყური,  
ვინ იცის იქნებ მემკვიდრეა დიდგვაროვანთა.  
მაგრამ ჭაბუკი ჩამორჩება, შემობრუნდება  
და ხელს დაუქნევს... რალად უნდა? ის ჩივილია.

მას სიყვარულით მიჰყვებიან ყმაწვილი მკვდრები,  
გაოგნებულნი ამ უდროო უწადილობის  
და გადაჩვევის პირველყოფილ ვითარებაში.  
ის ელოდება გოგონებს და უმეგობრდება.  
ჩუმად აჩვენებს, რაც ზედა აქვს: მარგალიტები  
მწუხარებისა, მოთმინების თხელი მანდილი.  
ყრმა ვაჟებთან კი მღუმარედ მიდის.

მაგრამ იქ, სადაც ბინადრობენ ისინი, ველად,  
ერთ-ერთი უფროს ჩივილთაგან ჭაბუკს მზრუნველად  
მიუგებს პასუხს: ჩვენ, ჩივილნი, დიადი მოდგმა  
ვიყავით ერთ დროს. მაშინ ჩვენი მამა-პაპანი

იმ მაღალ მთებში ეწეოდნენ შემადნობას.  
ხალხში ახლაც კი შეიძლება წააწყდე ზოგჯერ  
ნატენს დახვეწილ, პირველყოფილ მწუნარებისა,  
ან კიდევ ძველი ვულკანური წარმომავლობის  
ქვად ქცეულ რისხვას. ეს ყოველი იქიდან მოდის.  
ჩვენ შეძლებულნი ვიყავით ერთ დროს.

და ის მსუბუქად მოატარებს ჭაბუკს ჩივილთა  
თვალუწვდენ მხარეს და უჩვენებს ტაძართა სვეტებს,  
ციხეთა ნაშთებს, საიდანაც ჩივილთ თავადნი  
ბრძნულად მართავდნენ სახელმწიფოს. უჩვენებს მაღალ  
ცრემლის ხეებს და აყვავებულ სევდის ველ-მინდვრებს.  
(ცოცხლებმა სევდა მარტოოდენ ნაზი ფოთლების  
სახით იციან); მას უჩვენებს დარდის ცხოველებს,  
რომლებიც იქვე ბალახობენ, – და ზოგჯერ უცებ  
აფრთხება ჩიტი, გადასერავს მათ მზერას გასწვრივ,  
მარტოყვილის შორი ხატი წერილობითი. –  
სალამობით ჭაბუკი მიჰყავს  
ჩივილთა ტომის უხუცესთა, სიბილებისა  
და მოციქულთა სამარხებთან, ხოლო როდესაც  
შემოლამდება, უფრო ჩუმად დააბიჯებენ,  
და ცოტა ხანში აღზევდება ამ ყველაფერზე  
ისე, ვით მთვარე, ფნიზლადმყოფი სამარის ძეგლი,  
იმისი მოძმე, რომელიც დგას ნილოსის პირას,  
ღიადი სფინქსი: – იერ-სახე  
მღუმარ პალატთა.

და გაოცებით შესცქერიან იმ თავს, გვირგვინით  
მოსილს, რომელმაც ვარსკვლავების სასწორზე დადო  
აღამიანის სახე უხმოდ, სამარადისოდ.

მას ვერ მოიცავს ჭაბუკის მზერა,  
ადრესიკვილში გაბრუებული.  
მაგრამ იმისი შეხედვისგან დაფრთხება ჭოტი,  
მოწყდება კიდეს, ნება-ნება წამოვა ქვემოთ,  
ფრთით შეეხება უმწიფესი სიმრგვალის ლოყას  
და რბილად ხატავს გარდაცვლილის ახალ სმენაში  
გადაშლილ ორკეც თხელ ფურცელზე მოხაზულობას

აღუწერელს.

და უფრო ზემოთ ვარსკვლავები ტანჯვის ქვეყნისა.  
ახალ-ახალი ვარსკვლავები. იმათ სახელებს  
ჩივილი დინჯად ჩამოუთვლის: აი, შეხედე:  
*მხედარი, კვერთხი* და უფრო დიდ თანავარსკვლავედთ  
აქ ეძახიან *ხილის გვირგვინს*. შემდეგ იქით კი  
ჩრდილოეთისკენ: *აკვანია, გზა, ცეცხლოვანი*  
*წიგნი, თოჯინა და სარკმელი*.  
ხოლო სამხრეთის ზეცის ტანჯზე ჩანს უწმიდესი,  
როგორც კურთხეულ ხელისგულზე, გაბრწყინებული  
"ღ", რაც *დედათა აღმნიშვნელია*.

მაგრამ მაინც ხომ წამსვლელია მიცვალებული.  
და უფროს ჩივილს უხმაუროდ ჩამოჰყავს იგი  
ხევაძედ, სადაც მთვარიანში ციმციმებს წყარო  
სიხარულისა. მოწიწებით დაუსახელებს,  
თან ეტყვის: – ადამიანებთან ეს წამლეკავი  
დინებააო. –

ისინი დგანან ქედის ძირში.

აქ მას ჩივილი გულში ჩაიკრავს, ატირებული.  
ის მარტოდმარტო შეუყვება პირველყოფილი  
ტანჯვის მთიანეთს. და ერთხელაც არ გაჩქამდება  
მისი ფეხის ხმა უხმაურო ბედისწერიდან.

მაგრამ მათ, უკვე უსასრულოდ მიცვალებულებს,  
ჩვენში რაიმე შედარების გამოღვიძება  
რომ მოენდომათ, მაშინ იქნებ ეჩვენებინათ  
მოკონწიალე ფუყე თხილის საყურეები,  
ან ეგულისხმათ წვიმა, რომელიც  
გაზაფხულობით ამ ბნელ მიწას დაედინება. –  
და ჩვენ, რომელნიც ზეაღმაკალ ბედნიერებას  
ფიქრით შევნატრით, განვიცდიდით გულაჩუყებას,  
რაც ჩვენვე თითქმის გაგვაოგნებდა,  
უცებ რომ რამე ბედნიერი დაშვებულებო.



# სონეტები ორფევსისადმი

ვერა ოუკამა-კნოპის სამარის ძეგლად  
(მიუძღოს სასახლე, 1922 წლის თებერვალი)

## პირველი ნაწილი

### I

ხემ გაიხარა! ო, სიწმიდე ამაღლებისა!  
ორფევსი მღერის! ხე მაღალი ყურში იშლება!  
და ღუმს ყოველი. მაგრამ სიო განახლებისა  
მღუმარებაშიც იშვის ისე, ვით მინიშნება.

დადუმებული ცხოველები წამოდგნენ ზეზე,  
ბუნაგებიდან ნათელ ტყეში დაიწყეს დენა,  
და იყო მათი მღუმარების მიზეზთ-მიზეზი  
არა ელდა თუ ცბიერება, არამედ სმენა.

შეწყდა ღმუილი, ღრიალი და აურ-ზაური,  
უცებ დაკნინდა მათ გულებში ყველა ხმაური...  
და სადაც მათი ბნელ ვნებათა თავშესაფარი

არასდროს მდგარა, თუნდ რაიმე ქოხი ეული,  
ამის გამგონე, მთრთოლვარე და ბჭემორყეული, –  
შენ იქ აღმართე, მათ სმენაში, შენი ტაძარი!

## II

თითქმის გოგონა იყო იგი – ჰანგის და ქნარის შერწყმით შობილი, – რომლის ხილვაც ოდნავ შევძელი, გამოკრთა თავის გაზაფხულის პირბადის არეს და ჩემს სმენაში გაიშალა მან სარეცელი.

ჩათვლიმა ჩემში. მისმა ძილმა მოიცვა მთელი ხეები, მე რომ შევხაროდი, ტოტებაწვდილი, ოდნავ საგრძნობი შორეთი თუ ნაგრძნობი ველი, ნებისმიერი გაცემა ჩემად განცდილი.

სამყარო იყო მისი ძილი, ის მღერის, ღმერთო, შენ სრულჰყავ იგი და სისრულით ისე გაერთო, რომ არც იღვიძებს. სიკვდილი კი სად არის, ითქმის?

განა ამ მოტივს კვლავაც შექმნი სასწაულთმჩენი, სანამ ბოლომდე მინელდება სიმღერა შენი? და სად დაეცა იგი ჩემგან?.. გოგონა თითქმის...

## III

ღმერთს შეუძლია ამღერება. კაცი კი ასე მას როგორ მიჰყვეს ვიწრო ქნარზე? მასში რაც არის, გაპობილია. გულის გზათა გადაკვეთაზე არ აიგება აპოლონის წმინდა ტაძარი.

შენ რომ გვასწავლი, ის სიმღერა განა წადილი ანდა წვდომაა მისი, რაც ამ ხმობაზე მოდის. სიმღერა არის არსებობა. ღვთისთვის ადვილი. მაგრამ ჩვენ როსლა ვიარსებებთ? ანდა ის როდის

მომართავს ჩვენი ყოფნისაკენ ვარსკვლავებს, მიწას?

აღარც ის არის, რაც შენ გიყვარს, ჭაბუკო, იმ წამს,  
როცა გაგიხსნის ხმა ბაგეებს, მომართე ქნარი, –

და დაივიწყე, არც გახსოვდეს, რაიმე თუ თქვა,  
რადგან სიმღერა ჭეშმარიტი არის სხვა სუნთქვა.  
არაფრის გამო. მხოლოდ ღმერთში ქროლვავა. ქარი.

#### IV

ო, უნაზესნო, რომ ახერხებთ შესვლას ხანდახან  
იმ სუნთქვის წიაღ, სადაც არ ხართ ნაგულისხმევი,  
რომელიც უცებ თქვენს დაწვებზე გადმოისხმევა,  
თქვენს მიღმა თრთის და მთლიანდება ისევ თანდათან.

ნეტარნო, წმინდად განკურნილნო, მკრთალი ნაღვევი  
ჩვენეულ გულთა თქვენს საწყისზე ფშვენდა, იზარდა,  
თქვენა ხართ ლარიც და სამიზნეც ჩვენთა ისართა,  
იმარადისებს თქვენი ღიმი ნამტირალევი.

ნუ შეგაშინებთ განსაცდელი, ცრემლის ციმციმი,  
კვლავ დაუბრუნეთ დედამიწას ყველა სიმძიმე,  
მძიმეა მთები, ზღვაც მძიმეა, ნახეთ, იგრძენით...

ნერგები თქვენი ბავშვობისა იქცნენ მორებად,  
ისე დამძიმდნენ, აღარ ძალგიძთ მათი მორევა,  
მაგრამ ჰაერთა მიმორხევა... მაგრამ სივრცენი...

#### V

ძეგლს ნუ ავუგებთ. დაე, იქცეს იმის დიდებად  
ყოველწლიური ვარდფურცლობა. გემართებს მონება,  
რადგანაც იგი ორფევისია. ყველგან ვლინდება.

და აღარ გვინდა სხვა სახელთა გამოგონება.

ეს ყველაფერი ორფეესია, რაც უძღერიათ,  
რაც ყურთასმენას საოცარი ჰანგებით ავსებს.  
მოდის და მიდის. მაგრამ ესეც უკვე ბევრია,  
რამდენიმე დღით რომ აჭარბებს ვარდების თასებს.

რათა თქვენ ჩაწვდეთ მის სიმღერას, მას ძალა ჰყოფნის,  
რომ გაირინდოს, თუნდ უფრთხოვდეს ღუმელს ძალიან.  
რომ გადალახავს თავის სიტყვით მიწიერ ყოფნას –

ის იქ შეაღწევს, სადაც უკვე ვერ სწვდება სმენა,  
ვერ შეუბორკავს ხელებს უკვე ქნარის გალია  
და ზღურბლგადავლილს ეუფლება თძობა და თმენა.

## VI

ამქვეყნიური ეთქმის იმას? ო, არა, ორმხრივ,  
ორივე ქვეყნიდან ამოზრდილა მისი ბუნება  
უფართოესი. ტირიფის ტოტს ის უკეთ მოხრის,  
ვინც ფესვებს ჩაწვდა. მან არ იცის დაძაბუნება.

ძილის წინ სუფრა აალაგეთ, არ დაგრჩეთ გარეთ  
რძე ანდა პური – ეს საცთური გარდასულ სულთა, –  
მაგრამ ის არის გრძნეული და აზავებს, გარევეს  
ქუთუთობეჭვემ მკვდართა მოსვლას მასთან, რაც სურდა,

ან რაც ოდესმე დაუნახავს. მისთვის მისნობა  
ბალახთან მიწის ოხშივრისა ისე იცნობა,  
როგორც კავშირი ცხადზე ცხადი. და იგი აგებს

იმ ხატს ჭეშმარიტს, რაიც მარად წმიდა რამ არის,  
გინდ ოთახისა იყოს იგი და გინდ სამარის,

როდესაც სურას, ბეჭედსა თუ სამაჯურს აქებს.

## VII

ეს არის ქება ჭეშმარიტი! ის, ვით საბადო  
ქვის დუმილიდან, ქვეყნად იშვა ქების წყურვილით,  
გულის წარმავალ საწნახლიდან უნდა დაბადოს  
ღვინო უღევი, ხალხისათვის გამოწურვილი.

ხმა არ უმტყუნებს მტვერთანაც კი, როცა ევნება  
მას ღვთაებრივი მაგალითის გზნება და გეში,  
ევენახება ყოველივე და ემტვენება,  
და უმწიფს თავის მგრძნობიარე სამხრეთის მზეში.

იქაც, სამეფო აკლდამებს რომ ეღებათ ობი,  
იმისი ქება არ იქნება სიყალბით მხმობი,  
და ღმერთთა ჩრდილით არასოდეს მიინამქრება.

ის მარადიულ მახარობლად არის შობილი,  
რომელიც შორით, მკვდართა ბჭესთან ხელაპყრობილი  
ღვას ჭეშმარიტად საქებარი ხილის ლანგრებით.

## VIII

ქების სივრცეში შევიყვანოთ ჩუმი ჩივილი,  
ნამტირალევი წყაროს ნიმფა, რომელიც მარად  
ღარაჯობს ცრემლთა სიანკარეს, რათა ტყვივილი  
მათ არ ამღვრევდეს იმ კლდეებთან, აღსავლის კარად.

აი, შეხედე, წარმოიშვის გრძნობის სიფითრე  
ჩივილის ბავშვურ და მღუმარე მხრებს მინდობილი,  
რის გამოც იგი ბევრად უფრო ნორჩია, ვიდრე

სულის წიაღში მყოფი ყველა მისი დობილი.  
სიამემ იცის, სევდას უღვას განდობის ჟამი,  
მხოლოდ ჩივილი ჯერაც სწავლობს. ძველ ტანჯვებს ღამით  
ბავშვურ თითებზე ჩამოთვლის და გაირინდება.

იგი უეცრად ცერად, მაგრამ ახერხებს ამდენს,  
რომ ზოლიაქო ჩვენი ხმისა აზიდოს ცამდე,  
რომელიც მისი სუნთქვის ორთქლით არ იბინდება.

## IX

მარტოდენ იმას, თავისი ჩანგით  
აჩრდილთა კარად  
ვინც მდგარა, ძალუმს, რომ ქების ჰანგი  
აჟღეროს მარად.

ვინც მკვდრებთან ერთად იგემა მათი  
ყაყაჩოს ბანგი,  
არ დაეღევა იღუმალ ხმათა  
გრძნეული ჰანგი.

დე, ჩვენთვის ხშირად გადეკრას ტბორის  
ანარეკლს ბინდი:  
შეიცან ხატი!

მხოლოდ ამ და იმ სამყაროთ შორის  
ხმა ხდება მშვიდი,  
მარადი, ცხადი!

## X

თქვენ, ანტიკურო სამარხებო, კვლავ ნათლად გხედავთ,

მოგესალმებით, გზა თქვენს იქით არ მაქვს არსაით, გაუჟღენთიხართ მხიარულ წყლებს რომაულ ღღეთა მოლიეღივე და მონანავე სიმღერასავით.

ან კიდევ ფართოდ გახელიღნო, თითქოსდა უცებ გამოფხიზღებულ, ხალისიან მწყემსის თვაღებით, – თქვენს მღუმარებას გული ფუტკრის ბზუიღით უცემს – და ფარვანების გუნდი ფრთხება აფართხაღებით.

ო, თქვენ, ეჭვების აშორებით რომ მოგაგენით, მოგესალმებით, კვღავ განხმულნი თქვენ ხართ ბაგენი, რომელთაც უკვე შეცნობიღი გაქვთ მღუმარება.

განა არ ვიცით, მეგობრებო? ორივეს მიერ შექმნიღი ჟამი ყოყმანისა ვით უცვღის იერს აღამიანებს, სახეზე რომ აეფარება.

## XI

ახეღე ზეცას. ნუთუ არ აქვს სახეღი "მხედრის" არცერთ ვარსკვღავედს? რად ვიმსჭვღავღით გამაღებულნი მიწისგან სწრაფვით. და მეორეც: ასეთი ზვედრი – ვიყოთ მყოენებელ-მტარებელნი და ტარებულნი.

ყოფიერება არ ამჟღავნებს იმავე ბუნებას? მასშიც დეენა და დაურვება ერთურთს შერთვია. გზა, მოსახვევი, მცირე ბიძგი, შემობრუნება. ახალი სივრცე, და ორივე უკვე ერთია.

მაგრამ ასეა განა მართღაც? თუმც კი მიქრიან, იქნება ამ გზის ერთად გავღა არც უფიქრიათ? აშორიშორებს მათ სუფრა და მინღორი ფართო.

ვარსკვლავთ კავშირიც მაცთურია უკვე ამიერ.  
ჩვენ გვიწერია, გავიხაროთ, თუნდაც წამიერ,  
სხეულისადმი ჩვენი რწმენით. ეს კმარა მარტო.

## XII

დიდება იმ სულს, რასაც ძალუმს გაგვხადოს ერთი:  
რადგან ნამდვილად სხეულებში ვცხოვრობთ ჩვენ ყველა.  
და საათები მოკლე-მოკლე ნაბიჯით ძნელად  
მოდიან ჩვენი ჭეშმარიტი დღეების გვერდით.

ჩვენივ ადგილის არმცოდნენი ვალამ-ვათენებთ,  
მაგრამ ჩვენ მაინც ჭეშმარიტი ძალები გვმართავს  
და გვაკავშირებს. ანტენები გრძნობენ ანტენებს,  
ხოლო სივრცე კი, ცარიელი, გადასცემს მარტო...

ო, წმინდა დაბავ. ო, მუსიკავ უხილავ ძალთა!  
ჩვენს ფუჭ საქმეებს არ უპყრიათ ეგ შენი კალთა?  
თუმცა ყოველი დაბრკოლება შენით იძლევა.

მაშინაც, გლეხი როცა შრომობს ქედწამახული,  
როცა თესლიდან ამოფეთქავს უცებ ზაფხული,  
ეს არა კმარა. ამ წყალობას მიწა იძლევა.

## XIII

ვაშლები, მსხლები, კენკროვანნი და ბანანები...  
ეს ჩვენს ბაგეზე სიცოცხლეს და სიკვდილს აქეზებს...  
მე ამას ვხვდები წინასწარვე და დანანებით,  
თქვენც შეგიძლიათ წაიკითხოთ ბავშვის სახეზე,

როცა მათ ჩაკბენს. შორიდანვე დაიწყებს დაცლას



და პირს ავივსებთ უსახელო რაღაც დინება,  
სადაც სიტყვები მდინარებდნენ ადრე, მათ ნაცვლად  
ხილის წიაღით გამოღწევა რამაც ინება.

აბა განმარტეთ, რას დაარქვით სახელი ვაშლის?  
ის თავის სიტკბოს ჯერ ამკვრივებს, შემდეგ კი ვაშლის,  
რომ აღავლინოს და მოაგოს ბაგეთა შენთა

მაცოცხლებელი სიმჭვირვალე, სინათლედ იქცეს  
მზიურ-მიწიერ-აქაურად, თავისკენ გიქცევს:  
ო, ცდავ, შეგრძნებავ, სიხარულო, – დიდება შენდა!

#### XIV

აი, ყვავილებს, მტევანს, ნაყოფს შევახეთ ხელი.  
ჩვენ მათგან მხოლოდ წლის ენაზე ბაასს ვერვებით?  
უკუნეთიდან წარმოიშვის სიცხადე ჭრელი,  
რომელსაც, იქნებ, ალაპლაპებს მწველი ეჭვები

მიცვალებულთა, ვინც ჰმატებენ მიწას მძლეობას.  
შენ ხომ იმათი ბედ-იღბლისა არა იცი-რა?  
დიდი ხანია მათ აქვთ ერთი მოვალეობა –  
ძვლის ტვინით გააპოხიერონ მიწის სიმწირე.

საკითხავია: განა იმათ ეს მართლა უნდათ?  
იქნებ მონები, ამ მიწის ქვეშ შეყრილნი გუნდად,  
ჩვენ, მათ ბატონებს, გვიღერებენ ნაყოფს მუშტებად?

ანდა ბატონნი თვით არიან ფესვქვეშ მძინარნი  
და ჩვენ გვწყალობენ მდიდარნი და გაუცინარნი  
მას, რაც უტყვ ძალას და ტკბილ ამბორს შორის უჩნდებათ?

## XV

მოიცათ... რარიგ საამოა... უკვე იშლება...  
როკვა და ჰანგი სულ ოდნავი... ო, ღმერთო ჩემო!  
მოლით, მცხუნვარე და მდუმარე ქალიშვილებო,  
მოლით, იცეკვეთ შეცნობილი ნაყოფის გემო.

მოლით, იცეკვეთ ფორთოხალი! ვინ დაივიწყებს,  
ის თავის თავში სიტკბოებას ვით სპობს და ურჩობს.  
თქვენ ხომ მას ფლობდით. ის მწიფობას ხელახლად იწყებს,  
თავის გემოთი მას თქვენს რწმენად დარჩენა უჯობს.

მოლით, იცეკვეთ ფორთოხალი! თქვენი წიაღით  
მას ცხელ ქვეყნების სიმზურვალე ისევ მიაგეთ,  
სამშობლოს ზეცა აგრძნობინეთ. წყალობა ქმენით.

გაავარვარეთ, ამოსძალეთ სურნელ-სურნელი,  
გამოიხსენით ქერქებს შორის დაუურველი  
წმინდათაწმინდა ნეტარებით აღმესები წვენი.

## XVI

შენ, მეგობარო, ამა ქვეყნად მარტო ხარ, რადგან...  
ჩვენ სიტყვებით თუ მანიშნებელ ხელებით ზუსტით  
ბევრი რამ უკვე მივითვისეთ, ან კიდევ მათგან  
ეგებ ყველაზე სახიფათო ნაწილი, სუსტი.

მაგრამ ვინ შეძლოს მითითება რაიმე სუნის?  
რაც გვებუქრება ამქვეყნად და არ არის სანდო,  
ბევრს გრძნობ ალლოთი... შენ გიცვნია გარდაცვლილთ სული  
და შიშის ზარს გცემს თილისმა და სიტყვების ჯადო.

ჩვენ ერთად უნდა ავიტანოთ ნაწილი ყველა

ისე, ვით მთელი. როგორ შევძლო მე შენი შველა.  
ოღონდაც გულში ნუ გადამრგავ, ვით ნათესავი,

თორემ უეცრად გავიზრდები. მაგრამ მე მინდა,  
რომ მოემართოს შენსკენ ჩემი ღვთის ხელი წმინდა,  
ვუთხრა: აი, აქ ბეწვექვეშ არის თავად ესავი.

## XVII

ყველაზე ქვემოთ უხუცესი, მთლად დაღარული,  
შთამომავალთა ფესვი პირველი,  
წყარო, ყველასთვის იღუმალი და დაფარული,  
ვერსახილველი.

სამონადირო ბუკ-ნალარა, ფოლადის ზუჩი,  
ამბები ძველთა ძველნაქნარები,  
კაცების ძმური მძვინვარება, ჯიუტი, ურჩი,  
ქალნი — ქნარები...

ტოტები ტოტებს მიჭლობილი, გადახლართული  
და მხოლოდ ერთი! აზიდული და აღმართული...  
ო, სიმაღლეებს ესწრაფე მარად!..

მაგრამ ტყდება და ისხი პება, ხარობდა რაიც,  
მხოლოდ ეს ერთი იქ, ზემოთ მაინც  
იხრება ქნარად.

## XVIII

გესმის, უფალო, რაღაც ახლის გრგვინვა, ხმაური,  
რომ გააყრუა ირგვლივ მთა-ველი.  
მოდიან მისი მაცნეეები ვერსაცნაურნი

და მოთავენი.

თუმც ვერ გადურჩა ამ რახარუხს ვერავის სმენა,  
არც არვის გული აროდეს მოთბა.  
მაგრამ ჩვენ მაინც მის საქებრად მოვმართოთ ენა,  
მის ყოველ ნაწილს შევასხათ ხოტბა.

მანქანის ცქერა ნუ გგონია ეგრე ადვილი,  
ის იკლაკნება შურისგების ავი წადილით  
და გვაძაბუნებს მისი ყურება.

ჩვენ გვაცლის ძალას, მიტომ არის ასე ძლიერი,  
ბრუნავს გულგრილი, მშვიდი იერით,  
ბრუნავს და ვითომ გვემსახურება.

## XIX

რა სწრაფიც უნდა იყოს ქვეყნის სახეცვლილება  
ღრუბელთა დარად,  
კვლავ პირველსაწყისს ელტვის ყველა სრულყოფილება  
ყოველთვის, მარად.

ამ სახეცვლათა მსვლელობაში ქართ-უქარესი  
და მარად მქნარი  
ლალობს მაგ შენი ამღერების უწინარესი  
ღვთაება ქნართ.

მწუნარებანი გაგებას და ახსნას ელიან  
და სიყვარულიც ჩვენი რჩება მარტოდენ კვეხნად,  
არაფრის ცოდნა არ გვაქვს ურყევი,

და რა გვაშორებს ჩვენ სიკვდილში, აუხსნელია,  
მხოლოდ სიმღერა დანავარდობს ლალად ამქვეყნად

ლოცვა-კურთხევით.

## XX

სმენის ეს ნიჭი შენგანა გვაქვს, უფალო ღმერთო,  
ჩვენ რა მოგიძღვნათ? გვითხარ მაინც, ღუმილი გვრცხვენის.  
აი, ეს ჩემი მოგონება: საღამო ერთი  
გაზაფხულისა, შორს, რუსეთში, და ერთი ცხენი...

მოგელობდა ის სოფლიდან თავისთვის, მარტო,  
თან მოთხრილ პალოს მოიქნევა მიუსაფარი.  
უხმობდა ღამის იალაღი ვრცელი და ფართო,  
აღელვებული გადაჰქუხდა თავზე ფაფარი.

და ევლებოდა მაღალ კისერს ელვარე ალად,  
ოდნავშებორკილ დაოთხილი ჭენების კვალად –  
უდუღდა სისხლი და სხეულში მცხუნვარე ხვატი...

მღერდა, ისმენდა, გრძნობდა სივრცეს! არ მეგულება  
მე სხვა რამ, რაშიც ასე ყველა შენი თქმულება  
შენივთულიყოს. მომიძვნია მე მისი ხატი.

## XXI

ისევ მოვიდა გაზაფხული. ეს მიწა თითქოს  
ბავშვია, ბევრზე ბევრი ლექსის მცოდნე ზეპირად.  
მათი ბეჯითად დასწავლისთვის საჩუქარს ითხოვს,  
ვერც წაართმევდნენ მას ამ ჯილდოს, რომც დაეპირათ.

მოძღვარი ჰყავდა უმკაცრესი. ჩვენ კი გვიყვარდა  
მოხუცი კაცის თეთრი წვერი, მფარველი მიწის.  
მაგრამ რა ჰქვია ამ სიმწვანეს, ამ ცისფერ ფარდას,

ეს უკვე თვითონ ამას კკითხოთ: მან იცის, იცის!  
იარდალეგე, დედამიწავ, ჩვენ, ვით ბავშვები  
დაჭერობანას გამალებით გეთამაშებით  
და ვისაც მეტად უხარიხარ, მისია ჯერი.

ისიც გარბის და მღერის თავის სასიმღეროებს,  
რაც ისწავლა და აღებეჭდა ფესვებს, ღეროებს,  
ამ ყოველივეს თავისუფლად მღერის და მღერის!

## XXII

ჩვენ ვართ მხოლოდ მარეკები.  
მაგრამ დროის ნაბიჯები  
ნატამალად არ ეგების  
საგნებს დამრჩენთ დადინჯებით.

აჩქარებას ძალუძს დახსნა?  
ან რაიმე შეუცვლია?  
ჩვენთვის ილუმალის ახსნა  
მხოლოდ დამრჩენს შეუძლია.

ჭაბუკებო, ფრენის განცდას  
ნუ გადუგდეთ გული მთელი,  
მოჩქარენი ნუ იქნებით.

ყველაფერი უკვე დაწდა:  
ეს ნათელი და ეს ბნელი,  
ყვავილები და წიგნები.

## XXIII

ო, მხოლოდ მაშინ, გაფრენას ოდეს

არ ესურვება, რომ აჩქარებით  
ცის სიჩუმეში თავისთვის ქროდეს –  
კმაყოფილი და თვითნაკმარები,

რათა შუქების პროფილში მქროლი  
მარჯვე ხელსაწყოდ იყოს ქცეული  
და ითამაშოს მოხდენით როლი  
თავდაჯერებულ ქართა რჩეულის, –

როს წმინდა "საით" ბიჭურ, თავნება  
აპარატების ამპარტავნებას  
დააცხრობს სივრცის სიფართოვეში,

მას, მონაგებით გზნებამორეულს,  
ელირსება, რომ მისწვდეს შორეულთ  
თავისი ფრენის სიმარტოვეში.

## XXIV

ღმერთების ჩვენთან მეგობრობას, უძალველს ყოვლად,  
ნუთუ გვმართებს, რომ ავარიდოთ უეცრად თვალი,  
რადგან ისინი არ იცნობენ ჩვენს მტკიცე ფოლადს,  
ანდა რუკაზე უნდა ვძებნოთ იმათი კვალი?

მათ მხოლოდ მკედრები მივაბარეთ და მივატოვეთ.  
არ ესაქმებათ ჩვენს ჩარხებთან მათ არაფერი.  
ჩვენ საკრებულო ადგილები გავიფართოვეთ  
და ღვთის მაცნეთა გადასწრებას ვცდილობთ გაფრენით.

მაგრამ მარტონი ერთმანეთსლა შევრჩით უბირად.  
ჩუქურთმულ ბილიკს ვამჯობინეთ სწორი გზა, ფართო.  
ძველ ცეცხლს, აღრინდელს და ჭემმარიტს, იმას ვუპირებთ,

რომ ორთქლის ქვაბებს გამსახუროთ დღეიდან მარტო  
და ძრავდეს უფრო ღიდ უროებს იმისი აღი.  
ჩვენ კი ისე, ვით მოცურავეთ, გვერთმევა ძალი.

## XXV

შენ, ვინც ყვავილად შეგიცანი ნაზი ასული,  
რომლის სახელიც არ ყოფილა ჩემთვის ცნობილი,  
მსურს ერთხელ კიდევ გაგიხსენო, აწგარდასული,  
გადულახველი შეკვივლების ნაზი დობილი.

უპირველესად მოცეკვავე. უცებ შეჩერდა,  
მისი სინორჩე თითქოს გახდა ბრინჯაოდ სხმული,  
და სევედიანი სმენად იქცა. ყოვლისშემძლეა  
მუსიკამ უცებ მთლად აღუესო შეცვლილი გული.

სენი. ლანდები. ვერ გაუძლო ამდენ ზიანთა.  
შებინდა სისხლი. მაგრამ მაინც გადაამზიანდა  
თავის ბუნებრივ გაზაფხულში სათნო და მთმენი.

ისევ და ისევ აფერხებდა ვარდნა, უკუნი,  
მაგრამ კვლავ ენთო მიწიერად, სანამ გუგუნით  
არ მოიჭოვა უნუგეშოდ განსმული ბჭენი.

## XXVI

ო, ღვთაებრივო მომღერალო, როდესაც გუნდი  
მენადებისა თავს დაგესხა მძლევი, მჩაგრავი,  
ნგრევის ყიყინას შენ ახშობდი, რადგან არ დუმდი,  
აღმაშენებლად აღევლინა შენი საკრავი.

ამაო იყო მათი ბრძოლა, არ ჰქონდა აზრი,



თუმც მათ სიცხარეს და სიშმაგეს ვერ იტყვის ენა,  
შენ გულის ნატყორცნი წვეტიანი ლოდები ბასრი  
გეხებოდნენ და ლბილდებოდნენ, იძენდნენ სმენას.

გაგგლიჯეს, მაგრამ მაინც ფუჭი აღმოჩნდა გარჯა,  
რადგან შენი ხმა საამქვეყნოს წიაღში დარჩა:  
ლომში, ფრინველში, ხეში, კლდეში გალობ და სტირი.

ო, ჩვენო ღმერთო, დაკარგულო! კვალწარუშლელი!  
მხოლოდ იმიტომ, რომ აგქნეს და დავრჩით უშენოდ,  
გავხდით მსმენელნი და ბუნების მეტყველი პირო.

## მეორე ნაწილი

### I

სუნთქავ, ლექსი ხარ შენ უჩინარი,  
სამყაროს სივრცის წმინდად ცვალება  
საკუთარ ყოფნად, ჩემში მდინარი  
რიტმული ცვლა და გარდაცვალება.

ის მოდის ტალღად, მე ზღვა ვარ შორი,  
თანდათანობით მისი მკრებელი,  
უმომჭირნესი ყველა ზღვებს შორის,  
სივრცეთა უკუამომგებელი.

რამდენო სივრცე, ნაირ-ნაირო,  
ჩემში ყოფილხარ. ქარები შენი  
მე საკუთარი მგონია ძენი.

ვერ მცნობ, აღსავსეე ჩემით, ჰაერო?

შენ – ჩემს სიტყვათა, – როგორ მოვთვალო, –  
ფაქიზო ქერქო, გარსო, ფოთოლო.

## II

როგორც ქალღი, მონახაზის ჭეშმარიტ შტრიხებს  
ზოგჯერ ოსტატს რომ მოსტაცებს და უმაღ უმართლებს,  
ზშირად ასევე სარკეც თავის წიაღში იღებს  
ქალიშვილების წმინდა ღიმილს, ერთს და უნათლესს,

როდესაც მართოდ დარჩენილნი სინჯავენ დილას,  
ანდა მწუხრისას მომსახურე ჩირაღდნებს შორის.  
და შემდეგ იმათ ნამდვილ სახეს ეხება ფრთხილად  
მართოდენ მისი ანარეკლი მკრთალი და შორი.

ბუხარში ნეტავ რას ისროდნენ ძველად თვალები,  
როდესაც ცეცხლი ჩაქრებოდა ნაფერმკრთალევი?  
სიცოცხლის მზერას, რაც თითქოსდა არც კი ყოფილა.

ნეტავ ვინ უწყის, რა დაკარგა მიწამ უკვალოდ?  
მართოდენ იმან, ვინც ჯერ კიდევ მაინც უგალობს  
იმ გულს, რომელიც მთლიანობის წიაღ შობილა.

## III

ო, სარკეებო: ქვეყნად დღემდე არ არსებულა  
ის, ვინც აგხსნიდათ, თუ რანი ხართ, ან რას ედრებით?  
თქვენა ხართ საცრის ნასვრეტებით ამოვსებული  
მარადი დროის სივრცობრივი შუალედები.

თქვენში იფლანგვის ცარიელი დარბაზი ლაღი,  
როცა საღამო, ვით ტყეებში, იშლება ბინდად

და ირემივით რქანაყარი ბრწყინვალე ჭალი  
თქვენს შემოულწევ სიღრმეებში შემოდის მშვიდად.

ზოგჯერ აღგავსებთ სურათები ფერად-ფერადი,  
ხან თითქოს აღწევს თქვენში ვიღაც ამიერადი –  
სხვებს კი შემკრთალნი რად ირიდებთ, თავად არც იცით.

მაგრამ ყველაზე მშვენიერი ვინც არის, იგი  
დარჩება თქვენში, სანამ იმის ღაწვთაგან, იქით,  
არ ამოაღწევს ნათელი და მტკნარი ნარცისი.

#### IV

ო, ეს ცხოველი, – არნახული და არყოფილი.  
არვინ იცნობდა, მაგრამ მაინც იწვევდა ღელვას,  
უყვარდათ მისი თავდაჭერა, ქედი, პროფილი  
და მისი ჩუმი გამონედვის მალული ელვა.

თუმც ის არ იყო, მაგრამ რადგან უყვარდათ იგი,  
წმინდა ცხოველად შერაცხეს და სილაღე მისცეს.  
თავადერილი დადიოდა აქეთ თუ იქით  
და თან დაჰქონდა გაშლილი და ნათელი სივრცე.

არც სჭირდებოდა არსებობა. მისი მკვებელი  
იყო მარტოდენ არსებობა შესაძლებელი,  
რომელიც ცხოველს ისეთ ძალას აძლევდა მაშინ,

რომ შუბლზე უცებ რქა გაუჩნდა აზრდილი მალლა  
და ქალწულს თეთრად მოქათქათე რომ მიეხალა,  
ვერცხლის სარკეში შეაღწია და თავად მასში.

## V

ყვავილის კუნთო, ფურისულას შენით ელება  
თანდათანობით მდებლობის დილა მზიანი  
მანამდე, სანამ მას წიაღში არ ჩაეღვრება  
აღალადებულ ცათა შუქი, მრავალხმიანი.

შენ უსასრულო მიღებისთვის ხარ დაძაბული  
ყვავილად გაშლილ ჩუმ ვარსკვლავში, რომელიც უხვი  
სისავისისავან ხდება ისე სუსტი, ძაბუნი,  
რომ თვით სიკვდილის ჩუმ ნიშანსაც არ ძალუძს უკვე,

კვლავ მოუყაროს თავი შენსავ გაძარცულ ფურცლებს  
და დაგიბრუნოს გაფანტული, მჭკნარი და შორი;  
რამდენი ქვეყნის ძალა გაქვს და რაოდენს უძლებ?

ჩვენ, ძალმომრეები, ვძლებთ ამქვეყნად ყვავილზე დიდხანს.  
მაგრამ როდისღა, ანღა ამდენ სიცოცხლეს შორის  
ნეტავ რომელში განვიხეხებით ყოფნისთვის? – მითხარ.

## VI

ვარღო, მეუფევე, შენ ძველთათვის იყავი მარტო  
სადა არშიამოვლებული ფინჯანთავანი,  
ჩვენთვის კი სრული ყვავილი ხარ, გაშლილი ფართოდ,  
ამოუწვერავ-აღუწერი უცხო საგანი.

მბრწყინავ სხეულზე უთვალავი კაბები გშენის,  
ახალ-ახალი მუდამ სჭარბობს უკვე გამოცვლილს,  
და მაგრამ მაინც თვითეული ფურცელი შენი  
უარყოფა ყოველგვარი კაბა-სამოსლის.

შენი სურნელი ოდითგანვე ყველას გვახელებს

და ჩვენში ირჩევს უამეს და უტკბეს სახელებს;  
იგი ჰაერში განივრცობა, როგორც ღიღება.

ვერაფერს ვარქმევთ, ამაოა გარჯა ყოველი...  
მასზე მარტოდენ მოგონება გადავლინდება,  
რომელიც ხმობილ დროისგან გვაქვს გამოთხოვილი.

## VII

ყვავილნო, ბოლოს მაინც მზრუნველ ხელთა დობილნო  
(ხელთა ყოფილ თუ აწარსებულ ასულებისა),  
ბალის მაგიდას დაქანცულად შემოწყობილნო,  
ლბილად ნაკაფნო, წყალს რომ ელით აღსრულებისას,

რათა ერთხელაც გამოვიხსნათ უკვე დაწყებულ  
სიკვდილისაგან აწ მჭკნობარი, – და იწვეთ მაღლა  
იმავე ასულთა მგრძნობიარე და აღტაცებულ  
თითებში მდინარ ჭავლებს შორის, რომელთაც ახლა

ძალუბთ, რომ მეტი სიამე და სითბო გაჩუქონ,  
ვიდრე გევონათ. და ლანგარის ყელი მაღალი  
გაგრძილებთ, რათა გოგონათა სითბო აშუქოთ,

ვით აღსარება, ანდა ცოდვა ბნელი, დამღლელი,  
მოწყვეტის გამო, მიმართება რაღაც ახალი,  
ვისთან ერთადაც კიდევ ერთხელ გაფურჩქნა გელით.

## VIII

წარსულ ბავშვობის მეგობრებო, რარიგ ცოტანი  
შემორჩით სადღაც მიმოფანტულ ბალებს, ქალაქებს:  
ერთმანეთს როგორ ვაპოულობდით მორცხვად, ყოყმანით,

თავს ვაწონებდით ერთურთს, როგორც მოლაპარაკე

ფოთოლს ბატკანი. საუბარი გვქონდა მდუმარე.  
ვის ეკუთვნოდა ის დღეები, ღზენით ნაფერი?  
თითქოს გამგვლელებს გაჰყვა უკან, როგორც სტუმარი,  
ან უგრძეს წელთა სევდამ შთანთქა ეს ყველაფერი.

ეტლები – მიღმა. და სახლებიც – უცხონი, რადგან  
ყალბად გვეხვივნენ. არ გვიცნობდა არც ერთი მათგან.  
მთელ ქვეყანაზე რალა იყო ნამდვილი მაშინ?

მხოლოდ ბურთები. მათი ფრენა გვაძლევდა ნუგეშს.  
ბავშვებიც არა... მხოლოდ ზოგჯერ დაშვებულ ბურთქვეშ  
დგებოდა ხოლმე ვიღაც, თურმე დღემოკლე ბავშვი.

*(ეგონ ფონ რილკეს ხსოვნას)*

## IX

ნუ იამაყებთ თქვენ, მსაჯულნო, არაფრისმაქნის  
იარაღით და ქედზე რკინის არშეფერხებით.  
ვერ აღამაღლებს გულს ის გრძნობა, რომ ლბილად აქნეს,  
რომ სასიკვდილოდ თითქოს უფრო ნაზად ეხებით.

რაც კი ეშაფოტს მიუღია, უკანვე ისვრის  
ისე, ვით ბავშვი სათამაშოს, მას რომ აჩუქეს  
შარშან გადახდილ დღეობაზე. მაღლიდან იძვრის –  
ბჭეგანხმულ გულში სხვანაირად შემოაშუქებს

ღმერთი ნამდვილად ღმობიერი. და ის იქნება  
მძლე და ნათელი, ვით ღმერთთ მოსდგამთ. და მეტი, ვიდრე  
ქარი, ზომალდთა აფრებისთვის ამომართული,

არანაკლები, ვიდრე ჩემი ფრთხილი მიგნება,

სულსმწვდომი, როგორც უსასრულო წყვილთა მემკვიდრე  
ბავშვი, თამაშში მშვიდად გართული.

## X

მანქანა ყველა მონაპოვარს ეცემა ელდად,  
სანამ სულს ებრძვის, არ ნებდება ტლანქად და უბრად.  
ნელი მშვენება რომ დათრგუნოს დიდებულ ხელთა,  
იგი თამამი შენობისთვის დიდ ქვებს თლის უფრო.

ეს არ მოხდება: ჩვენ ვქმნიდეთ და იმას კი საღმე  
დაზეთილს, მღუმარ ფაბრიკაში დგომა ენება.  
ის ცხოვრებაა, თვლის, რომ იცის ყოველი საქმე  
და ეხერხება ჩვენზე უკეთ ნგრევაც, შენებაც.

მაგრამ ჩვენს ყოფნას ჯერაც შესწევს ხიბლვის უნარი,  
პირველსაწყისი ბევრგან რჩება გაუნუნარი,  
და წმინდა ძალებს უპატივოდ ხელს ვერვინ ახლებს.

გამოუთქმელში იძირება სიტყვები ქების.  
მარად ახალი მუსიკა კი – მთრთოლვარე ქვებით  
უხმარ სივრცეში აგებს თავის ღვთაებრივ სახლებს.

## XI

აღამიანო, დამთრგუნველო, სიკვდილის ბევრი  
ხერხი შექმენი, ნადირობის ჟინით ნაჯერი;  
გიცნობ, ვინცა ხარ – ხაფანგთა და მახეთა ტევრი,  
კარსტულ მღვიმეში ჩაშვებულნი ტილოს ნაჭერი.

შეჭკონდით დინჯად, ვით მშვიდობის დროშა დიადი,  
მაგრამ ვილაცა გიბიძგებდა გააფთრებული,

გამოაფრთხობდა მთრთოლოვარ მტრელებს ღამის წყვდიადი...  
ეს ყოველივე არის მაინც გამართლებული.

ნუ აღმოხდება მნახველს კენესა სულის წიაღით,  
და არა მხოლოდ მონადირეს, ვინაც, ცხადია,  
მარჯვედ, დროულად მოქმედებს და აროდეს ცდება.

მკვლელობა ჩვენი მოარული გლოვის ხატია...  
წმიდაა იგი, სულის სიღაღით  
რაც ჩვენში ხდება.

## XII

გსურდეს გარდაქმნა, შენც მოგედოს იმ ცეცხლის ალი,  
რაშიც საგანი გისხლტება და ფერს იცვლის უხვად;  
არსთაგამრიგეს, საგნებზე რომ უჭირავს თვალი,  
მათში მარტოდენ გარდატეხის წერტილი უყვარს.

რაც თავს დარჩენას შეაფარებს – ქვადქცეულია;  
განა დაიცავს უჩინარი რუხი საფარი?  
ყოველი მყარი უფრო მყარის დაქცეულია,  
ვაგლახ, რომ სადღაც შემართული ურო მზად არის.

ცნობა შეიცნობს, რაც დის წყაროს წესით და რიგით,  
და ღზენით შეჰყავს ლაღად ქმნილში, რომელსაც იგი  
ბოლოდან იწყებს ან დაწყებით ამთავრებს მარად.

განშორება შობს ქვეყნად ყოველ ბედნიერ სივრცეს,  
რომელთაც თავი გაოგნების სიაშეს მისცეს.  
და ბუჩქად ქცეულ დაფნას სურს, რომ შენ იქცე ქარად.



### XIII

გაუსწარ ყველა განშორებას ისე, ვით ზამთარს  
უკვე გალეულს, რადგან ამდენ პირქუშ ზამთარში  
ერთია ისე უზამთრესი, რომ თუ გადარჩი,  
ეგ შენი გული დაძლევს შემდეგ ყოველგვარ ავდარს.

ევრიდიკეში სამუდამოდ მოკვდი და ისევ  
ულრმეს სიმღერით განადიდე ყოფნა მთლიანი.  
აქ, წარმავალთა შორის იყავ და იდაისე,  
იყავ წკრიალში დამსხვრეული ჭიქის წკრიალი.

იყავ - და თანაც გახსოვდეს, რომ არყოფნა გელის,  
რაც არის შენი სულის რხევის მიზეზი ძველი,  
რომ თუნდაც ერთხელ აღასრულო ეს მართლაც სრულად.

სავსე ბუნების დახარჯულ თუ დაზოგილ ძალებს  
შენ შენივ თავიც მიაკუთენე და მიათვალე  
აღფრთოვანებით, და უარჰყავ რიცხვები სულაც.

### XIV

ყველა ყვაილი, ნახე, მიწას როგორ ენდობა,  
ჩვენ ბედს ნამცეცებს ვაციცქნით და თავს ამით ვიქცევთ, –  
თუმცა, ვინ იცის! ჭკნობისას რომ გვთხოვენ შენდობას,  
იქნებ გვმართებს, რომ მათ შენდობად ჩვენ თვითონ ვიქცეთ.

ყველაფერს უნდა ქროლვა. ჩვენ კი ყველაფერს განგებ  
ვაწვებით ტვირთად, სიამეს გვგვრის მათი დანშობა;  
მომაბეზრებელ აღმზრდელებად ვუდგებით საგნებს,  
რადგანაც იმათ მარადისი ერგოთ ბავშვობა.

ვინმეს ისინი თავის ძილში რომ ჩაეწვინა

და იმ საერთო სიღრმეებში გამოეძინა,  
გათიენებდა სულ სხვაგვარად დილას და მაშინ

ყვავილნი უხვად გადუშლიდნენ ფერთა ძოწეულს,  
როგორც თანასწორს და ჭეშმარიტ გზაზე მოქცეულს,  
და უძღვრებდნენ, ვით და-ძმანი, მღელღოთა ქარში.

## XV

მუდამ მეტყველო წყაროს პირო, იღვრები ღვარად,  
ღალღებ მხოლოდ ერთ სიწმიდეს და არ იცლები.  
შენ მარმარილოს ნიღაბი ხარ, რომელსაც მარად  
ღალღად მდინარი წყლის იერი ელიცლიცება.

აკვედეუკებმა გიანდერძეს თქმულება შორი,  
აპინინების ფერდობთაგან, საფლავთა გავლით,  
ჩამოჟონილი, აწ რომელიც ბაგეთა შორის  
გადმოგედვრება და იმისი უღევი ჭავლი

ჟანგმოკიდებულ ნიკაპს მიღმა გადმოდენილი  
ესხმის ნიჟარას, ეს ყურია, ქვეგანფენილი  
მარმარილოსი, მიწის ყური, მიდი, ედინე.

მიწა საუბრობს თავის თავთან. რაც თვითონ უთქვამს,  
მხოლოდ მას ისმენს. და შენ წყაროს სურას რომ უღვამ,  
მიწას ჰგონია, საუბარი შეაწყვეტინე.

## XVI

მარად ნაჩიქნი, ნაწვალები ჩვენი აზრებით  
ღმერთია თვითონ ის ადგილი, რაც კურნავს სნებას.  
ჩვენ ცოდნა გვინდა და მიტომ ვართ ასე ბასრები,

ის ნათელია და წყალობის გაცემა ნებავს.

თვით უწმინდესი მსხვერპლშეწირვაც თითქმის არა სურს, რადგან ეს იმის მშვიდ სამყაროს არ ეთავსება და იღებს მხოლოდ იმისათვის, რომ ლალ აღსასრულს უძრავად შეუპირისპიროს თავის არსება.

იმ წყაროს, რომლის ჩვენ მარტოდენ ხმაური გვესმის, სვამს მხოლოდ მკვდარი, ისიც მაშინ, როდესაც შესმის უფლებას თვითონ მიანიშნებს ღმერთი, მღუპარი.

ჩვენ კი გვერგუნა მარტოდენ ხმაური ღიღი.  
და კრავი უფრო იღუმალი და უფრო მშვიდი  
აღლოს წყალობით ეჟვანს ითხოვს ხვეწნა-მუდართით.

## XVII

სად, რომელ ბაღში, ნეტარებით რომ ირწყვის მარად,  
რომელ ხეებზე, რომელ ყვავილთ გაშლილ თასიდან  
მწიფობს ნაყოფი ნუგეშისა მტევენების დარად?  
ეს უცხო ხილი, რომელთ შორის შენ ათასიდან

ერთს თუ იპოვი იმ მწირ ველზე, გული რომ იტევეს.  
მუდამ გაოცებს ამ ნაყოფის სიდიდე, მაღლი  
და სილბო, თანაც რომ დაასწარ ფუქსავატ ჩიტებს  
და რომ მანამდე არ გაუჩნდა ეჭვების მატლი.

არსებობს სადმე, ანგელოსთ რომ უყვართ, ხეები,  
ნელა რომ ზრდიან იღუმალი მებაღეები,  
რომელთა რტონი აგვეკრძალა, რომ დაგვერხია?

შეგძელით განა, სქემებად რომ გვაქცია ცოდნამ,  
ჩვენ ნაადრევ და იქვე ჭკნობად ქცევებით ოღნავ

იმ მშვიდ ზაფხულთა გულგრილობა რომ დაგვერღვია?

## XVIII

ცეკვის ასული: წარმავლობის, არარაობის  
მოძრაობებად გარდამქმნელო, წამერთვა გონი.  
ეგ ბოლო ბრუნვა თვით არ იყო ხე მოძრაობის,  
რომელმაც უცებ შეითავსა წლის ყველა დრონი?

განა დუმილი კენწეროზე არ აიყვავა,  
როგორც ყვავილი უცნაური და არნახული?  
ტრიალ-ტრიალით რომ დაჰფერენდი, შენ არ იყავი  
თავად ის მზე და მცხუნვარება, თავად ზაფხული?

ამ აღტაცების ხეს ნაყოფიც უმწიფდა ზოგი,  
განა არ ესხა მშვიდი ხილი: აი, თუნდ დოქი  
ზოლებად მწიფე, ან ლარნაკი უფრო მწიფარი.

სურათებზე კი მონახაზი არ დარჩა ვითომ,  
მუქი წარბებით უმაღვე რომ შეამკე თვითონ –  
ტეხილი ხაზით საკუთარი ბრუნვის ტიხარი?

## XIX

სადღაც ნებივრობს ბანკში ოქრო – სადაც ფულია,  
იქ ლაზღანდარობს. მაგრამ აგერ ბრმა მათხოვარი  
სპილენძის ხურდა ფულისთვისაც დაკარგულია,  
როგორც კუნჭული კარადის ქვეშ, მტკერში რომ არის.

სავაჭრო დახლთან თავს შინა გრძნობს ყოველთვის ფული,  
იცვლის ბეწვეულს თუ აბრეშუმს ფრიალ-ფრიალით.

ის კი დგას იმათ სუნთქვას შორის, რომელთაც სული  
ველარ მოუთქვამთ დღე და ღამე ფულის შრიალით.

როგორ ნატრულობს ღამით მოხრას, მარად გაწვილი  
ხელი, დილით რომ ისევ გაშლის ბედი, განცდილი,  
და ნათელი და საცოდავი კვლავაც გაეწვიდის.

ნეტავ შეეცნო იგი ვინმეს და ეთქვა ქება –  
საგალობელი. რის გამოთქმაც ხელეწიფება  
მხოლოდ მგალობელს, შესძენა კი – მხოლოდ ღვთაებრივს.

## XX

რა შორეთია ვარსკვლავთ შორის, და მაინც უფრო  
შორია, რასაც ამა ქვეყნად ვსწავლობთ, მიველტვით.  
აი, თუნდ ბავშვი... ან მოყვასი, თანამესუფრე –  
რა მიუწვდომლად შორდებიან ერთუროს ყოველთვის.

ბედი ჩვენ გვზომავს ყოფიერის ადლით თუ მტკავლით  
და ალბათ მიტომ აგრერიგად გვეუცხოვება;  
კაცს, დაუკვირდი, რა მანძილზე შორდება ქალი,  
რომ გაურბის და თან გულისხმობს მთელი ცხოვრება.

შორია ყველა, არსად იკვრის წრე მიღმიერი.  
შეხედე სუფრას – თეფშზე თევზის უცხო იერი.  
თევზები უტყვნი არიანო, დავენლოთ წიგნებს?

ვინ იცის, იქნებ რომელსამე უცხო მხარეში  
თევზთა ენაზე მეტყველებენ, იმათ გარეშე?  
ვინ იცის, იქნებ...

## XXI

ბალებს უმღერე, გულო ჩემო, უცნობებს შენთვის,  
თითქოს მინისგან ჩამოსხმულებს და მიუწვდომელთ,  
შირაზისა და ისპაჰანის ვარდნარებს, რომელთ  
წყაროთა წკრიალს შენი ქება-დიდებაც ერთვის.

თქვი, გულო, თითქოს სულ თან განლდნენ ყმაწვილობისას,  
თითქოს შენთვისაც მწვიფდნენ მუდამ მათი ლეღვები;  
და ისე იცნობ მათ ნიავებს ყვავილობისას,  
რომ ტოტებს შორის თითქოს ნაცნობ სახეს ეხები.

არ შეცდე, თითქოს შეგიძლია, რომ ამასოფლად  
არ აღასრულო ეს განზრახვა, სახელდობრ: ყოფნა!  
შენა ხარ ძაფი და ქსოვილის წიაღ ისხმევი.

რა გრძნობაც უნდა დაგეუფლოს, რა მძიმე ჟამიც  
(თუნდაც ეს იყოს თვით უმძიმეს წამების წამიც),  
იგრძენ, დიადი ხალიჩაა ნაგულისხმევი.

## XXII

ბედის პირუკუ: ქვეყნად ჩვენი ყოფიერების  
ზესიუხვენი დიდებულად ბაღში მჩქეფარნი,  
ან ქვის კაცებად აღმართულნი, ღონიერები,  
პორტალთა გვერდით, აივნებქვეშ მწკრივად შემდგარნი.

ბრინჯაოს ზარი, ჟამით-ჟამად რომელიც ბედავს  
უბლაგვეს ყოველდღიურობას უტევდეს კეტით!  
ანდა ის ერთი, თითქმის უკვდავ ტაძრებზე მეტად  
გადარჩენილი დიდი სვეტი, კარნაკის სვეტი.

ანლა იგივე სიუხვენი ქრიან გუგუნით,

ბრტყელ-ყვითელ დლიდან აწყდებიან ღამის უკუნეთს  
და თვალისმომჭრელ შუქს ესვრიან ტლანქად და მქისედ.

მაგრამ კვალსაც კი არსად ტოვებს სიშმაგე ურჩი,  
ფრენის რკალი თუ სხვა რამ იქნებ არც იყო ფუჭი,  
მაგრამ, ვით იყო ჩანაფიქრი, მარტოდენ ისე.

### XXIII

როცა ის წუთი მოვა შენთან, მე დამიძახე,  
შენს წინ ჯიუტად წარმომდგარი წუთი, რომელიც  
მოგეახლება მახვეწარი, ვით ძაღლის სახე,  
მაგრამ (შენად რომ დაიგულებ) უმაღლეს მსხლტომელი.

ასეა, შენგან წართმეული შენია უფრო.  
თავისუფლება მოგვენიჭა უეცრად სრული.  
მაგრამ ჩვენ იქვე დაგვეთხოვნენ უცებ და უბრად,  
სადაც, თითქოსდა, ჯერ სალამიც არ იყო თქმული.

საყრდენის ფრთხილი ძებნა არის ჩვენი საგონი.  
ყოფილის მიმართ ჩვენ ვართ ხშირად უასაკონი,  
არყოფილისთვის კი – მოხუცნი, ვიქცევით უკეთ,

ვით ჯერ არს, როცა მაინც ქებით გვევსება სული,  
რადგან, ვაი, რომ ჩვენ ვართ ტოტი, ჩვენვე ვართ ცული  
და სიტკბობაც იმ საფრთხისა, რომ გვიმწიფს უკვე.

### XXIV

ო, ეს სურვილი – თიხისაგან ახალი მარად!  
შემწედ არავინ არ ჰყოლიათ, თვით იყოჩაღეს.  
ზღვისპირას მაინც შენდებოდნენ ქალაქნი მყარად,

დოქები წყლით და ზეთით სავსე ედგათ ოჯახებს.  
ჩვენ გვსურს, ღმერთები ჩვენს გაბედულ ზრახვებში ჩავართოთ,  
თუმცა მათ გვისპობს ბედისწერა არაფრის მსმენი.  
ჰვიან უკვდავნი. ჩვენ კი ნება გვეძლევა მარტო,  
ვუსმინოთ, ვინაც ბოლოს უნდა ისმინოს ჩვენი.

ჩვენ, ათასწლოვან მშობლებს გვინდა, უზარმაზარი  
მყოფადი მივცეთ შვილებს, რათა დაგვცენ თავზარი  
ზეადმატებით, რაც არ გვსხმია, გვინდა, მათ ესხათ.

ჩვენ, უსასრულოდ გამბედავებს, გვეყოფა ხანი?!  
უტყვმა სიკვდილმა იცის მხოლოდ - ვინა ვართ, რანი,  
და რას მოიგებს მის სანაცვლოდ, რაც მოგვცა სესხად.

## XXV

ჩუ, უკვე გესმის პირველ ფოცხთა ხელში აღება  
და გაზაფხულის სიჩუმეში კვლავ მოწმე გახდი,  
როგორ აღვიძებს მიწას კაცთა ქმედების ტაქტი  
და მომავალი უაზრობად არ გესახება.

რაც მოდიოდა შენთან ადრე წესით და რიგით,  
კვლავ გიბრუნდება, ვით ახალი - თითქოს უღირხარ.  
თუმცა ელოდი განუწყვეტლივ, მაგრამ შენ იგი  
არ მივიღია არასოდეს; მას მიუღიხარ.

გამოზამთრებულ მუხის ნემოს მომავლის მუქი  
ფერი ეძლევა, როცა ღება მიმწუხრის შუქი.  
ზოგჯერ რაღაცა ენიშნებათ ნიავეებს ამით.

შავია ბუჩქი. მაგრამ მინდვრად რომ ახვავია  
ნაკელის გროვა, ის ყველაზე მეტად შავია.  
და ჭაბუკდება მიმავალი ყოველი წამი.



## XXVI

როგორ გვალეღვებს ჩვენ ფრინველთა ყვირილი ლაღი...  
შექმნილი სადღაც და ოდესღაც. გასაკვირია,  
თვით ბავშვების ხმაც, თამაშისას რომ გაჰყვირიან,  
უკვე არ არის ჭეშმარიტი ყვირილი, საღი.

მხოლოდ შემთხვევებს გაჰყვირიან: სამყაროს სივრცის  
შუალედებში (სად ფრინველის ყვირის უსნებოდ  
ძალუმს შეღწევა, როგორც კაცმა სიზმარში იცის)  
არჭობენ ხოლმე თავ-თავიანთ ყვირილს ლურსმნებად.

სად ვართ? ქაღალდის ფრანებივით დაბლა ვტრიალებთ,  
მიფარფატებთ და ნაფლეთ-ნაფლეთ მივაფრიალებთ  
სიცილს, რომელიც დაგვეძენდა ისე, ვით ქარი.

ააწყე, ღმერთო მოძღერალო, ყვირილი ყველა!  
რათა ჩუხჩუხით გაიღვიძონ და შემდეგ ნელა  
გაიყოლიონ დინებისას თავი და ქნარი.

## XXVII

მართლა არსებობს განა ჟამი, ყოვლის დამქცევი?  
როდის შეიძლება, მთაზე ციხე გახადოს ურგი?  
აი, ეს გული უსასრულოდ და აღტაცებით  
ეკუთვნის ღმერთებს. როდის დაშლის მას ღემიურგი?

ჩვენ განა იოლმსხვერველნი ვართ, მართლაცდა, ასე,  
როგორც ბედს უნდა გვაიძულოს? ან ჩვენს ბავშვობას,  
ღრმას და მრავალი დაპირებით პირამდე სავსეს,  
ნუთუ ფესვებში უწერია შემდეგ ჩახშობა?

ო, წარმავლობის მოჩვენება მსგავსია ლანდის,

ნდობით მიძღვების წილ იგი კვამლივით გადის  
და სადღაც იქით უჭირავს გეზი.

ჩვენ კი, რანიც ვართ, წარმავალნი ადრე და მალე,  
მაინც ვჭირდებით მარადიულ იღუმალ ძალებს –  
ვით საღვთო წესი.

## XXVIII

მოდი და წადი. შენ, ვინც თითქმის ბავშვი ხარ ჩვენთვის,  
ცეკვის ნაკვეთი დაასრულე ყმაწვილქალობით  
და მოკაშკაშე ზოდიაქოდ აქციე ერთი  
ცეკვათაგანი, რომელშიაც ჩვენ წარმავლობით

ვჯაბნით ბუნების ყრუ ქმედებას. სმენის უნარი  
მას ხომ ორფევსმა შესძინა და იწყო გოგმანი.  
შენ აგიჩუყდა გული, ხემ რომ არ იუარა,  
სმენადქცეულმა და ნელ-ნელა, ოდნავ ყოყმანით

მაინც გამოგყვა საცეკვაოდ. და ტანკენარი  
გრძობდო, სად იყო შუალედი მოუსმენარი,  
როდესაც ქნარი ამაღლებას იწყებდა ძლიერს.

ეგ სვლა, ნარნარი, შენ ხომ იმის იმედით შესძელ,  
რომ ამ ნეტარი ზეიმისკენ თუნდ მხოლოდ ერთხელ  
მოაბრუნებდი შენ მეგობრის სვლასა და იერს.

## XXIX

შორეთთა ჩუმო მეგობარო, იგრძენი, სივრცეს  
როგორ ეღება შენი სუნთქვით ახალი ბჭენი.  
ბნელი სამრეკლოს ძელთა გუგუნს, დე, ბანი მისცეს

შენმა რეკვამაც. და რაც არის შთანთქმელი შენი,

გახდება მაშინ ამ საზრდოზე უფრო ძლიერი.  
გარდიქმენ მარად, ნუ გექნება ჟამი სასვენნი.  
რა განსაცდელი უფრო გტანჯავს, ბედისმიერი?  
სმა გემწარება? თავად გახდი მაშინ სასმელი.

ამ ჭარბ ღამეში შენს გრძნობებს კი ნუ გაეყრები,  
თვით იყავ მათი ჯადოსნური ძალით შემკრები  
და აზრად ექმენ მათ საოცარ შერწყმას, ავსებას.

მიწიერება თუ გივიწყებს, მიდი, მინებდი.  
მშვიდ დედამიწას ჩასჩურჩულე: მივედინები.  
მარად მიმდინარ წყლის ნაკადს კი უთხარ: ვარსებობ.

### პომპის შენიშვნები

ციკლისთვის **სონეტები ორფევისადმი**

*პირველი ნაწილისთვის*

X სონეტი: მეორე სტრიქონში იგულისხმება არლთან მდებარე ელისეს მინდვრების სახელგანთქმული ძველი სასაფლაოს სამარხები, რაზეც „მაღლე ლაურიდს ბრივეშიც“ არის საუბარი.

XVI სონეტი: ამ სონეტის ადრესატია ძალი. „ჩემი ღმერთის ხელი“ განასახიერებს დამოკიდებულებას ორფევისადმი, რომელიც აქ პოეტის „ღმერთია“. ავტორს სურს, ეს ხელი ისე მიმართოს, რომ, თავისი უსაზღვრო თანა-ზიარებითა და თავგანწირვით, დალოცოს ეს ძალი იმისმა ხელმა, ვინც, თითქმის მსგავსად ესავესა (იხ.: აკობი, 1. მოხე, 27), მისი ბეწვით იმითომ შეიძოსა, რომ, თავისი გულით, მისთვის შუუფერებელი მემკვიდრეობის – კაცობრივის – თანაზიარი გამხდარიყო ჭირსა და ღზინაში.

XXI სონეტი: ეს მცირე საგაზაფხულო სიმღერა იმავდროულად წარმოიძგება როგორც „განმარტება“ უჩვეულო მოცეკვავე მუსიკისა, რომელიც ერთხელ ეკლესიის ბავშვების შესრულებით მოვისმინე რონდას (სამხრეთ ესპანეთი) დედათა პატარა მონასტრის დილის შესაზე. ბავშვები, მიწვივ საკეკაო ტაქტით, ჩემთვის უცნობ ტექსტს დამღერდნენ დაფსა და ტრიანგულზე.

XXV სონეტი: ეძღვნება ვერას.

*მეორე ნაწილისთვის*

IV სონეტი: მარტორქას აქვს ძველი, შუასაუკუნეებში მეტად გავრცელებული მნიშვნელობა ქალწულობისა: ამიტომაც ამტკიცებდნენ, რომ ის, პროფანებისთვის არარსებული, არსებული ზღებოდა მაშინვე, როგორც კი გამოჩნდებოდა „ვერცხლის სარკეში“, რომელსაც ქალწული მოიმარჯვებდა (იხ. XV საუკუნის ფარდაგები), და - „მასში“ (ქალწულში - რედ.), ვითარცა ასეთსავე წმინდა, ასეთსავე დაფარულ სარკეში.

VI სონეტი: ანტიკური ვარდი სხვა არაფერი იყო, თუ არა უბრალო „ასკილი“, წითელ-ყვითელი, აღისფრად დაფერილი.  
ის აქ ვალისის ზოგიერთ ბაღში ყვავილობს.

VIII სონეტი: მეოთხე სტრიქონი: ბატკანი(სურათებზე), რომელიც მხოლოდ მინაწერი ბართის საშუალებით მეტყველებს.

XI სონეტი: იგულისხმება მტრედების განსაკუთრებულ სახეობაზე – მღვიმის ფითრისფერ მტრედებზე ძველი ტრადიციის მიხედვით ნადირობის ფორმა, გავრცელებული კარსტის მდამოებში. მღვიმეში ფრთხილედ ჩაკიდებულ ტილოს ნაჭერს მოულოდნელად ააშრიალე-ბენ, ხოლო როცა დამფრთხალი მტრედები მიწისქვეშა თავშესაფარს ტოვებენ, მათ ხოცავენ.

XII სონეტი: ეძღვნება მკითხველს.

XXV სონეტი: უწყვილდება ბავშვების საგაზაფხულო სიმღერას (სონეტების პირველ ნაწილში).

XXVIII სონეტი: ეძღვნება ვერას.

XXIX სონეტი: ეძღვნება ვერას მეგობარ ყმაწვილს.

რ.მ.რ.

# გაბნეული და სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ლექსები, 1906-დან 1926 წლამდე

## ოქრომჭიდელი

მადროვეთ! ნელა! – ვემუქრები ბეჭდების გროვას,  
ძეწკვის ყოველ რგოლს ვაიმედებ, რამეს ვპირდები:  
მოგვიანებით გახვალთ გარეთ, ყველას დრო მოვა.  
ვჭედავ და ვამბობ: ნივთი, ნივთი, ნივთი, ნივთები!

ჩემამდე არ სურთ, რომ იტვირთონ რაიმე ხვედრი,  
რამედ რომ იქცნენ, ამ აზრისგან ყველა შორს არის.  
აქ. ღვთის წყალობით, ტოლები ვართ, ყველა ვართ ერთი:  
მეც, ოქროც, ცეცხლიც და თვით თვალი-პატიოსანი.

იყუჩეთ-მეთქი, დაშოშმინდით! აქ კივის ლალი,  
იქ მარგალიტი იტანჯება, ცრემლი ეღვრება,  
აკვამარანში ბობოქრობს და ბორგავს ღრმა წყალი,  
რარიგ ძნელია, შემზარავი, თქვენთან შეხება.  
ერთად იღვიძებთ. ვის რა გინდათ, აღარც კი მესმის:  
ალაჟვარდება ზეცისა თუ წითლად შეღებვა?  
და მთელი გროვა უსაშველო ნაპერწკლებს მესვრის.

ოქრო, ეტყობა, დამყაბულდა, მორჩილად დამყვა,  
ჯერ ცეცხლის ალში გამოვაწრთე, დარბილდა, გალღვა,  
მაგრამ მე მისი შეწუხება მაინც მომიხდა  
ქვის გულისათვის, და რომ უნდა ჩამესვა თვალი,  
ლითონისებრი გაშმაგებით უცებ მომიხტა  
და თვლის სანაცვლოდ მე ჩამასო თავისი ბრჭყალი.

## მსპანური ტრილოგია

(I)

ამ ღრუბლისაგან, ვარსკვლავი რომ შთანთქა ველურად, რომელიც ენთო ამ მთიანეთს მიღმა – (და ჩემგან), სადაც ამჟამად ღამე სუფევს, სადაც ამჟამად გვიანობამდე ქარნი ქრიან ძლიერ – (და ჩემგან), იმ მდინარისგან, გარღვეული ზეცის ნათელი გამოკრთომა რომ აირეკლა უცებ – (და ჩემგან), ამ ყველაფრისგან, ყველაფრისგან და ჩემგან, ღმერთო, შეიქმნას ერთი, ერთადერთი საგანი მხოლოდ ჩემგან და მისგან, რასაც ფარა გრძნობს დამწყვდეული, როგორც ის იღებს ამოფშვინვით ბნელ, უზარმაზარ აწ უკვე აღარარსებობას სამყაროისა –, ჩემგან და კუმტად ჩამუქებულ უამრავ ბინის ყოველ მბჟუტავი სანთლისგან, ღმერთო, შეიქმნას რამე საგანი; უცხოთაგან, რომელთაც სულაც არ ვიცნობ, ღმერთო, იმათგან და ჩემგან, და ჩემგან იქმნეს საგანი *ერთადერთი*; უცხო, მძინარე მოხუცებისგან, თავშესაფრის საწოლებზე რომ დარბაისლურად ახველებენ, უცხო ძუძუზე ჩაძინებული ბავშვებისგან, მრავალზე მრავალ გაურკვევლისგან და ყოველთვის, ყოველთვის ჩემგან, მხოლოდ ჩემგან და იმისაგან, რაც მე არ ვიცი, იქმნეს საგანი, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო, ისეთი ზესამყაროულ-მიწიერი, ვით მეტეორი – თავის სიმძიმით – შენივთული ფრენათა ჯამი; არავითარი წონა, გარდა მოვლინებისა.

(II)

ერთს რატომ უნდა დაეკისროს თავისთვის უცხო საგანთა ზიდვა, როგორც მუშას, ერთი დახლიდან მეორე დახლთან რომ გადადის და უცნობები კალათს სულ უფრო რომ უვსებენ და იგი უკვე

ძლივს ეზიდება ამ მძიმე ტვირთს და არცკი ძალუძს  
იკითხოს: ღმერთო, ვისთვის არის ეს წვეულება?!  
და რატომ უნდა იღვეს იგი ისე, ვით მწყემსი  
და განიცდიდეს გავლენათა ასეთ სიჭარბეს  
ამ მოვლენებით სავსე სივრცის თანაზიარს;  
მას ხომ შეეძლო, ხეს მიყრდნობილს, არ ემოქმედა  
და სხვათა მსგავსად ბედ-იღბალი ჰქონოდა თვისი?!  
მაგრამ ფართოა მისი მზერა. იგი ცხვრის ფარის  
მშვიდი იერით არ ლბილდება, სამყაროს გარდა,  
არრა არსებობს უკვე მისთვის. ზემოთ თუ ქვემოთ  
სამყარო უდგას მუდამ თვალწინ. რაც სხვებს ნებით და  
სიამოვნებით ეკუთვნება, მას ბრმად, პირქუშად,  
ჯიქურ ეჭრება ხოლმე სისხლში, როგორც მუსიკა  
და იქით, მიღმა მიედინება.  
ის ასე დგება ღამ-ღამობით და ფრინველის ხმა  
გარედან უკვე საკუთარი ყოფიერების  
წილად ჩაესმის. თამამდება, რადგან მას ყველა  
ვარსკვლავი თავის არსებაში შეამოაქვს მძიმედ –  
ო, ისე არა, ვით ვილაცას, ვინც თავის სატრფოს  
უძნადებს ხოლმე ამავე ღამეს და ანებივრებს  
მას განცდილ ცათა კაბადონებით.

### (III)

ნეტავ მე, ისევ დაბრუნებულს ქალაქთა მჭიდრო  
მიხლა-მოხლაში, გარსშემორტყმულს ხმათა ნახლართით  
ბორბლების ბრძოში, მარტოდმარტოს ამ შედეგებულ  
აურზაურში, ნეტავ კვლავაც გამსხენებოდა  
ცა და თიხნარი ფერდობები, რომლებზეც გაღმით  
ჩამოდის ფარა, უბრუნდება სადგომს თავისას.  
გაკვაყდებოდი მხნედქცეული და შესაძლებლად  
მეჩვენებოდა მწყემსის საქმე ყოველდღიური,  
როგორ მუქდება მისი კანი, დაუყოვნებლივ  
ზუსტად ნასროლი კენჭით როგორ შემოუკეცავს  
ფარას კიდევს, უეცრად რომ მოეძენება.

ნაბიჯი მძიმე და სხეული ფიქრს მინდობილი;  
და მისი ღვთაეობა მეფურია. კვლავაც შეეძლო  
ღვთაებას ვინმეს იღუმალი განსხეულება  
მის არსებაში, თავის თავის დაუმცირებლად.  
იგი დღესავით იცვლის ადგილს ხანდაყოლებით.  
ღრუბელთა ჩრდილი მასში გადის და სივრცე თითქოს  
ფიქრობდეს თავად მის მაგიერ აუჩქარებლად.  
ვინც უნდა იყოს იგი თქვენთვის. მე კი მის წიად  
შევაღწევ ჩუმად, როგორც ჭრაქის წამოსასხამში  
ღამის სინათლე მონანავე. ჩაცხრება შუქი.  
და თვით სიკვდილი ისე მოვა, როგორც ეგების.



## ძრისტიან შთასვლა ჯოჯოხეთს

ბოლოს სრულიად განაწამები, არსება მისი  
გაეცალა საზარელ სხეულს ტკივილებისა.  
აღზევდა. ხორცი ჩამოიტოვა.

და უკუნეთი კრთოდა, შიშისგან მარტოეული,  
და ფერნამკრთალევს ღამურებით ენარცხებოდა, - ახლაც ცახცახებს  
მიმწუხრისას

იმათს ფარფატში შიში შეხლისა

დამცხრალ ტანჯვასთან. ზნეფორიაქი მრუმე ჰაერი  
შემცხარიყო ნეშტის წინაშე; და ღამის ფზიზელ,  
ღონიერ ნადირთ უხალისობა და ბურანი აძაბუნებდათ.

მისი ახსნილი, აზატი სული თუ გულისხმობდა ამ სანახებში  
შეყოვნებას, სულ უმოქმედოდ. რადგან ჯერ ისევ სუფევდა ირგვლივ  
მოვლენა – მისი მოწამეობა. ზენაარ სრულქმნად მიიჩნევდა  
საგანთ ღამეულ არსებობას და მათ ზეგარდმო ეფინებოდა,  
ვით მგლოვიარე სივრცის თავანი.

მიწამ კი, მისი ჭრილობებით მწყურვალ-დამშრალმა,  
პირი ქნა – შუა გაიპო და... ხმობდა ქვესკნელი.

იგი, მცნობი მარტვილობისა, ყურს უგდებდა ამოყმუილს  
ჯოჯოხეთისა, ცნობის წყურვილით, რომ ჩასწვდომოდა  
აწ აღსრულებულს წამებას თვისას: რომ ჯოჯოხეთის მედინი ტანჯვა  
მისი (უსაზმნო) ტანჯვის წინაშე, შიშით შეძრული, უკუდგარიყო.

და იგი სული, ქანცგაწყვეტის მთელი სიმძიმით  
ჩაეშვა ქვესკნელს, მისწრაფის ჩქარი მიხვრით  
უცხოდ მზირალ, მორიალუე აჩრდილებს შორის,  
აღამს შეავლო თვალი უძალ, სწრაფად დაეშვა,

გაუჩინარდა, აკიაფდა და ჩაიკარგა ვარდნისას  
ველურ სიღრმეებში. უეცრივ (მაღლა, უფრო მაღლა)

აზვირთებული კიჟინის ქიმზე, მისი დათმენის  
უძალღეს კოშკზე, წამოიძართა: უსუნთქველი,

ღგა უსაყრდენოდ, ტკივილთმფლობელი. და მღუძარებდა.

## შემობრუნება

გზა სიწრფელიდან სიღიადემდე  
მსხვერპლზე გავლით მიედინება.  
კასნერი

ის ჭვრეტით ამის მოპოვებას დიდხანს მოუნდა.  
ვარსკვლავნი, მისი მზერის ძალით მონუსხულები,  
მუხლმოყრით იღვნენ მის წინაშე.  
ანდა ჭვრეტისას  
დაჩოქილი იდგა თვითონვე  
და გულმხურვალე ვედრებებით ღლიდა ღვთაებას,  
რომელიც ზოგჯერ უღიმოდა ხოლმე მთვლემარი.

შიშის ზარს სცემდა ციხე-კოშკებს  
თავისი მზერით:  
იგი აგებდა ერთში მრავალს უცებ, ხელახლა.  
მაგრამ ხშირად კი არემარე,  
ღღის სინათლით გადატვირთული,  
სალამობით ისვენებდა მის ჩუმ თვალთვალში.

და მობალახე ცხოველებიც ასევე მშვიდად  
შეუდიოდნენ ღია მზერაში.  
ამტერდებოდნენ მას ლომები, დატყვევებულნი,  
ვით მათთვის უკვე გაუგებარ თავისუფლებას.  
და უშუალოდ თვით მასშივე, გულისხმიერში,  
ფრენდნენ ფრინველნი,  
ყვავილებიც ისე, ვით ბავშვებს,  
მასაც უმზერდნენ გახელილი ფართო თვალებით.

და ხმა დაირხა: არსებობსო ვიღაც მჭვრეტელი.  
ეს ხმა შეეხო  
უფრო ნაკლებ, სათუოდ ხილულთ,  
შეეხო ქალებს.

როდემდე უნდა ჭვრიტოს ასე?

იგი ხომ დიდხანს

იყო ყველაფერს მოკლებული და მისი მზერის  
სიღრმეებიდან გამოკრთოდა ხვეწნა-მუდარა?!

და როცა კაცი მომლოდინე, უცხო მხარეში,  
უჟმურ სასტუმროს გულგრილსა და საპირენაცვალ  
ოთახში იჯდა პირქუშად და თვალანარიდებ  
სარკეში მაინც ირეკლებოდა  
იგივ ოთახი, და მტანჯველი საწოლიდანაც  
ისევ იგივე;

თვით ჰაერში ხდებოდა რაღაც  
გაუგებარი. თითქოს იმის გულს მგრძნობიარეს,  
ამდენ სატანჯველ გამოვლილსა და მაინც ისევ  
ასე ღრმად განმცდელს,  
ასამართლებდნენ: სიყვარულის უქონლობისთვის.

(რის შემდეგ უკვე მას განწმენდაც ეკრძალებოდა).

ხედავ? ასეა შენი ჭვრეტა ზღვარდადებული.  
და ამ სამყაროს, შენგან ნაჭვრეტს უკიდურესად,  
სურს სიყვარულში აღმოცენდეს და გაიშალოს.

მზერის საქმენი მოილია,  
აწ გულის საქმეს უნდა შეუდგე;  
სამყაროს ხატებს, შენში მომწყვედეულთ,  
რომელთა მიმართ ძალადობდი და ამიტომაც  
ახლა შენ მათი არა იცი-რა.

სულო კაცისა, აი, შენი გონების სული,  
რომელიც ახლა დაიჰყარი ბუნების მრავალ  
ქმნილებათაგან, ეს-ეს არის ახლა დაიჰყარ  
არსება, ჯერაც არასდროს რომ არ გყვარებია.

## **„მოკვდება ყოველი, რომელმაც შეიცნო ისინი“**

*(პაპირუსი პრისსე, პტაჰ-ჰოტეპის გამონათქვამიდან.  
ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წლის ხელნაწერი)*

„მოკვდება ყოველი, რომელმაც შეიცნო ისინი“. მოკვდება იმათი ღიმილის ენითგამოუთქმელ ყვავილობისაგან. მოკვდება იმათი ნაზი ზელებისგან. მოკვდება ქალთაგან.

უმღეროს ჭაბუკმა მათ, მომაკვდინებელთ,  
როდესაც ისინი  
ამაყად შეუვლენ გულის სივრცეებში. თავის აყვავებულ  
მკერდიდან უმღეროს:  
იმათ, მიუწვდომელთ! ო, რარიგ უცხონი არიან ისინი!  
ჭაბუკის გრძნობათა ქედზე გადმომდგარნი  
სიამედ გარდაქმნილ ღამეს გადმოღვრიან  
მის გაშლილ მკლავების უდაბურ ხეებში.  
და ვაჟის სხეულში მათი მოვლინების ნიავი შრიალებს.  
მთლად გაბრწყინებულნი  
მიედინებიან მისი ნაკადები.

მაგრამ მამაკაცი,  
დაე, მღუმარებდეს თავზარდაცემული.  
ის, ვისაც ღამენი თავისი გრძნობების მაღალ მთიანეთში  
უგზოდ და უკვალოდ აქვს მიმოფანტული,  
დაე, მღუმარებდეს.

ვით ღუმს ხანდაზმული, ძველი მეზღვაური,  
რომელშიც ძლეული შიშები აქამდე  
თრთოლვით თამაშობენ, როგორც მოცახცახე გალიის კედლებში.

**გულის** მწვერვალზე გარიყულო, შეხედე, რარიგ  
მცირედ მოჩანან, ხედავ, ქვემოთ სიტყვების ბოლო  
დასახლებანი და მის ზემოთ რაღაცა გრძნობის  
პაწაწკინტელა კარ-მიდამო უკანასკნელი.  
განა ვერა სცნობ, გარიყულო გულის მწვერვალზე?  
მხოლოდ კლდელაა ხელებს ქვემოთ. თუმც, ალბათ, აქაც  
ხარობს ზოგი რამ; დადუმებულ კლდოვან ნაპირზე  
აღმოცენდება უმეცარი ბალახ-ბულახი  
ლიღინ-ლიღინით. მაგრამ მცოდნე? ვინც შემეცნებამ  
დაამდუმარა, შერჩენილი გულის მთიანეთს.  
ალბათ, დადიან იქ ჯანსალი ცნობიერების  
მქონე ნადირნი, დაზღვეულნი, ადგილს იცვლიან,  
ხან ყოვნდებიან და უსაფრთხო დიდი ფრინველი  
ირაოთი რომ დარიალებს მწვერვალთა უარს.  
ფათერაკებში, განწირული გულის მწვერვალზე.

## სული სივრცეში

მის სამეფო უდიდებულესობას  
დიდპერცოვი ფონ ჰესენის ქალბატონს  
სრულ პირად საკუთრებად

მე აქ ვარ, აქ ვარ, თავდაღწეული  
და მოფარფატე.  
გავბედავ კი? გადავეშვები?

ამის შემძლენი აქ მრავლად იყვნენ,  
სადაც ვილტვოდი. მაგრამ ამჟამად,  
როდესაც მათგან უმცირესნიც მძლეთამძლეობენ,  
თუმცა კი სდუმან ოსტატობის წინაშე მაინც –  
მე გავბედავ? გადავეშვები?

თუმც უმძიმესი ღამეები მიტარებია  
ძალზე შებოჭილ ჩემს სხეულში, მაგრამ მე იგი  
უსასრულობას შევადულე. ის მიწიერი  
სხეული ჩემი.  
იგი ქვითინად იღვრებოდა, როდესაც მე მას,  
მის უბრალო გულს ავამაღლებდი.

მაგრამ ახლა კი, ვის ვაჩვენო,  
რომ მე სული ვარ.  
ვის გააკვირვებ?  
უეცრად უნდა გადავიქცე მარადიულად,  
საპირისპიროს აღარ უნდა ვეჭიდებოდე,  
უკვე ნუგეში აღარ ვიყო, არაფერს ვგრძნობდე,  
ზეცათა გარდა.

არავითარი საიდუმლო აღარ არსებობს,  
უკვე ამოხსნილ

საიდუმლოთა შორის მხოლოდ ერთიღა დარჩა,  
ერთი შემკრთალი საიდუმლო.

ო, ასე ერთი-მეორეში ვით გადადიან  
უფართოესი მოხვეენანი.  
მათგან რომელი ჩამიხუტებს, გადამცემს იქით,  
მე, გამოუცდელ ჩამხუტებელს?

ანდა მე იქნებ დამავიწყდა და შემწევს ძალა?  
გადამავიწყდა მომქანცველი ალგზნებულობა  
იმ უმძიმესად შეყვარებულთა?  
გამიკვირდება, აღვისწრაფვი მალლა და შევძლებ?

## მუსიკას

მუსიკავ: სუნთქავ ქანდაკეთაბათა, ან იქნებ:  
ხატთა მდუმარებავ. შენ იქ მეტყველებ, სადაც სიტყვები  
უკვე თავდება. დრო ხარ, რომელიც  
ზეალმართვის დამწუხრებულ გულთა სავალზე.

გრძნობავ, ვისადმი? ო, გარდასახვავ  
გრძნობისა, რად-ღა? – ხმოვან ლანდშაფტად.  
შენა ხარ უცხო: მუსიკავ, ჩვენი  
გულის სივრცე ხარ, ამოზრდილი და განფენილი  
ჩვენზე უსაზღვროდ.  
ჩვენი უიდუმალესობა მალღდება ჩვენზე  
და იგი უკვე გარეისწაფვის, –  
ეს არის წმინდა განშორება:  
როდესაც ირგვლივ გვიდგას უღრმესი,  
როგორც შორეთი გამოცდილი, როგორც ჰაერის  
იქითა მხარე,  
წმინდა,  
დიდი,  
უკაცრიელი.



**...როდემდე,** როდემდე, როდემდე ვითმინოთ,  
თქმანი და მოთქმანი? ხომ იყვნენ ისინი,  
სიტყვის დიდოსტატნი, რომელთაც უბადლოდ  
იციოდნენ ხელობა?  
რალა საჭიროა ახალი მცდელობა?

ამდენი წიგნებით, წიგნებით, წიგნებით  
თავზარდაცემულნი  
ადამიანები განა კვლავ ვიქნებით?

თუკი ორ წიგნს შორის იხილო მდუმარე ზეცა:  
გიხაროდეს...  
ან კიდევ მიმწუხრის მიწის თუნდ მტკაველი  
გინახავს? – აროდეს.

მუდამ აყრუებდა სამყაროს უმეტეს გრიგალთა, ზღვათა,  
ადამიანების ყვირილი, გნიასი სხვათა და სხვათა...  
რაოდენ აღსავსე უნდა ყოფილიყო ჭარბი მდუმარებით  
სამყარო ესოდენ,  
რომ ჩვენ, გამუდმებით მომკვივან არსებებს,  
ჭრიჭინობელების ჭრიჭინი გვესმოდა.

და თუმცა ჰაერი მთლიანად შედედდა  
ყვირილთა სიმძიმით,  
ჩვენამდე ხანდახან აღწევდა  
მდუმარე ვარსკვლავთა ციმციმი.

ნეტავი ოდესმე ჩვენც შეგვსიტყვებოდნენ  
ისინი, ვინც მარად წარსულს მივანებეთ!  
და გავმხდარიყავით: ბოლოს ჩვენც მსმენელნი!  
პირველი მსმენელი ადამიანები.

## ანტი-სტროფები

ო, აქ, ჩვენს შორის ნაღვლიანად რომ იარებით,  
ქალებო, მუდამ,  
ბედი რომ ჩვენზე ნაკლებ გინდობთ და მაინც ძალგიდით  
ხსნა სულისა, როგორც წმინდანებს.

როგორ ახერხებთ,  
შეყვარებულს თვალს რომ შეავლებთ,  
უცებ აღვსებას ბევრად უფრო მეტი მყოფადით,  
ვიდრე იქნება შესაძლებელი?  
და ვინც კი იცნობს  
თვით უკიდურეს ვარსკვლავთა შორეთს,  
გაოგნებული რჩება მაინც,  
როცა აწყდება თქვენს დიდებულ გულთა სივრცეებს.  
მათ როგორ ავრცობთ ამ საოცარ სივიწროვეში?  
წყაროებით და ღამეებით აღვსილნო მარად.

ნუთუ თქვენა ხართ  
ისინი, ვისაც ბავშვობისას უფროსი ძმები  
ხელს გკრავდნენ სკოლის დერეფნებში?  
ჰოი, ნეტარნო.  
ჩვენ ბავშვობაში სამუდამოდ დავისახინჩრეთ  
ჩვენი სულები,  
თქვენ კი იყავით პურის ყანა, ჯერ მოუსვლელი.

არ დაგაშავათ თქვენ  
ბავშვობის ჩამოშვავებამ.  
და აქ იდექით  
ღმერთში სრულყოფის უეცარი სასწაულები.  
ჩვენ კი,  
ისე, ვით კლდის ნაშალი, ბიჭობის ხორკლით,  
გაუთლელნი თუ ოდნავ თლილნი.  
ჩვენ – კლდის ღორღივით

ჩამოცვენილნი ყვავილებზე.

თქვენ კი, ქვესენელის ყვავილებო,  
ფესვებს უყვარხართ,  
თქვენ, ევრიდიკეს დობილებო,  
ზეალმავალი კაცების წმინდა მობრუნებით  
მარად სავსენო.

ჩვენ ვართ თვითგვემა,  
სხვათა მგვემნი სიამოვნებით  
და სიამისგან თვით გვემილნი კვლავაც, ყოველთვის.  
იარალი ვართ  
მძვინვარების სასთუმალქვეშ ამოდებულნი.

თითქმის შველა ხართ.  
როცა დგება უსაშველობა.  
თქვენ საჩრდილობელ, მოსასვენებ ხეებად გასხავთ  
მარტოსული კაცის ოცნება.

## ეროსი

ნიღბები ჩქარა! დავაბნელოთ ეროსი ცხადი.  
მის ელვარებას ვინ გაუძღვებს? სახეს უმაღვენ,  
როდესაც იგი, ვით ზაფხულის მზედგომის ხვატი,  
საგაზაფხულო შემზადებას შეწყვეტს უმაღვე.

როცა ბაასში რაღაც ჩნდება უცხოსახოვნად,  
თითქოს დინჯდება... უცებ კივის და ხმას უმატებს...  
და მოსაუბრეთ უცნობ თრთოლვას ტაძრის თაღოვან  
შიდასივრცისებრ დაამხობს და ააგუმბათებს.

ო, დაკარგულნი, დაკარგულნი უცებ, უმეცრად!  
ო, ღვთაებათა ჩახუტებავ, ფიცხო და ცხარო!  
სიცოცხლე შედგა, ბედისწერა იშვა უეცრად.  
და სიღრმისეულ წიაღებში ატირდა წყარო.

**მთელი** სამყარო განსხეულდა სატრფოს სახეში,  
მაგრამ უეცრად აღივსო და გადმოიღვარა  
გარე სამყაროდ, ვერსაცნობად და მიუწვდომლად.

რატომ არ შევსვი მაშინათვე სამყარო მთელი,  
რომლითაც იყო სატრფოს სახე ასე აღსავსე,  
რომლის სურნელსაც თითქმის ვიყავ დაწაფებული?

ო, მე კი შევსვი, თანაც რარივ დაუოკებლად.  
მაგრამ აღვივსე ამ სამყაროს დიდი სიუხვით  
და როცა ვსვამდი, ვიღვრებოდი მე თვითონ სმისას.

## სამი ლექსი ციკლიდან: სარკის ანარეკლები

### I

ო, სარკეების ანარეკლთა ელდა და ელვა!  
თვალისმომჭრელი, რადგან აღარ გრძელდება არსად.  
მის წიად იკლავს წყურვილს ქალთა ვნებათაღელვა,  
მათ ხომ სარკენი ესახებათ სამყაროს გარსად.

ჩვენ, მამაკაცებს, სარკეებში ჩაცვენა გველის,  
ვით ჩვენი არსის საიდუმლო სადინარს შიგნით;  
ქალი კი თავის თავს კითხულობს: სარკეა წიგნი,  
ის მასში უნდა გაორმაგდეს, რომ იყოს მთელი.

ო, წარუდექი, საყვარელო, ციალს მაგ მინის,  
რომ შეძლო ყოფნა და შენსა და შენს შორის მაშინ  
აღდგება ძაბვა და საზომი ყველაფერ იმის,  
რაც კი რამ არის აღუწერელ-უთქმელი მასში.

შენმა ხატებამ აგამაღლა: რა განძს ატარებ!  
შენივ „პო“ შენსკენ გიდასტურებს მაგ თმას და ღაწვებს;  
თვითშეგებებით მთლად აღსავსე მზერას რომ ასწევ,  
იგი გითრთის და გებინდება, როცა აღარებ.

### II

სარკის მინიდან ყოველ ჯერზე სულ უფრო ქორფა  
ამოეწვდები საკუთარ თავს და შენში, იქვე,  
როგორც ლარნაკში, აწესრიგებ, ალაგებ ორფად  
საკუთარ ხატებს ნაირ-ნაირს და შენად ირქმევ

ამ ანარეკლთა ყვავილობას, ფურჩქენას, სისრულეს;  
ოდნავ ფიქრდები, ირგვლივ მსუბუქ ოცნებებს ისევ,  
ვიდრე იმათი ნეტარება არ გაიძულეს,  
რომ ეს ხატები შენსავ სხეულს აჩუქო ისევ.

### III

ქალთან, თავისში რომ უწყვია ხატთა კრებული,  
ვით სამკაული ზარდახშაში ნაზად და ლბილად,  
გაყურებულა მამაკაცი შეყვარებული,  
მონაცვლეობით, თანდათან რომ შეიგრძნობს ფრთხილად

ქალს და მის შინა სამშვენისებს... კაცი, რომელიც  
თავის ხატს სულის ცხრაკლიტულის წიად არ ტოვებს;  
შიდა სიღრმიდან მას გადმოღვრის დაუცხრომელი  
სამყაროული შემეცნება და სიმარტოვე.

**სიცოცხლის** გზები. უცებ ფრენით გასცდები კიდეს,  
ზემალღლები და ქვეყანა ქვემოთ იელვებს,  
როცა დამსხვრეულ სურებს ჩვენსას მივტირით კიდევ,  
წყარო აგვივსებს პეშვებს, ადრე უცარიელესს.

უსადავესი სმა ყველაზე ახლო თასიდან,  
სადაც განგების ზაზები ჩანს წარუმართველი.  
თავს ეტყვი: მე ვარ, უცოდველი ბედმა ამზიდა  
და რომ ჩავცქერი, მიტომ არის ასე ნათელი.

ჩემს მორჩილ პეშვებს ვაციხკროვნებ ჩემივ ციალით,  
ზოლო საკუთარ ჩრდილს უღრმესად დავაფენ გვერდით,  
განა მიტომ, რომ მოვიცილო ასე იოლად,  
მხოლოდ იმიტომ, რომ მიწასთან გავხადო ერთი.

*მიუძო, 1923-ის მაისის მიწურული  
(მიძღვნის ესკიზი)*



## ელეგია

*მიძღვნილი მარინა ცვეტაევა-ეფრონისადმი*

ო, წარმავლობა სამყაროს შინა, მარინა, ცვენა ვარსკვლავებისა!  
მას იოტასაც კი ვერ შევმატებთ, გადავიხვეწოთ რომელიმე  
ვარსკვლავზე თუნდაც! სამარადჟამოდ ყველაფერი გამოთვლილია.  
თვით ვარდნითაც კი წმინდა რიცხვი არ შემცირდება.  
უარმყოფელი ვარდნა ყოველი, დასაბამამდე აღწევს და სრულქმნის.  
და თუ ეს მხოლოდ თამაშია, მსგავსთა ტრიალი და ჩანაცვლება,  
სახელიც არსად მოიძევება და თუ ნაგრამიც ვერ იგუღვევს  
საყუდელს ვერსად?  
თუ ტალღებია, მარინა, ზღვა ვართ, თუ უფსკრულია, მარინა, ცა ვართ.  
მიწა - მიწა ვართ, გაზაფხული ათასჯერადი, აღმოზღვნილი ჰანგი,  
სიმღერა, ტოროლებივით თვალშეუდგამ სივრცეში გვტყორცნის.  
ჩვენ ალტკინებით ვიწყებთ, ჰანგი კი უკვე სრულად აღგვემატება;  
მოულოდნელად სიმძიმე ჩვენი, სიმღერას დადრეკს გოდებისაკენ.  
თუნდაც: გოდება, უმრწემესი ალტკინება არ არის განა, ლტოლვა მიწისკენ?  
მიწიერ ღმერთებს ხოტბა სწყურიათ თურმე, მარინა.  
უცოდველნი არიან ღმერთნი, ქებას ელიან მოსწავლეთა გულმოდგინებით.  
შევასხათ ხოტბა, საყვარელო, დავიხარჯოთ ქება-დიდებით.  
არაფერი ჩვენ არ გვეკუთვნის. მხოლოდ ოდნავ თუ შევხებით ხელუხლებელ  
ყვაილებს ყელზე. მე ეს ვიხილე კომ-ომბოში, ნილოსის პირას.  
ასე, მარინა, მსხვერპლს გაიღებენ მხოლოდ მეფენი, საკუთარ თავის  
უარმყოფელნი.  
ვით ანგელოსნი, ჩამოივლიან და დასახსნელთა კარიბჭეზე ნიშანს  
სტოვებენ,  
ასე ვეხებით ყოველივეს, რაიც ნატიფად მიგვაჩნია, ან გვეჩვენება.  
ო, რამდენად შორს, ოი, რარიგად დაბნეულნი ვართ ჩვენ, მარინა.  
თავად უღრმესი სულიერი საბაბის დროსაც. მანიშნებელნი, სხვა  
არაფერი.

ეს უწყნარი, საქმიანობა, თუ ჩვენთაგანი რომელიმე  
მეტს ველარ იტანს და თავს გადასდებს შესარკინებლად,  
მყის შურს იძიებს და მოაკვდინებს. მსახურალ ძალას რომ ფლობდა, აკი

ვაძნევედით ყველა, მის დახვეწილ, ნატიფ ქცევასა  
და უცნაურ ძალისხმევაში, რომელიც ცოცხლებს, გადარჩენილ  
გვქმნის არსებებად. არყოფნა. უწყი, თუ რარიგ ხშირად  
მიგვაქანებდა ბრმა ბრძანება, კვლავდაბადების ყინულოვანი  
წინარესივრცით..... მიგვაქანებდა: ჩვენ? უთვალავი თვალით აკინძულ,  
შენივთულ სხეულს, უხვად დაფენილ ქუთუთოებქვეშ ურჩად

შეხიზნულს.

ეზიდებოდა მთელი მოდემის გულს დანარცხებულს. მძლეკარ ფრინველთა  
მიზნისაკენ

ეზიდებოდა ჩვენი ლივლივა გარდასახვის ნაკრებ სახეებას.  
მეტრფეებმა კი, მარინა, ოლონდ, არაფერი უნდა უწყოდნენ  
სიკვდილის არსზე. მუდამ ცინცხალი სიყმაწვილე შეინარჩუნონ.  
მხოლოდ მათ საფლავს სჭირდეს სიბერე, მხოლოდ სამარე ჩაუფიქრდეს,  
დაიკრას თაღხი

მტირალი ხის ქვეშ. მოიგონებდეს გარდასულ დღეებს.

მხოლოდ სამარე ჩაიქცეს მათი. ისინი კი, მოქნილები დარჩნენ,  
ლერწივით;  
ის კი, რაიც ღრეკს მათ განუზომლად, მორკალავს კიდევ სრულქმნილ  
გვირგვინად.

თუმც განაქარებს მაისის ქარი! მარადიული შუაგულიდან,  
სადაც შენ სუნთქავ და ალლოც გიგრძნობს, მათ წარიტაცებს სულ  
ერთი წამი.

(ო, როგორ გივებ, მდედრო ყვავილო, ასეთივე  
წარუვალ ბუნქზე ამონაყარო. რა ძალით ვერწყმი ღამეულ ჰაერს,  
ღამ-ღამობით რომ გელაშუნება). ოდითგანვე ფლობდნენ ღმერთები  
ნახევრებთან პირობითნობას. ამ წრებრუნვაში მომწყვდეულებმა  
გავიმთლიანეთ საკუთრივ თავი, ვით დისკოები სავსე მთვარისა.  
მცხრალი მთვარის ჟამს, თუნდ ახალი მთვარის კვირაშიც,  
სისავსეს ვერვინ დაგვიბრუნებდა, თუ არა მხოლოდ  
მარტოეული სვლა საკუთარი, ძილგამკრთალი მთა-ველის თავზე.

# დასასრული I

## ორჯევისი, ეპრილიკე, ჰერმეს

თამარ კვანძის (თამრიკოს) ხსოვნად!  
(მთარგმნელისგან)

ჰეიბდა ეგე საკვირველი სულთა წიაღი.  
ვითარ ყუჩი ვერცხლის მადანი ბნელს  
გადამართულ ისინიცა მიიქცეოდენ. ფესუთა შორის  
ჰ-ს-ჩქროლვიდა სისხლი, კაცთა მიმართ რადც განიღურის  
და, დამწოდ-ძძიმე ვითარცა ძოწი, ბნელშიგან იგი მჩინარებდა.  
სხუა არრა იყო წითლოანი.

ჰეიბდენ აქავ კლდენი  
თუ ტევრნი უსიერნი უარსებონი. ხიდნი ესერა მზიდენი ზედან  
სიცალიერის  
და დიდროანი აემაგ, ლეგა, თვალდამტრობილი ტბორის გადამართ,  
თვისსავ მშორევე დაძირულ ფუძეს რომ ჩა-ხ-ჰ-კიდვოდა  
ვით წვიმის-ღრუბელ-ნაჯერი ზეცა სანახს დარქმული.  
მდელოთ-შორისსაც მსათნოებელ და ფრიადის-თმენად-მოვსილ  
მქრქალი ზოლი სავალისა განფენილი ვით გრძელადგრძელი  
თეთრი ტილო აღჩინდებოდა.

გზასა მაგას ესენიცა მოეტევნოდენ.

წინარ ვიდოდა ტანასხეპილი ლურჯ-მოსასხამ-ბურვილი მამრი,  
ბაგემდუმრიად და ესემცა მოუთმინარე მიდმო-ჰ-ზვერვიდა თვის  
წინაირგვლივ.  
ულოდნელადცა ჰ-ს-შთანთქმიდა სავალს თითოეული ბიჯი მისი  
დიდ-დიდს საკბეჩთა; მძიმედ-დასულნი მკლავნი მისნი  
ერჩეოდენ სამოსლის ნაოჭთ, აღარცა ჰ-ს-ცნევედენ მკლავნი  
აემაგ ჩანგს დამჩატებულს, მარცხენს ვაჟისა აგრერიგად რომ  
შეზრდილიყო.  
ვით ზეთისხილის შტოს ჩაჭდობილნი ბწკალნი ვარდისა.  
გრძნობანიცა ვაჟისანი ესევეითარ გაორდებოდენ:

წინ-წინ მისცა რად მი-ჰ-სრბევედა მზერა ვითარცა  
ეგე მწევარი, უკუ-ჰ-რბოდა, ეახლებოდა, ნიდაგცა  
კულავ ჰ-შორდებოდა, მომდევნოსაცა მოსაბრუნსა  
დალოდინებულ შედგებოდა, - ყურთა-სმენა მისი მითვე  
ზურგს-მი-ხ-ჰ-ქცევდა, უკუ-ჰ-ს-თრეენიდა.

ჟამითიჟამ იგიც ჰ-გონებდა, ჰ-კმარიყო ვინძლო ყავლი ესე  
აჟამგ ორთავ მარებლისა და სხუათა, რომელნიც  
ჯეროვან იყო, სრულიადსა აღსლვას ამას კვალად  
მისსა მიდევნებოდენ. მერმე მისსავე აღმსლველობის ნახმევიდა  
ჰგიებდა ესე კვლავინდებურ, ქროლაცა მისსავ მოსასხამის,  
ზურგს-უკან მისსა ჰგიებდა რადც. მოაწვევნო  
აკი ისინი, - თვისადცა ასრე უბნობდა მამრი;  
ხმიერ წარ-ჰ-ს-თქუამდა, ყურთ მო-ჰ-ს-წულებოდა თვისსავ ნახმევი.  
მოაწვევნო აკი ისინი, თუცა ორნი იქნებოდენ ვინცილობაა,  
მოშიშარ-ასრე ნელიადცა ჰ-ვლიდენ რომელნი. მამრს  
მიხედვა რომ მი-ჰ-ნებებოდა (უკუ-მიმზერა იგი ქმედების მთელისა  
ამის, პირველ-ჯერად  
აღსრულებულ რომელ იქმნების, ვთქვათ, განქრევა რომ არ ყოფილიყო),  
ჰ-ხილვებოდენ უნდა  
კიდევაც ორნივ წყნარნი, მჩუმარ აგრე კვალად მისსა ჰ-რებენ რომელნი:

მიდმოსლვისა თუ შორევეთა მათთა მაცნე ღმრთეება,  
ნათლიერ თვალთა ზედან არაღჩინ-ჩამოფხატებულ,  
ტანის წინარე წვართილის კვერთხის მიდმოშტარებელ,  
წვივ-ტერფ-ფრთონცა მოფრტიალე; ღმრთისცა  
მარცხენს გადანდობილ: დიაცი ისი.

ესდენ-სატრფოდ, რომე ჩანვს მაგას გამოეგო მოთქმა გარდამმეტ  
იმისა ვიდრე ყოელ-დიაცინი მოტირალნი გამო-ჰ-ს-სცემდინცა;  
რომე იქმნოდა მოთქმისგანცა სამყაროდ, შიგან რომლის  
მუნ ერთხელაც ჰ-ყოფდა ყოველი: უსიერ-ტვერი თუ ტაფობი,  
სავალიცა, ალაგიცა, მდელოც, მდინარეც, ოთხფეხიცა,  
რომე წარ-ჰ-ს-დენდა მოთქმისეული-სამყაროდს გარეირგულიუცა,  
ვით გარეირგულიუ მთლად ესერა სამყაროდს სხუის დედამიწა, მზედ,  
ზეცადც ვარსკვლავდავლილი,

მოთქმისეული ცაჲ სახინართ ვარსკვლავთა-თანა – :  
ღიაცი ისი ესდენ-სატრფოჲ.

ხოლო ვიდოდა ღმრთეების მისსა ხელს მინდობილ ღიაცი ისი,  
გრძელადგრძელ ცხედრის ტილოთა მიერ ნაბიჯ-შებრკოლვილ,  
აღალბელ ასრე, მსათნობელ და გამრიდეჲ მოუთმენლობის.

თვისშივ მყოფობდა იგი ვითარცა ასული ზესთა იმედოვნების,  
არცალა მამრი წინ-მარებელი, არცალა გზაჲ, ცხოვრებისად  
აღ-ჰ-ვლიდა რადც, აფიქრებდა ღიაცსა ამას.

თვისშივ მყოფობდა ღიაცი ისი. მკუდარ-ყოფნაც თვისი  
ვითარ სავსება ღიაცს მო-ჰ-ს-ცეკვდა.

ვითარ ნაყოფი სიტკბოების და სიმრუმისა,  
ღიაცი ისი აღვსილიყო ღიადის თვისის სიკუდილის მიერ,  
რადც სიახლე ამრიგად გახლდა იმ ზომამდე, რომ არრას

ჰ-ს-ცნეკვდა ღიაცი ისი.

ქალწულობის ახლისა წიალ ჰ-ყოფდა ღიაცი,  
უკარებელ-უბიწოდცა ჰ-ყოფდა ისი; სქესოვნებაც მისი იხშვოდა  
ვითარ ნორჩ-მლილი რამ ყვაილი მიმწუხრის მიმპყრობ,  
ისი მკლავნიცა ღიაცისანი ორთა-უღელს იმ გზობამდე

გარდა-ჰ-ს-ჩვევნიყვნენ,

რომ ურაცხყოფდა თვით ტანმსუბუქი ღმრთეების აევ

უსაზღვროდ-ჩუმი, წარმმართველი რამ მიკარება

ღიაცსა ამას ვითარ ნამეტურ მინდობაჲ.

ღიაცი ისი არღა გახლდა სულაც აევ თეთრგვრემანი ქალბატონი, ვინც,  
ზოგჯერ იყო, მგოსნის სიმღერებს ხმას აყოლებდა,  
არცალ სარეცლის ვრცეულისა სუნნელებაჲ, არცალ კუნძული რაიმეჲ,  
აჲმაგ მამრის არცალა რა კუთნვილებაჲ.

ამიერცა მიშვებულიყო ღიაცი ისი ვითარცა გრძელადგრძელი თმაჲ,  
დანდობილადცა მიგებული ვითარ წვიმა მიწადღამებულ,  
განწილულიცა ვითარ მარაგი ასრე ათასმაგ.

ღიაცი ისი იყო ფესვი სულაც ამიერ.

და, ანაზღეულ ოდეს ღმრთეება დიაცსა ამას აგრერიგ  
მსწრაფლ შეაჩერებდა, საღმობა-რევენულ შეიძახებდა  
სიტყვასა ამას: უკუ-მოხედულ ესე არს მამრი –,  
ჩა-ჰ-ხვდა არცა რას დიაცი ისი, წყნარცა წარ-ჰ-ს-თქვამდა: რომელიო?

ხოლოდა შორევს, ნათლიერის აღმოსასლველის წინარე  
მრუემელ-დაჩენილი

ჰ-ს-დგა მავანი, პირისახე უცნო რომლისა  
არ ირჩეოდა. ჰ-ს-დგა მამრი იგი, კიდევც ჰ-ხედვიდა,  
ვითარ მდებლობის ბილიკს ზოლად ესერა ფენილს  
ნავლელსავსე მზერისთანავე მაცნე-ღმრთეება ხმა-გაულებლივ  
უკუ-ჰ-ბრუნებდა,

რომ მი-ჰ-ყოლოდა სახებასა მას, იმავე სავალს  
უკუნ-ჰვლიდა უკვე რომელიც, გრძელადგრძელ ცხედრის  
ტილოთა მიერ ნაბიჯ-შებრკოლვილ,  
ალაღბედ ასრე, მსათნობელ და გამრიდედ მოუთმენლობის.

# დუინური ელეგიები

თავადის ქალის მარია ფონ თურნ უნდ  
თაქსის-ჰონენლოეს სამფლობელოდან.

## პირველი ელეგია

გაიგონებდა რომელიმე, ვიყვირო თუნდაც,  
ღალადისს ჩემსას ანგელოსთა მხედრიონთაგან?  
და რომ ენება ერთს იმათგან გულს მირქმა ჩემი,  
უფრო ძლიერი მისი ყოფნა სულს ამომხდიდა.  
რადგანაც არის მშვენიერი მხოლოდ საწყისი საშინელისა,  
რასაც ვუძლებთ და ვიზიბლებით, რადგან გულგრილად უკადრისობს  
ის ჩვენს მოსპობას. თითოეული ანგელოსი საშინელია.

და აი, ასე თავს ვიოკებ და ხმობა-მახილს,  
ამოზრდილს მრუმე ქვითინიდან, გულში ვიბრუნებ,  
ო, მაინც, ნეტავ, ის ვინ არის, ვინც ჩვენ გვჭირდება?  
არც ანგელოსნი, არცა კაცნი. ალლოგახსნილი ცხოველები კი  
უკვე გრძნობენ, რომ ჩვენ არც ისე იმედიადად გვეგულის თავი  
ამ განმარტებულ სამყაროში. ჩვენ, ალბათ, ხე თუ შემოგვრჩება  
ფერდობზე მდგარი, რათა ვუმზიროთ დღენიდაგ, ან გუშინდელი  
გზაშარა გვრჩება და გაცვეთილი ერთგულება იმ ჩვეულების,  
ჩვენთან ყოფნა რომ მოსწონებია, დარჩენილა და აღარსად მიდის.

ჰოი, და ღამე, ღამე, როდესაც ქარი აღვსილი სამყაროს სივრცით –  
სახეს გვიღარავს – ნეტავ ვისლა არ შემორჩება ის, სანუკვარი,  
იმედების ნაზი მსახვრალი, გულს მარტოეულს  
მარადღამს რომ მოელის ტვირთად, –

განა ეს ღამე მებრფეთ უფრო ეიოლებათ?  
ო, ისინი ხომ საკუთარ წილ-ხვედრს ერთმანეთით ემალებიან.

შენ არ იცოდი ეს აქამდე? გადაისროლე მკლავებიდან სიცარიელე,  
სივრცეებს მიეც, იმავ სივრცეებს, ჩვენ რომ ვსუნთქავთ;  
გაფართოებულ ჰაერს ფრინველნი შინაგანი ფრენით თუ გრძნობენ.

ღიახ, სწყუროდი გაზაფხულებს შენ ჭემმართად.



ზოგიერთ ვარსკვლავს კი ეგონა, თითქოს მათ ჩასწვდი.  
წარსულის ტალღა წამოიგრაგნა თუ ღია სარკემელს  
როს ჩაუარე, ვიოლინო დნებოდა ჰანგად.  
გევალებოდა ჩასწვდომოდი ამ ყოველივეს.  
მაგრამ შეიძელ? განა ყოველთვის  
ძლოდინით დაბნეული არ იყავ ისევ,  
თითქოსდა სატრფოს გაუწყებდა შენ ყოველივე.  
(სად გინდა იგი დამალო, როცა სხვისი მაღალი  
აზრები ხშირად გტოვებენ, ისევ გესტუმრებიან,  
უმეტესად კი მთელი ღამით რჩებიან შენთან).  
თუკი მოგწყურდეს, ხოტბა უთხარ შეყვარებულებს,

კარგა ხანია სახელგანთქმულ გრძნობას მიჯნურთა  
საკმარისი უკვდავება არ ღირსებია.  
თითქმის გშურს კიდევ მიტოვებულ მიჯნურებისა,  
რომელთა გრძნობას უფრო ძლიერ ტრფობად მიიჩნევ,  
ვიდრე სიყვარულს წყურვილმოკლულთა.  
მუდამ თავიდან წამოიწყე ქებათა-ქება,  
ვერასოდეს რომ ვერ მიაღწევს საწადელ მიზანს;  
გახსოვდეს: გმირი თავს ინარჩუნებს. თვით სიკვდილიც კი  
საბაბია მისი ყოფნისა: დაბადება უკანასკნელი.  
ხოლო მიჯნურებს ქანცმიხდილი დედაბუნება უკან იბრუნებს,  
თითქოს მეორედ მათ შესაქმნელად ძალა არ ჰყოფნის.  
თუ გიფიქრია შენ საკმარისად გასპარა სტამპას დიდ სიყვარულზე,  
ან მიჯნურის მიტოვებულ ქალწულზე, ვისაც ამ ამალღებულ  
სიყვარულის ნიბუში შესძრავს: მისი მსგავსი თუ გავხდებიო?  
ბოლოს და ბოლოს, ძველთა-ძველი ეს სატყვივარი  
აღარ გახდება ჩვენთვის უფრო ნაყოფიერი?  
არ დადგა ჟამი, თან გვიყვარდეს, თან გავერიდოთ მეტრფეს და  
თრთოლვით ავიტანოთ ეს განშორება, ვით ღარს იგუებს ისარი,  
რათა, ნახტომში ფრენად შენივთული, თავს აღმატოს.  
რადგან ამ ქვეყნად ვერსად ღარჩები.

ხმები, ო, ხმები. ისმინე, გულო,

როგორც წმინდანი ისმენდნენ ოდით: ვება ძახილს,  
მათ რომ მიწიდან ზეცისაკენ აიტაცებდა;  
თუმც საკვირველნი მუხლმოდრეკით რჩებოდნენ ისევ  
და ვერაფერს ამჩნევდნენ ირგვლივ: ასე ისმენდნენ.  
შენ ვერასოდეს ვერ აიტან ღვთის ხმიერებას, შორსა ხარ მისგან,  
თუმცა ისმინე უწყვეტ ნაკადად მიმქროლავი ამბავი მისი,  
რაიც თვითონვე იბადება სიჩუმისაგან.  
შემოგშრიალებს ახლა ბედი ნორჩ გარდაცვლილთა.  
განა არ გდევდა, არ ჩურჩულებდა მათი ხვედრი შენთან უჩუმრად,  
სადაც არ უნდა შესულიყავ ტაძართა წიაღ,  
რომს თუ ნეაპოლს? ანთუ წარწერა მოგვევლინა ამაღლებული,  
ვით სულ ახლახან სანტა მარია ფორმოზაში საფლავის ფილა.  
რა სურთ მათ ჩემგან? მოჩვენებითი უსამართლობა  
უნდა ფრთხილად ჩამოვარიდო, რაიც ხანდახან აფერხებს ოდნავ  
წმიდა რხევას მათი სულების.

ჭეშმარიტად უჩვეულოა, დეამიწაზე აღარ სახლობდე,  
ძლივს შეთვისებულ ჩვეულებებს დაემშვიდობო,  
ვარდებს და ეგზომ მრავლისაღმთქმელ სხვადასხვა საგნებს  
არ მიანიჭო მნიშვნელობა კაცთა მომავლის;  
არ იყო იგი, რაც იყავი: შეფარებული  
უკიდევანო შიშით აღვსილ შენს ხელისგულებს,  
და თვით სახელიც, საკუთარი დასთმო სახელიც,  
ვით სათამაშო დამსხვრეული, აწ უვარგისი.  
უჩვეულოა, აღარ გსურდეს არც სურვილები,  
უჩვეულოა, რაც ურთიერთკავშირში გახსოვს,  
სივრცეში მარტოდ მოფარფატე რომ დაინახო.  
ღიას, მძიმეა გარდაცვლილთა ყოფიერება,  
ნელა შეივსებს დანაკარგს და მარადისობას  
მისხალ-მისხალ ეზიარება. მაგრამ ცოცხალნი სცდებიან,  
როს მეტისმეტად ასხვავებენ ამ ორ საუფლოს.  
(ამბობენ) არც კი იციანო ანგელოსებმა  
სად მიმოდინან, გარდაცვლილთა თუ ცოცხალთ შორის...  
მარადიული დინება, ორთავ საუფლოს გავლით მძლავრად მედინი,

თან წარიტაცებს ყოველგვარ ასაკს  
და მყისვე ახშობს მას ორთავეში.

და ბოლოს უკვე აღარ ვჭირდებით ადრე გარდაცვლილთ,  
მიწიერ ყოფას ვით დედის ძუძუს, ნაზად, სათუთად  
გადაჩვევა სცოდნია თურმე. მაგრამ ჩვენ, - ვისაც ასე დიდი საიდუმლონი  
გვჭირდება მუდამ, რომელთა ძალით მწუნარებიდან  
წარმოსდგება ნეტარი წინსვლა,- *გაეძლებთ უმათოდ?*  
ნუთუ, ფუჭია თქმულება იგი, რომ დიდი ხნის წინ  
ლინოსის გლოვა-დატირებისას პირველშობილმა,  
გაბედულმა მუსიკის ტალღამ მაშინ პირველად  
გახევებული გარინდება გაარღვია და შიშისგან შეძრულ სივრცეში –  
რომელსაც თითქმის ღვთაებრივი ყრმა მყის სამუდამოდ გამოეცალა,-  
სიცარიელე იმ რხევაში გადაიზარდა, რაიც ჩვენ ახლა  
თან წარგვიტაცებს, გვანუგეშებს და გვეხმარება.

## მეორე ელფგია

თითოეული ანგელოსი საშინელია,  
ვაი, რომ მაინც თქვენ გიგალობთ, სულის ფრინველნი,  
მსახვრალნი ლამის, მე, თქვენი არსის მესაიდუმლე.  
სადღაა დღენი ტობიასი, როცა თქვენს შორის  
უბრწყინვალესი, უბრალო კარის ზღურბლთან იდგა,  
ვით მგზავრი მცირედ შემოსილი და ამიტომ აწ არსაშიში,  
(*ყმაწვილი ყმაწვილს ცნობისწადილით უთვალთვალებდა*).  
ახლა რომ მთავარანგელოსი, ხიფათით სავსე,  
ერთი ნაბიჯით ჩამოქვეითდეს ვარსკვლავთმილმიდან დედამიწისკენ:  
ჩვენივე ძალი გულისცემა სულს ამოგვხდიდა. ვინა ხართ ნეტავ?

სხვათა უადრეს ნეტარქმნილნი სწორუბოვარნი, თქვენ, ნებიერნი  
შესაქმისა, ხერხემალი და მზისცვარდაკრულნი ქიმი ხართ ყველა  
წარმოშობისა, გვირგვინგამლილი ღვთაებრიობის ყვაილთა მტკერნი,  
სახსარნი სხივთა, გასასვლელეზო, საფეხურნი, ტახტნი სუფევის,

არსთა სივრცენო, ნეტარებანო, ქცეულნო ფარად,  
ქართეხილივით აღმამფრენო გრძნობის მორევნო და მყის ცალკ-ცალკე,  
სარკეებო: თქვენ, ვინც საკუთარ გამოსხივებულ მშვენიერებას  
კვლავ ჩაიბრუნებთ საკუთარი ხატის წიაღში.

ჩვენ კი, რადგანაც გრძნობა შეგვწევს, ვართ წარმავალნი.  
ო, ჩვენ თვითეულ ამოსუნთქვას ვატანთ სიცოცხლეს;  
ნალვერდალივით აალებით აალებამდე მივინავლებით  
და რომ კიდევაც გვითხრას ვინმემ: დიახ, შენ სისხლში შემომეჭერი,  
ეს ოთახიც და ეს გაზაფხულიც ივსება შენით... ვერას გვიშველის,  
ვერ შეგვაჩერებს, ჩვენ ვიფერფლებით მის წიაღში და მის გარშემო,  
ან მათ, მშვენიერთ, ო, ვინ იხსნის, ვინ შეაკავებს?  
მათ სახეებზე განუხრელად ჩნდება და ქრება რაღაც იერი.  
თითქოსდა, ლორთქო ბალახიდან ქროლდება ცვარი;  
ისე მიილტვის ჩვენგან ჩვენი, აიზიდება, ვით ოზშივარი ცხელი კერძისა.

ღიმილო, საით? ო, გამოხედვა: ცინცხალი, თბილი, მოუხელთები  
ტალღა

გულისა - ვაგლახ: ჩვენ ეს ვართ - ნეტავ თუ დარჩა  
ჩვენი გემო იმავ სამყაროს, რომელსაც ასე უნაშთოდ ვერთვით?  
ანგელოსები ნუთუ მხოლოდ საკუთარს მკიან, თვის გამონაშუქს,  
თუ ზოგჯერ მაინც, თითქოს შეცდომით გამოერევა

მისხალი ჩვენი არსებისა იმათ ნათელში?  
თუ მათ სახეზე მხოლოდ იმდენად ვართ აღბეჭდილნი,  
როგორც ფეხმძიმე დედაკაცთა სახეებზე იერი რაღაც, ამოუხსნელი?  
ანგელოსები, ალბათ, ამას ვერც კი ამჩნევენ,  
საკუთარ თავთან უკუქცევის ორომტრიალში.  
(ანდა როგორ უნდა შენიშონ).

ო, რომ სცოდნოდათ, შეიძლებდნენ კიდევ მიჯნურნი,  
ღამის ჰაერში საკვირველი ენით საუბარს.  
რადგან გარშემო, თითქოს, ყველა და ყველაფერი გვაიდუმალებს.  
ხედავ: არიან ხენი; სახლებიც, ჩვენ რომ ვბინადრობთ,

ჟამს ჯერ კიდევ უმკლავდებიან. მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ჩაუვლელი ყველაფერს გვერდით, როგორც ჰაერის მიმოქცევა, როგორც ნიაჱი. და შეკრა პირი ყოველივემ ჩვენს მისაჩქმალად, ცალკერძ რიდითა და ცალკერძ, ალბათ, გამოუთქმელი რაღაც იმედით.

თქვენ, მიჯნურებო, ერთმანეთით გულნაჯერებნო, თქვენ გეკითხებით, რას იტყვით ჩვენზე, თუმც, ერთმანეთით ხართ ხელდებულნი, რა საბუთი მოგეძეებათ? დახეთ, როდესაც შევაერთებ ჩემს ხელის გულებს და სახე ჩემი იქ წამიერ სავანეს ჰპოვებს – მხოლოდ მცირედი თვითშეგრძნება დამეუფლება. თუმცალა, მხოლოდ ამის გამო არსებობას ვინ გაბედავდა? თქვენ კი, რომელნიც აღტკინებისას ერთიმეორეს აღემატებით, ვიდრე იგი უკვე ძლეული ვედრებით ითხოვს: ვიკმართ ტკობა – ; თქვენ, ვინც ურთიერთხელშეხებით უფრო მდიდრდებით, ვით ხვავრიელი ჟამი ვაზისა. ხანდახან ერთი თქვენთაგანი ქრება იმიტომ, რომ მეორე აღმოჩნდება უფრო ძლიერი;

თქვენ გეკითხებით, რას იტყვით ჩვენზე. ვიცი, ერთმანეთს ნეტარებით ეხებით რადგან, თქვენიც აღერსი გავსებით, გაყოვნებით, რადგან არ ქრება ადგილი იგი, სათუთნო, თქვენ რომ თქვენით მოიცავთ,

რადგან განიცდით მის წიაღში წმინდა გრძლიობას. ასე ჰპირდებით ერთიმეორეს აღერსით ლამის მარადისობას. და თუკი მანც გაუძელით მრწოლას პირველ შემოხედვათა, – და გადალახეთ მონატრება, სარკმელით მზირნო, და ორთა პირველ გასეირნებას, იმ ერთხელ ჩავლას ბალის წიაღით გაართვით თავი: შეყვარებულნო, არ იცვლით სახეს?

როს ბაგე ბაგეს დაიგემოვნებს და კვლავ მოსწყდება – : წყურვილით შესვამთ ერთიმეორეს: სასმელი სასმელს: ო, რა საოცრად გაეცლება დაწაფებული ქმედებას მაშინ.

არ გოცებდათ ბერძნულ სტელებზე ადამიანთა ფროთხილი ჟესტები?

განა, იმათ მხრებს სიყვარული და განშორება ისე მსუბუქად არ დაჰყენოდა –  
თითქოს სრულიად სხვა მასალისგან იყო ნაძერწი ჩვენგან სხვაობით?  
გაიხსენეთ მათი ხელები, რა სიმსუბუქით ასვენია მტევნები მათი;  
თუმცა, ტორსებში განაბულა ძალა უშრეტი.  
სულმტკიცებმა იცოდნენ ამით: აქამდე ჩვენ ვართ,  
და ასე გვმართებს ერთმანეთთან შეხება რადგან,  
უფრო ძლიერად ღმერთთა ხელი დაგვასვამს დამდას.  
მაგრამ ეს მხოლოდ ნებაა ღმერთთა.

ო, რომ გვეპოვა წმინდა და ვიწრო, ადამიანურ საუფლოდ რაღაც,  
აქამომდე ხელშეუხები, ნაყოფიერი მიწის ზოლი  
ჩვენი კუთვნილი - მდინარებას და ქვიანეთს შორის.  
რადგან ჩვენივე გვიმონებს გული კვლავ, როგორც იმათ.  
და აღარ ძალგვიძს თვალი ვადევნოთ მას იმ ხატებში,  
რომელნიც ღმერთთა სხეულებში მფეთქავ გულსაც ასათუთებენ,  
სადაც იგი ზომიერდება და მით უფრო დიდებულია.

## მესამე ელფია

ერთია მიჯნურს სიმღერა უთხრა, ვაი რომ სულ სხვა,  
უმღერო სისხლის მდინარ-ღვთაებას, არსებაფარულს, ცოდვა-ბრალიანს.  
და თუ ქალწული გულის რჩეულს სცნობს შორიდანვე,  
ყმაწვილმა ვნების მბრძანებელზე არა იცის რა, მარტოობაში  
ჩაკარგულმა,  
ვიდრე ქალწული დაარწყულვდეს, ხშირად ვნება თავს არც ახსენებს.  
ო, რა უცნობი, იდუმალი ნაჟურით მჟონი წამომართა თავი ღვთიური,  
უნმობდა ღამეს უსასრულო მღელვარებისკენ.  
ო, ნეპტუნი, სისხლის მპყრობელი, ო, საზარელი სამკაპი მისი,  
ო, ბნელი ქარი მისი მკერდისა, დაგრაგნილი ნიჟარიდან ამონაქროლი.  
იყუჩე, გესმის, ღამე მღვიმედ იღრუებს სხეულს. თქვენ,  
ვარსკვლავებო,  
განა თქვენგან არ წარმოიშვა მიჯნურის ვნება,

მას სასურველი სახის ხილვისას რომ ეუფლება?  
განა ეს ჭკრეტა შინაგანი, შეყვარებულის წმინდა სახისა  
არ მოვლენილა წმინდა ციური სხეულებიდან?

მაგრამ ვაი, რომ არც შენ, ასულო, და არც დედამისს,  
არ მოვიმშვილდავთ წარბები მისთვის, ელოდით თითქოს.  
ქალწულო, მიჯნურს ტანი რომ გივრძნობს,  
განა შენდამი ხვავრიელი სიტყვის სათქმელად მორიკალა ტუჩები მისი?  
შენ, ასე ცისკრის ნიავეით ლაღად რომ დაჰქრი,  
მართლა გგონია, რომ ვაჟს გოგმანი შესძრავდა შენი?  
თუმცა, გული კი შეუკრთე მაინც;  
უფრო ხნიერი, ძველი შიშები შეიჭრნენ მასში, შენთან შეხლისას.  
შეეხმიანე... თუმცა, იმ ბნელი გარემოდან ერთიანად ვერ გამოიხმობ.  
რაღა თქმა უნდა, მას სურს თავდახსნა, დაიხსნის კიდევ,  
შვებამოგვრილი ერგევა ფრთხილად შენს გულს იდუმალს  
და არსებობას თვითონვე იწყებს.  
ნუთუ, ოდესმე მართლა ჰპოვა საწყისი თვისი?  
დედაო, მას შენ მოუვლინე პატარაობა, შენ პაწაწინას საწყისი მიეც.  
იგი შენთვისაც სიახლე იყო. ამ ახალ თვალებს შემოავლე  
სათნო სამყარო და ააცილე უცნობი მხარე.

სად გაჰქრნენ წლები,  
როცა ნატოფი შენი სხეულით გადაეფარე მღელვარე ქაოსს  
და სულ უბრალოდ განარიდე იგი მის თვალებს?  
ამრიგად ბევრი რამ დაუძალე; დამეულ ოთახს – ბუდეს შიშნეულს,  
უზაკველს ხდიდი და შენი სათნო, მფარველი გულით  
მის ღამის სივრცეს უზავებდი სივრცეს უფრო ადამიანურს.  
წყვდიაღს კი არა, შენს უახლოეს არსებობას უნთებდი ლამპარს,  
და ენთო ისიც, ვით წყალობა, გაღებული მოყვასისაგან.  
ჩქამიც კი არსად დაიძვრებოდა, ღიმილის ჩენით რომ არ აგეხსნა,  
კარგა ხნის წინათ იცოდი თითქოს, სიჩუმე როდის გამეფდებოდა...  
ყრმაც ყურს გივდებდა სულგანაბული და მშვიდდებოდა.  
დედაო, ასე მრავლისშემძლე იყო ფაქიზი სიფხიზლე შენი;  
კარადის უკან ჩვილს მოსასხამით ელოდა ბედი

და ფარდის მსუბუქი, თხელ ნაკეცებში  
კვლავ ნებივრობდა მერმისი მისი მოუსვენარი.

თვით ყმაწვილი კი, როგორც იწვა, შვებამოგვრილი,  
რულმოკიდებულ ქუთუთოებქვეშ შენი მსუბუქი სხეულის სიტკბოს  
განაზავებდა ნაჭაშნიკვე ძილისბურანში - : ერთი შეხედვით –  
დაცული ჩანდა . . . შინაგანად კი: ვინ აბრკოლებდა,  
ვინ აფერხებდა მის წიაღში დელგმად მოვარდნილ წარმომავლობას?  
ვაგლახ, სიფრთხილე აკლდა მძინარეს; მძინარე, მაგრამ სიზმრიანი,  
მაგრამ მხურვალე, სიცხიანი: როგორ დაინთქა საკუთარ თავში.  
იგი ახალი, უმწეო, მფრთხალი, როგორ გაება  
შინაგანი მოვლენების შორს განფენილი ნელლი ლერწებით  
უკვე მზა ქარგად გადახლართულ, მახრჩობელა, მომხუთავ ზრდაში  
და ცხოველურად მბორგავ ნაკეთებში. როგორ მიენდო – როგორ  
უყვარდა.

უყვარდა თვისი შინაგანობა, თვისი წიაღის ველურობა,  
ტყე უსიერი საკუთარ თავში, რომლის მდუმარე იავარქმნაზე  
ღია სიმწვანით ხასხასებდა მისივე გული.  
უყვარდა ძლიერ, მაინც დასტოვა და გამოჰყვა საკუთარ ფესვებს,  
პირველსაწყისში,

სადაც ნამცეცა დაბადება რა ხანია განვლილი ჰქონდა,  
ის სიყვარულით ჩამოეშვა უფრო ძველ სისხლში, იმ უფსკრულებში,  
სად შემაზრუნენი გაწოლილიყო, გამამდარი მამათა ლეშით.  
და ყოველი საშინელება იცნობდა მას და თვალს უკრავდა,  
როგორც შეთქმული. ღიახ, მზარავი ილიმებოდა . . . .  
რა იშვიათად გაგლიძებია შენ, დედაო, მსგავსი სინაზით,  
და ან კი როგორ არ ჰყვარებოდა, როცა მზარავი მას ულიმოდა.  
ყრმას შენამდე უყვარდა იგი, რადგან ადრევე,  
უკვე შენში დავანებული, ყრმა იმ სითხეში იყო გაქნილი,  
ამსუბუქებს რაიც ჩანასახს.

ხედავ, ერთმანეთს როდი ყვარობთ, ვითა ყვავილნი,  
მარტოოდენ ერთი წლის ვადით: და როცა გვიყვარს,



უსსოვარ დროის ჩამონაჟურით იჟღინთება მკლავები ჩვენი,  
ო, ქალწულებო, იცოდეთ ერთი: რომ ჩვენ ჩვენს თავში  
მერმისის ერთი პირმშო კი არა, არამედ უზღვავე-უთვალავე,  
აზავთებული არსება გვიყვარს; მხოლოდ ერთი ბავშვი კი არა,  
არამედ ჩვენი მამა-პაპანი, რომელნიც მათა ნალეწივით  
ჩვენს საძირკველში გარინდებულან; არამედ მშრალი კალაპოტი  
ოდით დედათა - ; არამედ ვრცელი სანახები,  
ქუფრ ან ანკარა ბედისწერის ქვეშ მოქცეული -;  
აი, ქალწულო, შენს სიყვარულს წინ რა უსწრებდა.

შენ კი, შენ თავად, რა იცი ნეტავ - განა შენ არ გამოიწვიე  
მიჯნურთა სულში ჟამი წინარე, რა შეგრძნებანი ამოტივტივდნენ  
აწ გარდასულ არსებათაგან. აქ რომელ ქალებს ეზიზღებოდი  
და რა მოღუშულ მამაკაცებს აღელვებდი შენ ყმაწვილის ცინცხალ  
ძარღვებში?

მკვდარი ბავშვები იღტვიან შენსკენ...

ო, წყნარად, წყნარად, ჰქმენ რაიმე სასურველი ვაჟის წინაშე,  
სადაგი დღის აჩუქე წვლილი, აახლე იგი ბაღნარის სამანს,  
მიეც ღამეთა მეტი ნაწილი . . . .  
დაინარჩუნე . . . .

## მეოთხე ელგბია

სიცოცხლის ხენო, ჰოი, როდის დაგიზამთრდებათ?

ჩვენ არ გვჩვევია ერთსულოვნება და ვერც მძლეკარი  
ფრინველებივით ვართ თანხმიერნი.

ნაკვიანევად ავედევნებით მომქროლავ ქარებს  
და ვენარცხებით ჩვენდამი გულგრილ ტბორს, უსულგულოს.  
ჩვენ ერთდროულად ყვავილობაც და მჭკნარობაც ვუწყით,  
სადაც კი ისევ დაძრწიან ლომნი და უძღურების არრა იციან,  
ვიდრე მათ ლომებრ ბრწყინვალებას ადგას გვირგვინი.

ჩვენ კი როდესაც ერთს ვგულისხმობთ, მთელი არსებით,

იგრძნობა, წამსვე რაღაც სხვა რომ აგველობება.  
მტრობაა ჩვენთვის ახლობელი ყველაზე მეტად.  
განა მეტრფენიც ერთმანეთში ბოლოს ნაპირთ არ აწყდებიან,  
თუმც, ჰპირდებოდნენ ერთურთს სივრცეებს,  
სამშობლოსა და სანადირო ასპარეზობას.

და, აი, წამის ჩანახატისთვის  
რა რუღუნებით მზადდება ფონი  
საპირისპირო: რომ სახილველად იოლი გახდეს.  
რადგან მას ცხადზე უცხადესად გვაგრძნობინებენ.  
ჩვენ გრძნობადობის კონტურებისა არა ვიციით რა,  
მხოლოდ ის ვიციით, რაც მის სახეს ძერწავს გარედან.

ვინ არ ელოდა, აღსავსე ძრწოლით,  
თვისსავე გულის ფარდის აზიდვას?  
და როცა ფარდა აიხადა: დეკორაცია ასახავდა გამოთხოვებას.  
რა იოლი ჩასაწვდომია. ნაცნობი ბალი ირხევა წყნარად:  
ცოტაც და, აი, როკვის ოსტატიც. ის არა, კმარა! თუმცა კი,  
ლალად უჭირავს თავი: გადაცმულია და ბიურგერად იქცევა  
მყისვე, და შინ თავისი სამზარეულოს გავლით ბრუნდება.

მე არად ვაქნევ სანახევროდ გატიკნულ ნიღბებს,  
თოჯინა ბევრად უმჯობესია. სავსეა იგი.  
მსურს ავიტანო ეს ფიტული, თასმები მისი

და სახე, ქმნილი გარეგნობისგან.  
აქ ვარ. მზადა ვარ. თუნდ ჩაქრეს ყველა ლამპიონი,  
თუნდ ამიკრძალონ სულაც დარჩენა, ჰაეროვანი ნაცრისფერი  
სიცარიელეც რომ წარმოდინდეს ცივი სცენიდან,  
უტყვე წინაპართა მოდგმისაგან არავინ დარჩეს,  
და თაფლისფერი ელაში მზერით აღარ მიცქერდეს  
არც ყრმა, არც ქალი: მაინც დავრჩები.  
სანახაობა აქ ყოველთვის მოიძებნება.

არ ვარ მართალი? შენ, ეს ცხოვრება  
ჩემს გამო რომ ასე გემწარა, მშობელო მამავ,  
ჩემი ვალმოხდის მღვრიე სასმელის მეჭაშნიკე

იყავ ყოველთვის, როს ვიზრდებოდი,  
და შორეული უცხო მომავლის ჭაშნიკით მთვრალი,  
ჩემს მრავლისმეტყველ ამოხედვას იზიარებდი.  
შენა ხარ იგი, მამავ ჩემო, გარდაცვლის შემდეგ,  
ძალიან ხშირად, ჩემს იმედში, ღრმად ჩემს წიაღში,  
შიში რომ გავსებს და გარდაცვლილთა გულგრილობას,  
გულგრილობის სამფლობელოებს, გასცემ, გაიღებ  
ჩემი მისხალი ბედილბალისთვის. არ ვარ მართალი?  
თქვენ გეკითხებით არ ვარ მართალი? ვისაც გიყვარდით  
ჩემი თქვენდამი სიყვარულის იმ პატარა საწყისისათვის,  
რომელსაც მუდამ გაუზრბოდი იმიტომ მხოლოდ,  
რომ სივრცე თქვენი პირისახისა, რაიც მიყვარდა,  
სამყაროსეულ სივრცეებში მიმოიფანტა და გაჰქრით სრულად:  
ოდესმე თუკი მომეგუნება მე თოჯინათა სცენის წინაშე  
ლოდინი კიდევ, არა ლოდინი, არამედ სრული ხილვითი შერწყმა,  
ისეთი მძაფრი, რომ ჩემი მზერის აწონ-დაწონვას,  
დასასრულ თვითონ ანგელოსი მოიწადინებს და მსახიობად  
მოგვევლინება, რომელიც ფიტულს მყის აიტაცებს,  
აი, თოჯინა და ანგელოსი:  
ბოლოსდაბოლოს ჭეშმარიტი სანახაობა!  
მაშინ კი ერთად შეიყრებიან,  
ცალ-ცალკე რასაც ვსახავთ ნიადაგ,

როცა ვარსებობთ. მხოლოდ მაშინღა წარმოიშვება  
წრებრუნვა სრული ცვალებადობის.  
წელიწადის დროთა სვლისგან. და სწორედ მაშინ  
ჩვენს ზეგარდმო ანგელოსი ათამამდება.  
შეზე სულთმობრძავთ,  
ეგებ ხედებიან, რა აღსავესეა  
ქვეყნად საბაბით ჩვენი საქმენი.

თავად მყოფი არაფერია. ო, საათებო სიყმაწვილისა,  
როს ფიგურების მიღმა ბევრად მეტი რამ იყო, ვიდრე წარსული,  
და ჩვენს წინაშე არ სჭვიოდა ჯერ მომავალი.

თუმცა, ვიზრდებოდით და ხან გვეწადა, რომ უფრო სწრაფად  
გავზრდილიყავით, სანახევროდ მათ საამებლად  
ვისაც აღარა გააჩნდა რა ასაკის გარდა.  
და მინც ჩვენ ამ მარტოსვლაში კმაყოფილებას  
გვანიჭებდა ეს ხანგრძლივობა; და ვიდექით  
სამყაროსა და სათამაშოს შუალედში მოქცეულები,  
ისეთ ადგილზე, რომელიც მხოლოდ  
წმინდა მსველელობას ეკუთვნოდა დასამაბიდან.

ვინ, ვინ მაჩვენებს, როგორ დგას ბავშვი.  
ვინ მისცემს ადგილს ვარსკვლავთა შორის  
და ვინ მიაწვდის მას ხელებში მანძილის საზომს?  
ვინ გამოძერწავს ბავშვის სიკვდილს  
თალხი პურიდან, რომელიც ხმება –  
და ჩაუტოვებს მას მრგვალ ხახაში,  
მშვენიერი ვაშლის თესლივით!  
ადვილია გაუგო მკვლევლებს.  
ეს კი: სიკვდილი, მთელი სიკვდილი  
დაბადებამდე ასე სათუთად ატარო და  
არ გაბოროტდე, არის მართლაც აუწერელი.

## **მეს უთქმ ელმგია**

*ედღენება ქალბატონ ჰერტა კიონიგს*

რანი არიან, მითხარ, ყარიბი ჯამბაზები,  
თვით ჩვენზედაც ოდნავ უფრო სწრაფწარმავალნი,  
ვისაც სისხამზე, გამალებით,-  
ვის, ვის სალხენად, არავინ იცის,-  
სწურავს ნიადაგ ალუვისები ნების წადილი?  
და განა მარტო სწურავს, ქედს უდრეკს,  
გრესს, გაქანებულთ აისვრის ზევით  
და კვლავ დაიჭერს; ისინი, თითქოს, ზეთით გაპოხილ,

გლუვი, სრიალა ჰაერიდან ცვივიან ქვევით  
უკვე გაცვეთილ, მათი მარადი ხტომისაგან შელახულ ხალზე,  
უკიდევანო სამყაროში ჩაკარგულ ხალზე,  
მიწას სალბუნად რომ დასდებია,  
თითქოს ქალაქის გარეუბნის ცამ  
იქ, დედამიწას რაღაც ატკინა.  
რივიანად არც დაშვებულა, ფეხზეა უკვე  
და ზარზეიმით წარმოგვიდგება: აქადგომის ასომთავრული . . . ,  
უკვე იწყება თვით უძლიერეს მამაკაცთა ორომტრიალი,  
მუდმივი ფანდით, სხარტი ილეთით;  
თითქოს, მოკალულ სინს დრეკდეს ხელით  
მონადიმე ავგუსტ ძლიერი.

ჰოი, და ირგვლივ ამ მოძრავი შუაგულისა –  
მაყურებელთა მზერის ვარდი: ჰყვავის და ჭკნება.  
ამ ნატერფალი ბუტკოს ირგვლივ,  
ამ დამღის ირგვლივ  
საკუთარი აყვავებული მტკერი რომ ხვდება,  
ისევ და ისევ, შეუცნობელი უხალისობის  
ყალბ ნაყოფად რომ ჩაისახვის –  
- სიფრიფანა ზედაპირით ბრწყინავს, ბრჭყვიალებს,  
ადვილად, ყალბად მომღიმარი უხალისობა.

აი: ჩვარივით ნაოჭასხმული ძალოსანი,  
ბებერი, ის, ვინც დაფდაფს სცემს მხოლოდ,  
ისეა თავის უზარმაზარ კანში ჩაფლული,

თისთქოდა, უწინ ორ მამაკაცს იტევდა ლამის,  
ახლა კი ერთი სასაფლაოს მკვიდრია უკვე,  
ხოლო მეორე, ცოცხალი ჯერაც,  
სმენადავსილი და ხანდახან ოდნავ შეშლილი,  
აწ დაქვრივებულ ტყავში ფაფხურობს.

ეს ახალგაზრდა ყმაწვილი კი, პირმშოა თითქოს

მონაზვნის და მუქთახორისა, ტყავში ვერ იტევს  
ჩამოსხმულ კუნთებს და სიმარტივეს.

ოჰ, თქვენ,  
ვინც ტკივილს, ჯერ სულ პატარას,  
წილად ხვდით ერთხელ თავშესაქცევად,  
მისი ერთ-ერთი ჟამხანგრძლივი მოკეთებისას. . .

შენ კი, ნაყოფთ როგორც სჩვევიათ,  
იმგვარად სწყდები, ჯერ უმწიფარი,  
დღეში ათასჯერ, ერთობლივ ნაგებ  
მოდრაობის ხეს  
(რომელიც წყალზე უსწრაფესად,  
ორიოდ წუთში მოიღვეს ხოლმე  
გაზაფხულს, ზაფხულს და შემოდგომას) –  
ჩამოსწყდები და მიაწყდები საკუთარ საფლავს.  
ხანდახან, მცირე შესვენებისას, თითქოსდა უნდა  
დაგეფინოს სათნო იერი დედის ალერსს დანატრებული,  
მაგრამ სხეული შენი სახეს სიბრტყივ გათელავს –  
სახეს შეუმკრთალს... და ისევ კაცი ტაშისცემით  
გიწვევს სახტომად.

ვიდრე ტკივილი შენთვის უფრო გაცხადდებოდეს –  
მუდამ რაშივით მალემსრბოლი გულის მახლობლად,  
დაასწრებს უმალ მცხუნვარება ფერხთა გულების  
ტკივილის მიზეზს, მყის შენს თვალებში  
ჩალვენთილი სხეულის ცრემლით,  
და მაინც ბრმაა  
ეკ ღიმილი . . .

ო, ანგელოსო, ო, დაკრიფე, დისაკუთრე  
წვრილ-წვრილყვავილა სამკურნალო მცენარეები.  
შექმენ ლარნაკი და შეინახე!  
იქ მოათავსე, ჩვენთვის ჯერ უცნობ სინარულთა

გარემოცვაში; წარმტაც ურნაში ჩაასვენე  
და განადიდე ყვავილოვანი, ქარაგმული  
ზედწარწერილით: “Subrisio Saltat.”

შენ კი, ძვირფასო,  
შენ, უწარმტაცეს სიხარულთაგან  
უბრად წასულო, ჯინჯილები შენი სამოსის  
შენს მაგივრად ხარობენ ალბათ - ან ახალგაზრდა,  
მკერივ ძუძუ-მკერდზე ლითონისებრი მწვანე ატლასი  
უსასრულოდ ლაღობს, ნებივრობს, არც რას საკლისობს.  
შენ,

ყოველ ჯერზე სხვადასხვაგვარად  
ხარ შეგდებული წონასწორობის მერყევ სასწორზე,  
ასე სახალხოდ, ორივე ბეჭით, -  
ვით გულგრილობის გასაყიდი მწიფე ნაყოფი.

სად, ო, სად არის ის ადგილი -, მე გულით დამაქვს -  
ადგილი, სადაც ისინი დიდხანს იყვნენ უძღურნი,  
ერთი მეორეს სწყდებოდნენ ისევ,  
ვით აღრეულ-შეჯვარებული,  
შეუთავსები წყვილი ნადირთა,  
სად წონადობა მძიმეა ჯერაც:  
სადაც ჯერ კიდევ ყელყელაობენ  
თეფშები ასე უმაქნისად აწრიალებულ  
ლატანთა წვერზე . . .

და ანაზღად ამ სამძიმო არსადყოფნაში, ანაზღეულად:  
გამოუთქმელი ადგილი, სადაც  
წმინდა სიმცირე ამოუხსნელად გარდაისახვის -,  
აკეთებს ნახტომს  
იმ დიდ, ცარიელ სიუხვეში,  
სად მრავალნიშნა ამოცანები  
რიცხვთა გარეშე ამოიხსნება.

ო, მოედნები, მოედანი პარიზისა, უსასრულო სანახაობა,

სადაც მოღების კანონმდებელი, *Madame Lamort*  
დედამიწის მოუსვენარ გზებს  
უსასრულო ზონრებად ზღართავს,  
ახვევს და მათგან ახალ-ახალ ბაფეთებს იგონებს,  
რუშებს, ყვავილებს, კოკარდებსა და  
ხელოვნურ ნაყოფს,  
ყალბად შეფერილთ -, ბედისწერის იაფფასიან  
საზამთრო ქუდთა მოსაკაზმავად.

.....  
ო, ანგელოსო!; რომ ყოფილიყო მოედანი, უცნობი ჩვენთვის,  
იქ, გამოუთქმელ ხალიჩაზე წარმოედგინათ  
მიჯნურთ, რაც მათთვის აქ რჩებოდა მიუწვდომელი:  
თავგანწირული ილეთები გულისძგერისა,  
იმათი ვნების ციხე-კოშკები, სადაც საყრდენი  
არასოდეს არა ყოფილა, და კიბეები ეყრდნობოდნენ  
ერთუროს ცახცახით, - და შესძლებოდათ უთვალავ, უხმო  
გარდაცვლილი მაყურებლით გარსშემორტყმულებს:  
ნუთუ, ისინი, უკანასკნელ, მუდამ მომჭირნელ  
შემონახულ, ჩვენთვის ჯერ უცნობ,  
ბედნიერების მუდამ ვარგის უზალთუნებს  
არ გადაჰყრიდნენ, ბოლოსდაბოლოს  
ჭეშმარიტად მომღიმარი წყვილის წინაშე  
დარწყულებულ, მშვიდ ხალიჩაზე?

## **მეექვსე ელვია**

ზეო ლელვისა, რახანია უკვე მენიშნა,  
რომ ყვავილობის გამოტოვებით,  
შენეულ წმინდა საიდუმლოს მძლავრად ჩაწურავ  
დროულად ზრდასრულ, მწიფე ნაყოფში.  
ვით შადრევანთა სადინარები, შენი ტანმრუდე ტოტები ლაღად  
დენიან ნექტარს აღმა და დაღმა; ისიც, ძილიდან ამოსხლეტილი,  
ძილბურანშივე მიაშურებს თვისი უტკებესი აღსრულების ბედნიერებას,



ხელავ: ვით ღმერთი გედის სხეულში.

. . . ჩვენ კი ვცოვნდებით.

ყვაილობა გვეამაყება და ჩვენეული საბოლოო ნაყოფის სიღრმეს, დაგვიანებულს, უკვე დალატით დალდასმულნი მივეახლებით.

ო, ცოტა ვისმე თუ მიაწყდება ასე ძალუმაღ ქმედების ტალღა, რომ მოთმინებით მცხუნვარებდნენ სისავსეში საკუთარ გულის, როს ყვაილობის ცთუნება ტკბილი

იმათ ბაგეთა სიყმაწვილეს და ქუთუთოებს მიეკარება, როგორც დამცხრალი ღამის ჰაერი.

ეს შეეხება ალბათ ან გმირებს, ანდა იმ ქვეყნად ადრე წასულებს, რომელთა ძარღვებს სულ სხვანაირად

ხლართავს სიკვდილი - მებაღე მათი.

აი, ესენი ელვასავით ჩაგვიქროლებენ: საკუთარ ღიმილს

წინ უსწრებენ, ვით რაშთა წყვილი

კარნაკის მიმქრალ სურათებზე

მძლეთამძლე მეფის კაზმულ ტახტრევანს.

ო, რა საოცრად ჩამოჰგავს გმირი ნორჩ გარდაცვლილებს.

ყოფიერების ხანგრძლიობა არ ედარდება. მისი აღმასვლა არსებობაა; ნიადაგ შორეთს მიექანება და შეაბიჯებს თვისი მარადი განსაცდელის

სახეცვლილ თანავარსკვლავედში. სადაც ცოტანი თუ იპოვნიან,

მაგრამ ჩვენივე უმოწყალოდ დამღუბებელი ბედისწერა,

უცაბედად აღტკინებული, მას ჰანგად აქსოვს

თავის მშფოთვარე ქვეყნის ქარიშხლებს.

მე მხოლოდ მისი მესმის ნათლად, ასე აშკარად:

მისი ხმა, ბინდით დაფარული გამმსჭვალავს უცებ,

მომქროლავი ჰაერის ჭავლით.

მაშინ რა ღიდი სიხარულით განვირიდებდი მე მონატრებას:

რომ ვყოფილიყავ, ო, ვყოფილიყავ ბიჭი პატარა და რომ მქონოდა

კიდევ ერთხელ უფლება ყრმობის, - და ვიკითხავდი სამსონის ქებას,

თუ როგორ შობა სამსონის დედამ ქვეყნად ყოველი,

თუმცაღა, ადრე ყოფილა ბერწი.

ო, ღელავ, განა ის შენშივე არ იყო გმირი, განა ჯერ მაშინ ისევ შენში არ ისაწყისა არჩევანმა მისმა ზვიადმა?  
ათათასნი ირეოდნენ შენსა წიაღში და იმ კაცად სურდათ გაჩენა, მაგრამ ხომ ხედავ: ჩაიგლო ხელში და კვლავ დასტოვა -, აირჩია და შესძლო კიდევ. და როცა სვეტთა საძირკველს შლიდა, აღასრულებდა მხოლოდ იმიტომ, რომ დაუტევა სამყარო შენი სხეულისა და უფრო ვიწრო სამყაროში გადმონაცვლა, სად არჩევანი კვლავ მისი იყო, ძალაც ერჩოდა;  
გმირთა ღედანო, ო, სათავენო წამლექავი ნაკადებისა!  
მრუმე უფესკრულნო, სად ჩაცვივდნენ მოთქმა-გოდებით გულის მაღალი ნაპირიდან ქალიშვილები - მომავალნი მსხვერპლნი ვაჟისა.

რადგანაც გმირი მიველავდა სიყვარულის სადგურთა გავლით, ყოველი მისთვის ანამგერი ფეთქვა გულისა ზე ამალლებდა, მაგრამ უკვე პირშექცეული, იგი ღიმილთა დასასრულისას – იდგა  
სხვაგვარად.

## **მეზვიდე ელგია**

მოიხმობ ნულარ, აღიკვეთე ხმობა ამიერ, ლალი, ახსნილი ხმა იყოს შენი ძახილის არსი; თუმც, შენც ანკარად ხმობ ფროთოსანივით, წლის აღმავალი ჟამი ზეცად რომ აიტაცებს და ავიწყდება თითქმის, რომ ჩიტი სულდგმულია ბედშავი ერთი, და არა მხოლოდ გული ეული, შინაგან ცათა ლაჟვარდში რომ გადაისვრის დრო წელიწადის. ხმობაში ტოლს არ დაუდებდი შენც არც ერთ ფრინველს -, და უხილველად შეგიცნობდა შენ მეგობარი, წყნარ-უჩუმარი, ვისშიც პასუხი ნელა იწყებს გამოღვიძებას და ემატება მხურვალეობა შენი მოსმენით, - შენი თამამი გრძნობისადმი ანთებული თანამგრძნობელი.

და გაიგებდა გაზაფხულიც - აქ არსადაა, არსად, ადგილი, იღუმალ ხმას რომ არ გამოსცემდეს, ხმას მახარობელს; თავდაპირველად იმ პატარა, კითხვით აღსავსე ამოკენესისა, რომელსაც მზარდი მღუმარებით შემოეხვევა წმინდა დღე უტყვი დასტურის ნიშნად. შემდეგ კი, - უკვე აღმავალი საფეხურებით, ხმობის გრძნეული საფეხურებით, ზევით, მერმისის ნანატრ ტაძრისკენ -; შემდეგ ტრელები, შადრევნები, ზე ატყორცნილი, რომლის ჩქერალიც გულისხმობს ვარდნას დაპირებებით სავსე თამაშში... როცა წინ ჯერაც არის ზაფხული.

განა მარტო ალიონები ზაფხულისა - და განა მარტო გარდასახვა დილისა დღეში და ელვარება საწყისის წინა, განა მარტო დღეები, თეთრად რომ ევლებიან ყვაილებს ნარნარ, უფრო მაღლა კი, აშოლტილ ხეებს ძლევაშოსილი მეუფებით ეგებებიან, განა მარტო მოწიწება ამ განშლილი ძალთახმევისა, განა მარტო სავალი გზები, განა მარტო მღელღობი საღამო ჟამის, განა მარტო სულჩადგმული გამჭვირვალება ნაკვიანვეი ნავდრალისა, განა მარტო კარს მომდგარი ძილის ბურანი და წინათგრძობა მიმწუხრისას . . .

არამედ ბნელი ღამეები! ჰოი, მაღალი ღამეები ზაფხულისა, არამედ სავსე ვარსკვლავები, ვარსკვლავები დედამიწისა,

ო, თუნდაც მოკვდე და კვდომის ფასად ჩავწვდე მათ სახეს უსასრულოდ. ვარსკვლავებს ყველას: რადგან ო როგორ, როგორ, რა ძალით გადავივიწყო ეს საოცრება!

ხედავ, უკვე მოუხმე მეტრფეს. თუმც, მხოლოდ იგი მომეახლება? სუსტ საფლავთაგან მოაშურებენ ქალიშვილები და იღებებიან. . . რადგან ვით შეეძლო, როგორ მოესაზღვრო ამოხდენილი ძახილი ჩემი? ისევ და ისევ დედამიწას ეძიებენ გარდასულები. თქვენ, ო, ბავშვებო, საგანი, ერთგზის ხელღებული თქვენგან ამქვეყნად, იტვირთავდა უამრავ აზრსა და მნიშვნელობას. ნუ გეგონებათ, რომ ბედისწერა მეტია, ვიდრე სიყმაწვილის შრეთა სიმკვრივე.

თქვენ კი რა ხშირად გადაგისწრიათ მიჯნურისათვის, გულამოვარდნილთ, ნეტარ სრბოლისას, სიარაფრისკენ რომ მიილტვოდით, ღია სივრცეში.

ამ ქვეყნად ყოფნა დიდებულია. თქვენ ეს იცოდით, ქალიშვილებო, - დიახ, თქვენც კი, დაჩაგრულნი თითქოსდა ბედით, ჩაკარგულებო: თქვენ, ვის ქალაქის ავბედობით სავსე ქუჩებში გდიოდათ ჩირქი და სული თქვენი ღია იყო დაცემისათვის, რადგან თვითნებულ თქვენგანს ზომ ჰქონდა ერთი საათი - ვეგებ არც სრული ერთი საათი, არამედ რაღაც დრო, მოქცეული ორ წამს შორის - დროის ათვლით ვერ გასაზომი, ოდეს გავსებდათ ყოფიერება. ყველაფერი. ყოფნით გქონდათ ძარღვები სავსე. მაგრამ ჩვენ ზომ ასე იოლად ვივიწყებთ, რასაც მომღიმარი მეზობელი არ გვიდასტურებს ან არ შურს ჩვენი. ბედნიერება გვსურს ვაქციოთ ცხადად, საჩინოდ, თუმც უცხადესი

ბედნიერება თავს მხოლოდ მაშინ შეგვაცნობინებს, თუკი გარდაქმნით მას შინაგანად.

არსად იქნება, მიჯნურო ჩემო, სამყარო სხვაგან, თუ არ ჩვენს გულში. ჩვენი სიცოცხლე გვეთხოვება გარდასახვებით, და უფრო მეტად იზრდება ქრობა გარე სივრცისა. სადაც ოდესღაც მარადიული სახლი იდგა, გადაიშლება გამოგონილი სახება მისი, პირუკუ მდგარი, ისე მთლიანად გამოგონილი, თითქოსდა, ტვინის ბინადარი იყოს ის ჯერაც. დროჟამის სული ძლიერების ყულაბას იქმნის, ფორმის გარეშე, ვით ძაბვის ტალღა, რომელსაც იგი ამოიგებს ყველაფრისაგან. ტაძარი მისთვის აღარ არსებობს. გულის ამ ფლანგვას ვზოგავთ მომჭირნედ, უფრო მალულად.

და თუკი მაინც გადაურჩება წარმავლობას, ერთი ოდესღაც სალოცავი საგანი რამე, სათაყვანო, მუნღმოსაყრელი, - უკვე უხილავ სამყაროსკენ ექნება პირი. და მრავალნი ხედავენ ამას; თუმცა, არ ესმით, თუ რამდენად სჯობს, რომ ბოლოს მხოლოდ სულში აავტო

უფრო დიადი სვეტები და ქანდაკებები.

ყოველ ქუფრიან მობრუნებას სამყაროსა ჰყავს ამდაგვარი,  
მემკვიდრეობა-უბოვარნი,  
ვისაც წარსული აღარა აქვს და მერმისიც ჯერ არ ეკუთვნის;  
რადგან მერმისი, უახლოესიც, მაინც შორსაა კაცთა მოდგმისთვის,  
თუმც, ამის გამო არ გვმართებს შფოთვა და ფორიაქი: დე, ამან უფრო  
განგვიმტკიცოს სულის სიღრმეში შემეცნებული საგნის სახება.  
აღამიანთა გარემოცვაში იღვა ეს ერთხელ,  
შემძუსერელი ბედისწერის გულის გულში იმყოფებოდა,  
გზისა და გეზის არცოდნის შუა იღვა იგი, ცოცხალი თითქოს  
და მოიწვდიდა ვარსკვლავებს თვისკენ. შეუვალ ცათა თაღებიდან.  
ო, ანგელოსო, შენ დაგანახვებ მე მას ჯერ კიდევ, აი, იგი! -  
შენს მზერაში თუ დარჩება ხსნილი ის ბოლოს,  
ახლა უკვე საბოლოოდ ზეღმართული. სფინქსი, სვეტები, პილონები,  
აღზევებული ძალისხმევა უცხო ტაძრისა, რუხი ფერი რომ  
დაჰკრავს უკვე, სულთმობრძავი ქალაქიდან ამოხდენილი.

ეს საოცრება არ იყო განა? ო, იოცებდე ანგელოსო, ეს ხომ ჩვენა  
ვართ,

ო; დიადო, ამბადა სთქვი, რომ მსგავსი რამ ჩვენ შევიძელით.

ჩემი სუნთქვა არ ჰყოფნის ხოტბას.

აი, ხომ მაინც მოვიხელთეთ ეს მწყალობელი, ეს ჩვენული სივრცეები,  
(რაოდენ ვრცელი, შემადრწუნებლად ვრცელი უნდა იყვნენ ისინი,  
რომ ვერ აავსეს ათასწლოვანმა ჩვენმა გრძნობებმა).

კოშკი კი მართლაც მაღალი იყო, ასეა, არა?

ო, ანგელოსო, შენ გვერდითაც კი მაღალი ჩანდა,  
შარტრი - მაღალი - მუსიკა კი ილტვოდა ზევით,  
მაღლა, სულ მაღლა, ჩვენს ზეგარდმო ამაღლებული.  
და მაინც ერთი მიჯნური მხოლოდ -

ოჰ, მარტო მდგარი ღამის სარკმელთან . . .

ნუთუ მუხლამდეც არა გწვდებოდა - ?

ნუ გეგონება, რომ ხმობა ვიწყე,  
ო, ანგელოსო, თუნდ გიხმო კიდევც, არ მოხვალ რადგან,  
ჩემი ხმობა საესეა მუდამ წარმავალობით; ასე ძლიერი  
მდინარების საპირისპიროდ, შენ ვერ შესძლებ წარსდგა ნაბიჯი.  
გაწვდილ მკლავსა ჰგავს ძახილი ჩემი:  
წასატანებლად გაშლილი ხელი  
რჩება გაშლილი შენს წინაშე,  
როგორც თავდაცვა და გაფრთხილება.  
მიუწვდომელო დაუსაბამოდ.

## მერვე ელვზია

*ელვზება რუდოლფ კასნერს*

ერთიანად მხერადქცეული, ხედავს განხშულს ცხოველთა მოდგმა.  
ჩვენი თვალნი კი, თითქოს უკუღმა შებრუნებულნი,  
საფანგებივით ალყად უდგანან  
მათ ლად გასასვლელს სამყაროს გულში.  
რაც ჩვენს მიღმა, მხოლოდ ცხოველის სახის იერით შევიცნობთ  
მულამ;  
რადგან სრულიად ყრმასაც კი უკვე მხარს ვაცვლევივით; ვაიძულებთ,  
რომ მან უკუღმა დაინახოს  
სამყაროს სატი, არა - განხშული,  
რაც ასე ღრმა ცხოველთ სახეში. თავისუფალი სიკვდილისაგან.  
მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ვხედავთ სიკვდილს;  
თავისუფალი ცხოველი კი აღსასრულს თვისას  
ნიდავ უკან ჩამოიჭოვებს და ჰყავს წინარე  
მარტოდენ ღმერთი, და თუკი მიდის,  
ნაკადულივით მარადისობის საუფლოში მიედინება.  
ჩვენ არასოდეს გეჭონია წინ, ერთი დღითაც კი,  
ის წმინდა სივრცე, სადაც ყვავილნი დაუსაბამოდ იფურჩქნებიან.  
ყველგან ყოველთვის არის სამყარო  
და არასოდეს, არსად, ყოფნა არას გარეშე;

წმინდა, თვალთაგან მოუხილავი, რითაც ვსულდგმულობთ,  
რაც უსასრულოდ ვიცით და მიტომ არა გვწყურია.  
ყმაწვილობისას ჩაიკარგება ადამიანი შეუმჩნეველად, იქ, მის წიაღში,  
და ხელალებით კვლავ გამოჰგლეჯენ თავდავიწყებას.  
და როცა კვდება, უკვე იმ სივრცედ გარდაიქმნება,  
რადგან სიკვდილთან ახლოს მყოფნი,  
სიკვდილს ვერ ვხედავთ, ვიმზირებით უკვე მის მიღმა,  
აღბათ, ცხოველის ვეება მზერით.  
მეტრფენი, რომ არ არსებულებო ის სხვა,  
ვინც ხედვას უმრუდებს მუდამ,  
ახლოს არიან სიკვდილთან და თავადვე უკვირთ . . .  
თითქოს შემთხვევით გაეხსნება იგი მათ მზერას,  
მიჯნურის მიღმა . . . ხოლო ამ სამანს  
ვერვინ გასცდება და მათ წინაშე მუდამ რჩება სამყარო ისევ.

ჩვენ, მიქცეულნი დღენიდავ პირველქმნისაკენ, თავისუფლების  
ანარეკლს მხოლოდ მასზე თუ ვხედავთ, - დაბინდულს ჩვენგან.  
ანდა პირუტყვი, უჩუმარი, გამჭოლი მზერით  
როს ამოგვხედავს, - თავისუფლებას ხედავს ჩვენს მიღმა.  
ესაა ბელი: პირისპირ ყოფნა, სხვა არაფერი, მარად პირისპირ.

ჩვენი შეგნება რომ ჰქონოდა არხეინ პირუტყვს, რომელიც სულ სხვა  
მიმართულებით მოილტვის ჩვენსკენ -, მყის მოგვაქცევდა თავისი ქცევით  
ცხოვრების ნირით. მაგრამ მისი ყოფიერება მისთვის მუდამ უსასრულოა,  
შეუცნობადი, საკუთარი მდგომარეობის ვერდამნახავი, ისევე სუფთა,  
ვით გამოხედვა მისი მოდგმისა.  
სადაც ჩვენ მხოლოდ მომავალს ვხედავთ,  
ის ჭვრეტს ყველაფერს. და ყველაფერში თავისთავს უმზერს,  
განკურნებულს სამარადისოდ.

და მაინც ფხიზელ, თბილსისხლიან ცხოველში ბუღობს  
სიმძიმეილი და ფორიაქი დიდი ურვისა.  
რადგან იმათაც შეიპყრობს ხოლმე,  
ჩვენ რომ გვძლევს ხშირად - მოგონებანი.

თითქოსდა ერთხელ, ეს ყველაფერი, რისკენაც ვილტვით, ოდესღაც იყო უფრო ერთგული და მახლობელი, მასთან შერწყმა კი უსასრულოდ ნაზი, ფაქიზი. აქ ყველაფერი მანძილია, იქ სუნთქვა იყო. და იმ პირველი სამშობლოს შემდეგ, მეორე მისთვის ორსქესაა და ქარიანი.

ო, ნეტარებავ ერთი ცილა ქმნილებებისა, ვინც იმ საშოში რჩება ნიადავ, რომელშიაც თვით ჩაისახა; ო, ბუზანკალის ბედნიერებავ, წიაღშივე რომ ხტის და ცმუკავს, საკუთარი ქორწილის დროსაც: რამეთუ საშო ყველაფერია. შეხედეთ ჩიტის ნახევარწმენას, ვინც ლამის ორთავ იღუმალებას ფლობს საკუთარი წარმოშობისა.

თითქოს, ცხედრიდან ამოხდენილი ეტრუსკების სულია იგი, რომელიც სივრცემ გაითავისა, თუმცა, სარკოფაგს სარქველად ედგა განსვენებულის მშვიდი სხეული. და რარივ არის გაოგნებული იგი, რომელმაც იფრინოს უნდა –

და საშოში კი იღებს სათავეს. ის საკუთარი თავის წინაშე შემკრთალივით შეარხევს ჰაერს, შეარხევს თრთოლვით, თითქოსდა ფინჯანს სერავდეს ბზარი: ასე გასერავს მწუხრის ფაიფურს ღამურის კვალი.

და, აი, ჩვენ კი: მაყურებელნი, ყოველთვის, ყველგან, ყველაფრისაკენ მიდრეკილნი, არასდროს გარეთ! საწყაულივით აღვივსებით, გადმოვდინდებით. და ვაწესრიგებთ აქ ყოველივეს, ირღვევა ისევ. კვლავაც თავიდან გამყარებთ წესრიგს, და თვით ვირღვევით.

ვინ შეგვაბრუნა ისე, რომ როგორც არ უნდა დავშვრეთ, მაინც მარადჟამს გზას ვადგავართ იმ ყარბივით, აწ საბოლოო ბორცვზე შემდგარი, თავის მინდორ-ველს ერთხელაც რომ შეავლებს მზერას,



შემობრუნდება და დააყოვნებს -,  
ამგვარად ვცხოვრობთ: ღლენიადავ ვემშვიდობებით.

## **მეცხრე ელქვია**

რატომღა, რისთვის, თუ შეიძლება, რომ ამოვწუროთ  
ვადა ყოფნისა, დაფნისნაირი მსუყე სიმწვანით,  
ყველა სხვა მწვანე მცენარეულზე მცირეოდენი  
ჭარბი სიმუქით. მცირე ტალღებით მოვარაყებულ  
ფოთოლთა კიდეთ, (თითქოსდა ქარის იყოს ღიმილი):  
მაშინ რატომღა არის საჭირო ადამიანთა  
ვალმოხდის ნება - და ბედისაგან თავარიდებით  
ნატვრა-სურვილი იმავე ბედისა?

ო, განა იმად, რომ არსებობს ბედნიერება,  
ეს ადრეული სარგებელი მოახლოებულ დანაკლისისა,  
ანდა უბრალო ცნობისმოყვარე სურვილის გამო, ან იმისათვის,  
რომ ყოფილიყო გულისცემა თუნდ დაფნაშიაც . . . .

არამედ იმად, რომ აქ ყოფნა ბევრია ძალზედ,  
რადგან ყველაფერს აქ არსებულს ვჭირდებით თითქოს,  
წარმავალს ყოველს, ჩვენ რომ გვეხება ასე საოცრად,  
ჩვენ უწარმავლესთ, ერთგზის ყოველი, ო, მხოლოდ ერთგზის,  
ერთგზის და აღარ.

და ჩვენც ასევე ერთგზის მხოლოდ, არასდროს მეტად.  
მაგრამ ამგვარი ერთგზისი ყოფნა, თუნდაც ერთგზისი:  
მიწიერი სახით მოვლენა, არის თითქოს გარდაუვალი.

და ასე მკვიდრად ვეკვრით ერთმანეთს  
და აღსრულების სურვილი გვიჰყრობს.  
აღსრულებულის შენარჩუნება გვეწყურია რადგან,  
ჩვენ ამ უბრალო, შიშველ ხელებში,  
ნაჯერ მზერასა და უთქმელ გულში,

გვინდა, გვწყურია სიცოცხლედ ვიქცეთ - და გავიშეთო?  
გვიჯობს ყოველი დავინარჩუნოთ სამარადისოდ . . .  
ოჰ, თუმცა სულ სხვა მიმართებაში,  
ვაგლახ, ო ნეტავ ვის რა მიაქვს მიღმიერ მხარეს?  
ვერც ცქერით ტკობა, რაც აქ ასე ძნელად ვისწავლეთ.  
ვერც სააქაოს მოხდენილი რამე ამბავი, სულ ვერაფერი.  
მაშ, ტკივილები, მაშ, უპირველეს ყოვლისა, დრტვინვა,

მაშ, სიყვარულის უძველესი გამოცდილება -  
მაშასადამე, ყველაფერი ენითუთქმელი.  
შემდეგ კი, უფრო მოგვიანებით, ვარსკვლავთა შორის,  
რა საჭიროა ეს ყველაფერი: ისინი, ენითგამოუთქმელნი,  
უმჯობესნი არიან ბევრად.  
ხომ არ ჩამოაქვს მოგზაურს მთათა ქანობიდან  
მიწით სავსე პეშვიც კი ბარად, ყველასთვის ენითგამოუთქმელი,  
არამედ მხოლოდ მონაპოვარი სიტყვა მჭვირვალი,  
ვით ყვითელი და ცისფერი რტო მთის ნაღველასი.  
ჩვენ ალბათ იმად ვარსებობთ ქვეყნად, რათა ვთქვათ სახლი,  
ნაკადული, ხიდი, კარიბჭე, დოქი, სარკმელი, ხეხილი  
ანდა უფრო მეტი - სვეტები, კოშკი... მაგრამ, იცოდე,  
თქმას გააჩნია, ო, სთქვი იმგვარად, როგორც თვით საგნებს  
არასოდეს უგულისხმიათ შინაგანად ყოფნა ასეთი.  
განა არ არის იღუმალი რამ ცბიერება გულჩახვეული დედამიწისა,  
როცა იგი მიჯნურთ აწყვილებს, რომ მათს გრძნობაში  
ყველა კუნჭული თვით აღიგზნება?  
ზღურბლი: რა არის იგი ორი მეტრფისათვის, ის, რომ ისინი  
უძველეს ზღურბლს მათი კარისა სულ ოდნავ სცვეთენ,  
მსგავსად მრავალი წინმავალისა და მომავალთა გაჩენამდე...  
...მსწრაფლი შეხება.

აქაა სწორედ სათქმელის ჟამი. აქ არის მისი დედა-სამშობლო.  
სთქვი, აღიარე. უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე,  
ილტვიან შორეთს საგნები სრულად განსაცდელი,  
რადგან ის, რაიც გამოდევნით მათ ჩაინაცვლებს,

არის ქმედება სახის გარეშე,  
ქმედება ქერქში მომწყვედელი, მორჩილად რომ დაიბზარება,  
როგორც კი წიად მოქმედება აღმოცენდება  
და თავს სხვაგვარად შეიბოჭავს.  
უროებს შორის ძლებს ჩვენი გული,  
ისე ვით ენა კბილთა შორის გამომწყვედელი,  
რომელიც მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, მეხოტბე რჩება.

სთქვი ანგელოსთან სამყაროს ხოტბა და არა ენითგამოუთქმელი,  
მასთან ვერასდროს დაიტრახაბებ შენ, საუცხოოდ აღსრულებულით.  
იმ სამყაროში, სად იგი უფრო ზემგრძნობიარედ შეიგრძნობს ყოველს,  
ხარ ახალბედა, ამაღ აჩვენე უბრალო რამე, რაც თაობიდან თაობებზე  
გადმოსვლისას ყალიბდებოდა, რაც ცოცხლობს, როგორც ჩვენეული,  
აქვე, ჩვენს ხელთით, და - ჩვენს მზერაში.  
უთხარ საგანნი, იგი შესდგება განცვიფრებული,  
როგორც შენ იდექ მებაგირის წინარე რომში,  
ან მექოთნის წინ ნილოსის პირად.  
აჩვენე, თუ რა სვებედნიერი შეიძლება იყოს საგანი,  
რა უცოდველი და ოდენ ჩვენი.  
თუ თვით მჭებუნვარე კაემანი რა სიწმინდით განსხეულდება,  
გვემსახურება, როგორც საგანი, ან კვდება მასში -  
და ვიოლინოს მიღმიერ მხარეს ნეტარებით განერინება.  
და მათ, საგნებმა, წარმავალი ცხოვრებით მცხოვრებთ,  
კარგად უწყიან, რომ შენ მათ აქებ;  
წარმავალობით სნეულები ჩვენვე გვანდობენ გადასარჩენს,  
ჩვენ, უწარმავლესთ. სურთ, რომ უჩინარ გულში იგი  
მთლად გარდავსახოთ, ო, უსასრულოდ - კქმნათ ჩვენ არსებად!  
ვინაც არ უნდა შევიქნათ ბოლოს.

მიწაო, განა ეს არ არის, ის, რაც შენ გინდა:  
რომ უჩინარად აღმოცენდე ჩვენსავ სიღრმეში?  
განა არ არის შენი ოცნება: უჩინარი გახდე ოდესმე?  
- მიწავ, სრულიად უჩინარი!  
რა არის, თუ არ გარდასახვა, მოუთმენელი მოთხოვნა შენი.

მიწაო, ჩემო სიყვარულო, სურვილად ვიქეც.  
ოჰ, დამიჯერე, შენ ჩემი გულის მოსაგებად  
გაზაფხულები არ გჭირდებოდა; ერთიც კი უკვე,  
ო, გაზაფხული ერთადერთი, სისხლისათვის მეტისმეტია.  
უსახელოდ ვარ ამოხსნილი მე შენს წინაშე, შორსა ხარ თუმცა.  
მუდამ სიმართლით მართავდი შენ და  
უზენაესი აზრი შენი არის სიკვდილი, იღუმალი.

ხედავ, მე ვცოცხლობ, როგორ, რისაგან?  
არც ბავშვობა და არც მომავალი არა მცირდება...  
აურაცხელი ყოფიერება კვირტს ისხამს გულში.

## მეათე ელგია

რომ მე ოდესმე, უღმობელი ცოდნის მიწურულს,  
ქება-დიდების საგალობელი ვუთხრა თანამგრძნობ ანგელოსებს,  
რომ ჩემი გულის ხმა-ნათელი ჩაქუჩებიდან  
არ მიღალატოს არცერთმა, როცა  
ჩვილ ეჭვით სწეულ, ან მწყდომარ სიმებს აახმიანებს.  
რომ სახე ჩემი, ცრემლდამდინარი, მეტ ნათელს მფენდეს;  
რომ ჭეშმარიტი ცრემლი ჰყვაოდეს.  
ოი, რარივად მეყვარებოდით, ღამენო, მაშინ, სავსენო ნაღვლით,  
რომ მუხლთამოყრით უნუგეშოდ შთენილო დანო, არ მოგეახლეთ,  
რომ თქვენს გაშლილ თმებს  
მისხალ-მისხალ არ მივეც თავი.  
ჩვენ კი, ტკივილთა გამფლანგველები, ვით ვჭვრეტთ წინასწარ,  
მათს კაემნიან მდინარებაში, უჩანს თუ არა სატკივარს ბოლო.  
ისინი ხომ არიან ჩვენთვის, ზამთრის საფარი ფოთლოვანი,  
მარადმწვანე სიმუქე აზრის, იღუმალი წლის დროთაგან ერთი -,  
და განა მარტო ჟამია იგი -, არის ალაგი, სარეცელი,  
სათვისტომო, საძირკველი და საცხოვრისი.

მართლაც, ვაი, რომ ურვა-ქალაქის ქუჩაბანდები უცხოა ჩვენთვის,

სადაც ყალბსა და ხშული ხმაურით ქმნილ სიჩუმეში,  
სიცარიელის ყალიბიდან ჩამოსხმული ქანდაკი ასე ძალუმად ბრწყინავს:  
ოქროცურვილი აურზაური, მსკდომარე ძეგლი.  
ო, რა უკვალოდ გაუქარწყლებდა მათ ანგელოსი ნუგეშის ბაზარს,  
ეკლესია რომ ემიჯნება, შებენილი მზამზარეულად:  
სუფთად მოვლილი და ჩარაზული – გაწბილებული იმედების  
ამარა მდგარი, ისე, ვით ფოსტის სამსახური კვირადღეობით.  
გარეთ კი ისევ იკლაკნება ჭრელი ბრბო ბაზრის,  
საქანელები თავისუფლების! ოინბაზები და მყვინთავები ხარბი ჟინისა!  
და კონტაპრუწა ბედნიერების მორთული ტირი,  
სადაც ცმუკავენ სამიზნეები და სპილენძის ზრიალიც ისმის,  
თუკი ყველაზე მოხერხებული ახვედრებს მიზანს.

ტამისცემიდან შემთხვევისკენ წაბარბაცდება,  
ეძახის რადგან ქანდართა ნაირფერი ცნობისწადილი,  
დოლისცემა და ღრიანცელი.  
მოზრდილთათვის კი გაშლილა მეტად მიმზიდველი სანახაობა:  
ანატომიურ თვითგამრავლებას ვით ახდენს ფული,  
თავშესაქცევად კი არა მხოლოდ: ფალოსი ფულის,  
ყველაფერი სრული სისავსით, მთელი მსველელობა,  
- გვასწავლის ჭკუას და გვაზიარებს ნაყოფიერ ყოფიერებას . . . .  
. . . . ოჰ, მაგრამ იქვე მიყოლებით, ბოლო რიკულის უკანა მხარეს  
მიკრულ პლაკატთა წარწერის მიღმა: “უსიკვდილოა”,  
ის მწარე ლუდი, მსმელებს რომ ტკბილი ეჩვენებათ,  
თუკი ჩაროზად იცოხნიან ნიადავ ცინცხალ სანახაობებს . . . .  
იქვე, რიკულის უკანა მხარეს, იქვე, მის უკან, მართლაა ვიდაც.  
ცელქობენ ბაღღნი, მიჯნურები ერთურთს ეკვირიან მოფარებულში  
მწირ ბალახზე თავდავიწყებით და ძაღლებიც ფლობენ ბუნებას.  
ყმაწვილს შორს, იქით მიუწევს გული, ვაი, თუ ნორჩი გოდება  
უყვარს. . . . აედევნება ყმაწვილი სატრფოს მდელითა გავლით.  
ასული ეტყვის:  
შორსაა ჯერაც . . . ჩვენ ვცხოვრობთ იქით, მიღმიერ მხარეს.  
სად? და ყმაწვილი მის კვალს მიჰყვება,  
მას ხიბლავს ქალის აღნაგობა ამაყი, მხრები, თლილი კისერი,

აღბათ, თუ არის დიდებული წარმოშობისა. თუმცა, ჩამორჩა, ზურგი აქცია, მობრუნდა, ხელი ჩაიქნია, რა გაეწყობა? იგი ზომ მხოლოდ გოდებაა, სხვა არაფერი.

მხოლოდ ნორჩი მიცვალებულნი, იმ პირველსაწყის ჟამებზე გულგრილობას ზიარებულნი, გადავიწყების თეთრი სუდარით მიჰყვებიან მას სიყვარულით. ქალწულებს იგი ელოდება და ეფერება. უჩვენებს ფრთხილად, რაც თანა აქვს: მარგალიტები ურვისა და მოთმინების ნაზი პირბადე - ხოლო ყმაწვილებს მიაცილებს იგი მღუპარედ.

იქ კი, სად მათი საცხოვრისი გაშლილა ველზე, გოდება ერთი უხუცესთაგან მიეახლება ყმაწვილს, თუკი იგი ჰკითხავს რაიმეს: ჩვენ ერთდროს დიდი მოდგმა გაგვანდა,

ჩვენი მამანი იქ დიდ მთებში ეწეოდნენ სამთო საქმეებს, ადამიანთა შორის ხანდახან იქნებ კიდევაც მიაკვლიო ნატიფად თლილი წინარე-ურვის რაიმე ნატუნს, ანდა ბებერი ვულკანიდან ამონთხეულ, ქვადქცეული სიბრაზის ლავას. ასეა სწორედ. იქიდან მოდის ყველაფერი. ძველად მდიდარნი ვიყავით ძალზედ. -

და მიუძღვება ვაჟს მსუბუქად გოდების ქვეყნის ვრცელ სანახებში, უჩვენებს სვეტებს ტაძრებისა, ანდა ნანგრევებს იმ სიმაგრეთა, საიდანაც გოდებათა ერისთავები ქვეყანას ბრძნულად მართავდნენ ოდით. უჩვენებს მაღალ ხეებს ცრემლისა და მინდორ-ველებს ვაებათა ყვავილობის ჟამს (ცოცხალნი ამას ნორჩ ფოთლებად იცნობენ მხოლოდ). უჩვენებს, როგორ სძოვენ ბალახს გლოვის პირუტყვი - და იშვიათად შეიფრთხილებს ფრინველი, მათი მზერის გამჭოლი, გაშლილი ფრთებით რომ ეზიდება მისივ ეული ხმაყვივარობის წერილ ხატებას. -

საღამოს მიჰყავს იგი იქით გოდების მოღვმის  
უხუცესთა აკლდამებისკენ, სად სიბილები და მაცნენი  
განისვენებენ, როცა კი ღამე მოახლოვდება,  
უფრო და უფრო ფეხაკრეფით დარონინებენ.  
და უცებ მთვარე ამობრწყინდება, ყველაზე უფრო  
თვალფხიზელი ძეგლი საფლავთა,  
ვით ტყუპისცალი ნილოსის პირას აღმართულისა -  
ზვიადი სფინქსი:- საიდუმლო სენაკის ხატი.  
და იოცებენ გვირგვინოსანი თავის ხილვას,  
ვინც საუკუნოდ, ჩუმად, მღუმარედ, ადამიანთა პირისახე  
დაასვენა ვარსკვლავთ სასწოროზე.

ვერ აითვისებს ამ საოცრებას ყმაწვილის მზერა,  
ნადრევი სიკვდილისგან ბრუდანვეული.  
გოდების მძიმე გამოხედვა კი, სფინქსის გვირგვინით გამონასხლეტი,  
აფრთხობს ბუს, ნელა რომ გაუსერავს მას აღმაცერად  
ღაწვს - ამ უმწიფეს სავსე სიმრგვალეს,  
მონაზავს რბილად გარდასულთა ახალ სმენისთვის,  
ორსავე მხარეს გაშლილ ფურცელზე,  
მონაზავს ენით აუწერელს.

უფრო მაღლა კი ახალ-ახალი ვარსკვლავებია. ვარსკვლავები ურვის  
ქვეყნისა.

მძიმედ ჩამოთვლის გოდება ცთომილთ: - აი, აქ, ხედავ  
მხედარია, კვერთხიც იქვეა, უფრო სავსე თანავარსკვლავედს  
უწოდებენ ნაყოფთა გვირგვინს, შემდგომ, უფრო შორს პოლუსისაკენ:  
აკვანი; გზა; მერე წიგნი აღმოდებული; თოჯინა; და აი, სარკმელიც,  
იქით სამხრეთის ცარგვალზე კი, წმინდა, ვით ხელი კურთხეული,  
ნათელმოსილი „ღონი“ დედათა მაუწყებელი . . . . . -

მაგრამ გარდასულს წინ გზა აქვს კიდევ  
და მიაცილებს უხუცესი გოდება ყმაწვილს  
ბაგემდუმრიად ხეობამდე,  
სად მთვარის შუქზე ციმციმებს წყარო სიხარულისა.

მოწიწებით იხსენიებს წყაროს გოდება:  
აღამიანთა მოღვმისათვის იგი მზიდი მდინარებაა. –

დგანან მთის ძირას და ეხვევა  
იგი მტირალი გარდაცვლილ ყმაწვილს.

სულ მარტოდმარტო აუყვება ვაჟი თავის გზას,  
წინარე-ურვის მთაგრეხილებში.  
და ერთხელაც კი არ გამოსცემს წკრიალის ხმას  
მისი ნაბიჯი დამუნჯებული ბედისწერიდან.

მაგრამ თუ ჩვენში უსასრულოდ გარდაცვლილები  
რაიმ გულისხმას გააღვიძებენ, მიგვანიშნებენ, ალბათ,  
განძარცულ თხილის გვირგვინთა კიდულ კუნწულებს,  
ან გვაუწყებენ წვიმის შესახებ, რომელიც მიწას,  
ბნელით მოცულს, დაესხურება გაზაფხულის ჟამს. –

ჩვენ კი, რომელნიც *აღმამფრენი*  
ბედნიერების შესახებ ვფიქრობთ,  
თავბრუდამხვევი გულაჩუყება დაგვიპყრობს თითქმის,  
როცა კი რამე ბედნიერი მიწად ჩამოვა.



## დანართი II

წერილები ახალგაზრდა პოეტს

1902 წლის შემოდგომა იწურებოდა. ვენის ახალ გარეუბანში, სამხედრო აკადემიის წინ, ბებერი წაბლის ხეების ქვეშ ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. კითხვამ ისე გამიტაცა, ვერც შევნიშნე, როგორ მომიახლოვდა ჩვენი მასწავლებლის ფრიად განსწავლული და კეთილი მოძღვარი – ჰორაჩეკი. აკადემიაში სხვა მოძღვარი არც გვყოლია. მან წიგნი გამოძრთვა, თავფურცელს დახედა და გაოცებულმა წამოიძახა: “რაინერ მარია რილკეს ლექსები!“. შემდეგ გადაფურცლა, ერთ-ორ ლექსს თვალი გადაავლო და ჩაფიქრებულმა მითხრა: “მამასადამე, რენე რილკე ლექსებს წერს?”

და, აი, მაშინ მოვისმინე სუსტი, ფერმკრთალი ბიჭის ამბავი. 15 წლის არც ყოფილა, მშობლებს სანკტ-პოლტენის დაწყებით სამხედრო-რეალურ სკოლაში რომ მიუბარებიათ – ძალიან სურდათ მათი შვილი ოფიცერი გამხდარიყო. სასწავლებლის მოძღვარი მაშინაც ჰორაჩეკი ყოფილა და აღსაზრდელიც კარგად ახსოვდა. რილკე ჩუმი, სერიოზული და ძალზე ნიჭიერი ყმაწვილი გახლდათო, მითხრა, მარტობას ეტანებოდა, ინტერნატის ყაზარძულ წესებს კი მოთმინებით ემორჩილებოდაო. ოთხი წლის შემდეგ, სხვებთან ერთად მორავიის ვაისკირჰენის უმაღლეს სამხედრო-რეალურ სკოლაში გადასულა: იქ კი, დიდი დატვირთვისგან ბავშვი ფიზიკურად დაძაბუნებულა. მშობლებს სასწავლებლიდან გამოუყვანიათ და რილკეს, ოჯახთან ახლოს, პრალაში გაუგვრძელებია სწავლა.

რა ბედი ეწია მას შემდეგ რენე რილკეს, ჰორაჩეკმაც არ იცოდა.

ვფიქრობ, მიმიხვდებით, რატომაც მივმართე რაინერ მარია რილკეს: რატომ გავუგზავნე მას ჩემი პირველი პოეტური ნაცოდვილარი და ვთხოვე, პირუთვნელად მოეხსენებინა თავისი აზრი.

მაღე ოცი წელი შემისრულდებოდა და პროფესია უნდა ამომერჩია. სამხედრო სამსახური კი, სიმართლე გითხრათ, გულზე არ მენატებოდა. წერილის მიწერა არც მიფიქრია, მაგრამ ჩემდა უნებურად ბარათიც დავეწერე: მჯეროდა, რომ კრებულის – “ზეიმად ჩემდა“ – ავტორი გულისნადებს მიმიხვდებოდა, კიდევ თანამიგრძნობდა და აუცილებელ რჩევასაც მომცემდა. მეტისმეტი მორიდებისა და თავმდაბლობის გარეშე გადავუხსენი გული პოეტს. უნდა გამოვიტყდეთ, ასეთი გულანდილი არავისთან ვყოფილვარ, არც მანამდე, არც მას შემდეგ.

პასუხი მოგვიანებით მივიღე. წერილი პარიზიდან იყო გამოგზავნილი და ხელში ალებისას მძიმე მეჩვენა; ხელნაწერი კი, ვით შინაარსი, ავტორის მტკიცე ხასიათზე მიმანიშნებდა.

ასე დაიწყო რეგულარული მიმოწერა ჩემსა და რაინერ მარია რილკეს შორის და 1908 წლამდე გასტანა. შემდეგ კი შეწყდა. შეწყდა, რადგან ჩემი ცხოვრება სწორედ იმ გზით წარიმართა, რომლისგან ჩემი დაცვა, გულითადი რჩევითა თუ თანადგომით, ძლიერ ეწადა პოეტს.

თუმცა, მთავარი ეს არ არის. მთავარი აქ წარმოდგენილი ათი წერილია. თქვენ ეზიარებით სამყაროს, რომელშიც რაინერ მარია რილკე ცხოვრობდა და ქმნიდა; ეს წერილები, ალბათ, მეგზურობასაც გაუწევენ ყველას, ვინც კი ძიების, განვითარებისა და თვითდადგენის ძნელ გზას მიჰყვება: მეგზურებივით გაჰყვებიან მარად მძიებელი სულის ადამიანებს, იქნებიან ისინი ჩვენი თანამედროვენი თუ შორეული შთამომავალნი. ამასლა დავძენ: როცა დიდი ადამიანი ლაპარაკობს, პატარებს ღუმილი გვმართებს.

ბერლინი, ივნისის თვე. 1929 წ.

**ფრანც ქსავერ კაპუსი**

### **პარიზი, 17 თებერვალი, 1903**

ღირსეულო ბატონო, ამ რამდენიმე დღის წინ მივიღე თქვენი წერილი. მინდა მადლობა მოგახსენოთ იმ დიდი ნდობისთვის, ჩემდამი რომ გამოიჩინეთ, რადგან კარგად ვიცი მისი ფასი. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით: ვერას გეტყვით თქვენი ლექსების ავკარგიანობაზე, ვინაიდან ხელოვნების ნაწარმოებისადმი ყოველგვარი კრიტიკული მიმართება უაღრესად უცხოა ჩემთვის. ხელოვნების ქმნილებას ყველაზე ნაკლებად კრიტიკული განსჯით ჩასწვდება კაცი, რადგან კრიტიკა ყოველთვის ხელოვნების ნაწარმოების მეტნაკლებ ვერგაგებაზეა დაფუძნებული. საგნების ჩაწვდომა და გამოთქმა არც ისე ადვილია, როგორც უმეტესად გვარწმუნებენ. მოვლენათა უმრავლესობა უსახელოა და ისეთ სივრცეში მიედინება, სადაც ჯერ არცერთ სიტყვას არ შეუღწევია; ყველაზე უფრო გამოუცნობი კი ხელოვნების ნაწარმოებებია, – იღუმალებით მოცული არსნი, ჩვენს მახლობლად რომ დამკვიდრებულან და ადამიანთა სწრაფწარმავალ სიცოცხლეზე ხანგრძლივი ყოფიერება აქვთ მომადლებული.

ვინაიდან ჩემი აზრი წინდაწინ უკვე მოგახსენეთ, იმასაც დავძენ, რომ თქვენს ლექსებს საკუთარი სახე არ გააჩნია, თუმცა მათში მაინც იჩენს თავს ინდივიდუალური, თვითმყოფადი საწყისის ფარული მარცვალი. ყველაზე მეტად ეს მარცვალი თქვენს ბოლო ლექსში (“სული ჩემი“)

ვიგრძნობა. აქ რაღაც თქვენეულს სურს გადაიტყოს სიტყვად. ხოლო მშვენიერ ლექსში “ლეოპარდისადმი“ თავისებური სიახლოვე და ნათესაობაც კი მჟღავნდება ამ დიდ და მარტოსულ ადამიანთან. თუმცა, ვიმეორებ, თქვენს ლექსებს ჯერჯერობით თვითმყოფადი სახე არ გააჩნიათ და, საერთოდ, არც დიდ ღირებულებას წარმოადგენენ; თვით ეს ბოლო ლექსიცა და ლეოპარდისადმი მიძღვნილიც. თქვენმა ბარათმა, ამ ლექსებს რომ ახლდა, უფრო თვალნათლივ დამანახა თქვენი პოეზიის ნაკლოვანება, რასაც კითხვისას კი ვგრძნობდი, მაგრამ სახელს ვერ ვარქმევდი.

მეკითხებით, მომწონს თუ არა თქვენი ლექსები. ამჯერად მე მეკითხებით, ისევე, როგორც სხვებს ეკითხებოდით ჩემამდე. ლექსებს უგზავნით გამომცემლობებს, ადარებთ სხვათა ნაწერებს და ძალზე განიცდით, ზოგიერთი რედაქცია უარს რომ გითვლით მათ გამოქვეყნებაზე.

მე კი გირჩევთ, რაკი რჩევა მთხოვეთ, თავი დაანებოთ ამ ყველაფერს. თქვენ მთლიანად გარეთ იხედებით და, აი, სწორედ ამას არ უნდა სჩადიოდეთ ახლა. ყველაზე ნაკლებად ამის უფლება გაქვთ. დამერწმუნეთ, სასიკეთოს ვერავინ გირჩევთ და ვერავინ დაგეხმარებათ. გამოსავალი მხოლოდ ერთია: ჩაღრმავდეთ თქვენსავე თავში და მოიძიოთ ის ძირისძირი, წერისკენ რომ მოგიწოდებთ. შეამოწმეთ, აღწევენ თუ არა მისი ფესვები თქვენი გულის უღრმეს კუნჭულში. თავს გამოუტყდით, მოკვდებოდით თუ არა, თქვენთვის წერა რომ აეკრძალათ. ყველაზე უწინ კი, ღამეული განმარტოების ჟამს, ჰკითხეთ საკუთარ თავს: უნდა ვწერო? თქვენივე სულის სიღრმეში ეძიეთ განაჩენი და თუ დადებით პასუხს მიიღებთ, თუკი ამ ყველაზე არსებით კითხვას მთელი თქვენი არსება ურყევ და უბრალო პასუხს მიაგებს – “მე უნდა ვწერდე“, მაშინ ააგეთ ცხოვრება ამ აუცილებლობის მიხედვით. თქვენი სიცოცხლის ყოველი უფერული თუ მოსაწყენი წუთიც კი ამ შემოქმედებითი სწრაფვის ნიშანი და დასაბუთება უნდა იყოს. შემდეგ ბუნებას მიუახლოვდით. მერე კი სცადეთ და პირველი ადამიანივით გამოთქვით, რასაც ხედავთ, განიცდით, გიყვართ და ჰკარგავთ. ნუ დაწერთ სამიჯნურო ლექსებს; ერიდეთ გაცვეთილ და გავრცელებულ თემებს, რადგან ძალიან რთულია ახალი თქვა იქ, სადაც კარგი და, არცთუ იშვიათად, ბრწყინვალე ტრადიციაც არსებობს; ამისთვის აუცილებელია დიდი და მომწიფებული ძალა. გირჩევთ, დაეხსნათ ზოგად მოტივებს და ყურადღება თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე გაამახვილოთ: ასახეთ თქვენი სულის ყოველი თრთოლვა, თქვენი ნაღველი და სურვილები, სწრაფწარმავალი ფიქრები და ის, რაც რაიმე მშვენიერების რწმენას გიღვიძებთ. ასახეთ ყოველივე ჩუმი, შინაგანი თვინიერებითა

და გულწრფელობით; საკუთარი თვითგამონახტვისთვის მოიშველიეთ გარემომცველი საგნები, სიზმარეულ-ოცნებისეული სურათ-ხატები, მოგონებას შემორჩენილი ნივთები თუ ადამიანები. თუკი საკუთარი ყოველდღიურობა უფერული და უშინაარსო გეჩვენებათ, მიზეზს სხვაგან ნუ მოიძიებთ. იგი თქვენშია, თქვენი ბრალია და უნდა აღიაროთ, რომ ჯერ კიდევ არა ხართ მზად, ჯერ კიდევ არა ხართ პოეტი და თქვენი ცხოვრების საგანძურზე ხელი არ მიგიწვდებათ: რადგან შემოქმედისთვის არ არსებობს სილატაკე და მწირი, უმნიშვნელო, არაფრისმთქმელი გარემო. საპყრობილეშიც რომ ყოფილიყავით, რომლის კედლებშიც უბრალო ჩქამიც კი ვერ შემოაღწევდა, განა იქ კი ცარიელი და უბადრუკი იქნებოდა თქვენი ყოფა? განა თქვენთან არ იქნებოდა თქვენი ბავშვობა, ეს ფასდაუდებელი, მეფური საუნჯე, მოგონებათა ეს განძოსაცავი? ყური მიუგდეთ მას და ამოტივტივდებიან შორეულ წარსულში ჩაძირული ამბები, თქვენი პიროვნება ძალითა და სიმტკიცით აღივსება, თქვენი მარტოობაც განივრცობა, გაფართოვდება და მწუხრით შენაბინდარ სახლად გექცევით, სადაც ვეღარ შემოაღწევს სხვათა ხმაური. თუ საკუთარი თავისკენ ასეთი მიქცევის შედეგი, საკუთარ არსში წიაღსვლის შედეგი *ლექსები* იქნება, მაშინ აზრადაც არ მოგივათ, ვინმეს ჰკითხოთ: კარგია ეს *ლექსები* თუ არა. რედაქციების დაინტერესებასაც აღარ ეცდებით, რადგან თქვენს *ლექსებში* თქვენთვის ბუნებრივ, საყვარელ საუფლოს დაინახავთ, თქვენი ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილსა და ხმას. ხელოვნების ქმნილება კარგია, უკეთუ მას შინაგანი აუცილებლობა წარმოშობს: ხელოვნების ნაწარმოების ამგვარი წარმომავლობა მისი შეფასების საზომიცაა და მისი ღირსების განმსაზღვრელიც, სხვა კრიტერიუმი არ არსებობს. ამიტომ, ღრმად პატივცემულო ბატონო, ჩემი რჩევა იქნება: დაადექით თქვენსავ სიღრმეში მიმავალ გზას და მოჩხრიკეთ, სად იღებს სათავეს თქვენი ცხოვრება. ამ სათავესთან იპოვნით პასუხს კითხვაზე, *უნდა ქმნილეთ თუ* – არა. ნუ შეგაშფოთებთ პასუხი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, და ნუღარ ეცდებით მის განსჯას: თუ თქვენი მოწოდება ხელოვნებაა, მაშინ მიიღეთ და ატარეთ ეს მიძიმე და ღიადი ხვედრი და საზღაურს ნუ მოჰკითხავთ გარე ქვეყნიერებას: რადგან შემოქმედი თვითონ უნდა იქცეს თავისთავად სამყაროდ და ყოველივე საკუთარ თავსა და ბუნების წიაღში ჰპოვოს, ბუნებაში, რომელიც მისი სისხლხორცეული ნაწილია და ღიადი თანამზრახველი.

თუმცა, მოსალოდნელია, რომ, საკუთარ არსებასა და მარტოობაში ამგვარი წიაღსვლის შემდეგ, პოეტობა აღარც ისურვოთ (როგორც უკ-

ვე ვთქვით, საკმარისია იგრძნოთ, რომ წერის გარეშეც ძალგობთ სიცოცხლე, აღარ გექნებათ წერის უფლება). მაგრამ ამაოდ არ ჩავივლით ის, რაც მე გთხოვთ: თქვენსავე თავთან დაბრუნება. თქვენი ცხოვრება ყველა შემთხვევაში აუცილებლად იპოვის საკუთარ გზას. ძლიერ მსურს, ეს გზა სასიკეთო და ნაყოფიერი იყოს თქვენთვის: ჩემი სურვილი კიდევ უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე ამას სიტყვებით გამოვხატავ. კიდევ რა უნდა მეთქვა? მთავარი სათქმელი, ვგონებ, უკვე მოგახსენეთ; თუმცა ერთსაც გირჩევთ: მუდამ იზარდეთ შინაგანად, იზარდეთ ჩუმი და სერიოზული თვითგანვითარების გზით. ამ ზრდას ყოვლად უხეშად თვითვე შეუშლით ხელს, თუკი გარეთ დაიწყებთ ძებნას და გარე სამყაროდან დაელოდებით პასუხს იმ კითხვებზე, რაზეც მხოლოდ თქვენი უშინაგანესი გრძნობა გიპასუხებდათ თქვენი არსების უჩუქმარეს წუთს. ძალზე გამახარეთ, პროფესორ ჰორაჩეკზე რომ მომწერეთ. გადაეცით, რომ დიდ მოწიწებას განვიცდი ამ განსწავლული კაცისადმი და მისდამი დაუვიწყარი მაღლიერების გრძნობას ვინახავ. მიხარია, რომ ვახსოვარ. კარგად მესმის ამ ხსოვნის მნიშვნელობა. ლექსებს, მეგობარივით რომ გამანდეთ, უკან გიბრუნებთ. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მაღლობას დიდი და გულწრფელი ნდობისთვის: მე ვეცადე, ოდნავ მაინც გამემართლებინა თქვენი ნდობა და ასევე გულწრფელი, მართლაცდა საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით მოპოვებული პასუხი გამეცა თქვენთვის, რადგან მანამდე ჯერაც უცხო, შესაძლოა, არც ვიყავი ამ ნდობის ღირსი.

თანაგრძნობითა და კეთილი სურვილებით,  
**რაინერ მარია რილკე**

**ვიარეჯიო პიზასთან, იტალია,  
5 აპრილი, 1903**

მომიტევეთ, ძვირფასო ბატონო, 24 თებერვლის წერილზე პასუხი რომ დაგიგვიანეთ და მაღლობასაც მხოლოდ დღეს გიხდით. მთელი ეს ხანი ისეთმა უცნაურმა მოთენთილობამ შემიპყრო, გაციებისას რომ იცის ხოლმე. ავად არ გავმხდარვარ, მაგრამ ყოველგვარი საქმიანობის სურვილიც და ძალაც წამერთვა. ბოლოს და ბოლოს, რაკი ვერ იქნა და ვერ მოვიკეთე, მივაშურე სამხრეთის ზღვას, რომლის კეთილმოქმედი

ძალაც ერთხელ უკვე გამოვცადე. ჯერ კიდევ არ მოვმჯობინებულვარ. წერა ძალიან მიჭირს და ეს ორიოდე სტრიქონიც უფრო მრავლისმთქმელი იქნება, ალბათ.

თქვენი ყოველი წერილი სასიხარულოა ჩემთვის და ამაში ეჭვი არ უნდა გეპარებოდეთ. ოღონდ, ლმობიერიც იყავით ჩემი პასუხის მიმართ, უკეთუ იმედს გაგიცრუებთ; ჩვენ ხომ სულის სიღრმეში, ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ წუთებში, ერთ აუწერლად მარტონი ვართ. ამ დროს ერთმანეთის დახმარება რომ შევძლოთ, ანდა ვინმეს რაიმე ვურჩიოთ, ბევრი რამ უნდა მოხდეს, შინაგანად ბევრი რამ უნდა შეიძლოს კაცმა, საგანთა მთელი კონსტელაცია უნდა ჩაერთოს, რომ ბედმა ერთხელ მაინც გაგვიღიმოს და სწორი რჩევა მივცეთ ერთმანეთს, ან დავეხმაროთ.

დღეს კი მხოლოდ ორ საკითხზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას:  
**ირონია:**

ერიდეთ მას, განსაკუთრებით არაშემოქმედებით წუთებში. ქმნის პროცესში კი გამოიყენეთ, როგორც ცხოვრების შეცნობის კიდევ ერთ საშუალება. სამართლიანი ირონია საჭიროა და არც უნდა მოერიდოთ, თუმცა, ზედმეტადაც ნუ მიენდობით, სცადეთ და თქვენი მზერა და გულისყური დიადი, უფრო მნიშვნელოვანი საგნებისკენ მიმართეთ, რომელთა წინაშეც ირონია უმწეოა და ძალას კარგავს. ეძიეთ საგანთა არსი, სიღრმე: იქ ირონია ვერ აღწევს. და თუ არსს შეიმეცნებთ, ეგებ ისიც გამოიკვლიოთ, ირონია შინაგანი აუცილებლობით გამოწვეული თქვენეული ხედვაა თუ – არა; რადგან ამაღლებული და დიადი საგნების წინაშე უბრალო ირონიის სურვილი საერთოდ დაგეკარგებათ, ხოლო თუ იგი თქვენ ბუნების არსებითი და განუყოფელი ნაწილია, დიდად დაგეხმარებათ საკუთარი, თვითმყოფადი ხელოვნების შექმნაში.

და კიდევ რა მინდოდა მეთქვა: ჩემს ბიბლიოთეკაში რამდენიმე აუცილებელი წიგნი მეგულება. მათ შორის ორი, სადაც არ უნდა ვიყო, განუყრელად თან დამაქვს. და, აი, ახლაც თან წამოვიღე: ბიბლია და დანიელი პოეტის *იენს პეტერ იაკობსენის* თხზულებები. იქნებ თქვენც წაგიკითხავთ მისი ნაწერები. იაკობსენის წიგნების შეძენა ძალზე იოლია, თხზულებათა ერთი ნაწილის მშვენიერი თარგმანი გამოვიდა “რეკლამის” უნივერსალურ ბიბლიოთეკაში. შეიძინეთ ი. პ. იაკობსენის “ექვსი ნოველა” და რომანი “ნილოს ლიუნე”. კითხვა დაიწყეთ პირველი ტომის პირველივე ნოველიდან, რომელსაც “მოგენსი” ეწოდება, და მყისვე თვალწინ გადაგეშლება თქვენი უკიდევანო ქვეყნიერება. თქვენ შეიცნობთ ბედნიერებას,

შეაღებთ უმდიდრესი განძისა ცაკვის იღუმალ კარს და თვალს გაუსწორებთ წარმოუდგენლად ღიადსა და ღრმა სამყაროს. იცხოვრეთ ერთხანს ამ თხზულებათა გარემოცვაში. მათგან შეითვისეთ ის, რასაც შესწავლის ღირსად სცნობთ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, შეიყვარეთ ისინი და სიყვარულიც ათასწილად ავინაზღაურდებათ. მერე კი, თუნდაც შეიცვალთ ან სხვა გზას დაადგეთ, ეს სიყვარული, დამერწმუნეთ, ღიადხანს გაგყვებათ და სიცოცხლეს გააგრძელებს თქვენი მრავალსახოვანი გამოცდილების, იმედგაცრუებისა თუ სიხარულის გვირისტებს შორის.

თუკი ოდესმე ვინმე დაინტერესდება და მკითხავს, თუ ვისგან შევისისხლხორცე შემოქმედების არსი, მისი სიღრმისა და მარადიულობის ცოდნა, მაშინ ორ პიროვნებას დავასახელებდი.

იაკობსენს, ამ ღიად, ღიადებულ პოეტს და როდენს, უბადლო მოქანდაკეს თანამედროვე ხელოვანთა შორის.

გისურვებთ, თქვენთვის შეუძლებელი და მიუღწეველი არაფერი ყოვილიყოს ძიების რთულ გზაზე.

თქვენი  
**რაინერ მარია რილკე**

**ვიარეჯიო პიზასთან, იტალია,  
23 აპრილი, 1903**

ძვირფასო ბატონო, ძალზე გამახარეთ სააღდგომო ბარათით, რადგან იგი კარგის მაუწყებელი აღმოჩნდა; რაკი იაკობსენის ღიადმა ხელოვნებამ ასე ღრმა ზემოქმედება იქონია თქვენზე, ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი, როცა თქვენი ცხოვრების უამრავი შეკითხვა სწორედ ამ სავსე საწყაულისკენ მივმართე.

ახლა კი თქვენს წინაშე გადაიშლება “ნილს ლიუნე“-ს ღიადებული და ღრმა სამყარო; რაც ღრო გადის, მით უფრო მეტად აღიქვამ ამ ნაწარმოების მთელ სიღიადეს. მით უფრო მრავლისმეტყველი და ცხოვრებისეული სიბრძნით სავსე გეჩვენება; მართლაცდა, ყოველივეს მოიცავს იგი: უჩუმეს და უფაქიზეს სურნელსა თუ მძიმე ნაყოფთა უმძაფრეს გემოს; აქ ყოველი მოვლენა და საგანი ბოლომდეა შეცნობილი, განცდილი, გამოცდილი და მოგონებათა მთრთოლავ ექოში ხელახლა მოძიებული. ამ შემოქმედისთვის ყოველი განცდა ერთნაირად მნიშვნელოვანი და



ყოფილია; თვით უბრალოესი შემთხვევაც კი ბედისწერის ნიშანს ატარებს, ხოლო თავად ბედისწერა საკვირველ, ვრცელ ქსოვილს ჰგავს, სადაც ყოველი გვირისტი უსაზღვროდ ნაზი ხელით არის ჩაქსოვილი სხვა გვირისტებში. მათთან ერთად ქმნის მთლიანობას, რომლის აუცილებელ და განუყოფელ ერთეულს თავადაც წარმოადგენს. თქვენ ამ რომანის პირველად წაკითხვის ბედნიერება გელით წინ. უეცრად უცხო სამყაროში გადაინაცვლებთ, გამოუცნობი სიზმარით გაგაოგნებთ მისი მოულოდნელობით აღსავსე გარემო. თუმცა, შემიძლია გითხრათ: რამდენჯერაც არ უნდა წაკითხოთ ეს რომანი, მისი ზემოქმედების ძალა ოდნავადაც არ განელდება: იაკობსენის ნაწარმოებები არც მათთვის ჩვეულ ჯადო-ძალას კარგავენ და არც მომწესმეველ ზღაპრულობას, რითაც პირველი წაკითხვისთანავე ხიბლავენ ადამიანს, დრო ღირსებას ჰმატებს და არას აკლებს ამ ნაწარმოებებს და მადლიერების გრძნობით ივსები, რადგანაც სიბრძნეს ეზიარე, სამყაროს უბრალო და უშუალო აღქმის სიბრძნეს და უფრო ღრმა რწმენით განიმსჭვალე სიცოცხლისა და საკუთარი თავის მიმართ, რადგან შეიცანი საკუთარი, თავისუფალი და ძლიერი ბუნება.

თქვენი აზრი რომანის – “აქ ვარდნი უნდა ხარობდნენ“, – ფორმის სრულყოფილებისა და დახვეწილობის თაობაზე სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს; მართალს ბრძანებთ წიგნის წინასიტყვაობის ავტორზეც. თუმცა, ჩემი თხოვნა იქნებოდა, რაც შეიძლება ნაკლებად იკითხოთ ეს-თეტიკურ-კრიტიკული ხასიათის ლიტერატურა; კრიტიკული ნაწერები, ძირითადად, ამა თუ იმ პარტია-დაჯგუფების აზრდაკარგული, უსიცოცხლო შეხედულებებია, ანდა მოხერხებული სიტყვათთამაში, სადაც დღეს ერთი თვალსაზრისი ბატონობს და ხვალ – მეორე, მისი საწინააღმდეგო; ხელოვნების ქმნილებანი უსასრულო მარტოობითაა აღბეჭდილი და მათი წვდომა ყველაზე ნაკლებ სწორედ კრიტიკას ხელეწიფება. მხოლოდ სიყვარულს ძალუმს სამართლიანი იყოს მათ მიმართ, შეიცნოს და შეინარჩუნოს ისინი. საკუთარ თავსა და შინაგან ალლოს უნდა ენდო კაცი და არა რომელიმე ნაწარმოების წინასიტყვაობა-განხილვას ანდა ლიტერატურულ კრიტიკას; დაეუშვათ, ცდებით; მაშინ იცოდეთ, რომ თქვენივე შინაგანი ცხოვრების ბუნებრივი ზრდა თანდათან ოდესმე მაინც მივიყვანთ უფრო სწორ და მართებულ თვალსაზრისთან. ადროვეთ წყნარი მწიფობა თქვენს აზრებსა და შეხედულებებს, ხელს ნუ შეუშლით თქვენი ჩარევითა და ძალდატანებით. ყოველგვარი წინსვლა ღრმა შინაგანობიდან უნდა მომდინარეობდეს, გამორიცხულია ამ პროცესის დაჩქარება და წაბიძგება.

ყველაფერი ნამდვილი ისახება, მწიფდება და მერე იბადება. თქვენი ყოველი შთაბეჭდილება, განცდის სულ პატარა ჩანასახიც კი საკუთარ წიაღში, სიბნელეში, გამოუთქმელში, არაცნობიერში, თქვენივე გონებისთვისაც მიულწვეველ სიღრმეში უნდა ატაროთ, რათა იქ სრულიქმნას, შემდეგ კი ღრმა მორჩილებითა და მოთმინებით უნდა დაელოდოთ ახალი ჭეშმარიტების დაბადების საათს: აი, მხოლოდ ამას ჰქვია ხელოვანის ცხოვრება, როგორც აზროვნება, ისე შემოქმედება.

აქ დროის საზომი აღარ არსებობს. წელიწადი არაფერია და ათწლეულებიც წამის უსწრაფეს განილევიან. იყო ხელოვანი, ნიშნავს: არა თვალო და იანგარიშო, არამედ ნელა მწიფდე ხესავით, ფესვებში ანმაურებულ წვენებს ძალას რომ არ ატანს; იგი იმედიანად დგას გაზაფხულის ქარიშხლებში და არ ეშინია, ვიათუ გაზაფხულს ზაფხული არ მოჰყვებო. ზაფხული კი მოდის, მაგრამ ის მხოლოდ მათთან მოდის, ვინც მოთმინებით ელოდა, ვინც ისე უზრუნველად, მშვიდად და ფართოდ ცხოვრობს, თითქოს მარადისობა ჰქონდეს წინ გადაშლილი. მე ვსწავლობ ამას ყოველდღიურად, ვსწავლობ ტკივილებით, რომელთა მადლობელიც ვარ: *მოთმინება ყველაფერია!*

რიჰარდ დემელი: როცა მის წიგნებში კარგ პასაჟს წავაწყდები, მომდევნო გვერდის გადაფურცვლის მეშინია ხოლმე; მეშინია, არ დაამახინჯოს და გააუბრალოს ყოველივე ის, რაც მშვენიერია და სწორედაც რომ სიყვარულის ღირსია. სავსებით სამართლიანად შენიშნავთ, როცა ამბობთ: ეს არის ვნებით სავსე ცხოვრება და შემოქმედებაო – და, მართლაც, შემოქმედებითი წვა ძალზე ენათესავება სხეულებრივ, სქესობრივ განცდას და მათი ტკივილი თუ სიტკბო სინამდვილეში ერთი და იმავე ლტოლვისა და ნეტარების სხვადასხვა გამოვლინებას, სხვადასხვა ფორმას წარმოადგენს. ხოლო თუ ვნების, ჟინის ნაცვლად სიტყვა სქესს იტყვის კაცი, სქესს მისი ფართო, წმინდა მნიშვნელობით და არა ეკლესიურ დოგმათა აზრით, მაშინ დემელის ხელოვნების მნიშვნელობა ძალზე დიდია. მისი პოეტური ძალა პირველყოფილი ინსტინქტივით ძლიერია და დაუოკებელი. ეს ძალა საკუთარ, დაუოკებელ, გაბედულ რიტმებს მოიცავს და ამ ინსტინქტიდან, ისე, ვით კლდიდან, თავის ნებაზე ამოხეთქს და ამოიფრქვევა ხოლმე.

თუმცა, როგორც ჩანს, მისი ეს ძალა ყოველთვის გულწრფელი და პოზას მოკლებული არ უნდა იყოს; ესეც ხომ ერთ-ერთი მძიმე გამოცდაა ხელოვანის შემოქმედებით გზაზე. მას არც კი უნდა ახსოვდეს თავისი თვისებები, რათა მათ უშუალობა, სიწრფელე და სიწმინდე შეინარჩუნონ.

მაგრამ ხშირად ხელოვანის არსებაში ახმაურებული სხეულებრივი ძალა აუცილებელ სიწმინდეს ვეღარ ეზიარება ხოლმე, ვეღარ იქცევა დაღუღებულ და დაწმინდილ, სპეტაკ ეროტიულ განცდად; რადგან ის ძალა ადამიანური კი არა, მხოლოდ მამაკაცურია, ვნებაა, ჟინია და ფორიაჟი. ამასთან, იმ დრომოჭმულ, ცრუ შეხედულებებსა და ქედმაღლობას დაუძიძიებია, რითაც მამაკაცმა სიყვარული დაამახინჯა და შებოჭა. ამ მწერლის სქესობრივი განცდაც შეზღუდულია და ველური, რადგან მას უყვარს მხოლოდ როგორც მამაკაცს და არა როგორც ადამიანს. ასეთი ამაზრზენი, წარმვალი ქვეყნა ზრახვა კი აკნინებს დემელის ხელოვნებას, ორაზროვანსა და საეჭვოს ხდის მას. გაცვეთილი ფორმებითა და ყალბი ვნებებით თავმოძმონე ეს შემოქმედება მოკლებული არ არის ბიწიერებას, აუფასურებს ყოველგვარ ღირებულებას და ნაკლებ სიცოცხლისუნარიანია (ხელოვნების ბევრი ნიმუშის დარად). ამისდა მიუხედავად, დემელის შემოქმედების დადებითი მხარეებიც არ უნდა დავივიწყოთ, თუქცა, შეუძლებელია მიგვიზიდოს და მოგვხიბლოს იმ მხდლმა სამყარომ, სადაც სიყვარულისა და ერთგულების ნაცვლად დალატი და ქაოსი სუფევს; დემელისთვის ჭეშმარიტი, ნამდვილი ბედისწერა უცხოა და მიუწვდომელი: მისი ხელოვნების წარმავალ, დროებით ვნებათაგან განსხვავებით ჭეშმარიტი ბედისწერა ბევრად უფრო რთულია და ტრაგიკული. იგი უზენაესი რაობის, მარადიულ ღირებულებათა ძიებისკენ უბიძგებს ადამიანს და საამისოდ ძალასა და რწმენასაც ჰმატებს.

რაც შეეხება ჩემს წიგნებს: სიამოვნებით გიძღვნიდით ყველა თქვენთვის სასურველ ნაწარმოებს, მაგრამ მე ძალზე ღარიბი ვარ; ჩემი წიგნები, მათი გამოქვეყნების დღიდან, მე აღარ მეკუთვნის, შეძენა კი ძალიან მიჭირს; ამიტომ აუხდენელ ოცნებად მექცა, ჩემი ნაწარმოებები იმ ადამიანებს ვუძღვნა, რომლებიც გულით შეიყვარებენ მათ.

აი, ფურცელზე ჩამოგიწერეთ ყველა ჩემი ადრე გამოცემული წიგნის (და გამომცემლობის) სახელწოდება, მათ შორის უახლეს პუბლიკაციებსაც ნახავთ (თორმეტი თუ ცამეტი წიგნი გამოვაქვეყნე), ხოლო მათი შეძენა შეძლებისდაგვარად თქვენზეა დამოკიდებული.

ძალზე გამიხარდება, თუ ამ წიგნებს თქვენთან დავიგულებ.

კარგად იყავით,  
თქვენნი  
**რაინერ მარია რილკე**

**ვორპსევდე. ბრემენის მხარე,  
16 ივლისი, 1903**

ათი დღის წინ, დასნეულებულმა და დაქანცულმა, დავტოვე პარიზი და მივაშურე ჩრდილოეთის ვრცელ დაბლობს, რომლის სივრცემ, სიწყნარემ და ზეცამ, წესით, უნდა მომაკეთონ. მაგრამ პირდაპირ გადაუღებელი წვიმის ბურუსში ამოვყავი თავი. მხოლოდ დღეს ინება და ოდნავ განათდა ზეცა წვიმით აფორიაქებული ქვეყნის თავზე. მეც ვსარგებლობ ამ პირველი ნათელი წუთით, რათა ჩემი ხმა მოგაწვდინოთ. ძვირფასო ბატონო, წერილზე პასუხი ძალიან დაგივიანეთ, თუმცა, არ იფიქროთ, რომ დამავიწყდა – პირიქით: ეს ისეთი წერილია, სხვა წერილებს შორის ხელახლა რომ გადაიკითხავენ ხოლმე. მან უფრო ახლოს გამაცნო თქვენი თავი. ალბათ, გახსოვთ, წერილი პირველ მაისს დაგიწერიათ და როცა მას ამ ჩუმ სივრცეში ვკითხულობ, მალეღვებს თქვენი გასაოცარი წუხილი და ზრუნვა სიცოცხლეზე; აქ უფრო მეტად ვგრძნობ ამას, ვიდრე პარიზში, სადაც ყველაფერი სხვაგვარად ხშიანობს და ყუჩდება იმ უდიდესი ხმაურის გამო, რომლის წინაშეც საგნები შიშისგან თრთიან; აქ კი, სადაც მძლეთამძლე ქვეყანა ჩემს ირგვლივ, სადაც ზღვებიდან მონაბერი ქარები ქრიან, სწორედ აქ ვგრძნობ, რომ ვეარვინ ვიპასუხებთ კითხვებზე, ვერავინ აგინსნით განცდებას, თქვენს წიაღში საკუთარი ცხოვრებით რომ ცხოვრობენ. ვერავინ შეძლებს ამას, რადგან რჩეულნიც ცდებიან, როცა უჩუმარესისა და გამოუთქმელის სიტყვებით ახსნას ცდილობენ. მიუხედავად ამისა, მჯერა, პასუხს მიიღებთ, თუკი ბუნებასა და იმ უბრალო, შეუმჩნეველ საგნებს ჩაუღრმავდებით, რომლებზეც ჩემი მზერა ისვენებს ახლა: უბრალო, პატარა, სხვებისთვის შეუმჩნეველ საგნებს, რომლებიც, შესაძლოა, მოულოდნელად დაიღნი და უსაზღვროდ მნიშვნელოვანნი გახდნენ. თუკი თქვენ ამ მოჩვენებითად ღარიბ, პატარა საგნებს შეიყვარებთ, და უბრალო მსახურებით მოიპოვებთ მათ ნდობას, მაშინ ყველაფერს უფრო ადვილად აღიქვამთ ერთმანეთთან შერიგებულ-შეკავშირებულ ერთიანობად. შეიძლება ეს გონებით ვერ მოახერხოთ, რომელიც მუდამ გაკვირვებულა და ვერ მოგყვებათ, მაგრამ თქვენი უმინაგანესი ცნობიერებით, სიფხიზლითა და ცოდნით ჩასწვდებით ამ ერთიანობას. თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, ყველაფერში ახალბედა და დამწყები. ამიტომ გირჩევთ და გთხოვთ, მოთმინებით აიტანოთ და ატაროთ ყოველივე აუხსნელი, რაც კი გულს გიფორიაქებთ.

**შეიყვარეთ თავად კითხვები.**

შეიყვართ ისინი დალუქული ოთახებივით და უცნობ, იდუმალ ენაზე დაწერილი წიგნებივით. ახლა ნუ ეძებთ პასუხებს, რომლებსაც ვერ იპოვით, რადგან თქვენი ცხოვრებით არ მისულხართ ამ პასუხებთან. საქმე ის გახლავთ, ვიცხოვროთ, გამოვცადოთ ყველაფერი, საკუთარი ცხოვრებით გავცეთ პასუხები საკუთარ კითხვებს. ამჟამად კი იცხოვრეთ საკუთარი კითხვებით და, იქნებ, ერთ შორეულ დღეს, თქვენმა ცხოვრებამ შეუძნეველად შეგიყვანოთ პასუხის სიღრმეში და, ეგებ, იმის უნარსაც ატარებთ, რომ ამ თქვენს შინაგან მონაპოვარს სახე და ფორმა მისცეთ, ანუ ყველაზე წმინდა და ნეტარი ცხოვრებით, ხელოვანის ცხოვრებით იცხოვროთ. ხოლო ამჯერად ნდობით მოეკიდეთ ყველაფერს, რაც გეწვევათ, და თუ ეს თქვენი ნებიდან ან რაღაც შინაგანი საჭიროებიდან მომდინარეობს, აიღეთ თქვენს თავზე და ნურაფერს შეიძულებთ: დიას, სქესი ძნელი რამ გახლავთ, ძალიან ძნელი. მაგრამ ყველაფერი ძნელია, რაც ჩვენ დაგვეკისრა, ყველაფერი სერიოზული, – ძნელი და რთულია; და ყველაფერი სერიოზულია და მნიშვნელოვანი. თუკი მიხვდებით ამას და საკუთარ ზნესა და ბუნებაზე, საკუთარ გამოცდილებაზე, ბავშვობასა და ძალაზე დაყრდნობით მოიპოვებთ საკუთარ (ტრადიციისგან და ზნე-ჩვეულებებისგან თავისუფალ) მიმართებას სქესთან, მაშინ აღარც შეგეშინდებათ, რომ, ვაითუ, მან საკუთარი თავი დაგაკარგვინოთ და ყველაზე წმინდა, ღირსეული განცდა შეგიბღალოთ.

სხეულებრივი სიხარული – გრძნობიერი განცდაა. ის არ განსხვავდება წმინდა ჭვრეტისგან ან, დაეუშვათ, იმ შეგრძნებისგან, ტკბილი ნაყოფი რომ ანიჭებს ენას. სხეულებრივი სიხარული, ყველა სხვა შეგრძნების მსგავსად, იმიტომ მოგვენიჭა, რომ შევიძინოთ უსასრულო გამოცდილება: ის არის ჩვენს მიერ სამყაროს შეცნობა, სიცოცხლის ცოდნა, ყოველგვარი ცოდნის ბრწყინვალეობა და სავსეობა. ცუდი ის კი არ არის, რომ ჩვენ ამ გამოცდილებას ვეზიარებით, ცუდი და სავალალო ის გახლავთ, რომ თითქმის ყველა უდიერად ეკიდება მას. ადამიანები ტლანქად ფლანგავენ სხეულებრივ ძალას, სქესით ერთობიან, თავს იღიზიანებენ მოწყენილობისა და სულიერი გამოფიტვის ჟამს, ნაცვლად იმისა, რომ ეს ძალა ცხოვრების უზენაესი წუთებისთვის გადაინახონ. და ადამიანებმა ხომ კვებასაც ასევე დაუკარგეს სახე და აზრი. ერთის მხრივ, გაჭირვებამ, მეორეს მხრივ კი, ფუფუნებამ მთლიანად ამღვრია ამ პირველადი მოთხოვნილების სიანკარე. ასევე აიძვრა და გადაგვარდა ყველა სხვა უუბრალოესი მოთხოვნილებაც, რომელთა წყალობითაც ხდება სიცოცხლის უსასრულო განახლება. მაგრამ მავან ცალკეულ ინდივიდს შე-

უძლია ისევ გაიცხადოს მათი აზრი და ამ ნათელი აზრით იცხოვროს (და თუ ცალკეული ადამიანი, მაინც სხვებზე რომ არის მიჯჯკვეული, ვერ შეძლებს ამას, – გამორჩეულად მარტოსული ნამდვილად მოახერხებს). აი, ამ კაცს შეუძლია გაიხსენოს, რომ მცენარეთა მთელი სილამაზე სამყაროში გაბატონებული სიყვარულისა და ურთიერთლტოლვის უენო, ჩუმი, მარადიული სახეობაა. და მას შეუძლია ცხოველს ისე შეხედოს, როგორც მცენარეს: მცენარეზე ხომ ვერ ვიტყვით, რომ იგი ხორციელი ჟინით თუ ვნებითაა ატანილი. მცენარე შეჯვარდება, განაყოფიერდება, იზრდება და მრავლდება იმ აუცილებლობას დამორჩილებული, იმ კანონის ძალით, რომელიც უფრო დიდია, ვიდრე – ჟინი და ვნება, და უფრო ძლევაძმოსილი, ვიდრე – ნებელობა და წინააღმდეგობა. ო, ნეტავ, ადამიანმაც უფრო თვინიერად და სერიოზულად ატაროს ეს საიდუმლო, რითაც გაჟღენთილია მთელი დედამიწა, თვით უმცირესი საგნების ჩათვლით. ო, ნეტავ, ატაროს, აიტანოს და იგრძნოს, რა საშინლად მძიმეა ეს საიდუმლო, ნაცვლად იმისა, რომ აგრე მსუბუქად და ზედაპირულად მოეკიდოს მას. ო, ნეტავ, ადამიანი მოწინებით აღივსოს თავისი ნაყოფიერების წინაშე, რომელიც ერთია, სულიერი იქნება იგი თუ ხორციელი, რადგან სულიერი ქმნა ფიზიკურიდან მოედინება, მათი არსი ერთი და იგივეა, ოღონდ სულიერი ქმნადობა სხეულებრივი ტკობის უფრო ჩუმი, უფრო ამაღლებული, უფრო მარადიული გამოერებაა.

აზრი: “იყო შემოქმედი, ჩასახო, გამოსახო სიცოცხლე“ – ცარიელი სიტყვები იქნებოდა, სამყაროში რომ არ დასტურდებოდეს და არ ხორციელდებოდეს; ლიტონი რამ იქნებოდა, ათასგზის რომ არ დასტურებდნენ საგნები და ცხოველები. შემოქმედების სიტკობეზაც იმიტომ არის ესოდენ მშვენიერი და ამოუწურავი, რომ იგი სავსეა მილიონობით საგან-არსებით ჩასახვა-დაბადებიდან მომდინარე ნამეკვიდრევი მოგონებებით.

შემოქმედის ერთ აზრში ცოცხლდება ათასობით მივიწყებული სიყვარულის ღამე, რაც მას სიდიადესა და ამაღლებულობას ანიჭებს. ხოლო ღამღამობით ერთმანეთს შერთული, ერთმანეთს ჩაწნული წყვილები, მონანავე, რწევად ვნებას რომ ეძლევიან – დიად საქმეს აღასრულებენ: ისინი აგროვებენ ნექტარს, სიღრმესა და ძალას რომელიმე მომავალი პოეტის სიმღერისთვის, რომელიც ოდესმე წამოიმართება, რათა გამოთქვას გამოუთქმელი ნეტარებანი. შეყვარებულნი მომავალს გამოიხმობენ და, თუნდაც მცდარი იყოს ეს სიყვარული, თუნდაც ბრმად ეხვეოდნენ ისინი ერთმანეთს, მომავალი მაინც მოდის; აღიმართება ახალი ადამიანი და იმ შემთხვევის ფსკერზე (ჩვენ რომ შემთხვევად ვთვლიდით) იღვიძებს

კანონი, რომლის ძალითაც გამძლე თესლი გზას მიიკვლევს კვერცხ-უჯრედისკენ, განხშული რომ ეგებება მას. არ შეგაცდინოთ მოვლენათა ზედაპირმა. სიღრმეში ყველაფერი კანონია. ხოლო ვინც მცდარად და ცუდად ცხოვრობს ამ საიდუმლოთი (ასეთნი კი ბევრნი არიან), თავადვე კარგავს ამ საიდუმლოს, სხვას კი, თვითონაც არ იცის, ისე გადასცემს მას დალუქული წერილივით. არ დაგაბნოთ სახელთა სიმრავლემ, შემთხვევათა სირთულემ: შესაძლოა ყველაფერზე მაღლა დგას და ძლიერია დიდი დედობა – ეს საერთო ურთიერთლტოლვა. ქალწულის სილამაზე, იმ არსების სილამაზე (როგორც თქვენ მშვენივრად ბრძანეთ), რომელსაც ჯერ არაფერი მოუშოქმედებია – მომავალი დედობაა, მის წიაღში რომ მწიფს, ემზადება, შიშობს, წინასწარგრძნობს და ესწრაფვის თავის მომავალს; დედის სილამაზე კი მსახურება, მზრუნველი დედობაა. ხოლო მოზუც ქალში ეს სილამაზე დიდ მოგონებად ქცეულა. და მე მგონია, რომ ფიზიკურ-სულიერი დედობა მამაკაცშიც არის; ჩასახვა – ეს ერთგვარი სახეა შობისა, ხოლო როცა მამაკაცი თავისი შინაგანი სისავსიდან ქმნის და წარმოშობს, ესეც ერთგვარი შობაა და დაბადება. შესაძლოა, ეს ორი სქესი უფრო ახლოსა ერთმანეთთან, ვიდრე ჰგონიათ. სამყაროს დიდი განახლების საწინდარი, იქნებ, სწორედ ის გახდეს, რომ მამაკაცი და ქალიშვილი, ყოველგვარი მცდარი მორიდებისა და ქვენა ზრახვათაგან თავისუფალნი, მოძებნიან ერთმანეთს არა როგორც საპირისპირო არსებანი, არამედ როგორც და და ძმა, როგორც მეზობლები; მოძებნიან და შეერთდებიან როგორც ადამიანები, რათა ერთად, უბრალოდ, მკაცრად და მოთმინებით ატარონ სქესის სიმძიმე, საერთო უღელი, მათ რომ დაეკისრათ.

მაგრამ ეს, რასაც შეიძლება მრავალმა მიაღწიოს ოდესმე, ახლა მხოლოდ მარტოსულის ხვედრია: მარტოსულმა უნდა მოამზადოს ეს საფეხური და აამწინოს საკუთარი, შედარებით შეუმცდარი ხელებით. ამიტომ, ძვირფასო ბატონო, გიყვარდეთ თქვენი მარტოობა და მშვენიერხმიერი მოთქმით ატარეთ მის მიერ მოგვრილი ტკივილი. ახლობელი ადამიანები, როგორც ამბობთ, შორეულნი არიან თქვენთვის: ეს კი იმას მოასწავებს, რომ თქვენი სივრცე ფართოვდება და თუ თქვენი სიახლოვე შორია, მაშინ თქვენი შორეთი უზარმაზარი უნდა იყოს, ვარსკვლავეთს უნდა ემიჯნებოდეს. გიზაროდეთ თქვენი სამყაროს ზრდა, სამყაროსი, სადაც ვერავის გაიფოლებთ. იყავით კეთილი უკანმავალთა მიმართ, იყავით მხნე და მშვიდი მათ წინაშე, ნურც თქვენი ეჭვებით დასტანჯავთ და ნურც თქვენეული, მათთვის გაუგებარი ნუგემ-სიხარულით შე-

აშფოთებთ. გამოძებნეთ მათთან ურთიერთობის უბრალო და საიმედო ფორმა, რომლის შეცვლა აუცილებელი არ იქნება მაშინაც კი, როცა თავად შეიცვლებით.

გიყვარდეთ სხვა ადამიანებში უცხო, განსხვავებული სახის სიცოცხლე, გაუგეთ სიბერეზე შესულ ადამიანებს, თქვენგან განსხვავებით მარტოობის რომ ემინიათ და გაურბიან, ნუ გააღვივებთ იმ ტრადიციულ დრამას, რაც მშობლებსა და შვილებს შორის გამართულა. შვილებს ეს დიდ ძალას აკარგვინებს და, მეორეს მხრივ, ანავლებს მშობლიურ სიყვარულს, რომელიც მაშინაც კი ათბობს და იფარავს შვილებს, როცა მათი ვერა გაუგია რა. ნუ მოსთხოვთ მშობლებს გაგებასა და სასურველ რჩევას. მაგრამ გწამდეთ იმ სიყვარულისა, მემკვიდრეობასავით რომ დაგახვედრეს. გჯეროდეთ: ამ სიყვარულში დიდი ძალა, მადლი და ლოცვა-კურთხევაა და არ გმართებთ მისი მიტოვება, რაც არ უნდა შორს წახვიდეთ თქვენს გზაზე.

მიხარია, ბოლოს და ბოლოს, თქვენი ინტერესების ფარდი პროფესია რომ აირჩიეთ, რაც დამოუკიდებლობასა და საკუთარ თავში დაფუძნების საშუალებას განიჭებთ. მოითმინეთ და დაუკვირდით, ხომ არ შეზღუდავს და დათრგუნავს თქვენს შინაგან ცხოვრებას ეს რთული პროფესია. მე თუ მკითხავთ, ეს არჩევანი მძიმეა და დამძაბველი, განეგებული ტრადიციებით არის დამძიმებული და ამოცანათა პიროვნულად გააზრების საშუალებას არ იძლევა. მარტოობა კი ამ მეტად უცხო ვითარებაშიც თქვენი საიმედო თავშესაფარი და ნავსაყუდელი იქნება. მისი მეშვეობით აუცილებლად იპოვით საკუთარ გზას. ყველა ჩემი სურვილი თან მოგყვებათ ამ გზაზე და ჩემი ნდობაც თან გახლავთ.

თქვენი  
**რაინერ მარია რილკე**

**რომი, 29 ოქტომბერი, 1903**

ძვირფასო და ღირსეულო ბატონო, თქვენი 29 აგვისტოს წერილი ფლორენციაში მივიღე და, აი, ორი თვის დაგვიანებით გიბრუნებთ პასუხს: გთხოვთ მომიტყევთ. არ მიყვარს წერილების წერა გზაში, მოგ-



ზაურობის ჟამს, რადგანაც კალამსა და ქალაქის ფურცლებზე მეტად განმარტოების ჩუმი საათები და შესაბამისი განწყობა მჭირდება.

რომში დახლოებით ექვსი კვირის წინ ჩამოვედით; ამ დროს რომი უკაცრიელი და უდაბური ქალაქია, აუტანელი სიცხის გამო; თანაც ხმები დადიოდა, ეპიდემია მძვინვარებსო და დაბინავება გაგვიძნეულა; ამან კი მოუსვენრობისა და დაძაბულობის ატმოსფერო შექმნა ჩვენს ირგვლივ: უცხოობისა და უსამშობლოობის განცდაც კიდევ უფრო გაგვიძნეოდა. ამასთან, რომი (თუკი აქ პირველად ხარ) თავიდან მძიმედ მოქმედებს. მწუხარე და მგლოვიარე შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანზე თავისი უსიცოცხლო და ბნელი მუზეუმებით; ეს ქალაქი თითქოსდა მწუხარედ ოხრავს, მწუხარებენ მიწისქვეშეთიდან სამზეოზე გამოტანილი, წვალებით აღდგენილი წარსულის ნაშთებიც, იმ წარსულისა, რომლითაც უბადრუკი აწმყო საზრდოობს; გლოვობენ სულ სხვა დროისა და სხვა ეპოქის შემთხვევითი ნარჩენები, სხვა ხალხის, სხვა ცხოვრების სახეცვლილი და უღონო საგნები, რომლებიც ჩვენ აღარ გვეკუთვნის და არც უნდა გვეკუთვნოდეს; ბოლოს და ბოლოს, ამ უამრავი არასასიამოვნო შთაბეჭდილებით დაღლილი როგორღაც გონს მოდიხარ; თუმცა, ჯერ ისევ დაბნეული ფიქრობ, რომ განსაკუთრებული აქ არაფერია და ამქვეყნად სხვა რომელიმე ქალაქი შესაძლოა არანაკლებ მშვენიერი იყოს. ეს ძველისძველი, აქაური ხელოსნების მიერ რუდუნებით აღდგენილი ძეგლები, თაობები რომ ეთაყვანებოდნენ, – სრულებით დაცლილან უწინდელი შინაარსისგან. მათ დაუკარგავთ აზრი და გულითადობა. მაგრამ ამ ქალაქში მაინც ბევრი სილამაზეა, რადგან სილამაზე ყველგანაა ამქვეყნად. ცხოველმყოფელი წყლები ძველთაძველი აკვედუკებით მოედინებიან და მოედნებზე, ქვის თეთრი ფიალების თავზე თავბრუდამხვევად ცეკვავენ, მერე ფართო აუზებში იშლებიან და ლიცლიცებენ. მათი ჩუხჩუხი დღისითაც ისმის და ღამით კიდევ უფრო ძლიერდება, ღამეები კი აქ ვეებაა, ვარსკვლავებით მოჩითული და ნიაკვარებით გაღბილებული. და ბაღებია ქალაქში მრავლად. ხეივნები და კიბეები, მიქელანჯელოს მიერ გამოგონებული კიბეები, ფერდობზე დაქანებული ნაკადულების ნიმუშით ნაგები, დაქანებაზე საფეხური რომ საფეხურს ბადებს, ვით ტალღა – ტალღას. ამდენ შთაბეჭდილებაში, პრეტენზიულად ახმაურებულ აქაურობაში ნელ-ნელა გულისწყურს იკრებ და საკუთარ თავს უბრუნდები. თანდათან იმ თითო-ოროლა საგანსაც ამჩნევ, რომლებშიც მარადისობა დამკვიდრებულია, განმარტოებულ საგნებს, რომელთაც შეიყვარებ და რომელთა მარტოობასაც გაიზიარებ.

ჯერჯერობით ისევ ქალაქში, კაპიტოლიუმის მახლობლად ვცხოვრობ. აქედან შორს არ არის რომაული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი – ამხედრებული მარკუს ავრელიუსის ქანდაკება. მალე ერთ მყუდრო, უბრალო ოთახში გადავინაცვლებ. მას პატარა, ძველებური აივანი აკრავს და ღრმად არის დიდ პარკში შეფარულ-მეყუჟული. ასე რომ, საიმედოდაა დაცული ქალაქის აურზაურისა და გამუდმებული ფორაიქისგან. მთელ ზამთარს იქ გავატარებ და ვეცდები ბოლომდე განვიცადო დიდი სიჩუმე, რომლისგანაც სიმშვიდესა და მრავალ შემოქმედებით, ნაყოფიერ საათს მოვევლი.

ახალ სახლში უფრო შინაურულად ვიგრძნობ თავს, ვიდრე – აქ, ქალაქის ცენტრში. იქიდან მოგწერთ დაწვრილებით პასუხსაც. ახლა კი ისლა დამრჩენია, გამოგიტყდეთ (შესაძლოა თავიდანვე უნდა გამემხილა თქვენთვის), რომ წიგნი, რომელშიც თქვენი ნაშრომი დაიბეჭდა და რომელზეც მწერდით, არ მიმიღია. იქნებ, უკან დაგიბრუნდათ ვორპსვედედან? (რადგან ვიცი, რომ ძველი მისამართით მიღებულ გზავნილებათა საზღვარგარეთ გადაგზავნა არ შეიძლება). ეს ვარაუდი ყველაზე დასაშვებია. ვიძელოვნებ, წიგნი არ დაიკარგება (სამწუხაროდ, იტალიის ფოსტისთვის ამანათების დაკარგვა იშვიათობას არ წარმოადგენს).

ამ წიგნსაც, ისევე, როგორც ყოველგვარ ცნობას თქვენს შესახებ, სინარულით მოვევლი; ასევე ლექსებსაც, ამასობაში რომ დაგიწერიათ, სიამოვნებით წაგიკითხავ, როცა კი მათი წაკითხვის შესაძლებლობას მომცემთ; ისევ და ისევ, გადავიკითხავ და ვეცდები, განვიცადო ისინი მთელი ჩემი არსებით.

კეთილი სურვილებით,  
გულითადად გესალმებათ თქვენი  
**რანერ მარია რილკე**

**რომი, 23 დეკემბერი. 1903**

ჩემო ძვირფასო ბატონო კაპუს,  
შობას მოგილოცავთ, მსურს, ხმა მოგაწვდინოთ სწორედ ახლა, რადგან შობის დღეებში, დღესასწაულზე უფრო გაგიძნელებათ მარტოობის ატანა. თუმცა, უნდა გინაროდეთ, თუ დიდია თქვენი მარტოობა, რადგან

(აბა, დაუფიქრდით) ექნებოდა რაიმე აზრი მარტოობას, უსაზღვრო რომ არ იყოს? ერთადერთი მარტოობა არსებობს და ის ღიღია. მსუბუქი როდია მისი ტვირთი. ყველა ადამიანის წინაშე ღვება წუთები, როცა სიმარტოოვეს სიამოვნებით გაცვლიდა ბანალურსა და იაფფასიან თავყრილობაზე პირველსავე შემხვედრთან, თუნდაც სულღარიბ ადამიანთან წამიერ ურთიერთობასა და მოჩვენებით ურთიერთგაგებაზე, მაგრამ ეგებ სწორედ ასეთ წუთებში იზრდება მარტოობა, რადგან მისი ზრდაც ბიჭის ზრდასავით მტკივნეულია და – გაზაფხულის დასაწყისივით ნაღვლიანი. ამან არ უნდა დაგაბნოთ. ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი სწორედ მარტოობაა – ღრმა, შინაგანი მარტოობა. თვითჩაღრმავება და საათობით მარტო ყოფნა, არავისთან შეხვედრა, – აი, ეს უნდა შეიძლოს კაცმა. უნდა განვმარტოვდეთ, ისე, როგორც ბავშვობაში განვმარტოვდებით ხოლმე, როცა ჩვენს ირგვლივ გაუთავებლად დაფუსფუსებდნენ დიდები, და ჩვენ ძალზე მნიშვნელოვანი გვეგონა მათი საქმიანობა, რადგან მისი არაფერი გავგებებოდა.

ხოლო როცა მოგვიანებით მივხვდებით, რა უბადრუკი, მშრალი და სიცოცხლეს მოწყვეტილი ყოფილა მთელი მათი საქმიანობა, რატომ ისევ არ უნდა შევხედოთ მას ბავშვის თვალთ, როგორც რაღაც ჩვენი თვის უცხოსა და გაუგებარს: რად არ უნდა ვუჭიხროთ მას ჩვენი საკუთარი სამყაროს სიღრმიდან, საკუთარი მარტოობის სიფართოვიდან, მარტოობისა, რომელიც თავად არის საქმე, წოდება, ხელობაც და დანიშნულებაც! რატომ უნდა გავცვალოთ ბავშვის ეს ბრძნული ვერგაგება ათვალწუნებასა და მოგერიებაზე? ვერგაგება ხომ მარტოობაა, ათვალწუნება და ამხედრება კი – მონაწილეობის მიღება იმაში, რასაც გავურბივართ.

ძვირფასო ბატონო, იფიქრეთ იმ სამყაროზე, რასაც შინაგანად ატარებთ და რაც გნებავთ, ის უწოდეთ ამ ფიქრს: ბავშვობის მოგონება თუ მომავალზე ოცნება. მთავარია, არ გამოგეპართ ის, რაც თქვენს სულში იბადება, აღიმართება. აი, ეს დააყენეთ იმ ყველაფერზე ძალდა, რაც თქვენს ირგვლივ ხდება და ტრიალებს. თქვენი შინაგანი ცხოვრება თქვენი სიყვარულის ღირსია, მთელი თქვენი ძალები მისკენ უნდა მიმართოთ; დროს ნუ დაკარგავთ იმის გასარკვევად, თუ რა ადგილი გიჭირავთ ადამიანთა შორის, რა პოზიცია გაქვთ მათ მიმართ. აბა, ვინ გეტყვით ამქვეყნად, რომ ეს ადგილი საერთოდ გაგაჩნიათ? ვიცოცხლე, რა მკაცრია თქვენი პროფესია და როგორ ეწინააღმდეგება იგი თქვენს ბუნებას. ვიცოცხლე, რომ შემომჩვილებდით და გამართლდა კიდევ ჩემი წინათგრძნობა;

მე კი ვერც დაგამშვიდებთ და ვერც განუგებებთ; შემიძლია მხოლოდ გირჩიოთ: დაფიქრდით, რითი განსხვავდება თქვენი პროფესია სხვა პროფესიებისგან, განა ყოველი პროფესია ასევე მკაცრი, მომთხოვნი, მტრული და თითქმის სიძულვილით გაჟღენთილი არ არის მრავალთა მიმართ? თითქოსდა, ამ პროფესიას მთლიანად შეეწოვოს უხმოდ მობუზღუნე, მუნჯ, უფიქრ მოსამსახურეთა გულში დაგროვილი მთელი სიძულვილი. თქვენი ამჟამინდელი სამსახური სხვა სამსახურზე მეტად როდია დამძიმებული დრომოჭმული, ტრადიციული შეხედულებებითა და მცდარი წარმოდგენებით; დაეუშვათ, არსებობს სამსახური, რომელიც მზერისა და ჭვრეტისთვის საჭირო თავისუფლებას მაინც ანიჭებს ადამიანს. ისეთი სამსახური ხომ მაინც არსადაა, რომელიც ფართოდ დაუკავშირდებოდა იმ დიად საგნებს, ნამდვილ ცხოვრებას რომ ქმნიან. მხოლოდ მარტოსული ემორჩილება, საგანთა მსგავსად, ღრმა კანონებს და როცა იგი ცისკარს ანდა იღუმალი ქმედებით აღსავსე მწუხრს ეგებება და შეიგრძნობს, თუ რა ხდება ამ დროს, მაშინ მასაც, მიცვალებულთა მსგავსად, ჩამოსცილდება ყოველგვარი წოდება და მოვალეობა. თუმცა, ჯერაც სიცოცხლის შუაგულში დგას. ბატონო კაპუს, რასაც თქვენ ამჟამად განიცდით როგორც ოფიცერი, იმასვე განმცდელი იქნებოდით ნებისმიერი სხვა მოვალეობის შესრულების ჟამსაც; საზოგადოებაში ყოველგვარ ადგილსა და მდგომარეობაზე უარიც რომ თქვათ და სრულიად უბრალო, მსუბუქი ურთიერთობა დაამყაროთ მის წევრებთან, მაშინაც კი ვერ გაექცევით ამ შემბოჭველ გრძნობას.

ასეა ყველგან, თუმცა ეს შიშის ანდა სასოწარკვეთის უფლებას არ გაძლევთ; თუ ადამიანებთან საერთოს ვერ პოულობთ, მაშინ საგნებს დაუახლოვდით, ისინი არ მიგატოვებენ; ჯერ ხომ ისევ აქ არიან ღამეები და ხეებში მონავარდე ქარები, უცხო და უკიდევანო ქვეყნების თავზე რომ მიმოქრიან; საგანთა და ცხოველთა სამყაროც უწინდელივით ფარული და იღუმალი ქმედებითაა სავსე. და თქვენც უფლება გაქვთ შეუერთდეთ მას. ბავშვებიც ხომ ისეთივე ნაღვლიანები და ბედნიერები არიან, როგორც თქვენ იყავით ოდესღაც; და როცა გაიხსენებთ ბავშვობას, მაშინ ხელახლა დაიწყებთ მათ შორის, იმ მარტოსულ ბავშვებს შორის ცხოვრებას და მიხვდებით, რომ დიდები და მათი საქმიანობა არც ისე მნიშვნელოვანი ყოფილა, როგორც გეჩვენებოდათ.

და თუ ფიქრი ბავშვობაზე, მასთან დაკავშირებულ სიჩუმესა და უბრალოებაზე გაშინებთ და გტანჯავთ, რადგან აღარ ძალგიძთ იწამოთ ღმერთი, რომლითაც სავსე იყო თქვენი ბავშვობა, მაშინ ჩაეკითხეთ სა-

კუთარ თავს, ბატონო კაპუს: მართლა დაკარგეთ ღმერთის რწმენა?! ხომ არ აჯობებდა გეტქვათ, რომ ღმერთის რწმენა ჯერ კიდევ არ მოგიპოვებიათ? რადგან როდის უნდა გერწმუნათ იგი? ხომ არ გგონიათ, რომ ბავშვს შეუძლია ხელპყრობა მისი, ვისი ტარება ძლიერ მამაკაცთაც კი უჭირთ და ვისი სიმძიმეც წელში ხრის მოხუცებს?! ნუთუ, გჯერათ, რომ აღამიანს, ვისაც ნამდვილად ჰყავს ღმერთი, შეუძლია უბრალო კენჭით დაკარგოს იგი?! ან, ეგებ, ფიქრობთ, რომ კაცი, რომელსაც ღმერთი ჰყავს, შეიძლება ღმერთს დაეკარგოს? მაგრამ თუ აღიარებთ, რომ იგი არ ყოფილა თქვენს ბავშვობაში და არც მანამდე და რომ ქრისტეს არ მიეგო ტანჯვისთვის საზღაური, ხოლო მუჰამედი საკუთარმა სიამაყემ იმსხვერპლა, – და თუ შიშით გააცნობიერებთ, რომ ღმერთი ახლაც, აი, ამწუთას, როცა მასზე ვსაუბრობთ, არ არის თქვენთან – მაშინ რა უფლებით ლაპარაკობთ მასზე, როგორც გარდასულზე, და რაღად ეძებთ, როგორც დაკარგულს?!

ნუთუ, ვერ ხვდებით, რომ ის ახლა მოდის, ის, ვინც უხსოვარი დროიდან აღგვითქვს და გვიწინასწარმეტყველეს; ის მომავალია, საბოლოო ნაყოფია ხისა, რომლის ფოთლებიც ჩვენ ვართ?! რა გიშლით ხელს, რომ მომავალში დაიგულოთ მისი დაბადება და ისე იცხოვროთ თქვენი ცხოვრება, თითქოსდა ის ერთი მტკივნეული და მშვენიერი დღე იყოს ამ ხანგრძლივი ფეხმძიმობის ისტორიაში. ნუთუ, ვერ ხედავთ, რომ ყოველივე, რაც კი ხდება, ჯერ მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია; და, განა, ყველა ეს დასაწყისი არ შეიძლება მისი დასაწყისი იყოს, როცა დაწყება თავისთავად ყოველთვის ასე მშვენიერია?! და თუ ღმერთი თავადაა სრულოყფილება, მაშინ ხომ წინ უნდა უძღოდეს რაღაც, შედარებით მცირე და ნაკლებოვანი, რათა მას შეეძლოს არჩევნის გაკეთება ამ სიმრავლესა და მრავალსახეობაში. განა, ის უკანასკნელი არ უნდა იყოს, რათა ყოველივე დაიტიოს და მოიცვას? რადგან რა აზრი ექნებოდა ჩვენს არსებობას, თუკი ის, ვისკენაც მივისწრაფვით, მხოლოდ წარსულში არსებობდა?

როგორც ფუტკრები, ისე ვაგროვებთ ყველაფრიდან უტკბილეს ნექტარს და ღმერთს ვაშენებთ. ვიწყებთ შენებას სულ უმცირესით ან უხილავით (თუკი სიყვარული გვამოძრავებს), ვქმნით მას მაშინ, როდესაც ვშრომობთ და მაშინაც, როცა ვისვენებთ; ვქმნით ჩვენი ღუმილით თუ სულ პატარა, მარტოხელა სიხარულითაც, ვქმნით ყველა საქმით, რასაც მარტოდმარტო, თანამონაწილეებისა და მიძღვევრების გარეშე ვაკეთებთ; ჩვენ ვიწყებთ მის შექმნას, ვისაც ისევე ვერ მოვესწრებით, როგორც ჩვენ ვერ მოგ-

ვესწრენ ჩვენი წინაპრები. მაგრამ ისინი, დიდი ხნის წინათ გარდასულნი, ხომ ჩვენში არიან. აქ დაღუპილან, ტვირთად დასდებიან ჩვენს ბედიწერას და ჩვენს სისხლში მიშრიალებენ, წარმოქმნიან რომელიღაც ჟესტს, დროის სიღრმეებიდან რომ აღსდგება ხოლმე.

არსებობს ძალა, რასაც შეუძლია წაგართვათ იმედი, რომ თქვენც მასში – უშორეს-უსასრულოში იქნებით ოდესმე?!

შეეგებეთ შობას ასეთი ღვთისმოსაობით, იფიქრეთ, რომ შესაძლოა, ღმერთს სწორედ ეს თქვენი სიცოცხლისეული შიში სჭირდება, რათა დაიწყოს თქვენში ქმედება. იქნებ, თქვენი გარდატეხის დღეები სწორედ ის დღეებია, როცა თქვენში ყველაფერი *მისთვის* იღვწის და ემზადება, ისევე, როგორც ოდესღაც ბავშვობაში, თავდავიწყებით რომ იღვწოდით *მისთვის*. აღივსეთ მოთმინებით, ხალისით, და გახსოვდეთ, ყველაზე მცირე, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ, ესაა: იმაზე მეტად არ გავუძნელოთ ღმერთს ქმნალობა, ვიდრე დედამიწა უძნელებს გაზაფხულს, როცა გაზაფხულს მოსვლა სწადია.

ვისურვებთ სიხარულსა და ნუგეშს  
თქვენი  
**რაინერ მარია რილკე**

**რომი, 14 მაისი, 1904**

ძვირფასო ბატონო კაპუს!

რახანია, რაც თქვენი ბოლო წერილი მივიღე.

ნუ გამიწყრებით პასუხის დაგვიანებისთვის. მთელი ეს ხანი თავაუღებლად ვმუშაობდი. მერე სხვა საქმეებით ვიყავი დაკავებული და ბოლოს ავადაც ვახლდით. ხელისშემშლელი მიზეზი, როგორც ხედავთ, ბევრი მქონდა, მე კი მსურდა, ჩემი პასუხი მხოლოდ და მხოლოდ მშვიდი და ნათელი დღეების მაცნე ყოფილიყო. ახლა უკვე მოვიკეთე (აღრეული გაზაფხული თავისი ავი, ჟინიანი ცვალებადობით აქაც მძიმედ გადავიტანე), შემიძლია უკვე მოგესალმოთ და ცოტა რამ გითხრათ თქვენი წერილის პასუხად (რასაც საერთოდაც დიდი სიხარულით ვაკეთებ).

ხომ ხედავთ: მე გადავწერე თქვენი სონეტი, რადგან ის მშვენიერია და უბრალო, ამასთან ჩუმი, თავდაჭერილი ფორმითაა შესრულებული.

იგი ყველაზე უკეთესია თქვენს ლექსებს შორის, რომელთა წაკითხვის საშუალებაც კი მქონია. და, აი, გიგზავნით ჩემს ნაწერს, რადგან ვიცი, რას ნიშნავს საკუთარი ნაშუქვერის უცხო ხელნაწერში წაკითხვა; წაკითხეთ ისე, თითქოს სხვის ლექსს კითხულობდეთ და მაშინ იგრძნობთ, რამდენად თქვენეულია იგი, თქვენი სონეტი და წერილი სიამოვნებით გადავიკითხე რამდენჯერმე, გამაღლობთ სიხარულის მონიჭებისთვის.

დაე, ნუ ამღვრევს თქვენს მარტოობას ის ფაქტი, რომ თქვენი არსების რაღაც ნაწილი გაურბის ამ მარტოობას და გარეთ მიიღტვის. სწორედ ეს ლტოლვა – თუკი მშვიდად და აუღელვებლად, ხელსაწყოსავით მოიმარჯვებთ მას – დაგენმარებათ, განავრცოთ თქვენი მარტოობა და მთელ ვრცელ ქვეყანას გადააწვდინოთ. ადამიანები (პირობითობების წყალობით) მუდამ ადვილად წყვეტენ ყველაფერს, მსუბუქი გზის არჩევა ეიოლებათ ხოლმე, ჩვენ კი, ცხადია, უმძიმესს უნდა ჩავეჭიდოთ. ყოველ სულდგმულს სიძნელესთანა აქვს საქმე. ბუნებაში ყოველივე თავის ზნის შესაბამისად იზრდება, თავს იცავს და ცდილობს, ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად, საკუთარი არსებობა მოიპოვოს. ძალზე მცირეა ჩვენი ცოდნა, მაგრამ ის მაინც ვიცით, რომ ჩვენც ძნელი გზა უნდა ავირჩიოთ. მარტოობა კარგია, რადგან ძნელია, და თუკი რაიმე ძნელია, მაშასადამე, ამან კიდევ ერთხელ უნდა გვიბიძგოს ამ საქმის განხორციელებისკენ.

სიყვარულიც კარგია: რადგან სიყვარული ძნელია. ადამიანის ადამიანისადმი სიყვარული, ალბათ, ყველაზე ძნელი ამოცანაა, რაც კი ჩვენთვის დაუწესებია განგებას. სიყვარული განსაცდელი და გამოცდაა, უდიდესი საქმე, რისთვისაც ყველა სხვა საქმიანობით მხოლოდ ვემზადებით. ამიტომაც, ახალგაზრდებს, ყველაფერში ახალბედანი და დამწყებნი რომ არიან, ჯერ არ ძალუძთ სიყვარული; მათ ჯერ უნდა ისწავლონ იგი, ისწავლონ მთელი არსებით, მთელი ძალისხმევით, საკუთარ ეულ, შიშნეულ გულისძებრას მიყურადებულვამა. სწავლის ყამი კი ძალზე გრძელია და ფარული; ამიტომ სიყვარული დიდი ხნის და მთელი სიცოცხლის მანძილზე არის მარტოობა, უღრმესი, უძაფრესი მარტოობა იმ ადამიანისა, რომელსაც უყვარს. სიყვარული აზრს დაკარგავდა, მარტოოდენ თავდავიწყებას, მეორე ადამიანთან შერწყმას და შეერთებას რომ გულისხმობდეს (რადგან რა ერთიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ორი უმწიფარი და ჩამოუყალიბებელი ადამიანი შეერწყმის ერთმანეთს!). სიყვარული ამაღლებული მიზეზია ერთეულთათვის, რათა მომწიფდნენ, დასრულდნენ და სამყაროდ იქცნენ, სამყაროდ იქცნენ მეორე ადამიანისთვის.

სიყვარული – ეს თამამი მოთხოვნაა იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც თავად სიყვარული აირჩევს და შორეთში მიუხმობს. სიყვარულის განხორციელების ნება მხოლოდ მაშინ უნდა ჰქონდეთ ახალგაზრდებს, თუკი აცნობიერებენ მას როგორც დავალებას, რომელიც საკუთარ თავზე მუშაობისკენ (“ნიადავ ყურისგაღებისა და ქმნისკენ“) უბიძგებს. თავდავიწყება, საყვარელ ადამიანთან შერწყმა – ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიყვარულს; ნამდვილი სიყვარული ჯერ შორსაა (მათ კიდევ დიდხანს უნდა მოიკრიბონ ძალები). ეს არის საბოლოო მიზანი. შესაძლოა, საბოლოო მისიაც, რომლის აღსრულებასაც ადამიანთა სიცოცხლე ჯერჯერობით არ ჰყოფნის.

ახალგაზრდები ხშირად და მწარედ ცდებიან. ფიცხი და დაუთმენელი ბუნებისანი, მყისვე ერთმანეთს მიაწყდებიან ხოლმე, როგორც კი სიყვარული ეწვევათ: იფლანგებიან და იფანტებიან, რაც საერთოდაც სჩვევიათ თავიანთ აღვზნებულ თუ აპათიურ, უწესრიგო და ქაოტურ ცხოვრებაში... და მერე, რა უნდა მოჰყვეს ამას? რაღა უნდა მოუხერხოს ცხოვრებამ ნახევრად დამსხვრეულ ადამიანთა ამ ზედახორაას, რასაც თავად ერთად-ყოფნას უწოდებენ და ბედნიერებას, მომავალსაც კი დაარქმევდნენ, რომ შეეძლოთ. ასე იკარგება თითოეული მეორის გულისთვის და იმ მეორესაც კარგავს, კარგავს მრავალს და ყველას, ვინც ჯერ კიდევ უნდა შეხვედროდა. ასე კარგავენ სივრცეებსა და შესაძლებლობებს; ჩუმ და მგრძნობიარე საგნებთან ახლოობლობა-სიშორეს უნაყოფო დაბნეულობაში ცვლიან, საიდანაც აღარაფერი წარმოიშობა, აღარაფერი ზიზღის, იმედაცრუებისა და სიცარიელის გარდა; შემდეგ კი ხსნას ეძებენ ერთ-ერთ რომელიმე პირობითობაში, ერთ-ერთ იმ მრავალთაგანში, რითაც ოდითგან ალუჭურვით ადამიანის ეს ყველაზე საშიში გზა. ადამიანური განცდის არცერთი სფერო არ არის პირობითობა-შეთანხმებებით ისე მომარაგებული, როგორც სიყვარული... აქ უამრავი მაშველი საშუალება გამოუვლიანთ: მაშველი რგოლები, ნაკვები, საცურაო ბუშტები... ათასგვარი თავშესაფარი აავო საზოგადოებრივმა აზრმა, რომელმაც, რაკი სიყვარული სიამოვნებასთან გააიგივა, მისი მსუბუქად მოწყობაც ითავა: საჯარო დროსტარებასავით იაფ და უვნებელ სიამედ აქცია იგი. თუმცა, მრავალი ახალგაზრდა, რომელთაც მცდარად უყვართ, ანუ ისე ეძლევიან ერთუროს, რომ ერთმანეთს ვერ პოულობენ (უმრავლესობა ხომ ამ გზას ადგას), – ითრგუნება შეცდომის შერგძნებით და სურს ეს შეცდომა საკუთარი, ინდივიდუალური ძალისხმევით გამოასწოროს: უფრო სიცოცხლისუნარიანი და ნაყოფიერი გახადოს სიყვარული. რადგან საკუთარივე ბუნება ჰკარნახობს მათ, რომ სხვა მნიშვნელოვან საკითხთაგან ყველაზე ნაკლებად სიყვარულის



საკითხის გადაწყვეტა შეიძლება საჯაროდ დადგენილი ტრადიციული კანონ-წესების მიხედვით; რომ ეს მათი ცხოვრების არსებითი კითხვებია, მხოლოდ ორ ადამიანს რომ ენება და ყოველი ახალი ურთიერთობისას ახალ, განსაკუთრებულ და მხოლოდ ინდივიდუალურ პასუხს მოითხოვს. მაგრამ როგორღა უნდა იპოვონ საშველი საკუთარ თავში, საკუთარი მარტოობის სიღრმეებში, როცა თავიც გაუფანტავთ და მარტოობაც? როცა ორი ადამიანი ისე ათქვეფილა ერთმანეთში, რომ საკუთარი აღარაფერი გააჩნიათ და ერთმანეთისგან აღარაფრით განსხვავდებიან?

უმწეოა მათი ურთიერთობა და ყოველი ნაბიჯი. და როცა მთელი ძალით ცდილობენ, თავი აარიდონ ტრადიციულ პირობითობას (როგორიც, დაუშვავთ ქორწინება), მართალია ნაკლებ აშკარა, მაგრამ მაინც არანაკლებ დამღუპველი პირობითი გამოსავლის მარწუხებში ექცევიან, რადგან მათ ირგვლივ ყველგან პირობითობა და ჩვეულება გამეფებულა. რადგან ორი ადამიანის ნაადრევი და უსიხარულო შეხვედრისას ყოველი ქმედება პირობითია. ამგვარი ცდომილების შედეგად წარმოშობილ ყოველ ურთიერთობასაც ჩვეულებრივ-პირობითი დასასრული ექნება, თუნდაც ეს ურთიერთობა ჯერ აუთვისებელი, ანუ, ტრადიციული აზრით, – ამორალური იყოს: განშორებაც პირობითი ნაბიჯი იქნება, შემთხვევითი, არაინდივიდუალური გადაწყვეტილება, უღონო და უნაყოფო.

თუკი სერიოზულად ჩაფიქრდება ადამიანი, იმასაც მიხვდება, რომ სიკვდილის მსგავსად (რომელიც ასევე მძიმეა და ძნელი), სიყვარულის საიდუმლოს ამოხსნა და მისი ქარაგმების გამოცნობაც დღემდე თითქმის ვერავინ შეძლო; და სწორედ ამ ორი ამოცანის (ფარულად რომ ვატარებთ ჩვენში და ამოუხსნელადვე გადავცემთ სხვებს) გამოცნობაა შეუძლებელი საყოველთაოდ მიღებული წესებით. თუმცა, ეს ორი დიდი საიდუმლო მით უფრო გვიანლოვდება, რაც უფრო მეტად ვიწყებთ ცხოვრების შემცენებას ჩვენ, ცალკეულნი. უმკაცრესი მოთხოვნები, რომელთაც სიყვარულის უძძიმესი საქმე ჩვენი განვითარების გზაზე გვიყენებს, აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს; ჩვენ, ახალბედები, ჯერ კიდევ არა ვართ მზად მათ აღსასრულებლად; თუმცა, თუ გავუძლებთ და სიყვარულს, მის ტვირთსა და მისი შესწავლის ხანას მოთმინებით ავიტანთ, თუ არ ჩავიკარგებით მარტივ და ზედაპირულ გართობა-თამაშობებში (ადამიანებმა ყოფიერების უდიდესი სერიოზულობისგან თავის დასაძვრენად რომ მოიგონეს), მაშინ, იქნებ, შევძლოთ და ოდნავ მაინც გაკვკალოთ ეს გზა – შევუძლებუქოთ იგი ჩვენს შემდგომ მავალთ; ეს პატარა მცდელობაც მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ჩვენ ხომ მხოლოდ

ახლა ვსწავლობთ ერთი ცალკეული ადამიანის მეორე ადამიანთან ურთიერთობის დანახვას, დანახვას მართლად, ფხიზლად, მცდარი განსჯის გარეშე. ჩვენ პირველნი ვართ, ვინც ურთიერთობის ისეთი ფორმების დამკვიდრებას ცდილობს თავის ცხოვრებაში, რომელთა მსგავსიც წარსულში არ გვეგულება; თუმცა, ჟამთა სვლაში უკვე შეიმჩნევა რაღაც ისეთი, რაც ჩვენს გაუბედავ თაოსნობას თანაუგრძნობს და ესალმება.

ქალი და ქალწული თავიანთი ახალი, დამოუკიდებელი განვითარების გზაზე მხოლოდ დროებით გახდებიან მამაკაცური ზნისა თუ უზნეობის, მის მოთხოვნათა მიმბაძველ-გამძეორებელნი. ეს დროებითი ნიღაბი გახლავთ. მაგრამ ჩაივლის ეს გარდამავალი პერიოდი და მივხვდებით: ხშირი და მეტწილად სასაცილო ცვალებადობა ქალს ნიღაბივით იმისთვის დასჭირდა, რომ მეორე სქესის დამამახინჯებელი გავლენისგან განეწმინდა თავისი ჭეშმარიტი არსი. ქალი, ვის არსებაშიც სიცოცხლე უფრო უშუალოდ, უფრო ნაყოფიერად, უფრო ნლობით მკვიდრობს და ყოვნილება, ცხადია, უფრო დასრულებული, უფრო ადამიანური ადამიანია, ვიდრე მამაკაცი, რომელიც, რაკი სხეულებრივ ნაყოფს არასდროს დაუძიძიებია, აგრე მჩატედ გაჩენილა სიცოცხლის ზედაპირს ქვემოთ და თანაც ქალის, რომელიც ვითომცდა უყვარს, მნიშვნელობას ამცირებს ქედმაღლურად და დაუფიქრებლად. დადგება დრო და ამომზევდება ამ ტკივილებითა და დამცირებებით ნაშობი ადამიანობა ქალისა, – თუკი ქალი გარეგანი ცხოვრების გარდაქმნისას მხოლოდ ქალური ჩვევებისგან გათავისუფლდება, – ამომზევდება, და მამაკაცი, დღეს რომ ვერცა გრძნობს ქალის მომავალს, ამ უცაბედი გარდასახვით გაოგნებული, თავს დაიდრეკს მის წინაშე. ოდესმე (ჩრდილოეთის ქვეყნებში უკვე იგრძნობა ამის ნიშნები) მდედრობითობა მხოლოდ მამრობითობის საპირისპირო გამოვლინება კი აღარ იქნება, არამედ ქალი და ქალწული თავისთავადი არსებანი გახდებიან, რომელთაც არც შევსება დასჭირდებათ და არც გამიჯვნა, არამედ მხოლოდ – სიცოცხლე და ყოფიერება. დაიბადება დამოუკიდებელი მდედრობითი ადამიანი: დედაკაცი. საკუთარი არსების ამგვარი გარდაქმნისას (მამაკაცთა ნებისა და ქედმაღლურ, ჟამგადასულ მოსაზრებათა საპირისპიროდ) ქალი სიყვარულსაც გარდაქმნის. ეს განცდა ჯერ კიდევ ცდომილებაა და დაბნეულობა, შემდგომ კი ქალი მას ისეთ ურთიერთობად აქცევს, რომელიც ქალისა და მამაკაცის გაერთიანება კი აღარ იქნება, არამედ – ერთი ადამიანის მეორესთან დაახლოება; ეს უფრო ადამიანური სიყვარული (რომელიც განშორების ჟამსაც ისევე გულისხმიერი, სათუთი და ნათელია, როგორიც დაახლოებისას იყო) იმ

განცდის მსგავსი იქნება, დღესდღეობით სიძნელებეთან ჭიდილში და ტანჯვით რომ ვძერწავთ; მსგავსი იქნება იმ სიყვარულისა, რომლის არსი ის გახლავთ, რომ ორმა მარტოსულმა ადამიანმა უნდა დაიფაროს, დაიცვას და აღიაროს ერთმანეთის მარტოობა.

და კიდევ: დაკარგულად ნუ ჩათვლით იმ დიდ სიყვარულს, რომელიც ბავშვობაში გარგუნათ ბედმა; ეგება სწორედ მაშინ მწიფდებოდა თქვენში ის დიდი, კეთილი აზრები და სურვილები, დღეს რომ გასულდგმულებენ. ვფიქრობ, თქვენს მოგონებაში ეს სიყვარული იმის გამოც ჩაიბეჭდა ასე ღრმად და უფლებამოსილად, რომ ის თქვენი პირველი დიდი სულიერი მარტოობა, თქვენს ცხოვრებაში აღსრულებული პირველი სულიერი საქმე იყო.

კეთილი სურვილებით,  
თქვენი  
**რაინერ მარია რილკე**

**ბორგები-გორი, ფლელი, შვედეთი,  
12 აგვისტო, 1904**

მინდა კვლავ შეგეხმიანოთ, ძვირფასო ბატონო, თუმცა, ამჯერად საგულისხმოს ვერაფერს გეტყვით. ბევრი მწუხარება გამოგიცდიათ. ყველაფერს უკვე ჩაუვლია. და, თურმე, ეს ჩავლაც მტკივნეული და დამალონებელი ყოფილა თქვენთვის. მაგრამ დაფიქრდით, გეთაყვა, ეგებ კი არ ჩაიარა, არამედ პირდაპირ გულისგულში გაგიარათ! და ეგებ ამ სტანჯველმა ბევრი რამ შეცვალა თქვენში, ერთიანად შეგცვალათ თქვენი არსების რომელიღაც კუნჭულში? ცუდი და საშიში მხოლოდ ის მწუხარებაა, ყველას დასანახად სახეზე რომ მოირგებენ ხოლმე, რათა ამ უპირატესობით სხვები დაჩრდილონ. ზერელე და უგუნური მკურნალობის წყალობით მოურჩენელი სნებისა არ იყოს, მწუხარებაც მხოლოდ დროებით იხვეს უკან და სულ ცოტა ხანში ახალი, უარესი ძალით იფეთქებს ხოლმე. ასე გროვდება და გუბდება ჩვენში ამგვარი ნაღველი და იქცევა ცხოვრებად, იმ ცხოვრებად, რომლითაც ჩვენ არ ვცხოვრობთ, უარყვავით და დაკარგეთ. ასეთმა ცხოვრებამ კი შეიძლება სიცოცხლეც მოუსწრაფოს ადამიანს. ჩვენი ცოდნის საზღვრებს მიღმა რომ შეგძლებოდა გახედვა და ცოტა კიდევ იქით, ჩვენი გუჟანის წინახაზსაც

რომ გადავცილებოდით, მაშინ იქნებ ჩვენს მწუხარებას უფრო მეტი ნდობით მოვკიდებოდით, ვიდრე – სიხარულს; რადგან სწორედ მაშინ, როცა ვმწუხარებთ, რაღაც ახალი, რაღაც უცნობი რამ შემოდის ჩვენში, ყველა გრძნობა შიშით მუნჯდება მის წინაშე, უკან იხვევს და წარმოიქმნება: სიჩუმე. ის კი, ახალი და ყველასთვის უცნობი, დგას იმ სიჩუმის შუაგულში და ღუმს. დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენი წუხილი იმ სულიერი დამაბულობის წუთებია, რომელიც ჩვენ დამბლა გვეკონია ხოლმე, რადგან აღარ გვესმის ჩვენი გაუცხოებული განცდების ხმა, რადგან უცებ წაგვართვეს ყოველივე შეჩვეული და ახლობელი, რადგან იმ გადასასვლელზე ვდგავართ, სადაც გაჩერება არ შეიძლება. ამიტომ მიდის ხოლმე მწუხარება, სიახლე კი, რომელიც მან მოიყოლა – ჩვენი გულის უღრმეს საკანში შედის და იქ უჩაინარდება, – სისხლში გადადის და ვეღარც ვივებთ, რა იყო ეს; იქნება ვინმე შეეცადოს ჩვენს დარწმუნებას: არაფერიც არ მომხდარაო, მაგრამ ჩვენ ხომ შევიცვალეთ, სახე ვიცვალეთ იმ სახლივით, რომლის კარიც სტუმარმა შეაღო. ვერც კი ვიტყვი, თუ ვინ გვეწვია და ეგებ ვერც ვერასოდეს გავივით, მაგრამ ბევრი რამ მიგვანიშნებს, რომ მომავალი შემოვიდა ჩვენში, რათა ჩვენს წიაღში გარდაისახოს, გარდაიქმნას დიდი ხნით აღრე იქამდე, ვიდრე აღსრულდება, ამიტომ არის მნიშვნელოვანი: მარტოდმარტო და ყურადღებით განვიცადოთ მწუხარება, რადგანაც ჩვენში მომავლის შემოჭრის წამი, ერთი შეხედვით, ასე დაშრეტილი და უმოქმედო რომ გვეგონა, სინამდვილეში ბევრად უფრო სავსეა სიცოცხლით, ვიდრე – ის შემთხვევითი და ხმაურიანი წუთები, როცა მომავალი ჩვენს შიგნით კი არ იბადება, არამედ გარედან გვეხლება. რაც უფრო ჩუმად, მოთმინებით და ღია არსებით ვმწუხარებთ, მით უფრო ღრმად და შეუმცდარად იჭრება ჩვენში რაღაც ახალი. მით უფრო ადვილად ვითვისებთ მას, მით უფრო ჩვენს ბედისწერად გვექცევა იგი და მოგვიანებით, როცა ეს ბედისწერა “აღსრულდება” (ანუ ჩვენგან ამოვა და სხვებს მიეახლება) – ის ახლობელი იქნება ჩვენთვის. ეს კი აუცილებლად საჭიროა და ჩვენი განვითარებაც თანდათან იქით აიღებს გეზს, რომ უცხო აღარაფერი შეგვემთხვევს და მხოლოდ ის გადაგვხვდეს, რაც დიდი ხანია უკვე ჩვენია. ვინ იცის, ადამიანმა მოძრაობის არსის გამომხატველი რამდენი ცნება მოიფიქრა და გადაიფიქრა, და, აი, თანდათან იმის აღიარებამდე მივა, რომ ის, რასაც ჩვენ ბედისწერას ვუწოდებთ, გარედან კი არ იჭრება ადამიანში, არამედ, პირიქით, თავად ადამიანის წიაღიდან ამოიძარება. ვინაიდან ბედისწერათა უმრავლესობა, – ვიდრე ადამიანში არსებობდა, – ადამიანმა ვერ შეიწოვა

და საკუთარ წიაღში ვერ გარდასახა, ამიტომაც ველარ სცნობს მათ, როცა ისინი მისი სიღრმიდან ზემოთ ამოდიან. ბედისწერა იმდენად უცნოა კაცისთვის, აგრე ჰვონია: სწორედ ამ წუთს დამატყდა თავსო, და იფიცება: აქამდე მსგავსი არაფერი გადამზდენიაო. ისევე, როგორც კარგა ხანს მცდარად ჰქონდათ წარმოდგენილი მზის მოძრაობა, ჩვენც ასევე არასწორად გვესმის მომავლის დინების გზა და კვალი. მომავალი, ძვირფასო ბატონო კაპუს, მყარად დგას: ეს ჩვენ ვტრიალებთ უსაზღვრო სივრცეში.

და რა გასაკვირია, თუ ასე გვიმძიმს იგი და გვიძინებდა?

ხოლო თუ კვლავ მარტობაზე ვისაუბრებთ, მაშინ დამეთანხმებით, რომ არჩევანი არ გაგვკანია: ჩვენ მარტონი ვართ. დიდი-დიდი, თავი მოვიტყუოთ და ისე მოვიქცეთ, თითქოს ასე არ იყოს. მაგრამ არა სჯობს, ვაღიაროთ, რომ ჩვენ სწორედაც მარტოსული არსებები ვართ? ამ გულახდილი აღიარების შემდეგ, იქნებ, თავვზაც დავკარგოთ, რადგან ყველაფერი გამოგვეცლება, რაზედაც ჩვენს მზერას შესვენება უყვარდა, ახლობელი საგანი აღარ შეგვგრჩება, ხოლო შორეული საგნები უსასრულოდ დაგვშორდებიან. მყუდრო ოთახიდან წინასწარი შემზადებისა და გაფრთხილების გარეშე კაცმა ციცაბო კლდეზე რომ ამოყო თავი, მაშინ თუ დაგეუფლება მსგავსი განცდა; გაუგონარი უნუგეშობა შეგიპყრობს, სასოწარკვეთა, რომ განწირული ხარ, რომ რაღაც უზილავისა და უსახელოს ხელში ჩავარდი, შიშით ავიტანს, შიში, რომელმაც ლამის ადგილზევე გაგანადგუროს. ხან მოგეჩვენება, ვეცემი და სივრცეში მივექანებიო, ხანაც ათას ნაწილად დაშლილსა და დამსხვრეულს წარმოიდგენ თავს (რა უზარმაზარი ტყუილი უნდა მოეგონებინა ამ ადამიანის გონებას, რომ განცდები დაემორჩილებინა და დაემშვიდებინა?!). აი, ასევე იცვლება მარტოსულისთვის მანძილები და საზომები; ამგვარი ცვლილებანი მრავალ რასმე იწვევენ, თუნდაც იმგვარ შეგრძნება-წარმოდგენებს, კლდის ქიმზე დარჩენილ ადამიანს რომ დაეუფლებოდა, და შიშებს, რომელთა ატანაც შეუძლებელი ჩანს, მაგრამ აუცილებელია ესეც გადავიტანოთ. ჩვენ რაც შეიძლება უნდა გავაფართოვოთ ჩვენი წარმოდგენა ჩვენს ყოფიერებაზე. მან ისიც კი უნდა მოიცვას, რაც გაუგონარია. ეს კი სიმამაცეს გულისხმობს და ჩვენც, არსებითად, სწორედ ასეთი სიმამაცე მოგვეთხოვება: წარბი არ შევიხაროთ იმ ყოვლად წარმოუდგენლის, გამოკლებლისა და ჯერარყოფილის წინაშე, რაც მომავალში შეიძლება შეგვემთხვეს. სიცოხცლე დიდად დააზარალა ადამიანთა სიმხდალემ, სიმხდალემ სწორედ ამ თვალსაზრისით: “ხილვა”,

“გამოცხადება“, “სულთა სამყარო“, სიკვდილი – ყველა ეს ჩვენთვის ესოდენ ახლობელი მოვლენა – მშიშარა ადამიანმა ყოველდღიური უარყოფით ისე შორს განდევნა სიცოცხლიდან, რომ განცდები, რომელთა მეოხებითაც ისინი უნდა შეგვეცნო, უკვე დაგვიჩლუნგდა და დაგვევლია. ღმერთზე არაფერს ვამბობ. მაგრამ აუხსნელის წინაშე შიშმა მხოლოდ ცალკეული ადამიანის ყოფიერება კი არ გაალარბა, არამედ ადამიანის ადამიანთან ურთიერთობაც დაავიწროვა, თითქოსდა ეს ურთიერთობა უზღვევი შესაძლებლობით აღსავსე კალაპოტიდან სადღაც ხრიოკ ზედაპირზე გარიყეს, ხრიოკზე, სადაც არაფერი ხდება, რადგან მხოლოდ სიზანტისა და სიზარმაცის ბრალი როდია, ადამიანური ურთიერთობები ასე აუწერლად ერთფეროვანი რომ გახდა და მუდამ, ყველასთან ერთსა და იმავე სახეს რომ იღებს და მეორდება; – დამნაშავეა ჩვენი შიშიც იმ სრულიად ახალი, გაუთვალისწინებელი განცდის წინაშე, რომლისთვისაც თავს მოუმზადებლად ვთვლით. მაგრამ მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც მთელ სიცოცხლეს მოიცავს შინაგანად, ყველაზე უფრო აუხსნელის ჩათვლით, შეძლებს მეორე ადამიანთან ურთიერთობა მუდამ ცოცხალ სინამდვილედ განიცადოს და ბოლომდე ისაზრდოოს თავისი ყოფიერების წყაროსთვის. ადამიანის ყოფიერებაზე რომ ვფიქრობთ, თვალწინ შედარებით დიდ ანდა პატარა სივრცეს წარმოვიდგენთ ხოლმე, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა თურმე თავისი ოთახის ერთ კუნჭულს იცნობს, ფანჯრის ნიშს, ან იატაკის იმ ზოლს, რაზედაც დადის. ასე უფრო უხიფათოდ და მყარად გრძნობს თავს და, მაინც, გაცილებით უფრო ადამიანურია ის ხიფათით სავსე მოუსვენრობა, რომელიც უბიძგებს ედგარ პოს ტუსალებს, ხელის ცეცებით იკვლიონ შემზარავი საკნის ფორმები და თვალბეჭდებში შეხედონ თავიანთი მდგომარეობის გამოუთქმელ საშინელებას. ჩვენ კი ტუსაღნი არა ვართ. არც მახესა და ხაფანგში მოხვედრის საფრთხე გვემუქრება და, საერთოდ, არც არაფერს სურს ჩვენი დაშინება და წამება. ჩვენ სიცოცხლეში ვართ ჩადგმულ-ჩანერგილნი, ანუ – ისეთ სტიქიაში, ყველაზე მეტად რომ შეგვესაბამება და სიცოცხლესთან საუკუნოვანი შეგუების შედეგად ისე დავემსგავსეთ მას, რომ, როდესაც ჩუმად ვართ, იღბლიანი მიმიკრიის წყალობით, ლამის არც განვსხვავდებით იმ არსებთაგან, გარს რომ გვახვევია, არავითარი საფუძველი არა გვაქვს, უნდობლად განვეწყოთ სამყაროს მიმართ, რადგან ის ზომ სულაც არ გვმტრობს! თუკი შიში მოდის მისგან, ეს ჩვენი შიშია; თუ უფსკრულები აქვს, ესეც ჩვენი უფსკრულებია, და თუ სადმე განსაცდელია, უნდა ვცადოთ და შევიყვაროთ იგი. თუ დავყვებით იმ შეგონებას, რომ

სიძნელისკენ წარვმართოთ ჩვენი გზა, ძნელს ჩავეჭიდოთ, მაშინ ის, რაც ახლა ყველაზე უცხოდ გვეჩვენება, ყველაზე ახლობელ-ერთგული გახდება ჩვენთვის. როგორ უნდა დავივიწყოთ მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ის უძველესი მითი (ლამის ამ ხალხების გაჩენის დღიდან რომ არსებობს), სადაც ურჩხული უძმაფრეს წუთს მეფის ასულად გადაიქცევა ზოლმე-ვინ იცის, ეგებ ჩვენი ცხოვრების ყველა ურჩხული მეფის ასულია, ჩვენს სიამაცესა და სიკეთეს რომ ელის. ეგებ ყველაფერი საშინელი და შემზარავი – თავის სიღრმეში – მხოლოდ უმწეო და საწყალი რამ არის, შველა რომ სწყურია ჩვენგან.

ამიტომ, ჩემო ბატონო, ნუ შეშინდებით, როცა თქვენს წინაშე ისეთი უზარმაზარი მწუხარება აზვირთდება, რომლის მსგავსიც ჯერ არ გინახავთ; ნუ შეშინდებით, თუ მოუსვენრობა ღრუბლიანი ცის შუქ-ჩრდილებივით გადაუვლის თქვენს ხელებსა და საქმიანობას. თუ დაფიქრდებით, მიხვდებით კიდევ, რაც ხდება თქვენში. მიხვდებით, რომ სიცოცხლეს არ დავიწყებინართ, ხელში უპყრიხართ და არც დასაცემად გაგიმეტებთ. რატომ გინდათ თქვენი ცხოვრებიდან განდევნოთ მოუსვენრობა, ტანჯვა თუ სულიერი ტკივილი?! განდევნოთ ისე, რომ ვერც გაიგოთ, რად იღვწოდნენ, ანდა რა საქმეს აღასრულებდნენ ისინი თქვენში?! რად ჩასციებინართ საკუთარ თავს: ნეტავ, საიდან მოვიდა ეს მწუხარება ან საით მიდისო? არადა, კარგად მოგეხსენებათ, რომ გარდატეხის ხანაში ბრძანდებით, გარდამავალ საფეხურზე და, აკი, არც არაფერს ნატრობთ, თქვენი გარდაქმნის გარდა. თუ თქვენი რომელიმე განცდის ავადმყოფურობა გაკრთობთ, მაშინ გაიხსენეთ, რომ ავადმყოფობა ორგანიზმის უცხო სხეულებისგან გათავისუფლების საშუალებაა და ორგანიზმს მხოლოდ ვეხმარებით იმით, რომ ავადა ვართ. ბოლომდე უნდა მოვიცვათ ეს ავადმყოფობა, რათა მერე ერთიანად გადმოვანთხიოთ, რადგან ეს არის ორგანიზმის წინსვლა. ამჟამად, ბატონო კაპუს, იმდენი რამ ხდება თქვენს სულში! თქვენც მოთმინებით უნდა აღივსოთ, როგორც სწეული და თან გამოკეთებისკენ პირქმნილი. იქნებ, მართლაც ორივე ხართ. უფრო მეტიც: თქვენ მკურნალიც ხართ, საკუთარი თავის მკურნალი. მაგრამ ავადობისას ხშირია ისეთი წუთები, როცა ექიმს ლოდინის გარდა სხვა არაფერი მართებს. აი, რა უნდა შეიძლოთ თქვენც, საკუთარი თავის მკურნალმა. მეტისმეტად ნუ იჩხრიკებით თქვენს განცდებში, თქვენი ამჟამინდელი მდგომარეობის ნაუცბათევე შეფასებასაც ერიდეთ: მიუშვით სული თავის ნებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილად დაადანაშაულებთ თქვენს წარსულს (იგულისხმება: მორალური თვალსაზრისით) თქვენი

ახლანდელი მდგომარეობის შექმნაში. მაგრამ რაც ბავშვობისდროინდელი შეცდომებიდან, სურვილებიდან და ოცნებებიდან დღესდღეობით მოქმედებს თქვენს არსებაში, ეს ის არ გახლავთ, რაც თქვენ გახსოვთ და რასაც ბრალსა სდებთ. გარდასული და უმწეო ბავშვობის ხანა იმდენად რთული და მძიმეა, იმდენი გავლენის ქვეშ ექცევა და თან ისეა ამოვარდნილი რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობათა სფეროდან, რომ ბავშვობაში ჩადენილ ცოდვას ცოდვასაც ვერ დაარქმევ. საერთოდ კი, მოვლენათა სახელდებისას, დიდი სიფრთხილე გვმართებს, ხშირად სწორედ სიტყვა “დანაშაული“ არღვევს სიცოცხლეს და არა – უსახელო და უადრესად პიროვნული საქციელი, რომელიც, შეიძლება, ადამიანის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა და მისი ცხოვრება ძალზე უმტკივნეულოდ მიიღებდა კიდევ მას. თქვენ თვლით, რომ ყოველივე ბევრ ძალას გართმევთ, ასე იმიტომ ფიქრობთ, რომ გამარჯვების ფასს აზვიადებთ. გამარჯვება ის “დიდი საქმე“ კი არ არის, რომელიც, გგონიათ, რომ აღასრულებთ, არამედ დიდია ის, რამაც შეამზადა თქვენი გამარჯვება, რითაც შეგეძლოთ თავიდან აგერიდებინათ ცთომილებანი. დიდია ის, რაც მართალია და ჭეშმარიტი. ის რომ არ დაგხმარებოდათ, თქვენი გამარჯვება მხოლოდ მორალური რეაქცია იქნებოდა და სხვა არაფერი, ახლა კი თქვენი ცხოვრების არსებითი ნაწილი გახდა, ნაწილი იმ ცხოვრებისა, ბატონო კაპუს, რომელსაც სიკეთეს ვუსურვებ. გახსოვთ, ალბათ, ყრმობის ასაკში როგორ ისწრაფვოდით რაღაც “დიდისკენ“. ახლა კი, ვხედავ, როგორ ელტვის თქვენს არსებაში ეს “დიდი“ “დიადს“. ამიტომაც ჩვენი ცხოვრება მუდამეჟამს ძნელი. მაგრამ სწორედ იმიტომ გვზრდის შინაგანად, რომ ძნელია.

ჩემი წერილის დასასრულს ამასლა დავძენ: ნუ იფიქრებთ, რომ ის ადამიანი, ვინც ასე ცდილობს განუგემოთ, უდარდელად ცხოვრობს ამ უბრალო და ჩუმი სიტყვების მიღმა, რომელთაც ხანდისხან სიმშვიდე მოაქვთ თქვენთვის. იცოდეთ, ამ ადამიანის ცხოვრებაშიც მრავალი ტანჯვა და მწუხარებაა, რაც სიტყვებს მიღმა იმალება. ასე რომ არ იფოს, იგი ვერასოდეს იპოვიდა სიტყვებს, რომელთაც ძალუძთ ნუგეში სცენ სხვას.

თქვენი  
**რაინერ მარია რილკე**



**ფურცლები, იონსერელი, შვედეთი,  
4 ნოემბერი, 1904**

ძვირფასო ბატონო კაკუს!

წერილი დაგიგვიანეთ, რადგან მთელი ეს ხანი ვმოგზაურობდი, ანდა მოუცლელიობის გამო ვერ გწერდით პასუხს. დღესაც ძალიან მიჭირს წერა. უამრავი კორესპონდენცია გავამზადე და ხელი გადამეღალა. რომ შეიძლებოდა ვინმეს ვუკარნახო, მაშინ ბევრ რამეს გეტყვოდი. ამჯერად კი ორიოდე სიტყვით მოგახსენებ ჩემს სათქმელს.

ძვირფასო ბატონო, ისე ხშირად გიხსენებთ და ისეთ ძლიერ სურვილებს გიგზავნით, რომ, ვფიქრობ, რაღაცნაირად უნდა გიშველოთ ჩემმა ძალისხმევამ. მაგრამ გეხმარებათ თუ არა რაიმეში ჩემი წერილები – ამას კი ხშირად ვეჭვობ. ნუ მიპასუხებთ: დიახ, მეხმარებაო. მშვიდად მიიღეთ ჩემი ყოველი წერილი და მაღლობასაც ასე ხშირად ნუ გადამიხდით. მოითმინეთ და ვნახოთ, რა მოხდება.

იქნებ, თქვენი წერილის ყოველ სიტყვას ასე არც უნდა გამოვედევნო, რადგან ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მეთქვა თქვენი ეჭვების თაობაზე, თქვენს ყოველ სხვა სატკივარზე, ანდა იმის შესახებ, რომ ვერ შეგი-თანხმებიათ გარეგანი და შინაგანი ცხოვრება, – დიდი ხანია უკვე გითხარით. ჩემი რჩევა უწინდებურად ასეთია: აღვივეთ მოთმინებით, რათა გაუძლოთ ყოველივეს, და იმ უბრალოებით, რაც რწმენას სჭირდება, უფრო მეტად უნდა მიენდოთ სიძნელებს და თქვენს მარტოობას ამ ხალხმრავლობაში, საერთოდ კი აცალეთ ცხოვრებას საკუთარი გზით იდინოს. მერწმუნეთ: ცხოვრება მუდამ მართალია.

რაც შეეხება განცდებს: სუფთაა ყოველი განცდა, თქვენში ძალებს რომ აღვიძებს, წელში რომ გმართავთ და აგამაღლებთ. უწმინდურია გრძნობა, თქვენი არსების მხოლოდ ერთ მხარეს რომ ეხება და ამიტომაც ამახინჯებს მას. ყველაფერი მართებულია, რასაც თქვენს ბავშვობაზე ფიქრობთ. ყოველგვარი ზრდა კარგია, თუკი იმაზე უკეთეს არსებად გაქცევთ, ვიდრე აქამდე იყავით საუკეთესო წუთებში: ყოველგვარი ზრდა კარგია, თუ ის მთელ სისხლშია და კი არ გბანგავთ, გამღვრევთ და გაწუხებთ, არამედ ისეთ კამკამა სიხარულად გადაგექცევათ, რომლის მიღმა ფსკერსაც კი ხედავთ: ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

დაეჭვება, შესაძლოა, კარგ თვისებადაც კი გარდაგექმნათ, თუკი მას გაწრთენით. იგი ცოდნად და შეგნებულ კრიტიკად უნდა იქცეს. ამიტომ, როგორც კი ცუდი მხრიდან დაგანახებთ რაიმეს, მაშინვე ჩაჰკითხეთ, თუ რატომ არის ეს ცუდი და საზიზღარი. დე, დაგიმტკიცოთ და დაგისაბუთოთ. აი, მაშინ კი მიხვდებით, რა უსუსური და უმწეო ყოფილა თქვენი ეჭვი. თუმცა, ამაზე ნუ შეჩერდებით: არგუმენტები მოსთხოვეთ! და ყოველთვის ასე თანმიმდევრულად და ყურადღებით მოექცეთ და, იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს ეს მოწინააღმდეგე ერთ-ერთ უერთგულეს თანამზრახველად და ყველაზე გონიერ ხელოსან-თანამშემწედაც კი გადაგექცეთ, ყველა იმ ძალას შორის, რაც ჭედს და აყალიბებს თქვენს ცხოვრებას.

აი, ყველაფერი, რაც დღეს თქვენთვის მინდოდა და შემეძლო მეთქვა. წერილთან ერთად პატარა პოემის ამონაბეჭდსაც გიგზავნით, პრალის გამოცემლობამ რომ გამოაქვეყნა კრებულში “Deutsche Arbeit“. ამ პოემით ვაგრძელებ თქვენთან საუბარს სიცოცხლეზე და სიკვდილზე, და კიდევ – იმაზე, თუ რა დიდი და მშვენიერია ორივე.

თქვენი  
**რაინერ მარია რილკე**

### **პარიზი, შობის მეორე დღე, 1908**

ვერც წარმოიდგენთ, ძვირფასო ბატონო, როგორ გამახარეთ თქვენი საუცხოო წერილით, რომელმაც ამჯერად კარგი, გულწრფელი და ნათელი ამბები მომიტანა: თანდათან უფრო ვრწმუნდები, რომ ყველაფერი ეს ნამდვილად სასიხარულოა; საშობაოდაც სწორედ ეს მინდოდა თქვენთვის მეთქვა და მომეწერა. მთელი ზამთარი საწერ მაგიდასთან გავატარე. თუმცა, არც დადლილობა მიგრძენია და არც მოწყენილობა. ჩვენი ძველთაძველი დღესასწაულიც ისე უცბად შემომეპარა, დრო ძლივს მეყო საშობაო სამზადისისთვის და წერილისთვისაც ვერ მოვიცალე.

შობის დღეებში ხშირად ვფიქრობდი თქვენზე და ვცდილობდი წარმომეღვინა, თუ რა სიმყუდროვე და სიმშვიდე სუფევს შიშველი მთებით გარშემორტყმულ თქვენს განმარტოებულ ციხესიმაგრეში: წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ ერკინებიან ამ კლდეებს სამხრეთული ქარები, თითქოს ლოდებად დაშლასა და შთანთქმას რომ უპირებენ მათ.

რაოდენ უსაზღვრო უნდა იყოს ამ დიადი მოძრაობებითა და ხმებით აღსავსე სიჩუმე; და თუკი მთელ ამ მოძრაობაში შორეული ზღვის შრიალსაც შეიგრძნობ კაცი, შრიალს, რომელიც ამ პირველყოფლ ჰარმონიაში შესაძლოა ყველაზე შინაგან ბგერას წარმოადგენს, მაშინ მხოლოდ ერთი რამ უნდა გისურვოთ ადამიანმა: ენდეთ და მოთმინებით განიცადეთ ამ განსაკვიფრებელი მარტოობის ზემოქმედება, რომელსაც მოგვიანებით ვეღარც კი ამოშლით თქვენი ცხოვრებიდან, მუდამ იგრძნობთ მის ფარულ გავლენას, რადგან ის ყოველ თქვენს მერმინდელ განცდასა თუ საქმეში გააგრძელებს სიცოცხლესა და იღუმალ ქმედებას, როგორც წინაპართა სისხლი ერთვის ჩვენს სისხლს, ჩვენს მარღვებში მიედინება და დასაბამს აძლევს იმ ერთადერთს, განუმეორებელსა და თავისებურს, რაც ჩვენ ვართ, მაშინაც კი, როცა ვიცვლებით.

რა თქმა უნდა, მიხარია, რომ დაიმკვიდრეთ თქვენი ადგილი ცხოვრებაში. თქვენი სამხედრო სამსახური, წოდება და ფორმა, ერთის შეხედვით, შეიძლება ადვილი ეგონოს ადამიანს, თუმცა, ეს ხელშესახები და ვიწრო ყოფიერება უკაცურ გარემოში, ადამიანთა მხოლოდ მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად, მყისვე სიმკაცრითა და სხვა, უჩვეულო მნიშვნელობით აღიბეჭდება. ჩვეულებრივი სამხედრო სამსახურისგან განსხვავებით, იგი დროსტარებას, დროის ფუჭად ფლანგვას არ გაცლთ, დამოუკიდებელი მოქმედების უნარს აძლიერებს თქვენში და დროის ფხიზლად გამოყენების შესაძლებლობასაც გაძლევთ. და რომ ჩვენი ცხოვრების პირობებმა გარდაგვკმნან და ხანგამოშვებით ბუნების დიადი და მნიშვნელოვანი მოვლენების პირისპირ დაგვაყენონ – სწორედაც რომ აუცილებელია ჩვენთვის.

თავად ხელოვნება ერთ-ერთი სახეობაა ცხოვრებისა; სავსებით შესაძლებელია, სადმე უბრალოდ, შენთვის ცხოვრობდე და შეუცნობლად სწორედ ხელოვნებისთვის ემზადებოდე; ყოველგვარი ნამდვილი საქმიანობა უფრო ახლოსაა ხელოვნებასთან, უფრო ენათესავება მას, ვიდრე რომელიმე ნახევრად არტისტიული, ფარისევლური პროფესია, ხელოვნებასთან სია-

ხლოვეზე რომ დებს თავს და სინამდვილეში ამახინჯებს და უარყოფს ჭეშმარიტი ხელოვნების არსს. აი, ამას სჩადის მთელი ჟურნალიზმი და თითქმის ყველანაირი კრიტიკა და კიდევ დიდი ნაწილი იმისა, რასაც ლიტერატურას ეძახიან და რასაც აუჩემებია, ლიტერატურად იწოდებოდეს. მოკლედ რომ გითხრათ, ძალზე მიხარია, რომ თავი დააღწიეთ ამ მცდარ და პრეტენზიულ გზაზე მოხვედრის საფრთხეს, უარყავით ის, რაც არ იყო თქვენი მოწოდება, და გაბედულად არჩიეთ მკაცრი სინამდვილის პირისპირ მარტო დგომა. დაე, ამ წერილმა განგამტკიცოთ და დაგიფაროთ ამ გზაზე.

მუდამ თქვენი  
**რაინერ მარია რილკე**

## შენიშვნები

მე-20 საუკუნის ავსტრიული პოეზიის წინამდებარე, III ტომში წარმოდგენილი თარგმანები, მთარგმნელთა თავაზიანი ნებართვით, გადმობეჭდილია შემდეგი გამოცემებიდან:

**ჯემალ აჯიაშვილი.** *ვარსკვლავთა ჩრდილში, მაღალთა თანა.* გამომცემელი: საქართველოდან გამოსულითა კავშირი (ისრაელი), თბილისი, 2004

**ვანუშტი კოტეტიშვილი.** *ადმოსავლოურ-დასავლოური დივანი.* გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2002

**რაინერ მარია რილკე.** *წერილები ახალგაზრდა პოეტს.* თარგმანი ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანისა. „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2002

**რობერტ მუზილი.** *სიტყვა, წარმოთქმული რილკეს გარდაცვალების ერთი წლის თავზე, ბერლინში, 1927 წლის 16 იანვარს.* თარგმანი მარინე ბარამიძისა. ჟურნალი „აფრა“, 1998, №5

**გივი ალხაზიშვილის** თარგმანები გადმობეჭდილია ჟურნალებიდან „საუნჯე“ და „ცისკარი“, ასევე – გაზეთიდან „ლიტერატურული საქართველო“.

**ლულუ დადიანის** თარგმანები გადმობეჭდილია შემდეგი პერიოდული გამოცემებიდან: *დუინური ელეგიები* - „საუნჯე“, 2006, №5-6; *ელეგია* - „საუნჯე“, 2005, №1-2; *რეკვიემი* - „საუნჯე“, 2006, №3-4; *პანტერა; ქრისტეს შთასვლა ჯოჯოხეთს* - გაზეთი „კალმასობა“, 2000, №7(44)

**ბესიკ ადუიშვილის** მიერ თარგმნილი *ორფეესი, ევრიდიკე, ჰერმეს* იბეჭდება პირველად.

მაღლობას მოვასხენებთ ბატონ **გივი ალხაზიშვილს** წინამდებარე ტომზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისთვის.

შენიშვნები მომზადებულია რილკეს თხზულებათა შემდეგი გამოცემის საფუძველზე:

Rainer Maria Rilke. Werke. Kommentierte Ausgabe in vier Bänden.

Herausgegeben von Manfred Engel, Ulrich Fülleborn, Horst Nalewski, August Stahl. Insel Verlag Frankfurt am Main und Leipzig 1996.

ამ უნიკალური გამოცემის სამეცნიერო აპარატიდან – რომელიც, პრაქტიკულად, რილკეს ენციკლოპედიაა – თუნდაც მცირე ნაწილის ამოღება და თარგმნა წინამდებარე ტომს, სულ მცირე, ორჯერ მეტ მოცულობას შესძენდა, რაც ჩვენი გამოცემის მიზნებში არ შედიოდა, მაგრამ სურვილი გვაქვს, მეორე გამოცემის დროს განვახორციელოთ.

**შანონი.** ამ ციკლის ლექსები დაწერილია 1899-1905 წლებში. წიგნად გამოიცა 1905 წელს. რილკეს სიცოცხლეში კიდევ ოთხჯერ გამოიცა და საერთო ტირაჟმა 60000-ს გადააჭარბა. ამ ციკლის ინსპირაციად იქცა რილკეს ორი

მოგზაურობა რუსეთში. მან რუსეთში და რუსი ხალხის ცხოვრების წესში დაინახა მოდერნული ცნობიერების მიერ შეურყვნელი, ნამდვილი რელიგიურობის სულისკვეთებით განმსჭვალული არქაული მთლიანობა; თუმცა, თვით რილკეს რელიგიურობა, გაცხადებული ამ ლექსებში, შორს დგას რომელიმე კონფესიით „მოწესრიგებული“ რელიგიურობისგან და ცალსახად ჰეტეროდოქსულია (რაც გვიჩვენებს, რომ ის, რითაც რილკე რუსეთში მოიხიბლა, მაინცდამაინც მართლმადიდებლურ აღმსარებლობას არ გულისხმობს). რილკეს ღმერთი არის არა არსებული და უკვე მოცემული, არამედ – თავისი თავის პერმანენტულად დამდგენი, ის არის ხდომილება და პროცესი, რომელშიც ჩართულია ნებისმიერი ამქვეყნიური არსება და საგანი. რილკეს ღმერთი ყველა კონფესიისგან გათავისუფლებული ღმერთია, რომელიც, დიდი ანგარიშით, თავის თავს „აცნობიერებს“ სწორედ მაშინ, როცა მას შემოქმედი, პოეტი მიმართავს. მიმართვა კი, თავის მხრივ, გულისხმობს ღმერთის მრავალსახეობის გამოთქმას ანუ ღმერთის ძიებას ყველგან და ყველგან. ეს ნიცშეანური სულისკვეთება წითელ ზოლად გასდევს რილკეს მთელ შემოქმედებას.

*როცა დრო-ჟამი...* იგულისხმება იტალიური რენესანსი, რომლის ოპოზიცია რილკესთვის რუსეთია. იტალიური რენესანსის რილკესეულ ხედვას საფუძვლად უდევს იაკობ ბურკჰარდტის (1818-1897) და ვალტერ პატერის (1839-1894) კლასიკური შრომები რენესანსზე და მათი შეხედულება რენესანსზე, როგორც ევროპული ინდივიდუალიზმის დაბადების ადგილზე. რილკესთვის რენესანსი დაღლილი და სუსტი ეპოქა იყო საიმისოდ, რომ ინდივიდუალისტური სულისკვეთება ბოლომდე მიეყვანა ანუ მზერა ისე ჩაებრუნებინა თავის თავში, რომ შემოქმედებით ენერგია ბოლომდე გაეთავისუფლებინა თანამდევი დოგმებისგან.

*ევენებშებმული კეთროვანის ჟღარუნით დახვალ* იგულისხმება ევროპაში ჟამიანობის დროს გავრცელებული წესი, როცა სენშეყრილს დასახლებულ ადგილებს გაარიდებდნენ ხოლმე. ჯანმრთელთა გასაფრთხილებლად კი სწელთ შებმული ჰქონდათ ეყვანი, რომელსაც ლაზარეს ეყვანს ეძახდნენ.

**სურათების წიგნი.** ამ წიგნში თავმოყრილ ლექსებს რილკე თითქმის რვა წელი წერდა. ისინი სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა, გადაბეჭდებოდა, ემატებოდა ახალი ლექსები, დასრულებული სახე კი კრებულმა 1906 წელს მიიღო და პოეტმა მანუსკრიპტი ამავე წელს გაუგზავნა გამომცემლობას. ლექსების უმრავლესობა კონცენტრირებულია საგნებზე, როგორც ისეთ ზედაპირებზე, რომლებიც მალავენ თავიანთ ღრმა შინაგან ცხოვრებას, ეს სიღრმე კი მჭვრეტელს გამოუჩნდება მხოლოდ განსაკუთრებული ძალისხმევით, საგნის ნდობის მოპოვებისთვის წარმოებული შრომის ფასად. ასეთი შრომა, რილკეს თანახმად, მხოლოდ მარტოობაშია

შესაძლებელი და მხოლოდ ხელოვანს ძალუძს.

რაც დამბარეს, დამავიწყდა „სურათების წიგნში“ ძლიერდება და რილკეს გვიანდელ ლირიკაში დაკანონებულ სახეს ღებულობს ბიბლიის რადიკალური წაკითხვისა და მასში თავისუფლად „ჩარევის“, ბიბლიური მასალით და თემატიკით თავისუფალი ოპერირების პროცესი. ყოველთვის, როცა რილკე ბიბლიურ, ანტიკურ ან ნებისმიერ სხვა ტექსტს ეხება, ის გამიზნულად ქმნის ახალ მითს.

**ახალი ლექსები.** წიგნი, რომელიც პირველად 1907 წელს გამოიცა, აერთიანებს რილკეს მიერ 1903-1907 წლებში დაწერილ ლექსებს (გამონაკლისია „პანტერა“, რომელიც 1902 წელს არის დაწერილი). ამ კრებულით დაწყებული, რილკეს ლექსები საბოლოოდ ემშვიდობებიან იმპრესიონიზმს, ხოლო შინაარსობრივად (და პლასტიკურ ღონეზეც) განსაზღვრული ხდება ფერწერითა და ქანდაკებით. ეს ლექსები ქმნიან დამოუკიდებელ, თავის თავში დასრულებულ ერთეულებს, რომლებიც, როგორც ჭეშმარიტი საგან-ლექსები, ხდებიან რეალობა, რომელიც თავის თავის შესახებ მოგვითხრობს. განსაკუთრებულია ამ ლექსებზე ოგიუსტ როდენისა (1840-1917) და პოლ სეზანის (1839-1906) ესთეტიკურ სამყაროთა გავლენა. ხელოვნება, როგორც პირველადი რეალობა, საბოლოოდ ხდება შუამავალი პიროვნულ მე-სა და გარემომცველ რეალობას შორის, ხოლო ხელოვანი – ერთადერთი არსება, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი სინამდვილის გადარჩენა, მისი გამოთქმა-გარდაქმნა ხელოვნების საგნად და მარადიულისთვის მისი შეთავაზება.

**ახალი ლექსები. მეორე ნაწილი.** 1908 წელს გამოცემულ ამ წიგნში შესული ლექსების რაოდენობამ გადააჭარბა პირველ წიგნში თავმოყრილი ლექსების რაოდენობას, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ნაწილში წარმოდგენილი ლექსები რილკემ სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში შექმნა (1907 წლის 31 ივლისიდან 1908 წლის 2 აგვისტომდე). ლექსების უმრავლესობა დაწერილია პარიზში, წიგნი კი ოგიუსტ როდენს ეძღვნება წარწერით: *A mon grand ami Auguste Rodin.*

*ვერ იბზინებდა მარმარილო ვეფხვის ბეწვივით გათამაშებულია ვეფხვის ტყავით მოსილი დიონისეს მოტივი, რომელიც აქ აპოლონზეც ვრცელდება. დედანშია Raubtierfelle, მტაცებელი ცხოველის ბეწვი, რაც სწორედ ვეფხვის ტყავს გულისხმობს. შეგნიშნავთ, რომ ქართველმა მთარგმნელმა აქ მეტად საჭირო სიზუსტე გამოიჩინა, როცა დიონისეს ატრიბუტის, ხალებიანი მტაცებლის აღსანიშნავად მოუხმო „ვეფხვს“ და არა „ჯიქს“ (ეს უკანასკნელი აღმნიშვნელია ზოლებიანი მტაცებელი ცხოველისა, რომელსაც დღეს ქართულად არასწორად მოიხსენიებენ,*

როგორც ვეფხვეს). რუსთაველის ტარიელსაც არა ზოლებიანი ცხოველის – ჯიქის, არამედ სწორედ ხალებიანი მტაცებლის – ვეფხვის – ტყავი მოსავს. ასევე, ცნობილ ხალხურ ბალადაში „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ მოყმე ხალებიან მტაცებელს ანუ ვეფხვს გადააწყდება და არა ზოლებიან მტაცებელს ჯიქს, რომელიც ტანად ვეფხვზე ორჯერ დიდია და მთებში არ ბინადრობს.

*ვოლფ გრაფი ფონ კალკროითი (1887-1906) გენიალური მონაცემების პოეტი და მთარგმნელი, რომელმაც სამხედრო კარიერა აირჩია, მაგრამ სამხედრო ცხოვრების ყოველდღიურობას ვერ გაუძლო და 19 წლისამ თავი მოიკლა. მას ეკუთვნის ბოდლერის „ბოროტების ყვაილების“ გერმანული თარგმანი. რილკე პირადად არ იცნობდა კალკროითს.*

**მარიამის ცხოვრება.** წიგნი 1913 წელს გამოიცა და რილკეს სიცოცხლეში მისმა ტირაჟმა 70.000-ს მიაღწია. ამ ციკლში გაერთიანებული ბევრი ლექსი იმ თემებს მოხაზავს, რომლებსაც რილკე ამავე პერიოდში შექმნილ პირველ ელეგიაში და მომდევნო ელეგიებში საგანგებო მხატვრულ ანალიზს დაუქვემდებარებს.

**ღუინური ელემენტები.** ამ ციკლზე მუშაობა რილკემ 1912 წლის იანვარში დაიწყო და 1922 წლის თებერვალში დაასრულა. წიგნად გამოიცა 1923 წელს, 10.000 ეკზემპლარში, და პოეტის სიცოცხლეში განმეორებით აღარ გამოცემულა. ციკლის სახელწოდება, თვით რილკეს განმარტებით, სასწოვარია ადრიატიკის სანაპიროსთან, კერძოდ ტრიესტთან, ნაგები სასახლისა, სადაც რილკემ ელეგიების პირველი ორი ლექსი დაწერა. პირველი მსოფლიო ომის მიწურულს კი სასახლე მთლიანად განადგურდა.

გასპარა სტამპა (1523-1554) ვენეციელი პოეტი და კურტიზანი, რომელსაც ვენეციელი გრაფი კოლალტინო დი კოლატო შეუყვარდა. მათ შორის რომანი სამი წელი გაგრძელდა. ამის მერე გრაფმა გასპარა სტამპა მიატოვა. ამ ტრაგიკული სიყვარულის შესახებ მოგვითხრობენ პოეტი ქალის ლექსები, რომლებიც მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის მერე გამოქვეყნდა. რილკემ გასპარა სტამპას, რამდენიმე სხვა, მისთვის ძვირფას, სახელთან ერთად „დიდი შეყვარებულების“ გალერეაში მიუჩინა ადგილი.

*მათ ხმა ძლიერი / ყოველთვის აღმა ეწეოდა მინიშნება ლევიტაციაზე, რელიგიებში აღწერილ ფენომენზე მიწიდან ფიზიკურად ამაღლებული მლოცველი ან მედიტირებადი ადამიანისა.*



როგორც დაფა ... სანტა მარია ფორმოზაში ამოზიდული ტაძარი ვე-ნეციაში, რომელიც რილკემ 1911 წელს მარი ტაქსისთან ერთად მონახულა. აქვე მინიშნებულია, სავარაუდოდ, სამი ლათინური წარწერა ძმები ვილჰელმ და ანტონ ჰელმანების სამარხებზე, განსაკუთრებით კი – ის, რომელსაც რომანო გვარდინი (1885–1968), რილკეს ელევების ცნობილი ინტერპრეტაციების ავტორი, ასე თარგმნის (მოგვაქვს პწკარედული თარგმანი გერმანულიდან): „სხვებისთვის ვცხოვრობდი./ ვიდრე ჩემი სიცოცხლე გრძელდებოდა./ მაგრამ ბოლოს, როცა მოგკვდი./ არ წავეშლილვარ, არამედ ცივ/ მარმარილოში ვცხოვრობ ჩემთვის./ ჰერმან ვილჰელმი ვიყავი./ ფლანდრია გლოვობს ჩემთვის./ ადრია მწუხარებს ჩემზე/ [და] სილატაკე მიხმობს./ის აღესრულა 1592 წლის/ 16 სექტემბერს“.

ლინოსი ბერძნულ მითოლოგიაში ნახევარღმერთი, რომელიც სიყმაწვილის ასაკში მოკლეს. რილკეს ინტერპრეტაცია არ თანხვდება ლინოსზე არსებულ არც ერთ მითოსურ ვარიანტს. ლინოსთან მუსიკის მოტივის დაკავშირება ნა-ყოფია ხელოვნების დანიშნულების რილკესეული გაგებისა.

ტობიას დღენი ტობიას აპოკრიფული წიგნის მიხედვით, ღვთისმოსავი და მართალი ცხოვრებით მცხოვრებმა, მრავალჭირნახულმა ტობიტმა, იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, უხმო თავის ვაჟს, ტობიას, და გაგზავნა იგი მიდიაში, გა-სესხებული ფულის მოსატანად. სახლიდან გამოსულმა ტობიამ ნახა ყმაწვილკაცი, რომელმაც მას შესთავაზა, მიდიისკენ გაძლიოდა. ეს ყმაწვილკაცი მთავარანგელოსი რაფაელი იყო. ამ თემის შემოტანით რილკე ერთმანეთისგან მიჯნავს მითოსურ და ისტორიულ დროს; მითოსურ დროში ანგელოსის უმცირესი სახეცვლილება საკმარისი იყო, რომ იგი ადამიანებს მოყვრად და ნათესავად მოვლენოდა, ღვთაებრივსა და კაცებრივს შორის კონტაქტი არ იყო გაუცხოებული, ინტერპრეტაციებით და-სმული.

მესამე ელევების გასაგებად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ლტოლვისა და ლტოლვის ობიექტის დიზოტომიის თემა, რომელიც ამ ელევიაშია დამუშავებული, ინსპირირებულია ფსიქოანალიზით, კერძოდ ფროიდის მითითებით, - ანტიკური სამყარო აქცენტს სვამდა ლტოლვაზე, ჩვენ კი აქცენტს ვსვამთ ლტოლვის ობიექტზე. ამ თემის პრობლემატიზება ხდება რილკეს მიმოწერაში, მესამე ელევიაზე მუშაობის პერიოდში. ამასვე ადასტურებს ლუ ანდრეას-სალომეს (1861-1937) სადიოურო ჩანაწერები. 1913 წელს, მიუნხენში ფსიქოანალიტიკოსთა მე-4 შეკრებას ლუ და რილკე ერთად ესწრებოდნენ. თუმცა, გასათვალისწინებელია ის სულიერი ატმოსფერო, პირველ რიგში ნიცშეს და შოპენჰაუერის იდეებითა და სიცოცხლის ფილოსოფიით განმსჭვალული სულიერი ატმოსფერო, რომელიც განსაზღვრავდა

(ცხადია, სხვადასხვაგვარად) ფროიდის ფსიქონალიზსაც და რილკეს მსოფლ-მხედველობასაც.

გვ. 205 მე ამ ნახევრად სავსე ნიღბებს თოჯინა მიჯობს რილკეს „თოჯინა“ პირდაპირ უკავშირდება ჰაინრიხ ფონ კლაისტის (1777-1818) ტექსტს „მარიონეტების თეატრის შესახებ“. ამ პერიოდში რილკე ინტენსიურად კითხულობდა კლაისტის ნაწარმოებებს. მეოთხე ელევიაში „თოჯინა-ბავშვი-ანგელოსის“ თემის გაშლით რილკე მადიფერენცირებელი ცნობიერების მსატვერულ კრიტიკას აწარმოებს და, ამის საპირისპიროდ, სწორედ ბავშვობის განუწვალავ სამყაროს ანიჭებს უპირატესობას. მისი თოჯინა, კლაისტის მარიონეტის საპირისპიროდ, იდეალური თოჯინაა, რომელიც ყველა ნეგატიური ასპექტისგან თავისუფლდება.

ელაში წაბლისფერი ბიჭი ამ ხატის უკან რილკეს ბიძის უმცროსი ვაჟი ეგონ ფონ რილკე დგას, რომელიც შვიდი წლის ასაკში გარდაიცვალა.

ანგელოსი და თოჯინა ანუ წმინდა შინაგანი და წმინდა გარეგანი, წმინდა ცნობიერება და წმინდა არა-ცნობიერება, აბსოლუტური სუბიექტი და აბსოლუტური ობიექტი. რილკე აღწერს იმ ბედნიერ წამს, როცა ამ ორ მხარეს შორის წინააღმდეგობა იხსნება და ისინი მთლიანდებიან. რილკეს ბევრი ინტერპრეტატორი ასეთ მომენტს განმარტავს, როგორც ხელოვნებისმიერი შესაქმის მომენტს.

ლიტერატორმა და ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერმა ჰერტა ქიონიგმა (1884-1976), რილკეს რჩევით, 1914 წელს შეიძინა პიკასოს ნამუშევარი „მონეტალე აკრობატების ოჯახი“. ჰერტა ქიონიგის მიუნხენის ბინაში, სადაც პიკასოს კიდევ ორი სხვა ნამუშევარი ეკიდა, რილკე ცხოვრობდა და მუშაობდა 1915 წელს, მიუნხენში მასპინძლის არყოფნის დროს, ნახევარი წლის განმავლობაში.

ავგუსტ ძლიერი მიმოჭმუჭნიდა კალის თევშებს გადმოცემის მიხედვით, ფიზიკური ძლიერებით განთქმულმა საქსონიის ღიღმა თავადმა და პოლონეთის მეფემ ფრიდრიხ ავგუსტ პირველმა (1670-1733), სტუმრებთან საუბრისას, ერთი ხელით დაგრაგნა კალის თევშები.

Subrisio Saltat „აკრობატის ღიმილი“ (ლათ.)

Madam Lamort (ფრანგ.) ქალბატონი სიკვდილი, არასაკუთარი, გაუცხოებული სიკვდილის პერსონიფიკაცია.

როგორც ღმერთი გედში ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, თეისტოსის ქალიშვილზე – ლედაზე – შეყვარებული ზევსი გელად გადაიქცა და ასე მოახერხა ლედას დაორსულება.

დედამ მისმა ჯერ არაფერი, ხოლო მერე შვა ყოველივე ძველი ისრაელის ერთ-ერთი მსაჯულის – სამსონის – დედა დიდხანს იყო უნაყოფო, ვიდრე თავისი ძლიერებით განთქმულ სამსონს შობდა.

რუდოლფ კასნერი (1873-1959) კულტურფილოსოფოსი, რომელთანაც რილკემ 1907 წლიდან მეგობრობდა.

თითქოს იყოს განსვენებული ეტრუსკის სული ... როგორც სარკველი ეტრუსკული სარკოფაგების თავსახურზე გამოსახული იყო გარდაცვლილის სურათი, ანუ მიცვალებული ნაწილობრივ სარკოფაგში იყო, ნაწილობრივ კი – გარეთ, ე. ი. ის ორივე სამყაროს ეკუთვნოდა.

რატომ ... როგორც დაფნამ მინიშნება ანტიკურ მითზე, რომლის მიხედვითაც დაფნა, რომელსაც აპოლონი დაედევნა, მიწამ, დაფნას დედამ, დაფნის ხედ აქცია და ასე დაიცვა აპოლონისგან.

სიბილებისა და მოციქულთა დედანშია Sibylen und Warn-Herrn. სიბი-ლები, ანტიკური მითოლოგიის თანახმად, წინასწარმეტყველი ქალები იყვნენ, წინასწარმეტყველი კაცები კი, როგორც სიბილების მამრობითი ანალოგი, რილკეს ნეოლოგიზმი უნდა იხოს.

დაფრთხება ჭოტი ეგვიპტურ წარწერებში ჭოტი სიკვდილის აღმნიშვნელი იეროგლიფია.

**სონეტები ორფეოსისადმი.** სონეტების ეს ციკლი რილკემ 1922 წლის 2-23 თებერვალს შექმნა შვეიცარიაში, ვალისის კანტონში, მიუძღოს სასახლეში. წინადად გამოიცა 1923 წლის მარტის მიწურულს.

ვერა ოუკამა კნოპი (1902-1921) ნორჩი მოცეკვავე, რომელიც 16 წლის იყო, როცა ის რილკემ მიუნხენში, ერთ-ერთ თავყრილობაზე გაიცნო და მის ოჯახს დაუმეგობრდა. გოგონა 19 წლის ასაკში ლოიკემით გარდაიცვალა. რილკემ შეძრა მისმა გარდაცვალებამაც და გარდაცვალების მიზეზმაც (თვით რილკემ 1926 წლის 29 დეკემბერს ასევე ლოიკემით გარდაიცვალა). ვერა ოუკამა კნო-

ობი მისთვის, შეიძლება ითქვას, იქცა ევრიდიკედ, რომლის უკვდავყოფა რილკემ მისთვის სონეტების ციკლის მიძღვნით გადაწყვიტა.

*თითქმის გოგონა* სონეტში ასახულია შეხედულება შემოქმედი ადამიანის შინაგანი ორსახოვნების შესახებ. როგორც ჩანს, რილკეზე გავლენა იქონია მის-ტერიების გერმანელი მკვლევრის ალფრედ შულერის (1865-1923) იდეებმა; მის მოხსენებებს რილკე ხშირად ესწრებოდა მიუნხენში.

*რადგანაც იგი ორფევსია. ყველგან ვლინდება* მას მერე, რაც, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ორფევსი მენადებმა დაანაკუწეს, იგი ბუნების მთლიანობას შეუერთდა.

*ნამტირალევი წყაროს ნიშნა* იგულისხმება ბერძნული მითოლოგიური პანთეონის პერსონაჟი ბიბლისი, რომელსაც საკუთარი ძმა კაუნოსი შეუყვარდა. ის დიდხანს ცდილობდა თავისი გრძნობების დამორჩილებას, მაგრამ – ამაოდ. როცა ძმას სიყვარული გაუშხილა, ხოლო ძმამ მისი გრძნობა დაგმო, ბიბლისს ძმის მიმართ სიყვარული კიდევ უფრო გაუცხოველდა. ძმა იძულებული გახდა, სამშობლოდან გადახვეწილიყო. ბიბლისმა დიდხანს სდია მის კვალს და ბოლოს არაქათგამოცლილი დაეცა. მისმა ცრემლებმა წარმოშვა ტბა, რომლიდან მისი დახსნაც სცადეს ნიშნებმა, მაგრამ – ამაოდ. იქ, სადაც ის დაეცა, გაჩნდა ნაპრალი, საიდანაც წყლის ნაკადი წამოვიდა. ამ წყალში განიღვრა ბიბლოსი და იქცა წყაროდ.

*ვაშლები, მსხლები...* ეს და მომდევნო ორი სონეტი უკავშირდება, ერთის მხრივ, სეზანისა და პაულა მოდერსონ-ბეკერის (1876-1907) ფერწერულ ტილოებს, მეორეს მხრივ კი წარმოაჩენს იმ მნიშვნელობას, რომელსაც რილკე ანიჭებდა გემოს შეგრძნებას სიკვდილ-სიცოცხლის მთლიანობის შეცნობისთვის.

## **გაბნეული და სიცოცხლეში გამოუძვენებელი ლექსები.**

ეს ლექსები რილკეს მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ისეთი ნაწარმოებებია, რომლებიც კონკრეტულად რომელიმე, რილკესთვის მნიშვნელოვანი თემის ან ესკიზურ დამუშავებას ეძღვნება ან, პირიქით, ურთულესი და, კომენტატორების საერთო აღიარებით, უკიდურესად “ბნელია”. ამ ლექსებიდან ზოგი სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალშია დაბეჭდილი, ზოგმა კი მხოლოდ პოეტის გარდაცვალების მერე იხილა დღის სინათლე.

*ესპანური ტრილოგია.* დაწერილია 1913 წლის იანვარში. პირველად გამოქვეყნდა 1927 წელს.

ქრისტეს შთასვლა ჯოჯოხეთს. დაწერილია 1913 წლის აპრილში. პირველად გამოქვეყნდა 1914 წელს.

შემობრუნება. დაწერილია 1914 წლის 20 ივნისს.

„მოკვდება ყოველი, რომელმაც შეიცნო ისინი“. დაწერილია 1914 წლის ივლისში. იმავე წლის შემოდგომაზე პოეტმა სცადა ლექსზე მუშაობის გაგრძელება, მაგრამ დამატებითი სამუშაოს შედეგებიდან მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი შე-იტანა საბოლოო ვარიანტში. პირველად გამოქვეყნდა 1918 წელს.

გულის მწვერვალზე გარიყულო, შეხედე, რარიგ... დაწერილია 1914 წლის 20 სექტემბერს. პირველად დაიბეჭდა 1919 წელს.

სული სივრცეში. დაწერილია 1917 წლის იანვარში (სავარაუდოდ). დაიბეჭდა იმავე წელს.

მუსიკას. დაწერილია 1918 წლის 11-12 იანვარს. პირველად გამოქვეყნდა 1927 წელს.

...როდემდე, როდემდე, როდემდე ვითმინო... დაწერილია 1922 წლის 1 თებერვალს. პირველად გამოქვეყნდა 1934 წელს.

ანტი-სტროფები. ნაწილი დაწერილია 1912 წელს, ნაწილი – 1922 წელს. პირველად გამოქვეყნდა 1927 წელს.

ეროსი. დაწერილია 1924 წლის თებერვალში. პირველად გამოქვეყნდა 1924 წელს.

მთელი სამყარო განსხეულდა სატრფოს სახეში... დაწერილია 1924 წლის ივლისში. პირველად გამოქვეყნდა 1927 წელს.

სამი ლექსი ციკლიდან: სარკის ანარეკლები. დაწერილია 1924 წლის ნოემბერში. გამოქვეყნდა იმავე წელს.

სიცოცხლის გზები. უცებ ფრენით გასცდები კიდეს... დაწერილია 1923 წლის მაისში. პირველად გამოქვეყნდა 1957 წელს.

ელეგია. დაწერილია 1926 წელს. პირველად გამოქვეყნდა 1952 წელს.

**კრებულიდან შამგო**

ანგელოზების საკრებულო შუქში დაგეძებს...  
*თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა*

რას იზამ, ღმერთო, მე როდესაც გარდავიცვლები...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

უპირველესი სიტყვა შენი: იყავნ ნათელი...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

ვიცი: შენა ხარ იღუმალი, ერთმა საათმა...  
*თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა*

კვლავ შინ ვბრუნდები – მიქცეული საგანთა მიღმა...  
*თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა*

საქმით შევიცნობს მარტოოდენ ჩვენი გუმანი...  
*თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა*

მრავალ ღვთისმეტყველს ბედად ერგო შენი სახელის...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

შენ პოეტებმა მიმოფანტეს, მიგანამცეცეს...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

ვით ღამის დარაჯს, ვენახში რომ უდგას უბრალო...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

და მაინც: ზოგჯერ მეჩვენება, რომ არნახული...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

და ჩემი სული არის ქალი, შენი მხლებელი...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

ვინც კი შენს ძებნაში თავის თავს გამოსცდა...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

როცა სარკმლიდან მივარდება რამე საგანი...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

სოფლის ბოლოში მარტოდმარტო სახლის დგას ერთი...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

ზოგჯერ ვიდაცა ვახშობისას სასმისს არ დაცლის...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

შენ ხარ მერმისი, ცისკარი და დიდი აისი...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

ღმერთო, მე მინდა ვიყო ერთად მრავალი მწირი...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

ღღისით შენ ოღნავ ისმინები, თუმც შენი ლტოლვა...  
*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

აწ უკვე მწიფან მეწამული კოწახურები...  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
ეგებ უმძიმეს მთების გულში მკვრივდარღვეულად...  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
ამ ბალნარებში მეფეთ-მეფენი...  
თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა  
და სილატაკე...  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
შენ ხარ ლატაკი, უპოვარი, უბრალო ქვა ხარ...  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა

## კრებულიდან სურათების წიგნი

შესავალი  
თარგმანი გივი ალხაზიშვილისა  
გოგონებზე  
თარგმანი გივი ალხაზიშვილისა  
სიციყე  
თარგმანი გივი ალხაზიშვილისა  
მუსიკა  
თარგმანი გივი ალხაზიშვილისა  
მფარველი ანგელოსი  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
ადამიანები ღამით  
თარგმანი გივი ალხაზიშვილისა  
მეზობელი  
თარგმანი გივი ალხაზიშვილისა  
მარტოსული  
თარგმანი გივი ალხაზიშვილისა  
შემოდგომის დღე  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
მოგონება  
თარგმანი გივი ალხაზიშვილისა  
შემოდგომა  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
სერიოზული წუთი  
თარგმანი გივი ალხაზიშვილისა  
ხარება  
თარგმანი გივი ალხაზიშვილისა

სმები

თარგმანი გივი ალხაზიშვილისა  
თაფფურცელი  
მათხოვრის სიმღერა  
ბრმის სიმღერა  
ლოთის სიმღერა  
თვითმკვლელის სიმღერა  
ქვრივის სიმღერა  
იდიოტის სიმღერა  
ობლის სიმღერა  
ჯუჯის სიმღერა  
კეთროვნის სიმღერა

შადრევანთა გამო

თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
მჭვრეტელი  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა

## კრებულიდან ახალი ლექსები

ყრმა აპოლონი

თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა  
სიყვარულის სიმღერა  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
დავითის გალობა საულისადმი  
თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა  
ქალთა გალობა პოეტისადმი  
თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა

L'Ange du Méridien

თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა  
კაპიტელი  
თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა  
მორგი  
თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა  
პანტერა  
თარგმანი ლულუ დადიანისა  
რომაული სარკოფაგები  
თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა



დაბრმავებული ქალი

*თარემანი გივი ალხაზიშვილისა*

ზაფხულის წვიმა

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

უკანასკნელი საღამო

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

მეფე

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

აღდგომა

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

როგორ გაექცა უკანასკნელი გრაფი ფონ ბრედეროდე თურქთა ტყვეობას

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

მარმარილოს გადაზიდვა

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

ბუდა

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

რომაული შადრეუნი

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

ორფეუსი. ევრიდიკე. ჰერმესი

*თარემანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

## **კრებულიდან ახალი ღმერთები. მემორე ნაწილი**

აპოლონის არქაული ტორსი

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

შეყვარებულის სიკვდილი

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

განკითხვის დღე

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

ქალი სარკესთან

*თარემანი ჯემალ აჯიაშვილისა*

## **რეკვიემი ვოლფ გრაფი ვონ კალკროიტისთვის**

*თარემანი ლულუ დადიანისა*

## **კრებულიდან მარიაშის ცხოვრება**

მწყემსთა ხარება

*თარემანი გივი ალხაზიშვილისა*

## **ღუინური ელევია**

*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

პირველი ელევია  
მეორე ელევია  
მესამე ელევია  
მეოთხე ელევია  
მეხუთე ელევია  
მეექვსე ელევია  
მეშვიდე ელევია  
მერვე ელევია  
მეცხრე ელევია  
მეათე ელევია

## **სონეტები ორფიქსისადმი**

*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

პირველი ნაწილი  
მეორე ნაწილი

## **გაბნეული და სიცოცხლეში გამოუჩვენებელი ღეჭსები, 1906-დან 1926 წლამდე**

ოქრომჭედელი

*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

ესპანური ტრილოგია

*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

ქრისტეს შთასვლა ჯოჯოხეთს

*თარგმანი ლულუ დადიანისა*

შემობრუნება

*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

„მოკვდება ყოველი, რომელმაც შეიცნო ისინი”

*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

გულის მწვერვალზე გარიყულო, შეხედე, რარიგ...

*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

სული სივრცეში

*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

მუსიკას

*თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა*

...როდემდე, როდემდე, როდემდე ვითმინოთ...  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
ანტი-სტროფები  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
ეროსი  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
მთელი სამყარო განსხეულდა სატროფოს სახეში  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
სამი ლექსი ციკლიდან: სარკის ანარეკლები  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
სიცოცხლის გზები. უცებ ფრენით გასცდები კიდეს...  
თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა  
ელეგია  
თარგმანი ლულუ დადიანისა

## **დანართი I**

ორფევსი, ევრიდიკე, ჰერმეს  
თარგმანი ბესიკ ადეიშვილისა

დუინური ელეგიები  
თარგმანი ლულუ დადიანისა  
პირველი ელეგია  
მეორე ელეგია  
მესამე ელეგია  
მეოთხე ელეგია  
მეხუთე ელეგია  
მეექვსე ელეგია  
მეშვიდე ელეგია  
მერვე ელეგია  
მეცხრე ელეგია  
მეათე ელეგია

## **დანართი II**

რანიერ მარია რილკე. წერილები ახალგაზრდა პოეტს  
თარგმანი ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანისა

## **შენიშვნები**